საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და ო[illegible] – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ფასი 1,50 ლარი №22 (701) 2-8 ივნისი



გვ. 75

რა ხდებოდა აჩიკო მეფარიძის ცხოვრებაში სიმღერამდე „მითხარი“

გვ. 18

როდის გააკეთებს ჯგუფ „ტელეღიპუცებს“ ლევან ჯავახიშვილი და რა ფსიქოლოგიური სტრესის გადალახვა მოუწია მას

გვ. 79

რატომ აშიშვლებს უცხოეთში ჩასული ეკა ჩხეიძე მანეკენებს და რატომ ვერ დადიოდა ის ამერიკაში მამასთან, თემურ ჩხეიძესთან ერთად ხელიხელჩაკიდებული

გვ. 2

რამდენ ფრონტზე იბრძვის დავით ლაზაძე, როგორ გახდა ის ოქროსხელება და ვინ არის საქართველოში „უჟმურების უჟმური“

მაქსთერმი

თბილისში „მაქსთერმის“ სავაჭრო ცენტრი გაიხსნა გვ. 15



გვ. 47

როგორ გახდა ბაჩო ცანავა პირველი ქართველი, რომელიც სამეფო ფაიფურით იტალიურ საკულტო თოჯინებს აკეთებდა და რომლის ნამუშევრები ვატიკანსა და პატრიარქის მუზეუმში ინახება



გვ. 22

როგორ ხდებიან თეთრი სახლის მესვეურები რუსუდან ფეტვიაშვილის ნახატების მფლობელები და რომელ პრეზიდენტს აქვს მისი ნახატების კოლექცია



რატომ შეელია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბორდის ახალი შეფი ბიზნესს და სად მიაგნო მან „ტყვედ აყვანილ“ არჩილ გოგელიას

გვ. 12



გვ. 23

როგორ გაეხვრიტა „დონ ჟუანში“ ფარიკაობის სცენის დროს ლევან აბაშიძეს ტუჩი და რატომ ექახდა მიშა თუმანიშვილი მას, გია აბესალაშვილსა და თემო გვალიას „სამ არანორმალურს“

# იღბლიან კვირას გისურვებთ!

**„TV 11-ის" „ოქროსხელება" სახეს – დავით ლაბაძეს კარგად იცნობს საზოგადოება. უფრო მეტიც, უყვართ და გულშემატკივრობენ. მართალია, ინტერვიუს დროს ხშირად მიმეორებდა „უჟმური ვარო", მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მსგავსი ვერაფერი შევამჩნიე. პირიქით, ის იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, საკმაოდ გახსნილი და სასიამოვნო მოსაუბრეა.**

# რამდენ ფრონტზე იბრძვის დავით ლაბაძე, როგორ გახდა ის ოქროსხელება და ვინ არის საქართველოში „უჟმურების უჟმური"

**– რომ გკითხოთ „TV 11-ში" როგორ მოხვდითო, სისულელე იქნება. თქვენი ოთხეული ხომ არის ამ არხის არტერია, გული, თუ ხელები...**

– იმათ შორის, ვინც იქ მუშაობს, მე ყველაზე ნაკლებად ვარ ჩართული. იმიტომ რომ, ექვსგან ვმუშაობ და ცოტა დრო მრჩება. ზუსტად რომ გითხრათ, ეს არის 3 დღე თვეში.

**– თქვენი გადაცემის იდეა საიდან მოვიდა?**

– სხვათა შორის, ძალიან ბევრ არხზე გადიოდა რაღაც მსგავსი. გარდა ამისა, „იუთუბიზეც" წააწყდები მსგავს გადაცემებს. ანუ, არაფერი ორიგინალური ამაში არ არის. ჩვენ, არხის ფორმატიდან გამომდინარე, მაქსიმალურად შევამოკლეთ და სადღაც, ხუთწუთიანი გადაცემაა. შევეცადეთ, ძალიან სერიოზული არ ყოფილიყო და ასე გამოვიდა „ოქროს ხელები".

**– სახელწოდება ვინ მოუფიქრა?**

– ყველაზე უფრო ძნელი ამ სფეროში სახელის მოფიქრებაა, ამიტომ, რაღაც დროის შემდეგ, ეტყობა, რომ მობეზრდა ყველას სახელების მოფიქრება, დავიწყეთ მარტივი სახელწოდებების შერჩევა: „რომ გადახვალ, გააჩერე", „თქვენი გადახდილია", „ოქროს ხელები"...

**– თქვენ და თქვენი ოთხეულია ამ ყველაფრის ავტორი?**

– უფრო მეტი ხალხი.

**– სიუჟეტები ვისია?**

– ჩვენი ოთხეულიდან: ჩემი სცენარისტია ირაკლი ვახტანგიშვილი. ის ეძებს რაღაც ვიდეოებს, მე თუ ვნახავ ვუგზავნი. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მერე ირაკლი ტესტავს ამ ყველაფერს, თორემ რაღაცეები არის უკვე დაწერილ სცენარშიც. ხანდახან გადაღება დაიწყება და აღმოვაჩენთ, რომ ეს ასე რომ უნდა გაკეთდეს, არ გამოდის. ჰოდა, მერე უცებ გავიქცევით, მოვნახავთ სხვას, მოგვაქვს რეკვიზიტი და ვანაცვლებთ. ამ ყველაფერს აკეთებს ირაკლი. მე მხვდება გამზადებული სცენარი და რეკვიზიტები.

**– ბევრი დუბლი გჭირდებათ?**

– მე ცუდი მსახიობი ვარ და ტექსტის დამახსოვრება ძალიან მიჭირს. ყოველთვის მიჭირდა. საზეპიროები და რაღაც ასეთები ხომ არის სკოლაში?! – ვერასდროს ვერაფერს ვიმახსოვრებდი, ლექსებსაც კი. ამიტომ, დიდხანს ვუნდები. დღეში ხუთ გადაცემაზე მეტს ვერ ვწერ.

**– სხვა ფრონტებზე რა ხდება?**

– სხვა, „ოთხი ოთხზე" გადის „მაესტროზე". აგრეთვე, ვარ „ნანუკას შოუში". კიდევ – მსოფლიო ბანკში მონაცემთა დამუშავების ექსპერტი ვარ. ეს მიმართულება, სადაც ახლა ვმუშაობ, მიწის და უძრავი ქონების რეგისტრაციას შეეხება. ამ სფეროში ადრეც მიმუშავია – საჯარო რეესტრში. კიდევ ვარ რამდენიმე ფრონტზე, მაგრამ თავს არ შეგაწყენთ ჩამოთვლით.

**– საერთოდ, პირველად ტელევიზიაში როგორ მოხვდით, ეს ფიზიკოსი კაცი?**

– ძალიან ჩვეულებრივად. დიდი ხანია ვმეგობრობ ყველასთან, ვინც „ღამის შოუშია", ჯერ კიდევ „კავეენებიდან" მოყოლებული. ესენი ჩემზე უმცროსები არიან. ჩემს ხელში დაიზარდნენ ***(იცინის).*** „კაცების შოუს" რომ აკეთებდნენ, მეც მითხრეს, ვცადოთო. ვცადეთ და შედეგი სახეზეა.

**– ისე, ყველაზე კარგი რესპონდენტი ვინ იყო ამ შოუში?**

– გვყავს საყვარელი რესპონდენტები. ძირითადად, თითო-თითოჯერ მოდიან. კარგი რესპონდენტია ის, ვისაც უყვარს ლაპარაკი და არ არის ჩაკეტილი.



როგორც ყველა შეყვარებული – მეც ვიყავი ჩაფიქრებული და გიჟი

**– აქვს იუმორი.**

– ხანდახან არ არის საჭირო იუმორი, რადგან იუმორი შეიძლება, შეცვალოს ენერგიამ. იუმორს კი, ჩვენ დავუმატებთ. ანუ უნდა იყო თავისუფალი, გახსნილი – შეგეძლოს და გიყვარდეს ლაპარაკი. ეს არის აუცილებელი. ენერგიულიც თუ ხარ, საერთოდ, მშვენიერი სტუმარი გამოხვალ.

„ოთხი-ოთხზე," ცოტა არ იყოს, ძნელი პროექტია, იმიტომ რომ სრული იმპროვიზაციაა და თან, ძალიან ხარ დამოკიდებული მდგომარეობაზე. მე მივდივარ ჩაწერაზე სამსახურის მერე, ხანდახან ისე ვარ გასავათებული და ისეთ უჟმურ ხასიათზე ვარ, ძნელია, უცებ გადაერთო.

**– საერთოდ როგორი ხასიათი გაქვთ?**

– უჟმური ვარ ძალიან. მე უჟმური ვარ, ჯანელიძე ხომ, უჟმურების უჟმურია. არა ვართ კარგი ხასიათის ხალხი. რატომ გადავწყვიტეთ იუმორისტული გადაცემის კეთება, რამე ისეთი გაგვეკეთებინა – უჟმური, გაცილებით წარმატებული პროექტი იქნებოდა. ფორმატი ვერ მოვიფიქრეთ ***(იცინის).***

**– ოჯახში როგორი ხართ?**

– იქაც უჟმური ***(იცინის).*** ჩვეულებრივი ვარ. სამწუხაროდ, ვერ ვატარებ იმდენ დროს ოჯახში, რამდენიც მინდა. რასაც ვატარებ, იმასაც უჟმურად ***(იცინის).***

**– ეგ, ახლა რითმისთვის თქვით, ჰო?**

– დაღლილი მიდიხარ სახლში და ეს დაღლილობა ხანდახან ხასიათში გადადის. თუმცა, ვცდილობ, ასე თუ ისე, ვიყო მხიარული, მაგრამ ხშირად არ გამომდის.

**– შვილებზე მიამბეთ.**

– ორი შვილი მყავს. 16 და 13 წლის გოგონები – ნუცა და ანა. ძირითადად, მათთან კამათი არ გვიწევს, იმიტომ რომ, კარგი გოგონები არიან.

**– თავად როგორი ბავშვი იყავით?**

– ძალიან ცელქი ბავშვი არ ვიყავი. ხანდახან რაღაც დროს წიგნებსაც ვუთმობდი. ზოგი რომ დღე და ღამე კითხულობს, ეგეთი არ ვყოფილვარ. რაღაცას დავძვრებოდი, ვჩხირკედელაობდი.

**– რომ შემდეგში „ოქროსხელება" კაცი დამდგრიყავით.**

– რა ვიცოდი, თუ ეს ყველაფერი შემდეგ ცხოვრებაში დამჭირდებოდა ***(იცინის).*** ასე არ იციან ხოლმე თქმა?

**– როგორი შეყვარებული იყო დავით ლაბაძე?**

– როგორც ყველა შეყვარებული – მეც ვიყავი ჩაფიქრებული და გიჟი.

**– ყველა ერთხმად აღიარებს, რომ თევზაობაშიც ოქროსხელება ყოფილხართ.**

– ვინ თქვა?... ესე იგი, თევზაობა არის საქმე, რომელსაც ჩემთვის დაცინვის გარდა, არაფერი მოუტანია ***(იცინის).*** თქვენ რომ ნახოთ, როგორ მივდივარ მე სათევზაოდ, იფიქრებთ, სხვაგან გადავდივარ საცხოვრებლად, იმდენი რამ მიმაქვს. 2-3 გზა უნდა გავაკეთო მანქანამდე, რომ ეს ყველაფერი ჩავტვირთო. ასეთი დატვირთული კაცი რომ სადღაც მიდის, თან დაკავებული, წესით, ელოდები, რომ იქიდან წამოიღებს, არ ვიცი რა...

**– და სინამდვილეში რა მოაქვს იქიდან?**

– არაფერი ***(იცინის).*** იმაზე ნაკლები მომაქვს, რაც წავიღე, იმიტომ რომ, რაც მიმაქვს, დიდი ნაწილი თევზის საკვებია, რომ მოვიტყუო, გავასუქო. რა ვიცი, ამ ბოლო დროს ძალიან ბევრჯერ მომეცარა ხელი. ისედაც, რომ დავიჭერ, ძირითადად, ვუშვებ. მე თვითონ არ მიყვარს თევზი.

**– მაინც ხომ ვერ იცოცხლებს ანკესით დაჭერილი თევზი?**

– როგორ გეკადრებათ. სპორტული თევზაობის მთელი მუღამი ეგ არის. ყველაფერს ისეთს ხმარობ, რომ თევზი არ დაზარალდეს. ანკესსაც ისე აწყობ, რომ, გაგიწყვიტოს და გაიქცეს – ისეთი რამე არ აჰყვეს, რომ მერე მოკვდეს. ამ ბოლო დროს უკვე, უთავო ნემსკავებს ვიყენებ, რომელიც ტრავმატულიც ნაკლებადაა.

**– რამხელა იყო თქვენი დაჭერილი ყველაზე დიდი თევზი?**

– ყველაზე დიდი თევზი, მაშინ დავიჭირე, სანამ სერიოზულ თევზაობას დავიწყებდი. აზერბაიჯანში, მინგაჩაურის შესართავთან ჩვეულებრივი ანკესით შვიდკილო-ნახევრიანი ლოქო დავიჭირე. ლოქოსთვის დიდი არ არის, ფაქტობრივად, ბავშვია, მაგრამ მაინც დიდი თევზია. ამ ბოლო დროს, რაც თანამედროვე ტექნოლოგიებით და მეთოდოლოგიებით ვთევზაობ, ყველაზე დიდი, რაც დამიჭერია სამკილო-ნახევრი, ოთხკილომდე წონის თევზი იყო.

**– ძირითადად, სად დადიხართ ხოლმე სათევზოდ?**

– ნებისმიერ გუბეში შემიძლია, ვითევზაო – თვითონ თევზაობა მიტაცებს და არა თევზი. როცა ცოტა დრო მაქვს, ავდივარ ლისის ტბაზე, კუმისზე, დებედაზე, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებ, არ მაქვს ორდღიანი ტურების ფუფუნება, რომ შაორზე დავცე კარავი. კახეთისკენ დავდივართ. ძალიან ცოტა ადგილია სათევზაოდ. კიდევ უფრო სამწუხაროდ, მდინარეებში ბრაკონიერებმა, ფაქტობრივად, გაანადგურეს თევზი.

**– ვისთან ერთად თევზაობთ?**

– მარტო არასდროს ვთევზაობ, მეგობრებთან ერთად დავდივარ. თქვენი ნაცნობებიდან ვახტანგიშვილთან და კაკაბაძესთან ერთად ვთევზაობ ხოლმე. კაკაბაძე და ვახტანგიშვილი უფრო ნადირობისკენ არიან, მაგრამ, მე ვცდილობ, თევზაობაში ჩავითრიო. ვახტანგიშვილთან უფრო გამომივიდა, კაკაბაძემ კი: არ არის თევზაობა ჩემი საქმეო.

**ეკა სალაღაია**

# „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მხარდასაჭერად მეორე საგრანტო კონკურსს აცხადებს

## „შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს“ – მთავარი მესიჯი საზოგადოებას „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდისგან“ და მნიშვნელოვანი საგრანტო პროექტები

*„საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მხარდასაჭერად გამოყოფილი ერთი მილიონი ლარის მოცულობის დაფინანსების ფარგლებში მეორე საგრანტო კონკურსს აცხადებს. კონკურსში განცხადების შეტანა შეუძლიათ საინიციატივო ჯგუფებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა დაწესებულებებს, რომლებიც შშმ ბავშვთა საკითხებზე მუშაობენ. მეორე საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება თემებს, ამხანაგობებსა და სამეზობლოებსაც შეუძლიათ. აღსანიშნავია, რომ პირველი საგრანტო კონკურსი „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდმა“ 2011 წლის თებერვალში გამოაცხადა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დახმარების მიზნით 13 პროექტი დააფინანსა, საერთო მოცულობით – 300 000 ლარი. ცამეტივე პროექტის განხორციელება უკვე დაწყებულია, რამდენიმე მათგანი კი უკვე დასასრულისკენ მიდის. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მძიმე აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის უკვე მოეწყო სპეციალური სასწავლო კლასი თბილისის 198-ე და მე-200 საჯარო სკოლებში. გარდა ამისა, დამონტაჟდა ეტლით მოსარგებლე შშმ ბავშვთათვის ადაპტირებული პირველი საქანელა თბილისში, კერძოდ, ზოოპარკის ტერიტორიაზე.*

*„საქართველოს ბანკის მომავლის ფონდის“ პირველ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტებია: „დედა ენისა“ და მათემატიკის განმავითარებელი კრებულის გამოცემა; სენსორული სათამაშოებისა და მათი დამზადების სახელმძღვანელოს შექმნა; სმენის არმქონე და სმენადაქვეითებული ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის ჟესტური ენის სწავლება; სოფელ გრემში, შშმ პირთა თემში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია; ანიმაციური ფილმების გახმოვანება უსინათლო ბავშვებისთვის; შშმ ახალგაზრდების გადამზადება ინკლუზიური ტურიზმის მენეჯმენტში მათი მომავალი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით; შშმ ბავშვების მონაწილეობით თეატრალური წარმოდგენის – „ჭელადოსის“ დადგმა; შშმ ბავშვებისთვის ქართული სასწავლო აპლიკაციის შექმნა უნარების განვითარებისთვის; ანაკლიის თემში მცხოვრები შშმ ბავშვებისთვის სკოლის ადაპტაცია და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.*




**თორნიკე გურული** *(„საქართველოს ბანკის მომავლის ფონდის“ დირექტორი):*

– შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად მეორე საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თემებს, ამხანაგობებსა და სამეზობლოებს. პროექტები მიმართული უნდა იყოს შშმ ბავშვებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნაზე, მათ საგანმანათლებლო აქტივობაზე და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობაზე. ჩვენ ხელს ვუწყობთ ყველას თავიანთი პროექტის განხორციელებაში. რაც შეეხება საკონკურსო განცხადებების მიღებას, ეს 29 მაისიდან 15 ივნისის 18.00 საათამდეა შესაძლებელი. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საჭირო დოკუმენტაცია უნდა გამოგზავნონ ელფოსტაზე: grants@bog.ge

კონკურსში გამარჯვებულ ათამდე პროექტს შესაბამისი მიმართულების ექსპერტებით დაკომპლექტებული ჟიური 2014 წლის 1 ივლისამდე გამოავლენს. თითოეული გრანტის მოცულობა 25 000 ლარამდე განისაზღვრება. რაც შეეხება გამარჯვებული პროექტების განხორციელებას, მონიტორინგს „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“ გაუწევს. საგრანტო კონკურსის ყველა გამარჯვებულ პროექტს „სიცოცხლის ხის“ სტატუსი ენიჭება, რაც ზრუნვისა და კეთილი საქმის კეთების სიმბოლოს წარმოადგენს.

მეორე საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი და სხვა დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე: www.tree.ge. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს, ასევე, შეუძლიათ, დაუკავშირდნენ „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდს“ ნომერზე: 2-444-493.

„საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“ სამომავლოდაც აპირებს მსგავსი პროექტების განხორციელებას ამ მიმართულებით, რადგან, შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს და ყველა ბავშვისთვის საჭიროა ადაპტაცია, საგანმანათლებლო გარემოს შექმნა და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

**სოფი ლორია**


**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47



**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# შეშფოთებული გულარხეინები

## პატარ-პატარა მოკავშირეები

მართალია, **ჯერ კიდევ მაშინ,** 2008 წლის ომის შემდეგ, როდესაც **საფრანგეთი ხელებს იფშვნეტდა სიხარულით, რაკი რფ-ისთვის მთელი ორი „მისტრალის“ მიყიდვის გარიგება დადო**, ითქვა, რომ **იმ ორივეს რუსეთი სწორედ „ნატოს“ ძალების წინააღმდეგ გამოიყენებდა,** მაგრამ **დასავლეთი გვარწმუნებდა, ეს მხოლოდ ეკონომიკაა და პოლიტიკასთან კავშირი არ აქვსო.**

მათმა **ამ გულარხეინობამ აღძრა ეჭვი, რომ ეს ჩვენი დასავლელი პარტნიორები ფრიად გულგრილად უმზერდნენ რფ-ს მიერ ამ ჩვენი ქვეყნის დანაყვას**. თუმცა, **ხანი გამოხდა** და, **მას შემდეგ, რაც რფ-მ ყირიმიც შეიერთა** და აღმოჩნდა, რომ **რუსი სამხედროები** (რომელბმაც აშშ-ელი ანალიტიკოსების შეფასებით, ფრიად წარმატებით გამოიყენეს ქარ-



თველებზე მიღებული გაკვეთილი და საკუთარ შეიარაღებულ ძალებში ხარვეზები აღმოფხვრეს) **ის-ისაა, შეისეირნებენ აღმოსავლეთ უკრაინაში**, აშშ-ელი **კონგრესმენების ნაწილმა მოუწოდა საფრანგეთს, უარი თქვას, მიჰყიდოს რფ-ს „მისტრალები“.**

ხოლო, რაკი **ტარანა თვლითაა, ოკეანისგაღმელი კანონმდებლები სანაცვლოდ „ნატოს“ სთავაზობენ, ეს ხომალდები იჯარით აიღონ**. ამიტომაც ბ-ნ **რასმუსენთან წერილიც აფრინეს** (მომყავს ციტატა წერილიდან): „ეს გახდება **მძლავრი სიგნალი პრეზიდენტ პუტინისთვის, რომ „ნატო“ არ აპირებს მოითმინოს მისი ზღვარგადასული ნაბიჯები“.**

ჯერჯერობით საფრანგეთის ხელისუფლება მხოლოდ იმას ამბობს, რომ **რუსეთისთვის პირველი „მისტრალის“ გადაცემის საკითხი ოქტომბერში უნდა გადაწყდეს**, თუმცა ვაშინგტონელთა **ამ მიმართვას ევროპელთა ნაწილიც უერთდება** და **საფრანგეთს სთხოვს, გადახედოს კონტრაქტის პირობებს,** რაც იქნება **პასუხი ყირიმის ანექსიაზეო,** რაც აჩენს ეჭვს, რომ **საქართველოს ტერიტორიების ანექსია ანგარიშში ჩასაგდები არ იყო,** რადგან, როგორც ჩანს, **დიდ პოლიტიკაში მოქმედებს, თუ მოქმედებს, პრინციპი**: ჯერ თავო და თავო, **მერე** ცოლო და შვილოო (ოღონდ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „ცოლ-შვილში“ **პატარ-პატარა მოკავშირეები** იგულისხმებიან).

# პრასმომარაგებულები

## „მე რაღაცა მაქვსო, შენ კი არა გაქვსო“

**რფ თითქოს ხელს არ გვიშლის**, თუმცა, **თუ სოხუმში განვითარებულ მოვლენებსა** და იმასაც გავიხსენებთ, რომ **ენგურჰესზე მომხდარმა ავარიამ ლამის მთელი საქართველო ჩააბნელა**, მთლად **სიკეთის მომასწავებელიც არ უნდა იყოს ეს რუსული სიჩუმე.** მეორე მხრივ, უკვე ვიცით, რომ ასოცირების შეთანხმებას 27 ივნისს მოეწერება ხელი და იმაზეც შევთანხმდით, ვინ მოაწერს.



მანამდე კი, **27 მაისს, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა გამოაცხადა**, რომ **დამატებით უფლებამოსილებას** (ოღონდ – ერთჯერადსო, რათა თავში არ ავარდნოდა?!) **ანიჭებს პრემიერმინისტრს** და **დიდსულოვნად რთავს ნებას, მოაწეროს ხელი ასოცირების დოკუმენტს** („მე რაღაცა მაქვსო, შენ კი არა გაქვსო“).

თავის მხრივ, **მისი ეს დიდსულოვნება არად ჩააგდო უფლებამოსილებამინიჭებულმა.** კერძოდ, ბ-ნმა **ღარიბაშვილმა ბრძანა**, რომ **ასოცირების ხელშეკრულების ხელმოსაწერად მას არავითარი დამატებითი უფლებამოსილება არ სჭირდება** (ისედაც **მაქვსო**! რა თქმა უნდა, კონსტიტუციითო).

აქვს თუ არ აქვს, **პრეზიდენტმა შესაბამისი აქტი მაინც გამოსცა**, რომლისთვისაც (აქტისთვის) **სულერთია, გამოიყენებენ თუ არა რამეში**. უფრო მეტიც, **მთავრობის საპარლამენტო მდივანმა ისიც კი მოგვახსენა,** რომ, რაკი ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის მოლაპარაკებები მთავრობამ დაიწყო, **თვით ევროკავშირში გაწევრიანების ხელშეკრულებასაც** (სერიიდან: „აბრაამს არქმევდნენო“) **ხელს პრემიერ-მინისტრი მოაწერს**. ანუ **ვითარება სტაბილურად უცვლელია**: პრასი, როგორც ყოველთვის, გვაქვს.



# პოლიტიკურ გულში ჩავარდნილი

## ქირის მოლოდინში

ისე მოხდა, რომ იმ **უკრაინამ,** უფრო ზუსტად, **რაც მისგან დარჩა, ახალი პრეზიდენტი აირჩია** – როგორც თანამემამულეები უწოდებენ, **„შოკოლადის მეფე“** (ქონებით კი – მილიარდერი), **რომელმაც 5 მრჩეველი დაიყენა,** მათგან **ორი აშშ-ელია, ორიც კანადელი**, ხოლო ერთი (ასეც შეიძლება, ვთქვათ, **ერთადერთი და განუმეორებელი) – ჩვენი თანამემამულე**, სახელდობრ, **კახა ბენდუქიძე**.



ჩვენ არ ვიცით, **რით იხელმძღვანელა პეტრო პოროშენკომ, როდესაც თავისი თვალი და ყური,** ალბათ, **პოლიტიკური გულიც ამ ჩვენს „ლიბერალთა მამად“ წოდებულზე შეუვარდა**, ან კი **როგორ გვეცოდინება, თუკი ბ-ნი პოროშენკოს ტვინში არ ვსხედვართ?!** ხოლო, რაკი არ ვსხედვართ, **ამ ჩანაფიქრის მოტივების გასაგებად, მოდი, საუკუნის ფრაზის ავტორის** („იყიდება ყველაფერი, სინდისის გარდა“) **ბიოგრაფიას გადავავლოთ ჩვენი გამოლიბერტარიანებული თვალი**.

**იგი** (ანუ ბ-ნი ბენდუქიძე) **პროფესიით ბიოლოგია,** ასპირანტურა კი მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში დაუმთავრებია. **სისხამ აისზე მუშაობა პუშჩინოში განლაგებულ მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიისა და მიკროორგანიზმების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს ლაბორანტად დაუწყია**. ხუთიოდე წლის შემდეგ კი **მოსკოვის ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის მოლეკულური გენეტიკის ლაბორატორიასაც ჩასდგომია სათავეში**. ამის პარალელურად, ბიზნესსაქმიანობაც წამოუწყია: 1988 – შექმნა გაერთიანება **„ბიოპროცესი“;** 1991-დან ხელმძღვანელობდა ნავთობის სახალხო საინვესტიციო-სამრეწველო გაერთიანება **„ნიპეკს“;** 1992 – სათავეში ჩაუდგა **„პრომტორგბანკის“** დირექტორთა საბჭოს; 1994-1998 წლებში გემთმშენებელი გაერთიანება **„ალმასის“** დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეც გამხდარა, 1996-ში **„გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნები“** შეუქმნია და გენერალური დირექტორიც შექნილა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეც. 1996-დან **„ურალმაშის“** დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობდა. 2000-ში, საერთოდაც, „ურალმაშის“ გენერალურ დირექტორად დაინიშნა. **2004 წელს პოლიტიკაში გადაეშვა და ამ ჩვენს სამშობლოში ყველაფერი გაყიდა** (რაკი შესაბამისი საზომი არ გამაჩნია, ვერაფერს ვიტყვი, იყო თუ არა ამ ჩამონათვალში სინდისი და, თუ იყო, ვის ეკუთვნოდა).



ასეა თუ ისე, **ის აწ უკრაინის პრეზიდენტს გაუწევს მრჩევლობას**, ამას გარდა, თითქოს **ჩვენს მოძმე უკრაინელებს ჩვენივე ყოფილი პრეზიდენტიც დაეხმარება**, ხოლო, რაკი, ერთი შეხედვითაც **აშკარაა, რომ ჩვენებურთა დიდი მიძალებაა უკრაინულ პოლიტიკაში**, ვფიქრობ, **ქირაც გვეკუთვნის, როგორც მათ მშობელ-გამზრდელებს.**

# მადიანეები და გემოვნებიანი

ის-ის იყო, **ძლივს მოვინელეთ ახალთა პრემიები** (**ძველთა პრემიების მოუნელებლად**), რომ ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუტმა **ახალი ინფო გვაჯახა** – კერძოდ, **„პრეზიდენტ სააკაშვილის სამივლინებო ხარჯები.“** ჩვენდა **ბედად, ეს ცნობები მხოლოდ 2013 წელს ეხება** (წინა წლების სამივლინებო ხარჯებს, სავარაუდოდ, ნელ-ნელა შემოგვაპარებენ, **როცა და თუკი პირველი ელდა გაგვივლის**).



ასე და ამგვარად, **2013 წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები 128-ჯერ იმყოფებოდნენ მივლინებით ქვეყნის ფარგლებს გარეთ** – . სულ ამ ოფიციალურ ვიზიტებზე გასული ბიუჯეტიდან **1 863 768 ლარი დახარჯულა** და **ამ თანხის 82 პროცენტი ბ-ნი სააკაშვილის ანგარიშზეა.** რაც მთავარია, თუმცა კანონით განსაზღვრულია მივლინებაში მყოფი პირის სადღეღამისო ნორმა და მაღალი თანამდებობის პირებისთვის, ამის ზემოთ დანამატიც (პრეზიდენტის შემთხვევაში – 300 აშშ დოლარის ოდენობით), ბ-ნი **სააკაშვილის სადღეღამისო დანამატი შესაბამისი ბრძანებულებით 900 აშშ დოლარამდე გაუზრდიათ** (მაღალი იყო და იმიტომ?!).

სულ **2013 წლის 365 დღის განმავლობაში ის მივლინებაში 112 კალენდარული დღის განმავლობაში ყოფილა**, საიდანაც **დღიურ ნორმად 87 500 აშშ დოლარი აუღია** (მხოლოდ 5 300 დოლარი შეადგენს განსაზღვრულ ნორმას კონკრეტული ქვეყნის შესაბამისად, დანარჩენი, 82 200, ყოფილ პრეზიდენტს ხელზე და მივლინების სადღეღამისო ნორმის დანამატის სახით მიუღია). **სასტუმროსთვის გადახდილი თანხის ოდენობას 362 000 აშშ დოლარი შეუდგენია**, ხოლო **ყველაზე ძვირად პრეზიდენტ სააკაშვილს აშშ-ში 9-დღიანი ვიზიტის სასტუმროს ხარჯი დაგვჯდომია:** 9 დღე – 43 300 აშშ დოლარი. **სინგაპურში ერთკვირიანი ვიზიტი ამაზე ოდნავ ნაკლები** – 41 000 აშშ დოლარი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი ასკვნის, რომ **სახსრები მთლად რაციონალურად არ დახარჯულა, იმას გარდა, რომ ზოგი ხარჯი გაუმჭვირვალეა.**



ხოლო, ბ-ნი **სააკაშვილის ხელგაშლილობის გათვალისწინებით, რომ არ ყოფილიყო, უნდა გამოეგონათ** – რადგან, ფაქტობრივად, **შეუძლებელია, დაჩრდილო საბიუჯეტო სახსრების ფანტვაში**, რაც იმას ნიშნავს, რომ **მის ფონზე, რაც უნდა წყალწაღებული იყო, მაინც შეძლებ, მეტ-ნაკლებად ასატანად გამოიყურებოდე**. –

# დუმილის უფლება

## ანუ, ძრწოდე სამყაროვ, ლავროვი მოდის!

იმ მარტივი მიზეზით, რომ **რფ-მ დანარჩენ მსოფლიოს თავისი წესი უკარნახა** (ზედაც, გაუვიდა), **აქეთ – „ნატომ“ განაცხადა, რომ თავისი წევრების თავდაცვისუნარიანობას გააძლიერებდა**, იქით კი – **დანარჩენებმა საკუთარ ქვეყანაში ეროვნებით რუსი მოქალაქეების რიცხოვნობის თვლა დაიწყეს** (იციან, რომ **მარცხი, ანუ რუსეთის ჯარის შემოსვლა ელანძეა**).

გასულ კვირას კი ისრაელში რფ-ის საელჩოს ვებ-გვერდზე **ნომერ პირველი რუსი დიპლომატის ნაუბარი გამოაქვეყნა,** სა-



დაც სერგეი **ლავროვი უბნობს, რომ მოსკოვი კვლავაც დაიცავს „რუსული სამყაროს“ ინტერესებს იმ ქვეყნებში, რომლებშიც რუსულენოვანი მოქალაქეები ცხოვრობენ** (ეს რფ-ის მთავარი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტიაო). იქვე კი **დასძინა, რომ ფონდი ფინანსურად უჭერს მხარს სხვადასხვა ქვეყანაში უფლებადამცველებს, საზოგადოებრივ და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს,** ზედაც, **რუსულენოვან გამოცემებსო;** აფხაზეთში, ბელგიაში, საქართველოში, ისრაელში, ჩინეთსა და ლიტვაშიო. ჯერჯერობით **მხოლოდ ისრაელში დაფაცურდნენ რუსულენოვნები**: რის დაფინანსება, რა დაფინანსებაო. ჩვენი თანამემამულეები დუმილის უფლებას იყენებენ. რეალობა კი გვაფიქრებინებს, რომ **დიდი ქვეყნები,** იქნებ მართლაც, **ავაზაკებს ჰგვანან, მცირე ზომისანი – პროსტიტუტებს?!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

# დალაქავებულები

ისე მოხდა, რომ გასულ კვირას **ჩვენი თანამემამულეები** რეზო თაბუკაშვილი და გიორგი მგელაძე 100-100 ლარით დააჯარიმეს **ჩვენივე თანამემამულე** ზურაბ ჭიაბერაშვილისთვის **ჩაის ჭიქის დამსხვრევის გამო**. ყველაზე **მკაცრად მომხდარს იუსტიციის მინისტრი გამოეხმაურა** და აღნიშნა, რომ **ქვეყნის იმიჯს ამგვარი ქმედებები ფრიად ლახავს**, მით უფრო, რომ **ძალადობა იმ ხელისუფლების სავიზიტო ბარათია**, რომელსაც ბ-ნი ჭიაბერაშვილი წარმოადგენდა (თუმცა ჩვენ შეხსენებაც არ გვჭირდება, ვინაიდან მეხსიერებას არ ვუჩივით, თუმცა აი, ის კი აღარ ვიცით, რატომ არ სჯის კანონის მსახვრალი ხელი ძველ მოძალადეებს, – **ვითომ იმიტომ, რომ „ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს“?!**).



მომხდარი **უგულისყუროდ არც ჩვენი სულზე უტკბესი პარტნიორის, აშშ-ის ელჩს, ბ-ნ ნორლანდს დაუტოვებია** და შეგვიძახა (მომყავს ციტატა მისი აღმატებულება ელჩის კომენტარიდან): **„ვინც არ უნდა იყოს ჩამდენი, რაც არ უნდა ყოფილიყო მოტივაცია, ეს არის ის ლაქა, რომელიც საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციას ზიანს აყენებს.“**

## ალაგ-ალაგ რეპუტაციაშელახულები

და იქვე დასძინა, რომ **მნიშვნელოვანია, ადგილობრივი არჩევნების წინ საარჩევნო გარემო იყოს მშვიდი** (ვით შემოდგომის დღე… „დღე ნაღვლიანი, სასომიხდილი“ – ).

თუ **მოვლენათა ლოგიკას მივყვებით** და გავიხსენებთ, რომ **ლაქისმაგვარიც არ უხსენებია არასდროს არც ამ ჩვენს ოკეანისგაღმელ დიპლომატს** და **არც ჩვენ სხვა დასავლელ პარტნიორებს**, როდესაც ბ-ნი ჭიაბერაშვილის თანაპარტიელები თავ-ყბას უსიებდნენ ოპონენტებსა და ამომრჩევლებს (რაც, ბუნებრივია, არ ნიშნავს, რომ ახლა ისინიც უნდა გაასიონ ცემაში, ოდენ ფაქტის კონსტატაციას ვახდენ), ჩნდება ეჭვი, რომ **ან ბ-ნი ნორლანდიც დარწმუნებულია,** რომ, ჯერ ერთი, **„ნაციონალური“ ხელის მოხვედრა მადლია** და, რაც მთავარია, **რეპუტაციაც ალაგ-ალაგ ილაქება** (იმისდა მიხედვით, ვისი ვის მოხვდება). თუმცა ისიცაა, **თუკი იმ ძველმა ლაქებმა ვერაფრით შეარყიეს ჩვენი იმიჯი, ახალი ლაქები ვითომ უფრო დააჩნდება?!** .



ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**მეთორმეტეკლასელთა გამოსაშვები გამოცდებიც დასრულდა და აბიტურიენტები მისაღები გამოცდებისთვისაც ემზადებიან. წელს მათ არაერთი სიახლე ელით: უცხო ენის ტესტში ახალი, მოსმენის კომპონენტით დაწყებული და თვით გამოცდების დასრულების შემდეგაც კი, სასურველი ფაკულტეტების ჩამონათვლის შეცვლით დასრულებული. რა შედეგები აჩვენეს გამოსაშვებ გამოცდებზე მოსწავლეებმა და რა შესაძლებლობებს სთავაზობს გამოცდების ცენტრი აბიტურიენტებს 2014 წელს, – თემაზე გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი გვესაუბრება.**

# რატომ ვერ გაანელა ფასიანმა სწავლებამ საქართველოში სურვილი, გახდე სტუდენტი ნებისმიერ შემთხვევაში და რატომ არ აქვს მნიშვნელობა მომავალ პროფესიას

**– აუღეს ალღო სიახლეს აბიტურიენტებმა, რომ ფაკულტეტების ჩამონათვლის შეცვლა მუდმივად შეუძლიათ, გამოცდების დამთავრების შემდეგაც კი?**

– არის აბიტურიენტების გარკვეული ნაწილი, რომლებსაც არჩევანი ჯერჯერობით საერთოდ არ გაუკეთებიათ და ეს მათი უფლებაა. ასე რომ, ბუნებრივია, მონაცემები იცვლება და ამას დეტალურად არ ვადევნებთ თვალყურს, იმიტომ რომ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია მათი საბოლოო გადაწყვეტილება და საბოლოო არჩევანი. ეს კი, დაახლოებით, აგვისტოს პირველ ნახევარში იქნება ცნობილი.

**– გამოცდების დასრულებისა და შედეგების გამოცხადების შემდეგ.**

– დიახ, ამიტომ ეს მონაცემები არაფერზე მეტყველებს. მათ შეუძლიათ დაამატონ, შეცვალონ, თავიდან შექმნან რეიტინგული სია, გადაადგილონ.

**– გაამართლა ამ მიდგომამ თუ ჯერ ადრეა ამაზე საუბარი?**

– რა კრიტერიუმებით შეიძლება, შევაფასოთ, გაამართლა თუ არა? თუ იმ კრიტერიუმით შევაფასებთ, რომ უფრო მეტი აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, მაშინ ნამდვილად გაამართლა, იმიტომ რომ, შარშან 28 000-ზე მეტი აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, მაშინ, როდესაც წინა წლებში ნაკლები იყო – 24 000-ს არ სცილდებოდა. დანამდვილებით შემიძლია, გითხრათ, თუ რატომ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. მთავარი და მნიშვნელოვანია ის, რომ, როდესაც შედეგები უკვე ცნობილია, ეს ინფორმაცია ეხმარება, წესით, უნდა დაეხმაროს აბიტურიენტებს ძალიან ეფექტიანი და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. მაგალითად, თუ არჩეული მაქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რომელიღაც კონკრეტული ფაკულტეტი და უკვე ვიცი ჩემი შედეგები, რადგან ამ უნივერსიტეტს ყველა მიმართულებაზე ბარიერი აწეული აქვს, შესაძლებელია, მე გადავლახო გამოცდების ცენტრის მიერ დაწესებული ბარიერი, მაგრამ ვერ გადავლახო ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ბარიერი. ამდენად, არანაირი აზრი არ აქვს, მივუთითო ის, იმიტომ რომ, იქ ვერ მოვხვდები და მაქვს შესაძლებლობა, ამოვიღო ეს უმაღლესი სასწავლებელი და ჩავწერო სხვა. ეს ერთი მაგალითია, როდესაც ჩემი შედეგების ცოდნა დამეხმარება უმაღლესი სასწავლებლის ადეკვატურად შერჩევაში. მეორე მაგალითი: თქვენ იცით, რომ თითოეული უმაღლესი სასწავლებელი და კონკრეტული ფაკულტეტი სხვადასხვა წონას ანიჭებს ჩასაბარებელ საგნებს. მე შეიძლება, საკუთარ შესაძლებლობებს სათანადოდ ვერ ვაფასებ და მგონია, რომ ძალიან კარგი ვარ ან პირიქით, ეჭვი მეპარება ჩემს შესაძლებლობებში და არ ვუთითებ ისეთ ფაკულტეტს, რომელზეც მაღალია კონკურსი. დავუშვათ, ფაკულტეტს, რომელსაც მივუთითებ, მათემატიკისთვის აქვს მინიჭებული ყველაზე დიდი წონა, როდესაც შედეგები მეცოდინება და მათემატიკაში კარგი შედეგი მექნება, დიდი შანსი მაქვს, ჩავირიცხო ამ ფაკულტეტზე, რადგან საკონკურსო ქულაში ყველაზე დიდი წილი მინიჭებული ექნება მათემატიკას. ან პირიქით, ვხედავ, რომ არცთუ ისე კარგი შედეგი მაქვს მათემატიკაში, რომელსაც დიდი წონა აქვს იმ ფაკულტეტზე, სადაც მინდა სწავლის გაგრძელება და დიდი ალბათობით, არ მაქვს შანსი, გავიმარჯვო ამ კონკურსში. ამიტომ მირჩევნია, ისეთი ფაკულტეტი მივუთითო, სადაც მათემატიკას ნაკლები წონა აქვს და იქ, რა თქმა უნდა, დიდი შანსი მექნება. ეს არის ძირითადი ლოგიკა, თუ რატომ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება.



ქართული ენა და ლიტერატურა ისეთი საგანია, რომელიც ჰგონიათ, რომ ყველამ იცის. როგორ, ჩემი მშობლიური ენა არ ვიცი?! ჩემთვისაც მშობლიურია ქართული ენა, მაგრამ გამოცდა რომ ჩამაბარებინო, არ მექნება პრეტენზია, 9 და 10 ქულა მივიღო

**– აბიტურიენტებს მხოლოდ თავიანთი შედეგები ეცოდინებათ და არა ის, თუ რომელ ფაკულტეტზე რა კონკურსია?**

– კონკურსის შედეგი არ ეცოდინებათ, მაგრამ ეცოდინებათ, ამ კონკრეტულ საგანს რა წონა ენიჭება ამა თუ იმ ფაკულტეტზე ჩასარიცხად და არანაირი აზრი არ აქვს, პირობითად ვამბობ, ისეთ ფაკულტეტზე ჩარიცხვას, სადაც მათემატიკას მაღალი წონა აქვს, თუ დაბალი შედეგი მაქვს მათემატიკაში. ეს ეხება ყველა საგანს. ადრე რეგისტრაცია, მეტად თუ ნაკლებად, ბრმად მიმდინარეობდა.

**– სურვილებიდან და არა შესაძლებლობებიდან გამომდინარე.**

– დიახ, ახლა ეს ინფორმაცია მეხმარება იმაში, რომ, თუნდაც, რეიტინგული ჩამონათვალი მოვამზადო ისეთი, რომ შანსი მქონდეს, გავხდე სტუდენტი. აი, ეს არის ლოგიკა და ეს შეუძლებელია პოზიტიურ ზეგავლენას არ ახდენდეს აბიტურიენტებზე სწორი არჩევნის გაკეთების თვალსაზრისით. თუ არის კრიტერიუმი, რომ უფრო მეტი გახდა სტუდენტი და ჩვენი მიზანი იყო, რაც შეიძლება, მეტი სტუდენტი ჰყავდეს ქვეყანას, ამ მიზანს მივაღწიეთ.

**– ყველა ადგილი დიდი ალბათობით შეივსება უმაღლეს სასწავლებლებში?**

– ყველა ადგილი შევსებული ვერ იქნება.

**– უფრო მეტი შეივსება, ვიდრე წინა წლებში ივსებოდა?**

– უფრო მეტი გახდა სტუდენტი, ვიდრე წინა წლებში ხდებოდა, მაგრამ ყველა ადგილი ვერ შეივსება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, ჯერ ერთი, აბიტურიენტებმა უნდა გადალახონ ბარიერი, რომ სადმე ჩარიცხონ და, მეორე, შარშან 42 000-ზე ოდნავ მეტი იყო საკონკურსო ადგილების რაოდენობა, ამდენივე აბიტურიენტი გვყავდა, თუმცა 13 000 ადგილი ვაკანტური დარჩა უმაღლეს სასწავლებლებში. ახლა 45 000-ს აჭარბებს ადგილების რაოდენობა, აბიტურიენტების რაოდენობა კი 36 500-მდეა. ასე რომ, გაცილებით მეტი ადგილებია, ვიდრე აბიტურიენტები არიან.

**– აბიტურიენტთა კლებას რას უკავშირებთ, მოსალოდნელი დეპოპულაცია დაიწყო? 90-იანებში ცოტა ბავშვი დაიბადა და დემოგრაფები პროგნოზირებდნენ ამ კლებას.**

– მხოლოდ ამას ვუკავშირებთ. მეთორმეტეკლასელების რაოდენობაც მცირეა წელს, ვიდრე წინა წლებში იყო. ამ შემთხვევაში გამოსაშვები გამოცდების რეგისტრაციის შედეგებით შეგვიძლია, ვიმსჯელოთ: 2011 წელს მეთორმეტეკლასელთა გამოსაშვებ გამოცდებში 45 000-ზე მეტი მოსწავლე იღებდა მონაწილეობას; 2012-ში – 42 000, 2013-ში ჩვენ არ ჩაგვიტარებია გამოსაშვები გამოცდები და წელს მეთორმეტეკლასელთა რაოდენობა 38 000-იც არ არის.

**– მოთხოვნა არის სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტად გამოცხადებულ მიმართულებებზე?**

– რა თქმა უნდა, იმიტომ რომ უფასოა.

**– მესმის, მაგრამ, თუ ისეთ პროფესიას მიიღებ უფასოდ, რომელიც შემდგომ ვერ დაგასაქმებს, ასეთ სწავლას აზრი აქვს?**

– არსებული რეალობა მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია უმაღლეში სწავლა და თითქოს აუცილებელიც კი არის. უმრავლესობა მაინც ცდილობს, სტუდენტი გახდეს.

**– საინჟინრო მიმართულებებზე უფრო სუსტი და ხელმოცარული აბიტურიენტები აბარებდნენ თითქოს, მაგრამ ადრე მითხარით, რომ ეს დინამიკა იცვლებოდა, არის ამ მიმართულებაზე კონკურსი?**

– გააჩნია საინჟინრო მიმართულებას. არის მიმართულებები, სადაც არის კონკურსი და სადაც არ არის. მაგალითად, რამდენადაც მახსოვს, კონკურსი იყო სამშენებლო ფაკულტეტზე, ინფორმატიკაზე, კავშირგაბმულობაზე, მეტალურგიაზეც კი. ჩვენ ეს მონაცემები ჯერჯერობით არ გაგვისაჯაროებია, იმიტომ რომ, საბოლოო შედეგი არ არის. შარშანდელი გამოცდილებით პირდაპირ გეტყვით, რომ გამოცდების შედეგების გამოცხადების შემდეგ, დრამატულად შეიცვალა სურათი და, ფაქტობრივად, ყველა აბიტურიენტმა თუ არა, უმრავლესობამ არჩევანი შეცვალა. თუმცა არის აბიტურიენტების კატეგორია, რომლებმაც ზუსტად იციან, სად უნდათ ჩაბარება, ზუსტად იციან უმაღლესი სასწავლებელი, სადაც უნდათ სწავლის გაგრძელება და ამ გადაწყვეტილებას არ ცვლიან შედეგების გამოცხადების შემდეგაც. საბედნიეროდ, ასეთი აბიტურიენტებიც გვყავს.

**– ერთია, შესაძლებლობების მიხედვით პროფესიის არჩევა და მეორე, რა გინდა, რომ გამოხვიდე. სურვილს არ აქვს მნიშვნელობა პროფესიონალად ჩამოყალიბებაში? გაამართლებს მიდგომა, ოღონდ სადმე მოვხვდე?**

– ეს არის ჩვენი რეალობა: ძალიან კარგად ვიცით, რომ არის აბიტურიენტების დიდი რაოდენობა და, უპირველესად, მშობლების, რომელთათვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, მათი შვილი გახდეს სტუდენტი და ხშირად სულერთია, რა მიმართულებით გააგრძელებს სწავლას.

**– და ამაში იხდიან ფულს.**

– დიახ, ნამდვილად ასეა. მაგრამ გვყავს გარკვეული რაოდენობა ისეთი აბიტურიენტებისაც, რომლებმაც ზუსტად იციან, სად უნდათ სწავლის გაგრძელება.

**– სკოლები ძალიან ნერვიულობდნენ გამოსაშვები გამოცდების ჩატარებაზე. წელს მათ პირველად ჩაატარეს ისინი საკუთარი ძალებით: როგორი შედეგი აჩვენეს ჩვენმა მეთო-**

(გაგრძელება მე-10 გვერდზე)

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**

აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს–რეპეტიტორის პროგრამებზე.

დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.

**მისამართი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)**
**ტელ.:2936603; 599188924; 2935430; 2999626.**

**მართალია, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის თარიღი დაზუსტებითაა ცნობილი – ამა წლის 27 ივნისი და თვით იმაზეც კი ჩამოვყალიბდით, თუ ვინ მოაწერს ხელს ჩვენი მხრიდან დოკუმენტს, მაგრამ უკრაინის სავალალო გამოცდილების გათვლისწინება (როდესაც ეშმაკს, ანუ რფ-ს არ სძინავს) გულის სიღრმეში გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, ვითარება ჩვენთანაც გართულდეს. არის თუ არა მოსალოდნელი უკრაინული სცენარის საქართველოში განმეორება? – ამ პერსპექტივის რეალობა-არარეალობას რუს პოლიტოლოგ ანდრეი ეპიფანცევთან ერთად განვიხილავთ.**

# რა პირობებს უყენებს მოსკოვი თბილისს და რატომ აღარ დარჩა საქართველოს აღარაფერი დასაკარგი

**– 27 ივნისს ხელს ვაწერთ ევროკავშირთან ასოცირებას. მშვიდობანად დასრულდება ეს პროცესი უკრაინის მაგალითის გათვალისწინებით, ანუ უკრაინის სცენარს ავიცილებთ თავიდან თუ მაინც უნდა ველოდოთ რამე გართულებას?**

– აქ შეიძლება, მოვიტანოთ არა მარტო უკრაინის, არამედ სომხეთის სცენარიც.

**– სომხეთში მოვლენები გაცილებით უმტკივნეულოდ განვითარდა, ამიტომაც არ ვადარებ ერთმანეთს უკრაინასა და სომხეთს.**

– სომხეთში, მადლობა ღმერთს, მოვლენები ტრაგიკულად არ განვითარებულა. ალბათ, გახსოვთ, ორიოდე თვით ადრე სომხეთი აცხადებდა, რომ ევროკავშირთან ასოცირებას მოაწერდა ხელს და არ უნდოდა საბაჟო კავშირი, მაგრამ ერთი თვის განმავლობაში ცხარე დებატების შემდეგ სარქისიანი შეხვდა პუტინს და გაირკვა, რომ სომხეთი საბაჟო კავშირში გაწევრიანდებოდა. ასეთი ვითარება საქართველოში არ იქნება – ეს დაზუსტებით შეიძლება ითქვას.

**– რატომ?**

– ამის მიზეზი ის არის, რომ სომხეთისა და უკრაინისგან განსხვავებით, საქართველოს დასაკარგავი არაფერი აქვს.

**– რადგან, უკვე დავკარგეთ, რაც დასაკარგი იყო? უკრაინა და სომხეთი რას კარგავდნენ?**

– ისინი კარგავდნენ ეკონომიკას. მოდი, უფრო ღრმად შევხედოთ საკითხს: დასავლეთის ქვეყნები ბოლო 2-3 საუკუნის განმავლობაში თავიანთ ეკონომიკას ძალიან ხისტი მეთოდებით აშენებდნენ, გლობალური დომინირებით, კოლონიებით, ომებით და საბოლოოდ მიაღწიეს შედეგს, როდესაც დომინირებენ ბაზარზე როგორც გლობალური ეკონომიკის, ისე ცალკეული კომპანიების მხრივ. როდესაც მათ დაინახეს, რომ შეუძლიათ გამარჯვება ღია ეკონომიკურ შეჯიბრში, მაშინვე გადაერთნენ დემოკრატიაზე, თავისუფალ კონკურენციაზე არა პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით. ეს ყველაფერი ლამაზად ჟღერს, მაგრამ პრინციპი ის არის, რომ, იმ ეკონომიკებს, რომლებსაც ისინი იერთებენ, არ შეუძლიათ კონკურენციის გაწევა მათი მეგაეკონომიკისთვის.

**– მაგრამ ეს მიერთება საშუალებას აძლევს, იმ ადამიანებს გაუუმჯობესდეთ ცხოვრება, რომელთა ქვეყნების ეკონომიკებსაც იერთებენ. არა?**

– არის ბევრი ქვეყანა, სადაც ეს არ გამოვიდა. შეხედეთ ბალტიისპირეთსა და ბულგარეთს. თუ გახსოვთ, საბჭოთა დროს უამრავი ბულგარული წარმოების საქონელი იყიდებოდა. ბულგარელები მთელ საბჭოთა კავშირს ამარაგებდნენ თავიანთი პროდუქციით, ახლა კი ისინი თურქეთიდან ყიდულობენ ყველაფერს და ცხოვრების დონეც დაბალია. მოვიტანოთ კონკრეტული მაგალითები: ვთქვათ, თბილისიდან ახლოს ცხოვრობს ვინმე ბაბუა ლევანი, ჰყავს ძროხა „ქაქუცა“.

**– ქაქუცა ჩვენს ეროვნულ გმირს ერქვა, სხვა პირობითი სახელი ავილოთ, მკითხველს ეწყინება.**

– კი ბატონო, ძროხა „მარტა“. ლევან ბაბუა ყოველ დილას მიდის ბაზარში და ყიდის რძეს, მაწონსა და ყველს. წარმოვიდგინოთ, რომ მოდის მსოფლიოს უმსხვილესი კომპანია „დანონი“, რომელსაც ათასობით ქარხანა აქვს და ეუბნება: ბაბუა ლევან, შენც და მეც ვართ თავისუფალი ბაზრის მონაწილეები, შევიდეთ ერთმანეთთან თავისუფალ კონკურენციაში.

**– შეიძლება, „დანონმა“ ბაბუა ლევანისგან რძე შეიძინოს.**

– „დანონი“ არ შეიძენს ბაბუა ლევანისგან რძეს, მას თავისი ძროხები ეყოლება. ამერიკაში ასეთ მსხვილ მწარმოებლებს „ინდუსტრიულ მკვლელებს” უწოდებენ. როდესაც ისინი მოდიან, ყველა დანარჩენი ქრება. „დანონი“ თავის ფერმას აშენებს და თვითონ აწარმოებს რძეს. ამიტომ ბაბუა ლევანი გაკოტრდება, თავის ძროხას ჩააბარებს ხორცად და თვითონ იქნება „დანონის“ დარაჯი, თუ გაუმართლებს. რატომ ვამბობ ამას: როგორც წესი, ასეთ ეკონომიკებს არ აქვს კონკურენციის უნარი და ამიტომ ადგილობრივი წარმოება კვდება; ამდენად, ქვეყნები, რომლებიც აპირებენ, შევიდნენ ევროკავშირსა თუ საბაჟო კავშირში, ცდილობენ, დაიცვან საკუთარი წარმოება. რატომ არ გვინდა, რომ რუსეთში გავაღოთ ბაზარი უცხოური ავტომანქანებისთვის? იმიტომ რომ გვაქვს ჩვენ „ვაზი“ – თუ გავანულებთ საბაჟო ტარიფს, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ასობით საწარმო დაიხურება.



**თქვენ გაანადგურეთ წარმოება და ისეთ ფსკერზე ხართ, რის იქითაც არაფერი აღარ იქნება მტკივნეული**

**– მაგრამ რუსეთის მოქალაქეების რა ნაწილია „ვაზის“ მიერ გამოშვებული ავტომანქანების მომხმარებელი?**

– ჩვენი მთავრობა წავიდა გზით, რომ შეენარჩუნებინა „ვაზი“ და, მეორე მხრივ, ააშენა დასავლური ავტომანქანების მწარმოებელი ქარხნები. ამ სახით ჩვენ შევინარჩუნეთ „ვაზიც“. ამიტომაც ვამბობ, უკრაინასა და სომხეთს ჰქონდათ დასაკარგი: მათ შეინარჩუნეს წარმოება საბაჟო კავშირის არჩევით. საკითხი ასე დგება: თუ ისინი აწერენ ხელს ამ შეთანხმებას ევროკავშირთან, მაშინ რუსეთი იწყებს თავისი ბაზრის დაცვას და უკრაინასა და სომხეთში ეს დარგები კვდება.

**– მე წავიკითხე თქვენი ინტერვიუ ერთ-ერთ გამოცემასთან, რომელშიც კითხვაზე, რომ საბაჟო კავშირში შესვლის შემდეგ სომხეთში პროდუქციაზე ფასები მოიმატებს, თქვენ უპასუხეთ: დიახ, მოიმატებს და მათ შორის, სომხეთიც ზეწოლის ქვეშ უნდა იყოს, რომ იგრძნონ რუსეთის ძალაო. ანუ?**

– იქნებიან დარგები, რომლებიც მოიგებენ და რომლებიც წააგებენ.

**– თუ სომხეთის მოსახლეობა, ისევე, როგორც უკრიანის, თავის ტყავზე არ იგრძნობს, რომ უკეთესია საბაჟო კავშირში შესვლა, რა მნიშვნელობა აქვს მათთვის, დარგები მოკვდებიან თუ გადარჩებიან?**

– სომხეთი და უკრაინა შეინარჩუნებს სამუშაო ადგილებს, მაგრამ, თუ ისინი ხელს მოაწერენ ასოცირების შეთანხმებას, მათი წარმოების უმეტესობა უბრალოდ მოკვდება, აღარ იარსებებს. ჩვენ წლების განმავლობაში დოტაციაზე გვყავს სომხური ეკონომიკა გაზზე დაბალი ფასით. რუსეთი არ უწევს დოტაციას იმ ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირთან ასოცირებას აწერენ ხელს.

**– მეორე მხრივ, რუსეთმა აუკრძალა სომხეთს, შეიძინოს გაზი ირანისგან, რომელიც სულაც არ არის რუსულზე ძვირი.**

– მგონი, სომხეთი ყიდულობს გაზს ირანისგან.

**– ვერ ყიდულობს, ისინი ცვლიან ელექტროენერგიას გაზის სანაცვლოდ, მაგრამ რუსულმა მხარემ ესეც კი აუკრძალა სომხეთს.**

– მე არ ვარ ამ საქმის კურსში.

**– დავუბრუნდეთ საქართველოს.**

– საქართველოში არ არის ისეთი სფერო, რომელიც დაზარალდებოდა რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტით. ტექნოლოგიური ჯაჭვი არ არსებობს, თქვენ, როგორც ასეთი, ინდუსტრია და წარმოება არ გაქვთ, თქვენ ის გაანადგურეთ და ისეთ ფსკერზე ხართ, რომლის იქითაც არაფერი აღარ იქნება მტკივნეული. იყო ასეთი მსახიობი – რანევსკაია, კალამბურებს ამბობდა. მისი ფრაზაა: „მე თქვენ გაგაგზავნიდით, მაგრამ ვხედავ, რომ თქვენ უკვე იქიდან ხართ.”

**– ანუ ჩვენ უკვე გაგვგზავნეს?!**

– არა, თქვენ უკვე იქიდან ხართ. თქვენ ვერ დაგემუქრებათ ვერც რუსული სანქციები, ვერც წარმოების განადგურება, ამიტომ, უსაფუძვლოა ქართულ პრესაში ამტყდარი აჟიოტაჟი, რომ რუსეთი არ აძლევს საშუალებას საქართველოს, გაწევრიანდეს ევროკავშირში, მსგავსი არაფერი ხდება.

**– პუტინმა მკაფიოდ თქვა, ჩემს ლობესთან „ნატოსა“ და ევროკავშირს არ დავუშვებო.**

– არის განსხვავება. თუ ეს იქნება „ნატო“, რუსეთი იმოქმედებს ხისტად და ჩვენი დამოკიდებულება აფხაზეთისა და „იუჟნაია ოსეტიასადმი“ შეიცვლება.

**– შეიერთებთ?**

– დიახ, „ოსეტიას“ შევიერთებთ. თუ საქართველო შედის „ნატოში“ ორშაბათს, კვირას „ოსეტია“ იქნება რუსეთის შემადგენლობაში. აფხაზეთში სხვა ვითარებაა.

**– ანდრეი, პირდაპირ ვთქვათ: დღეს, რა, შეერთებული არ აქვს რუსეთს ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი? უბრალოდ, იყენებს იმისთვის, რომ მიუღწეველი და უკვდავი იმედი ჩაგვისახოს. რუსეთი არ აპირებს, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, შესაბამისად, თუ მიიერთებს, ყველაფერი უფრო ნათელი გახდება და ისედაც მკვდარი იმედიც ერთხელ და საბოლოოდ მოკვდება.**

– ჯერ ერთი, რუსეთი არ აპირებს აღადგინოს საქართველს ტერიტორიული მთლიანობა. მეორე, ჯერჯერობით არ უნდა „იუჟნაია ოსეტიას“ შეერთება, თუმცა მათი მხრიდან ეს თხოვნა არის. ჯერჯერობით ისიც კი არ იცის არავინ, რა დაგვიჯდება ყირიმის შემოერთება. თუმცა არ ვიცი, რა მოხდება მომავალში, რაც მართალია, მართალია, „იუჟნაია ოსეტია“ რუსეთის ბიუჯეტზეა.

**– აფხაზეთიც.**

– იქ ცოტა სხვა სიტუაციაა.

**– აფხაზეთის ბიუჯეტის 75 პროცენტი დოტაციურია.**

– „იუჟნაია ოსეტია” ვერ შეძლებს დამოუკი-

**(გაგრძელება მე-10 გვერდზე)**

**მაშინ, როდესაც მეფის რუსეთში ბატონყმობა გადავარდა, იმპერატორმა თავადაზნაურობას კომპენსაციის სახით, რაკი ყმები ჩამოართვა, გარკვეული თანხა გადაუხადა. გამონაკლისი არც ქართველი თავადაზნაურობა გახლდათ, თუმცა იმდროინდელმა ჩვენმა თანამემამულეებმა სხვაგვარად განსაჯეს: ილია ჭავჭავაძის თაოსნობით, თავიანთი კუთვნილი ფული ჯიბეებიდან ამოიღეს, საადგილმამულე ბანკი დააარსეს და სახელმწიფოს არარსებობის პირობებში სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაჭრა დაიწყეს: ჩამოაყალიბეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დააფინანსეს ნიჭიერი და ხელმოკლე ახალგაზრდებისთვის უმაღლესი განათლების მიღება, ქართული გაზეთების გამოცემა (დარღვეული ქართული ცნობიერების შესაკოწიწებლად), გამოიხსნეს დაგირავებული მიწები და უამრავი სხვა კეთილი საქმე გააკეთეს, რამაც, საბოლოოდ, დამოუკიდებლობისთვის ნიადაგი მოამზადა. ილია ჭავჭავაძეს ქართველი პოლიტიკოსები, განურჩევლად პოლიტიკური პლატფორმისა, აღიარებენ მისაბაძ მოღვაწედ, მის ციტატებსაც ხშირად იშველიებენ და ილიას ფოტოსაც აქტიურად კიდებენ სამუშაო კაბინეტებში, თუმცა ილიას წესით ცხოვრება, თუ მათ მიერ აღებული ხელფასისა და პრემიის ოდენობით ვიმსჯელებთ, დიდად არ ხიბლავთ. ჩინოვნიკებისთვის მაღალ-მაღალი ხელფასების დანიშვნის ტრადიცია 2004 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც რეფორმების ფონდი შეიქმნა, რომელიც უზრუნველყოფდა მათთვის მაღალი ხელფასის გაცემას, რათა ბიუჯეტის ფული არ მოეპარათ. იმ მარტივი მიზეზით, რომ საჯარო ინფორმაციის მოპოვება გამარტივდა, კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა სახელმწიფო მოხელეთა არაადეკვატურად მაღალი შემოსავლები. ახლები გვარწმუნებენ, რომ ეს თანხა ეკუთვნით, რადგან დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ. რატომ იცვლებიან ადამიანები სახელისუფლო სკამზე დასხდომის შემდეგ და რატომ ჰგონიათ, რომ უნდა მოიქცნენ ზუსტად ისე, რასაც წინამორბედებს უწუნებდნენ? – ამ საჭირბოროტო თემას აკაკი ასათიანთან ერთად განვიხილავთ.**

# რატომ გვამადლიან ხელისუფლების წარმომადგენლები თავიანთ შრომას და როგორ შეირგეს დედის რძესავით მაღალ-მაღალი ხელფასები და პრემიები

**– თეა წულუკიანმა გვითხრა, რომ სტრასბურგში 17 000 ლარი ჰქონდა ხელფასი, მაგრამ მზადაა, სამშობლოს 5 000 ლარად ემსახუროს და, თუ ჩინოვნიკს მაღალი ხელფასი არ ექნა, კერძო სექტორში წავა, ანუ თქვენი ბედნიერებისთვის ვიღებთ მაღალ ხელფასსო. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მადა ეხსნებათ თუ რა ემართებათ ადამიანებს?**

– რთული სათქმელია, რა ემართებათ. იმდენი საქმეა და იმდენი მუშაობა უწევს, თუ მუშაობს ხელისუფლებაში მყოფი პირი, რომ, ეტყობა, ერთგვარი დამადლებითი დამოკიდებულება უჩნდებათ. აქ, ამ შემთხვევაში, ორი მომენტია: „ნაციონალები“ მოგაშორეთ და ჩვენ დღედაღამ ვმუშაობთო, ამიტომ ჰგონიათ, რომ ეკუთვნით. მართლაც, ნორმალურ ქვეყნებში ჩინოვნიკებს საკმაოდ მაღალი ხელფასები აქვთ, მაგრამ ეს არის ნორმალურ ქვეყნებში და იქ სახელმწიფო მოსამსახურეების ხელფასები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე კერძო ბიზნესში დასაქმებულების. თუნდაც, ადვოკატების, ექიმების. სამწუხაროდ, მასწავლებლებს ყველგან ჩაგრავენ.

**– ყოველ შემთხვევაში, მასწავლებლებისთვის სტანდარტი არსებობს და იმაზე ნაკლები ხელფასი და ცხოვრების პირობები არ შეიძლება ჰქონდეთ.**

– დიახ, არსებობს სტანდარტები და ადამიანები ნორმალურად ცხოვრობენ. ჩვენში ამას არ ექცევა ყურადღება, გარემო ფონი უგულებელყოფილია. გასაგები იყო, რატომ აკეთებდნენ ამას „ნაციონალები“: ეს იყო ადამიანების ჯგუფი, რომლებიც მიზანმიმართულად ასრულებდნენ რაღაც დავალებასავით გეგმას. დასავლეთისთვის მიდიოდა პროპაგანდა, რომ ქვეყანაში დასამყარებელი იყო წესრიგი, ყველაზე სატიკი მეთოდებითაც კი, რომ არ გადავახვევინოთ პროდასავლურ კურსსო, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს კურსი მხოლოდ დეკლარირებული იყო, რადგან, თავად რომ არ ეთქვათ უარი, აზერბაიჯანსა და სომხეთსაც ჩვენთან ერთად მოაწერინებდნენ ხელს ასოცირების შეთანხმებაზე. ერთი სიტყვით, „ნაციონალების“ დროს არანორმალური დისპროპორცია იყო ხალხისა და ხელისუფლების შემოსავლებს შორის. ამ ხელისუფლებამ ეს ხომ დაიტოვა და დატოვა, ამას გარდა...



პოლიტიკოსებს ცოტა ხნით უნდა ავუკრძალოთ ილიასა და დავით აღმაშენებლის ხსენება

**– ოღონდ, „ნაციონალები“ ახერხებდნენ, დაემალათ, უბრალოდ, არ გაწვდიდნენ ინფორმაციას და რაღაც შემოვლითი გზებით, გაჭირვებით უნდა დაგედგინა.**

– მათ ესმოდათ, რომ ეს დიდად სახარბიელო ამბავი არ იყო და ყველანაირად ცდილობდნენ, არ გახმაურებულიყო, თუმცა რაღაც დოზით ყველამ ვიცოდით, მაგრამ ამას ფარავდა მათი მოქმედებით აღშფოთება. ხელფასები მეორე პლანზე გადადიოდა მათი მოქმედების გამო. პარადოქსული სიტუაციაა: ეს ხელისუფლება ამ მხრივ ნორმალურია. არ არის სასტიკი და ულმობელი, მაგრამ მოსახლეობის მოლოდინი იმდენად დიდი იყო, რომ ადამიანებმა უფრო მწვავედ აღიქვეს, ვიდრე „ნაციონალების“ შემთხვევაში მოხდებოდა. მეც მახსოვს, რაც ჩვენგან, „მრგვალი მაგიდისგან“ სწყინდათ, ჩვენამდე კომუნისტებს და ჩვენ მერე მოქალაქეებს უთმენდნენ. ამიტომ სულ ვამბობდი, ჩვენგან ითხოვენ მეტს და შეღავათს არ გაგვიწევენ-მეთქი და ხალხი მართალია ამ შემთხვევაში. ცხოვრების ნორმალიზება უნდა მომხდარიყო, ბოლოს და ბოლოს, „ნაციონალების“ მოშორება ხომ არ იყო მთავარი?! მოშორება იმდენად იყო ამოცანა, რომ ძველებური ურთიერთმიმართება არ ყოფილიყო ხალხსა და ხელისუფლებას შორის.

**– არ მგონია, დასამადლებელი ბევრი ჰქონდეთ: თავად მოიშორეს, თუ მოიშორეს „ნაციონალები“.**

– უპირველესად, თვითონ მოიშორეს, მაგრამ ჯანდაბას. დიდი ამბავი მოხდა და ჩვენ ყველანი კმაყოფილები ვართ, რომ არჩევნების გზით შეიცვალა ხელისუფლება, მაგრამ წელიწად-ნახევარია გასული და ეს ეიფორიული განწყობა არ შორდება ამ ხელისუფლებას. ადგილობრივი არჩევნებია და ისევ გვესმის ლოზუნგი – მოდი, მოვიშოროთ „ნაციონალური მოძრაობა“! გამუდმებით გვაყვედრიან, თითქოს რაღაც ზეამოცანა არის მათი მოშორება, არადა, ისინი, ფაქტობრივად, მოშორებულები არიან. თუ ვინმეს მოშორება გინდა, აღარ უნდა მიაქციო ყურადღება. რაც შეეხება პრემიებს: თუ დასავლეთზე ვლაპარაკობთ და მასზე ვართ ორიენტირებული, იქაური ცხოვრების წესი, იქაური სახელისუფლო, საზოგადოებრივი სტრუქტურების საქმიანობა არის საუკეთესო გამოცდილება, რაც კაცობრიობას აქვს. გააკეთე ის, რაც სწორია: ევროკავშირის უამრავი ქვეყანაა, სადაც ანტიდისკრიმინაციული კანონის მსგავსი არაფერი მიუღიათ. ეს არ არის მთავარი ევროკავშირში, მაგრამ აქ გადააქციეს თემად – ჩემი ბრალი არ არის, ისინი ითხოვენო. ეს მაინც მონური, კოლონიური სინდრომია, როდესაც ყველაფერი ბრალდებოდა საბჭოთა კავშირს, ახლა ევროკავშირს ბრალდება ყველაფერი. სხვათა შორის, ეს პრემიები და წილებში ყოფნა პუტინმა დაამკვიდრა რუსეთში ზედა ფენაში. იცით, რომ რუსეთის ზედა ფენის წარმომადგენლები ან აქციების მფლობელები არიან, ან წილებს ფლობენ მსხვილ სახელმწიფო კომპანიებში. მათ, ელემენტარულად, რამდენიმემილიონიანი შემოსავალი აქვთ ყოველწლიურად, მაგრამ ამან არ უშველა რუსეთს, ამიტომ არის კორუფციაში და ყველაზე სერიოზული პრობლემა ეს აქვთ. ჩვენთან ხელფასები მაღალი აქვთ, დისპროპორცია არანორმალურია.

**– გვაშინებენ, რომ, თუ მაღალი ხელფასები არ იქნა, კერძო სექტორში გადაედინებიან კადრები, თითქოს კერძო სექტორში ისეთი ხელფასებია, რომ ვერ ზიდავ ორი ხელით.**

– ეს მოსაზრება ჩვენთან ლოგიკას არ ექვემდებარება. მაგალითად, შეერთებულ შტატებში 3-4-ჯერ მეტი ხელფასი აქვთ კერძო სექტორში და იქ არ იციან სახელმწიფო პრემიების ცნება. ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდხანს მომიწია ყოფნა და აღმოვაჩინე სპეციალიზებული მაღაზია, სადაც ყველაფერი გაცილებით იაფი ღირდა. შევედი გლობუსის საყიდლად, მახლდა ბატონი გივი ზალდასტანიშვილი. მითხრა, არ იყიდოო. რატომ-მეთქი? აქ მაღალი თანამდებობის პირები არაფერს ყიდულობენ, მათ მაღალი ხელფასები აქვთ და უხერხულია, მხოლოდ მომსახურე პერსონალი იძენსო. ანუ, ამასაც კი თვალს ადევნებენ. იმ მაღაზიაში რომ კონგრესმენს ან სენატორს ეყიდა რამე, ეს სერიოზული განხილვის თემა იქნებოდა. კანონით არ ეკრძალებათ, მაგრამ ითვლება, რომ არ შეიძლება. ჩვენთან კი, საარჩევნო კოდექსის არ იყოს, რაც დახვდათ „ნაციონალებისგან“ და ჩათვალეს, კარგი ყოფილაო, დატოვეს. სახელმწიფო ბიუჯეტიდან რაც დარჩა, პრემიებად დაირიგეს.

**– რა გვექნა, დაგვრჩაო. არადა, თუ დარჩათ, უპატრონოებისა და მშივრების მეტი რა არის ამ ქვეყანაში, მათთვის დაერიგებინათ!**

– რა თქმა უნდა! „დაგვრჩა” რას ნიშნავს?! საჭმელია და კუჭმა არ მიიღო?! თუ დარჩა, დაბრუნდეს ბიუჯეტში. თითქოს მექრთამეობის თავიდან ასაცილებლადაა მაღალი ხელფასები, მაგრამ, თუ ადამიანი ანგარებიანია, მას პრემია ვერ უშველის. მილიონებს ეთამაშებიან და 5 000-ანი პრემია გააჩერებს?! არ ვიცი, რაზე ფიქრობდნენ, როდესაც ამხელა პრემიებს იწერდნენ. მით უმეტეს, ხალხი ჩივის, არაფერი გაუკეთებიათო, თუმცა, მე მგონია, რომ რაღაც-რაღაცეები გაუმჯობესდა, იმავე მედიცინის სფეროში, მაგრამ, სოფლებში არაფერი გაკეთებულა. იმით იმართლებენ თავს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში ისევ „ნაციონალები“ არიანო, მაგრამ ადგილობრივი არჩევნებიც იქნება და ვნახავთ, რას შეცვლიან. 15-ში, ალბათ, „ოცნება“ გაიმარჯვებს, მაგრამ ეს გამარჯვება, შეიძლება, დამარცხების დასაწყისად იქცეს, თუ არ ექნათ გეგმები, რომელთა განხორციელებას უკვე ივნის-ივლისში დაიწყებენ. ამ პრემიებმა ძალ-

# როგორ წავიდა თანამდებობრივ მეორე წრეზე ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური და რა ანაზღაურებას იღებდა, როგორც საფრანგეთის მოქალაქე ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური 1970 წელსაა დაბადებული თბილისში. მისი შრომითი ბიოგრაფია კი 1987 წელს იწყება ჩარხმშენებელ ქარხანაში, სადაც 1988 წლამდე იმუშავა, თუმცა ამ სამუშაო ადგილს 1990 წელსაც დაუბრუნდა და იქ 1992 წლამდე დაჰყო. უმაღლესი განათლება თსუ-ში მიიღო. კერძოდ, 1991-1996 წლებში ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობდა და პროფესიით მაკროეკონომისტია, ხოლო 1996-1999 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტიც გახლდათ. ამის პარალელურად, 1997-1998 წლებში საქართველოს ფინანსთა მინისტრის მრჩეველი, აპარატის უფროსი და შიდა ქართლის სამხარეო-საფინანსო ადმინისტრაციის უფროსიც იყო. 1999 წლიდან კი თსუ-ის ლექტორობასაც ითავსებდა. 1999 წელს ეკონომიკის მინისტრის აპარატის უფროსადაც დაინიშნა (2000 წლამდე). მოგვიანებით, 2003-2004 წლებში პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის აპარატის უფროსად გადაიყვანეს. 2003-2004 წლებში საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილედაც იმუშავა და საპარლამენტო მდივნადაც. 2004-2005 წლებში თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე გახდა. 2004-2008 წლებში კი, იმავდროულად, იყო გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ეროვნული კონსულტანტი. 2006 წლიდან თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი, მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი გახდა. 2012 წელს პარლამენტის წევრად აირჩიეს, ხოლო იმავე წლის 25 ოქტომბერს კი ფინანსთა მინისტრადაც დანიშნეს.

რაკი ჩინოვნიკური ღვწის არაერთწლიანი გამოცდილება გააჩნია, ნოდარ ხადურის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 1999 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო, როგორც ეკონომიკის სამინისტროს აპარატის უფროსმა და ოჯახის წევრებად მიუთითა მშობლები: ბ-ნი თამაზი და ქ-ნი მანიჟანი. იმხანად ხადურების უძრავ-მოძრავი ქონება შემდეგნაირად გამოიყურებოდა: თამაზ ხადურის საკუთრება იყო საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი გორის რაიონში (27 000 ლარად ღირებული), ნოდარ ხადურის – საცხოვრებელი ბინა და ავტოფარეხი თბილისში (15 000 ლარად ღირებული) და 23 000-ლარიანი ავტომანქანა. 1999 წელს ნოდარ ხადური ფლობდა ახმეტის სატყეო კომბინატის 11 აქციას (შეძენილს ვაუჩერებით), მისი მშობლები კი ჩარხმშენებლის 34-34 აქციას, როგორც კოლექტივის წევრები. დეკლარაციის შევსების დროს ნაღდი ფული მხოლოდ ნოდარ ხადურს ჰქონდა – 20 000 აშშ დოლარი. დასაქმებულიც მხოლოდ ის იყო და მან 1998 წლის განმავლობაში, საერთო ჯამში, ხელფასის სახით, 3 600 ლარი აიღო.



2000 წელს ნოდარ ხადურმა დეკლარაცია შეავსო, როგორც ყოფილმა ჩინოვნიკმა. მის დეკლარაციაში ის ცვლილებაა, რომ ნაღდ ფულად ახლა უკვე 12 000 აშშ დოლარი ჰქონდა, რაც შეეხება შემოსავლებს: 1999 წლის განმავლობაში, როგორც ეკონომიკის მინისტრის აპარატის უფროსს, 3 134 ლარი აუღია, ხოლო, როგორც თსუ-ის მაკროეკონომიკის კათედრის მასწავლებელს – 60 ლარი.

2003 წელს ის დეკლარაციას ავსებს, როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე. ოჯახის წევრთა რაოდენობა უცვლელია, თუმცა მთელი უძრავი ქონება თამაზ ხადურის სახელზეა: საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი გორის რაიონში (20 000 ლარად ღირებული), ორი ბინა თბილისში – 15 000-15 000 ლარად ღირებული და 6 000 ლარად ღირებული ავტოფარეხი. ნოდარ ხადურის საკუთრება კი 15 000 ლარად ღირებული ავტომანქანაა. დეკლარაციის შევსების მომენტში მას ნაღდ ფულად ჰქონდა 10 000 აშშ დოლარი და ამდენივე ევრო. შემოსავლები მითითებული არ არის.

2004 წელს ნოდარ ხადური დეკლარაციას იმავე ამპლუაში ავსებს. მისი ოჯახის წევრთა რაოდენობა და უძრავ-მოძრავი ქონების მოცულობა უცვლელია, ნაღდ ფულად კი აწ ფინანსთა მინისტრს 10 000 აშშ დოლარი, 8 000 ევრო და 10 000 ლარი ჰქონდა. 2003 წლის განმავლობაში ნოდარ ხადურმა, როგორც პარლამენტის თანამშრომელმა 1 165 ლარი აიღო; როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ – 13 526 ლარი; როგორც თსუ-ის მასწავლებელმა – 822, ხოლო, როგორც კოოპერაციის სახელმწიფო ინსტიტუტის თანამშრომელმა – 71 ლარი.

2012 წლის ნოემბერში ნოდარ ხადურმა დეკლარაცია შეავსო, უკვე როგორც პარლამენტის წევრმა და ოჯახის წევრებად მიუთითა: მშობლები, მეუღლე – 1979 წელს დაბადებული ნინო ცირეკიძე, ორი შვილი – 2004 წელს დაბადებული მარიამი და 2007 წელს დაბადებული ნიკოლოზი და და – შორენა. ნოდარ ხადურის საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა გლდანში (110 კვ. მ. ფართობის), თამაზ ხადურის კი – მიწის ნაკვეთი გორის რაიონში (2 000 კვ. მ. ფართობის). ავტომანქანა „ნისან ტიდას“ (2008 წლის გამოშვება) მფლობელიც ფინანსთა მინისტრია. ნაღდი ფულის სახით კი დეკლარაციის შევსების მომენტში 20 000 აშშ დოლარი ჰქონდა. 2011 წლის განმავლობაში ნოდარ ხადურმა, როგორც თსუ-ის სრულმა პროფესორმა 42 000 ლარი აიღო; ხოლო, როგორც ეკონომიკის პრობლემების კვლევითი ცენტრის მკვლევარმა – 10 000 ლარი. 2013 წელს ნოდარ ხადური დეკლარაციას ავსებს როგორც ფინანსთა მინისტრი, მის დეკლარაციაში არანაირი ცვლილება არ არის, თუ არ ჩავთვლით შემოსავლების ნაწილს. მან, როგორც თსუ-ის სრულმა პროფესორმა, 2012 წლის განმავლობაში 26 591 ლარი აიღო; როგორც საფრანგეთის მოქალაქე ბიძინა ივანიშვილის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში – 21 250 ლარი, ხოლო, როგორც პარლამენტის წევრმა – მხოლოდ 390 ლარი.

**ნინო ხაჩიძე**

---

იან ცუდი შედეგი გამოიღო, რაც ამ ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს.

– **ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, თუ მათ ქცევას დავაკვირდებით, რომ ფოტოს გარდა ილიასი არაფერი უნახავთ და წაუკითხავთ. შევახსენოთ, რომ, როდესაც სახელმწიფო არ არსებობდა, იმ ადამიანებმა თავიანთი ჯიბიდან ამოიღეს ფული და ახმარდნენ საერთო საქმეს, იმას კი არ ამბობდნენ, გვეკუთვნის და სახლში უნდა წავიღოთ ბიუჯეტის ფულიო. გასაგებია, რომ ეს მათი არჩევანია, ამიტომ, ან ილია ჭავჭავაძეს უნდა დაანებონ, ან – დაემსგავსონ, თუ არ ანებებენ.**

– ჩვენში ხომ ყველას დავით აღმაშენებელი აკერია პირზე?! ვინმეს წარმოუდგენია, რომ იმ ხალხს სახელმწიფო არ ჰქონდა და მაინც მოახერხა განათლების შესანიშნავი სისტემის შექმნა?! ბანკი გააკეთეს და ამის მეშვეობით მართავდნენ ეკონომიკას. გამოდიოდა პრესა, იდგმებოდა სპექტაკლები. იმაზე ათჯერ და ასჯერ მეტს ახერხებდნენ, ვიდრე მათ ხელში იყო. მართლაც არ იციან დღეს, რა იყო ის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, სათავადაზნაურო... სააdგილმამულე ბანკი, გაზეთისა და ჟურნალის დაარსება.

– **ან, რატომ დაარქვა „ივერია“.**

– რამხელა ძალისხმევად ჯდებოდა ეს ყველაფერი, ეს მართლაც არ იციან. ის ხომ იმიტომ გახდა „დუმის“ წევრი, რომ მათი საბოლოო ამოცანა ავტონომია იყო. ფინეთისა და ირლანდიის მაგალითებს აკვირდებოდნენ. ილიას მკვლელობა იყო მაშინდელი ჟანდარმერიისა და მემარცხენე ძალების ერთობლივი ოპერაცია, იმიტომ რომ ილია ორივეს უქმნიდა პრობლემას, რადგან ნორმალურ განვითარებასა და აყვავებას უქადდა ჩვენს ქვეყანას, რაც ქვეყანას მისცემდა საშუალებას, მეოცე საუკუნეში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა ყოფილიყო, მაგრამ, 1921-მა წელმა ეს დაამთავრა, სამწუხაროდ. ილიას სიკვდილი გამოსასყიდი დაგვირჩა, იმიტომ რომ, მარტო მათ არ მოუკლავთ, ჩვენ ყველამ მოვკალით ილია: ორი კაცი არ მოიძებნა, თან ხლებოდა ხოლმე, როცა ყველამ იცოდა, რომ მოკვლას უპირებდნენ. მაგრამ, შორს წაგვიყვანს ამაზე ლაპარაკი.

– **განსხვავება ისიც არის, რომ ილია მარტო არ ყოფილა, დანარჩენებმაც ამოიღეს თავიანთი ჯიბეებიდან ის თავიანთი კუთვნილი ფული.**

– დიახ, ისინი ხომ ჩვეულებრივი, ცოცხალი ადამიანები იყვნენ. მათ კომპენსაცია გამოუყვეს, მათ კი ამ საქმეში ჩადეს ფული. ხომ მოიკლეს თავად?! არადა, ჩვენი თავადაზნაურობა არ იყო რუსული თავადაზნაურობა, დიდი შესაძლებლობები ჰქონოდა. ლუარსაბს ოცი ყმა ჰყავდა და ითვლებოდა, რომ კარგად ცხოვრობდა. 100 კაცს არ სცდებოდა მათი ყმების რაოდენობა და ისინიც გაათავისუფლეს. თან, ხომ ვიცით, რომ ქართული ბატონყმობა არ ყოფილა მკაცრი. პრობლემაა უცოდინრობა, ნაკლებად იციან, რა და როგორ ხდებოდა.

– **იმეორებენ, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, აი, ის აღარ ახსოვთ, „ერის წყლული მაჩნდეს წყლულადო“.**

– ეს სკოლიდან გამოჰყვათ, მაგრამ, არ იციან, როგორ უნდა გვეყუდნეს. ილიას გამზადებული ჰქონდა დამოუკიდებლობა. ჩვენ კი დამოუკიდებელ ქვეყანაში ვერაფრით დავამკვიდრეთ განწყობა, რომ ქვეყნის მსახურება იყოს წინა პლანზე ყოველგვარი მაღალფარდოვანი განწყობის გარეშე, სხვათა შორის, თავგანწირვის გარეშეც. არავინ გთხოვს, თავი გაწირო, უბრალოდ, ნორმალურად უნდა ემსახურო. არის ქართული სიტყვა – „უნახაობა“ და ამ უნახაობის პრობლემა გვაქვს. ჩვენთან თავისუფლების გაგება იმით გამოიხატება, რომ მანაქანას იქ გააჩერებ ან გადახვალ ფეხით, სადაც არ შეიძლება.

– **ჩავსვათ ჩვენი პოლიტიკური ელიტა კარცერ-ლუქსებში და წავაკითხოთ ილიას ნაშრომები.**

– წაკითხვა არ შველის მხოლოდ... ცოტა ხნით უნდა ავუკრძალოთ ილიასა და დავით აღმაშენებლის ხსენება.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

(მე-6 გვერდიდან)

**რმეტეკლასელებმა?**

– მართალი გითხრათ, არ ვიცი, რატომ ნერვიულობდნენ ან რა იყო სანერვიულო. თუ ადმინისტრაციულ ნაწილზე ვისაუბრებთ, ჩვენ ყოველთვის გვაქვს სარეზერვო დღე ფორსმაჟორული ვითარებისთვის. არ გამოგვიყენებია, თუმცა იყო ელექტროენერგიის შეფერხების რამდენიმე შემთხვევა, მაგრამ მოგვარდა. იყო საუბარი იმაზე, რომ არცთუ სახარბიელო შედეგი დაფიქსირდა, იმ თვალსაზრისით, რომ ცალკეულ ჯგუფებს ჰქონდათ პრეტენზია, მაღალი ქულები არ დაიწერაო. ამ ხნის განმავლობაში ვცდილობდი, ამეხსნა ყველასთვის, როდესაც 300 მოსწავლე უმაღლეს შეფასებას იღებს მათემატიკაში, ეს არ ნიშნავს, რომ მაღალი ქულები არ დაიწერა. ვცდილობდი, ამეხსნა, რომ 8-დან 10 ქულამდე შეფასება არის ძალიან მაღალი შეფასება და, თუ მოსწავლეს აქვს პრეტენზია მაღალ ქულაზე, დავალებებსაც უნდა გაართვას თავი. ეს არის სასერტიფიკაციო გამოცდა და არა – საselექციო. მნიშვნელოვანია, გადალახე თუ არა ბარიერი: თუ გადალახე ბარიერი, ატესტატი გეკუთვნის და ეს არ მოქმედებს არც მედალზე, არც სასკოლო შეფასებაზე, უბრალოდ, გეკუთვნის ატესტატი. სასაცილო იქნებოდა, მოსწავლეების 80 პროცენტს 10 ქულა რომ მიეღო, ეს ხომ არსებული რეალობის დამახინჯებული ასახვა იქნებოდა?! ამდენს ვსაუბრობთ კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგით, რომ ცუდად გვაქვს საქმე სასკოლო განათლების სისტემაში. როდესაც წაკითხულის გააზრების კომპონენტში 73 ქვეყანას შორის 69-ე ადგილზე გადის საქართველო, როგორ შეიძლება, ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ბევრია უმაღლესი შეფასების ღირსი?! ისედაც ძალიან დაბალი ბარიერი გვაქვს დაწესებული.

**– რამდენი დავალებაა?**

– დაახლოებით, 40 დავალებას იღებს მოსწავლე და უმაღლესი შეფასება იწერება იმ შემთხვევაშიც, თუ მოსწავლე 3 დავალებას არასწორად უპასუხებს. ბარიერის გადასალახავად კი, 40 დავალებიდან ტესტში 11-ს უნდა უპასუხოს სწორად. არსებული რეალობის გათვალისწინებით, როცა პრობლემებია სასკოლო განათლების სისტემაში, მოსწავლეზე არ უნდა გადატყდეს ჯოხი და ის ატესტატის გარეშე არ უნდა დატოვო, ამიტომაცაა ბარიერი ასეთი დაბალი. მაგრამ კეთილი ინებონ და, თუ აქვთ პრეტენზია უმაღლესი შეფასების, მოახერხონ და რთულ დავალებებსაც გაართვან თავი და 40-დან 37 დავალებას უპასუხონ სწორად.

**– ყველაზე ცუდი შედეგი რომელ საგანში აჩვენეს მეთორმეტეკლასელებმა?**

– ქართულ ენასა და ლიტერატურაში ბარიერი ვერ გადალახა მეთორმეტეკლასელების 2-მა პროცენტმა. თუმცა ცოტა დაიწერა უმაღლესი შეფასება. გამოსაშვები გამოცდები ორიენტირებულია იმის შემოწმებაზე, რა ისწავლეს სკოლაში. არის ქართული გრამატიკა გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო პროგრამით და ბუნებრივია, გრამატიკის ცოდნა მოეთხოვებათ მოსწავლეებს. ქართული ენა და ლიტერატურა ისეთი საგანია, რომელიც ჰგონიათ, რომ ყველამ იცის. როგორ, ჩემი მშობლიური ენა არ ვიცი?! ჩემთვისაც მშობლიურია ქართული ენა, მაგრამ გამოცდა რომ ჩამაბარებინო, ნამდვილად არ მექნება პრეტენზია, 9 და 10 ქულა მივიღო, გვესმის რატომაც. მოსწავლეების უმრავლესობამ მიიღო შედეგი 6-დან 8 ქულამდე.

**– არა უშავს შედეგია.**

– 8-ის ზემოთ შედეგის მიღებას კი სჭირდება დამსახურება და ეს ნურავის გაუკვირდება. ყველაზე ცოტა მოსწავლემ ქართულში მიიღო 10 ქულა. მათემატიკაში, როგორც გითხარით, დაახლოებით, 300-მა მოსწავლემ აიღო 10 ქულა, უცხო ენაში – 350-მა, 800-მდე – ბიოლოგიაში, უფრო მეტმა, 1 000-მდე – გეოგრაფიაში. ეს, უბრალოდ, არსებული რეალობის ასახვაა, მეტი არაფერი.

**– გამოსაშვებ გამოცდებსაც უკვე რეგულარულად ატარებთ, განათლებისა და მომზადების დონე იკლებს თუ სტაბილურად დაბალია?**

– იმატებსო, ვერ გეტყვით, მგონი, იმდენად ყურადღებამისაქცევია კვლევის შედეგები, იმდენად მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად, რომ არც კი ვიცი, მეტი რაღა უნდა გაუარესდეს.

**– როგორ სწავლობენ ჩვენი სტუდენტები უცხოეთში? უბრალოდ იქ კარგები მიდიან?**

– მადლობა ღმერთს, გვყავს სტუდენტებისა და მოსწავლეების ნაწილი, რომლებიც კარგად სწავლობენ. ჩვენ ახლა საერთო დონეზე ვსაუბრობთ, თორემ ხომ არსებობენ ის ბავშვებიც, რომლებმაც გამოსაშვებ გამოცდებზე უმაღლესი შეფასებები დაიმსახურეს?! სტუდენტობისას ბევრი იქ გამოიჩენს ხოლმე თავს, ესეც რომ არ გვქონდეს, საერთოდ დაღუპულები ვიქნებოდით. უბრალოდ განათლების საერთო დონე არ არის სახარბიელო, თორემ გამორჩეული მოსწავლეები და სტუდენტები არიან, რა თქმა უნდა.

**ნინო ხაჩიძე**

# რატომ ვერ გაანელა ფასიანმა სწავლებამ საქართველოში სურვილი, გახდე სტუდენტი ნებისმიერ შემთხვევაში და რატომ არ აქვს მნიშვნელობა მომავალ პროფესიას

(მე-7 გვერდიდან)

დებლად არსებობას, განსხვავებით აფხაზეთისგან, აფხაზეთს სხვა შესაძლებლობები აქვს. თანხა, რომელსაც იხდის ამ რეგიონების შენახვაზე, რუსეთისთვის არაფერი არ არის. დავუბრუნდეთ ისევ საქართველოს: თუ საქართველო მოაწერს ასოცირების შეთანხმებას, ერთი მხრივ, ეს იქნება ნორმალური, მეორე მხრივ – არანორმალური.

**– არანორმალური რატომ იქნება? თუ ქართული პროდუქცია შესაბამისობაში მოვა ევროპულ ხარისხთან, რუსეთიც იხეირებს: უფრო ხარისხიან პროდუქციას მიიღებს თავის ბაზარზე.**

– რა საქონელზეა ლაპარაკი?!

**– რაც გვაქვს: სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.**

– ღვინის ექსპორტი 2 პროცენტია მხოლოდ, თქვენ არაფერი გაქვთ, არაფერს აწარმოებთ. თუმცა ჩვენ არ ვაპირებთ, დაგიხუროთ ჩვენი ბაზარი.

**– რუსეთი ძალიან უცნაურად იქცევა. ის აღებს თავის ბაზარს ქართული პროდუქციისთვის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე. რუსეთი, როგორც წესი, ასეთ ფართო ჟესტებს არ აკეთებს, ეს არ ჰგავს მას.**

– ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს არის ევროკავშირი და არა „ნატო“. ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენი ბაზარი დაზარალდეს, ამასთან, გვაქვს შეთანხმებები. თუ თქვენ შეხვალთ ევროკავშირში, ეს შეთანხმებები შენარჩუნდება და ის პროდუქცია შემოვა, რაზეც შევთანხმდით. არავინ გადაგიკეტავთ ჟანგბადს. იმუშავეთ, ივაჭრეთ. ღვინის გაყიდვის მაჩვენებლით საქართველო მესამე ადგილზე გავიდა რუსეთში და ეს ძალიან კარგი მაჩვენებელია. ეს საკმაოდ მცირე დროში შეძელით და გილოცავთ, ყოჩაღ. ხარისხიც ღირსეულია. მე არ ვიტყვი, რომ ეს გამორჩეული ღვინოებია, მაგრამ ხარისხით ქართული ღვინო აშკარად პირველ ხუთეულშია. ჩვენ თქვენ ამ ჟანგბადს, ბაზარს არ გადაგიკეტავთ, მაგრამ თქვენ უნდა გაიაზროთ, არის თუ არა მნიშვნელოვანი თქვენთვის ევროკავშირის ბაზარი, რადგან თქვენ ევროპაში ვერაფერს გაყიდით.

**– ჩვენ ვიცით, რომ ჯერჯერობით პომიდვრების მეტს თითქმის ვერაფერს გავყიდით ევროპაში.**

– ტექნოლოგიები რომც გქონდეთ, მაინც ვერ შეძლებდით გაყიდვას. თქვენ ისევე პრაგმატულად გექცევათ ევროკავშირი, როგორც რუსეთი მოექცა აფხაზეთს, როდესაც აღიარა.

**– რა თქმა უნდა.**

– ევროპელებს არ უნდათ, რომ ქართულმა თუ მოლდოვურმა პროდუქციამ მათ პროდუქციას კონკურენცია გაუწიოს. ამიტომ თქვენ გექნებათ კვოტები. მე ვნახე მოლდოვური ღვინის კვოტები და იმ საშინელ საბჭოთა დროს ამ ოდენობის პროდუქციას აწარმოებდა ორი კოლმეურნეობა. ამაზე მეტს ევროპულ ბაზარზე არ შეუშვებენ. იგივე მიდგომა იქნება უკრაინულ ხორბალთან მიმართებაშიც, მინიმალურ რაოდენობას შეუშვებენ. ჩვენ კი გადაჭრით ვამბობთ, არაფერს გადაგიკეტავთ.

**– რატომ?**

– იმიტომ, რომ ახალი ხელისუფლების პოზიცია შეიცვალა. ამიტომ არ აპირებს რუსეთი ჩარევას. კიდევ ვიმეორებ, დღეს თქვენ სანერვიულო არაფერი გაქვთ. ამის მიზეზია თქვენი ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები: იცხოვრეთ მშვიდად.

**– გმადლობთ.**

– თქვენ ირონიულად ამბობთ ამას, მაგრამ ადრეც ვწერდი, რუსეთის მიზანი არ არის, დაიპყროს საქართველო, რომ თქვენ ლენინგრადის ბლოკადა მოგიწყოთ.

**– ეს ჩვენს ბუნებრივ პირობებში გამორიცხულია, ბალახს შევჭამთ, ბოლოს და ბოლოს, ზამთარშიც კი ხარობს.**

– თუ საქართველო ხელს არ შეუშლის რუსეთსა და მის მოკავშირეებს, რუსეთი არ გააღვივებს კონფლიქტებს საქართველოს შიგნით! არ გა-აღ-ვი-ვებს!

**ნინო ხაჩიძე**

# რა პირობებს უყენებს მოსკოვი თბილისს და რატომ აღარ დარჩა საქართველოს აღარაფერი დასაკარგი

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

**საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი მუსხელიშვილი საკრებულოს მარათონში მშობლიური ვაკის რაიონიდან ჩაერთო – საარჩევნო ბატალიებში დიდად გამოცდილ გიორგი მუსხელიშვილს, რომლის „ანგარიშზეც" საპარლამენტო არჩევნებამდე საქართველოს რეგიონებში მოწყობილი არაერთი ხალხმრავალი და ხმაურიანი აქციაა ზურგს ყველაზე საიმედო და ერთგული თანამებრძოლი ნინო ვადაჭკორია უმაგრებს. ერთად იმდენი თავგადასავალი გაიარეს, მეგობრები ცოლ-ქმარს ხუმრობით მისტერ და მისის სმიტებს უწოდებენ, რასაც გიორგი მუსხელიშვილი და მისი მარჯვე მეორე ნახევარი ჩვენც „გვიმხელენ."**

# რა საერთო აქვთ გიორგი მუსხელიშვილსა და მის მეუღლეს მისტერ და მისის სმიტებთან და რით ინახავს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ცოლი წყნეთში

**– ბატონო გიორგი, საკრებულოს იმ მძიმე ბატალიების შემდეგ, რაშიც წელიწად-ნახევარი იყავით ჩართული, კვლავ გადაწყვიტეთ საკრებულოს დეპუტატობა?**

**გიორგი მუსხელიშვილი:** ეს წელიწად-ნახევარი იყო ჩემი ცხოვრების ძალიან საინტერესო პერიოდი. როგორც თქვენც აღნიშნეთ, საკმაოდ რთულ პირობებში გვიწევდა მუშაობა „ნაციონალური მოძრაობის" წევრებთან ერთად, ახლა კი მინდა ვიმუშაო ჩვენს გუნდთან ერთად. დარწმუნებული ვარ, ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ ჩვენი ქალაქისთვის.

**– რატომ ცდით ბედს ვაკეში და, რთულ, მაჟორიტარულ არჩევნებში?**

– მე მაქვს გამოცდილი საარჩევნო მარათონი. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე აქტიურად ვიყავი ჩართული „ქართული ოცნების" საარჩევნო მარათონში – იმ პერიოდში რეგიონებში გამართული ყველა დიდი ღონისძიების ერთ-ერთი „ავტორი" მე ვარ. რაც შეეხება მაჟორიტარულ არჩევნებს ვაკეში, მე აქ ვარ დაბადებული და გაზრდილი, საბავშვო ბაღი, სკოლა, დიდი სამეგობრო. ექვსი წელია, რაც წყნეთში ვცხოვრობთ, მაგრამ მთელი ცხოვრებით ვაკესთან ვარ დაკავშირებული. ვაკელმა კაცმა ყველაზე კარგად იცის ვაკის პრობლემები. ყველა ეზოში მეგობარი და ახლობელი მყავს, არ მინდა შორს წასვლა იმის გასაგებად, რისი მოგვარება სჭირდება აქ ხალხს. დედა, დეიდა, ბიძა – ყველანი ვაკეში ცხოვრობენ.

**– დედა, დეიდა და ბიძა ვაკის საარჩევო კამპანიაშიც „მუშაობენ"?**

– ახლობელი ადამიანები, თავიანთ მეგობრებთან ერთად, ყველგან დიდი ძალაა, თუმცა, მარტო მათ იმედზე კი არ ვარ ***(იცინის).*** აქ უარმავი ხალხია, ვისთან ერთადაც გავიზარდე, დავკაცდი. სპორტსმენი ბიჭი ვიყავი, ფეხბურთს ვთამაშობდი და სახლში ჯდომა არ მიწევდა. როცა „ზბორებზე" მივდიოდით, წიგნები მიმქონდა თან და ვკითხულობდი. ამიტომაცაა, რომ კარტის თამაში არ ვიცი და მეგობრები ამაზე ხშირად ხუმრობენ. ფეხბურთს ტრავმის გამო ჩამოვშორდი, მაგრამ, სპორტის ამ სახეობის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს.

**– ნინო, იოლად გაიმეტეთ ქმარი რთული ქართული პოლიტიკისთვის?**

**ნინო ვადაჭკორია:** როგორც მეუღლე და მეგობარი, მაქსიმალურად ვუდგავარ გიორგის გვერდში. ჩვენ, შეიძლება ითქვას, თანამებრძოლები ვართ. როცა მე და გიორგი „ქართული ოცნების" საარჩევნო კამპანიაში ვიყავით ჩართული და წელიწად-ნახევარი საქართველოს რეგიონებში გვიწევდა სიარული, მეოთხე შვილი ძალიან პატარა გვყავდა. უფროსები დიდები არიან, დაოჯახებულები, ისინი თავად ზრუნავდნენ საკუთარ თავზე, ელისაბედს კი ვერსად ვტოვებდით და ყველგან თან დაგვყავდა. ეს იყო ძალიან რთული პერიოდი, ჩვენ გვიწევდა ხალხში სიარული და იმ შიშის გატეხა, რაც მათში „ნაციონალური მოძრაობისგან" იყო დათესილი. ჩვენ ხშირად სასტუმროებშიც არ გვიშვებდნენ და გვიწევდა „მასკიროვკა" – ერთი ჩემი მეგობარი ბრიტანეთის მოქალაქეა და მის სახელზე ვჯავშნიდით სასტუმროს ნომერს. იმ პერიოდში საკმაოდ ბევრ ხიფათიან ისტორიას ვართ გადარჩენილი. ალბათ, ის პერიოდი გიორგისთვის უფრო რთული იქნებოდა, მე რომ მის გვერდით არ ვყოფილიყავი. მახსოვს, ერთხელ, გვიან ღამით მოგვიწია ახალციხიდან ზუგდიდში გადასვლა. ბავშვი მეგობრებს გამოვაყოლეთ თბილისში, რადგან, მასთან ერთად ზუგდიდში წასვლის შემეშინდა. გვიან ღამით გზა აგვერია. უკუნეთ სიბნელეში ადამიანის ჭაჭანება არ იყო, სადღაც გამოჩნდა შუქი. გავყევით იმ შუქს დაიმედებულები, რომ ვინმე გზის გაკვლევაში დაგვეხმარებოდა და, აღმოვჩნდით სასაფლაოზე, განათებულ აკლდამებს შორის. როგორც იქნა, გავიკვლიეთ გზა, გამთენიისას მივედით ზუგდიდის სასტუმროში, რომელიც ძლივს დავჯავშნეთ. ჩვენ გვეცვა „ოცნების" მაისურები.



შევდივართ სასტუმროში მაისურებში გამოწყობილები და იქ დაგვხვდა „ნაციონალური მოძრაობის" ელიტა, ასე აღმოვჩნდით „მტრის" ბანაკში.

**– მისტერ და მისის სმიტებივით ხართ.**

**გიორგი:** მეგობრებიც ასე გვეძახიან: მისტერ და მისის სმიტები ვართ, ოღონდ, სროლისა და იარაღის გარეშე ***(იცინის).***

**ნინო:** ახლაც, როგორც შემიძლია, ისე ვდგავარ გიორგის გვერდით – მორალურად, ფიზიკურად. ბოლომდე გავათავისუფლე საოჯახო თემებისგან, რაც, გიორგის ხასიათიდან გამომდინარე, მუდმივად მისი საზრუნავი იყო. ჩვენ ერთად ძალიან ბევრი რთული პერიოდი გვაქვს გადატანილი – სადაც იყო გიორგი, იქ ვიყავი მეც.

**გიორგი:** ნინო იყო ჩემი მთავარი თანაშემწე ბიზნესში. ჩვენ სამკერვალო საწარმო გვქონდა, დიზაინერებთან და მოდელებთან ურთიერთობა ნინოს ჰქონდა ჩაბარებული – თვითონ დაინიშნა თავი ზედამხედველად, თუმცა, ვაღიარებ, რომ საკმაოდ მარჯვედ ართმევდა თავს საქმეს.

**– ნინო, თქვენ რა პროფესიის ხართ და სად მუშაობთ?**

**ნინო:** მე ვმუშაობ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრში. სამი პროფესია მაქვს. სამედიცინო ინსტიტუტში მინდოდა ჩაბარება, მაგრამ როდესაც სკოლა დავამთავრე იმ წელს მედლის პრიორიტეტი გაუქმდა და, წელი რომ არ დამკარგვოდა, სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტზე ჩავაბარე. გადაწყვეტილი მქონდა, პირველი კურსის დასრულების შემდეგ გადამეტანა საბუთები სამედიცინოზე, მაგრამ, იმ პერიოდში ერთი ინსტიტუტიდან მეორე ინსტიტუტში გადასვლა აიკრძალა, მე დამენანა ჩემი წარმატებული ერთი წელი და დავამთავრე ინსტიტუტი, თუმცა, მერე სამედიცინო ინსტიტუტი მაინც დავამთავრე. მეტყევე კოდალა ხომ ვიყავი, მერე მბურღავი სტომატოლოგი გავხდი. მას შემდეგ, რაც სტომატოლოგიასაც დავანებე თავი, ქმარს ვუბურღავ ტვინს ***(იცინის).***

**– როგორ დაიწყო თქვენი ოჯახური ისტორია?**

**გიორგი:** ერთმანეთი საერთო მეგობრის წყალობით გავიცანით, შეიძლება ითქვას, სრულიად შემთხვევით. ნაბახუსევზე, ჩემი პატარა ძაღლით მივსეირნობდი ქუჩაში, სადაც ჩვენს საერთო მეგობარსა და ნინოს შევხვდი. მომეწონა ნინო, გავიკითხე, ვინ იყო, „საიდან". გავიგე, რომ, თურმე, მამაჩემის მეზობელი ყოფილა სოლოლაკში. მოკლედ, ისე დამაინტერესა, მეორე დღესვე დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე. დაახლოებით ორ კვირაში გადავწყვიტეთ დაქორწინება.

**– ასე ექსპრომტად?**

**ნინო:** ეს გადაწყვეტილება არასდროს მინანია. ადრე ბევრს მეხუმრებოდნენ ხოლმე, თავადების ოჯახში შემოხვედი გლეხის ქალიო ***(იცინის).*** გიორგის ბაბუა იყო როსტომ მუსხელიშვილი, რომელიც კოტე აფხაზთან ერთად დახვრიტეს. აჯანყების მოწყობის ბრალდებით სხვათა შორის, მე მისი ბაბუის სახელობის ქუჩაზე გავიზარდე. ვცხოვრობდი მუსხელიშვილის ქუჩაზე და მუსხელიშვილს გავყევი ცოლად, თუმცა, გვარით ვერ გადამიბირეს ***(იცინის).***

**– ნინო, გიორგის გვერდით გატარებული ეს წლები რთული იყო?**

– გიორგი ძალიან კომფორტული ადამიანია, იმ სირთულეებს, რაც ჩვენს ცხოვრებას ახლდა, იოლად მატანინებდა. მის გარეშე ყოფნა ბევრად რთული იქნებოდა ჩემთვის. გიორგი საოცარი მამა და მეუღლეა, ყურადღებიანი, მზრუნველი. მას ყველა სიტუაციაში თვალდახუჭული ვენდობი.

**– როგორც ვიცი, თქვენც ძალიან ზრუნავთ მასზე და, წყნეთში, სადაც ცხოვრობთ, ნამდვილი ედემი შეუქმენით.**

– წყნეთში ჩვენი იდილია გვაქვს. გიორგის ძალიან უყვარს ეზოში ფუსფუსი, იმ თვალსაზრისით, რომ, სულ აქვს სურვილი, სახლს რამე მიაშენოს. სულ შენებაშია, თან, გარემო და ტერიტორია აძლევს ამის საშუალებას. რაც შეეხება სხვა „ფუსფუსს," ეს ჩემი საქმეა. გიორგი თავადური წარმომავლობის კაცია, მიწასთან ჩემსავით ვერ „მეგობრობს". მე, როგორც გლეხის ქალმა, ორი წლის წინ გადავწყვიტე, გამეკეთებინა მეურნეობა. უნდა ნახოთ, ჩემს ეზოში, როგორი კიტრი და პომიდორი მოდის. ***(იცინის)***

**– შეიძლება ითქვას, რომ ცოლი გინახავთ თავისი კიტრითა და პომიდვრით?**

**გიორგი:** მწვანილი არ დაგავიწყდეთ, ნინო მარჯვე გოგოა და ოჯახზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით ზრუნავს.

**– ნინო, პოლიტიკაში ჩართვამ გაართულა თქვენი ცხოვრება? მოგწონთ მეუღლე დეპუტატის რანგში?**

– ცოტა გიორგის შეეცვალა ხასიათი და ეს იმ პასუხისმგებლობის დამსახურებაა, რაც მას აკისრია. უფრო მეტად ფიქრობს საქმეზე და მე ფიქრში არ ვუშლი ხელს, უფრო მეტიც, ვხვდები, როდის უნდა „გავიხიზნოთ" სახლიდან მე და ბავშვები, რომ მას ხელი არ შევუშალოთ. შეიცვალა ჩვენი ცხოვრების წესიც, ანუ, უფრო ნაკლები თავისუფალი დრო გვაქვს. მე და გიორგის ძალიან გვიყვარს ერთად სადმე წასვლა, განმარტოება, თუნდაც ორი დღით, მაგრამ, ამ ბოლო პერიოდში ეს აღარ გამოგვდის. იდეის ავტორი ასეთ შემთხვევებში უფრო გიორგია ხოლმე. ძალიან კრეატიულია ***(იცინის),*** შეუძლია, მომადგეს სამსახურში და უცებ მასთან ერთად აღმოვჩნდე კახეთში ან სადმე სხვა კუთხეში. გიორგის ძალიან უყვარს ბუნება, ლაღი ცხოვრება, ამიტომაც გადავედით საცხოვრებლად წყნეთში. როდესაც საკრებულოში დაძაბული პერიოდი იყო, მეც ძალიან განვიცდიდი. გიორგიმ ღირსეულად გაართვა თავი ყველაფერს. გიორგი ძალიან აქტიური ადამიანია, შესაბამისად, ის საქმე, რაც, საკრებულოს სპეციფიკიდან გამომდინარეა, მის ხასიათში ზის. გიორგი არის ადამიანი, რომელიც არ შეიძლება კაბინეტში გამოიკეტოს; მას უყვარს ხალხთან ურთიერთობა, ადამიანების დახმარება. დარმუნებული ვარ, ვაკის მოსახლეობა სწორ არჩევანს გააკეთებს, გიორგი კი, როგორც მას სჩვევია, თავს არ დაზოგავს საქმისთვის და ამ ხალხისთვის.

**თამუნა სამადაშვილი**

**„საზოგადოებრივი მაუწყებლის" ყბადაღებულ ბორდს ახალი შეფი ჰყავს – 40 წლის გიგი გოგელია „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მომავალი სამი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს. მას ამ ტელევიზიასთან, პროფესიული ინტერესის გარდა, „პირადი კავშირიც" აქვს – გიგი გოგელია არჩილ გოგელიას შვილია, ადამიანის, რომელიც „პირველი არხის" ხელმძღვანელი ძალიან რთულ პერიოდში იყო. გიგი გოგელიას „შრომის წიგნაკი" საკმაოდ „დახუნძლულია". როგორ შეიცვლება „საზოგადოებრივი მაუწყებელი" მისი ხელმძღვანელობით, ამას მომავალი გვიჩვენებს. თავად ამბობს, რომ საინტერესო გეგმები აქვს, რომელზე მუშაობაც კოლეგებთან ერთად უკვე დაიწყო.**

# რატომ შეელია „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ბორდის ახალი შეფი ბიზნესს და სად მიაგნო მან „ტყვედ აყვანილ" არჩილ გოგელიას

**– როგორ მოხვდით „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელის პოზიციაზე, რაც ბოლო რამდენიმე წელია, ხმაურიანი ბატალიების თემა ხდება ჩვენში?**

– ჟურნალისტიკიდან ძალიან შორს ნამდვილად არ ვყოფილვარ, წლების წინ პოპულარულ გამოცემა „დრონში" გამგეობის თავმჯდომარეც კი ვიყავი. ჟურნალისტობა მინდოდა, მაგრამ, ისე მოხდა, რომ პროფესიით საერთაშორისო სამართლის იურისტი გავხდი. ასევე, ვარ ბიზნესის მართვის სპეციალისტი. 1992 წლიდან ვმუშაობ ბიზნესში, ვიყავი ამერიკული კომპანია „ქსეროქსის" დილერი და წარმომადგენელი საქართველოში, ვყიდდით ქსეროქსებისა და სხვა მსგავსი ტიპის აპარატებს. ერთ დღეს, როდესაც ჩავთვალე, რომ ბიზნესი აღარ იყო ჩემთვის საინტერესო, შევიცვალე გეზი და ცხოვრება დავუკავშირე ჩინოვნიკურ საქმიანობას. ვმუშაობდი კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში, მანამდე კი – „საქართველოს ტელეკომში". მაქვს აკადემიური საქმიანობის გამოცდილება, ვკითხულობდი ლექციებს კავკასიის სამართლის სკოლაში. 2013 წლის სექტემბერში „საზოგადოებრივ მაუწყებელში" მიმიწვიეს გენერალური მდივნის მრჩევლად. შედგა ჯგუფი, რომელმაც დაიწყო მუშაობა „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სტრატეგიასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე. იმ პერიოდში საკმაოდ ღრმად ჩავიხედე ამ ორგანიზაციის მექანიზმში, მის ამოცანებში. ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ ამ არჩევნებზე გადავწყვიტე, მეცადა ბედი ბორდში. კონკურსისა და გასაუბრების მერე, ჯერ ბორდში მოვხვდი, ამის შემდეგ კი ამირჩიეს სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელად.



**მამამ „ხეზე ასვლის" წესები მასწავლა, მაგრამ ყველაფერს ვერ გავამხელ**

**– „საზოგადოებრივ მაუწყებელთან" მამის წყალობითაც ხართ დაკავშირებული. როგორ გახსოვთ ის პერიოდი, როცა მამა, არჩილ გოგელია, „პირველ არხს" ხელმძღვანელობდა?**

– საკმაოდ მძიმედ, იქიდან გამომდინარე, რომ მამა არასდროს იყო სახლში – დილით ადრე გასული, შუაღამისას ბრუნდებოდა ხოლმე შინ. შვილი ეგოისტურად უდგება მამის სამსახურს, როცა მასთან ხანგრძლივი ურთიერთობის საშუალება არ აქვს, თუმცა, მამაჩემი არაჩვეულებრივი კაცი იყო, კარგ მამობასაც ასწრებდა და აქტიურ საქმიანობასაც. მაშინ რამდენჯერმე მეც ვარ ნამყოფი ტელევიზიაში. მძიმე დრო იყო, ძალიან რთული. სამოქალაქო ომის პირობებში საზოგადოება შუაზე იყო გაყოფილი, ადამიანები ერთმანეთზე მტრად იყვნენ გადაკიდებული. ჩვენს სახლში იყო ბევრი ზარი, მუქარა. ერთხელ ტანკით შემოცვივდნენ ტელევიზიაში, მამა მაშინვე გამოიქცა სახლიდან. ცოტა ხანში ვიღაცამ დარეკა, მამაშენი ტყვედ აიყვანესო. მახსოვს, მეც აქეთ წამოვედი. 18 წლის ვიყავი. სროლა და უბედურება იყო ირგვლივ. მამაჩემი ხესთან იდგა, ტყვედ არ იყო აყვანილი, ვიღაცამ ბოროტად იხუმრა. ასე რომ, აქაურობის წყალობით, მთლად სასიამოვნო მოგონებები არ მქონდა. მამა ტელევიზიიდან 1999 წელს წავიდა, თუ არ ვცდები, შვიდწლიანი პერიოდის შემდეგ. მას შემდეგ აქ ბევრი რამ შეიცვალა. ახლა, ღვთის წყალობით, სხვა ტექნიკური საშუალებებია. მახსოვს, მამაჩემის ხელმძღვანელობის დროს, ტელევიზიას სულ რაღაც სამი-ოთხი კამერა და მწირი ტექნიკური საშუალებები ჰქონდა. მაშინ „პირველ არხზე" 4 000 ადამიანი მუშაობდა, რომელთაც მძიმე სოციალური პირობები ჰქონდათ. მათი დათხოვნა სამსახურიდან მძიმე მორალურ პასუხისმგებლობასთან იყო დაკავშირებული, შესაბამისად, ის რეფორმები, რაც უფრო ადრე უნდა გატარებულიყო, არსებული გარემოებების გამო ფერხდებოდა. მამას, ჩემგან განსხვავებით, ძალიან რთულ პერიოდში მოუწია აქ ყოფნა, თუმცა, მისი „კვალი" აქ კარგად დამხვდა – არიან ადამიანები, ვინც მის დროს მუშაობდნენ ტელევიზიაში და მის მიმართ დადებითად არიან განწყობილნი. იმედია, რომ მათი შეფასებები არის გულწრფელი, მე ამისი მჯერა. მამა ძალიან დიდ როლს ასრულებდა ჩემს ცხოვრებაში, შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო შუქურას როლი. მისი სახელი ბევრ რამეში დამხმარებია, თუმცა მე არ მივეკუთვნები იმ ადამიანთა კატეგორიას, ვინც ეგრეთ წოდებულ „მამის ჩრდილზე" იწყებს საუბარს. კარგი მამის სახელი დიდი ბედნიერებაა. ვისაც „ჩრდილი" აწუხებს, თავისი კომპლექსი და პრობლემები აქვს.

**– დღეს მამა რას საქმიანობს?**

– მამა არის საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტი, დაკავებულია მოფარიკავეების აღზრდით – ეს მისი საყვარელი საქმეა. მამა მაღალი დონის მოფარიკავე იყო. თავის დროზე საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, წლების შემდეგ კი დაუბრუნდა იმ საქმეს, რაც ძალიან უყვარდა. ახლა ტელევიზიასთან ყველაზე მეტად ის აკავშირებს, რომ შვილს გულშემატკივრობს ახალ პოზიციაზე ***(იცინის).***

**– შეიძლება ითქვას, რომ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე" „გოგელიას ხანა" დაბრუნდა?**

– არა, ასე ვერ ვიტყოდი. ახლა სხვა გარემოა, „საზოგადოებრივი მაუწყებელი" სტრუქტურულადაც სხვა მექანიზმია – საბჭო არის კოლეგიალური ორგანო, სადაც მაქვს ერთი ხმა მანამ, სანამ ხმები არ გაიყოფა. შეიძლება ითქვას, რომ ამ პოზიციაზე მოსვლისას ორგვარი ინტერესი მქონდა – პროფესიონალურიც და პიროვნულიც, მამის გზა შვილის ცხოვრებაში ემოციურ დონეზე მაინც რჩება, ვნახოთ, მე რა გამომივა ***(იცინის).*** ვერ ვიტყვი, რომ მამას ძალიან უნდოდა, გავმხდარიყავი ბორდის წევრი, ალბათ, იმ სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც ამ საქმიანობას ახლავს და რაც მან ძალიან კარგად იცის.

**– „ხეზე ასვლის" მთავარი წესები გასწავლათ?**

– როცა გვერდით გყავს საიმედო და კომპეტენტური ადამიანი, რატომ არ უნდა გაიზიარო ან არ გაითვალისწინო მისი აზრი?! მამას ძალიან დელიკატური დამოკიდებულება აქვს ჩემი საქმიანობის მიმართ, თავისი ინიციატივით არ გამოთქვამს რეკომენდაციებს, მაგრამ, მე თუ ვკითხავ, რა თქმა უნდა, მპასუხობს. მისი მთავარი რჩევაა, მოვუსმინო ადამიანებს – ეს მეც მიყვარს. ხშირად ადამიანს არ შეუძლია, დაინახოს ყველა ფრაგმენტი, სხვამ კი, შეიძლება, სხვა კუთხით დაგანახვოს პრობლემა, რაც გადაწყვეტილების მისაღებად ძალიან დადებითი ფაქტორია. მამის სხვა რჩევებს ვერ ვიტყვი, ყველა წესის გახმაურება არ გამოვა ***(იცინის).***

**– რა შეიცვლება თქვენი ხელმძღვანელობით „საზოგადოებრივ მაუწყებელში"?**

– „საზოგადოებრივი მაუწყებელი" სტრუქტურულად არის ბორდი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ და არის გენერალური დირექტორი. ჩვენი უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები გამიჯნულია – ბორდი არ ახორციელებს ტელევიზიის ოპერატიულ მართვას; ჩვენ ვაწარმოებთ სტრატეგიას, მონიტორინგს, რეკომენდაციებს. სწორი მართვის შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, უნდა იყოს გავლებული საზღვარი ბორდისა და გენერალური დირექტორის კომპეტენციებს შორის.

**– საზოგადოებას არ აინტერესებს საზღვრები და კომპეტენციები, მას სურს, ჰქონდეს მაღალი სტანდარტის ტელევიზია, რომელიც მისი ჯიბიდან არის დაფინანსებული.**

– ეს ძალიან კარგად მესმის. იმისთვის, რომ საზოგადოებამ მიიღოს კარგი ტელევიზია, უნდა იყოს სწორი მართვა და უნდა გატარდეს შესაბამისი პრინციპები. საზღვრების გავლებით, რა თქმა უნდა, არ მიიღება კარგი პროდუქტი, მაგრამ, მას შემდეგ, რაც შეიქმნება კორპორაციული სტრატეგია, ის „ჩაიშლება" გადაცემების სტრატეგიამდე. ამას მოჰყვება უზარმაზარი ანალიტიკური სამუშაოები, დაწყებული მომხმარებლის სეგმენტირებით დამთავრებული კონკურენტული ანალიზებით. სტრუქტურული რეფორმა, მოტივაციის პოლიტიკა, კონტროლის მექანიზმები, კორპორაციული კულტურა, ადამიანები – ეს ყველაფერი გამართულ მენეჯმენტს უკავშირდება, რაც, საბოლოო ჯამში, მაღალი სტანდარტის შედეგამდე მიგვიყვანს. ჯერ დავიწყოთ მოქმედება და მერე ფიქრი, რას ვმოქმედებთ – არ არის სწორი. ჯერ უნდა გადავწყვიტოთ, რისი გაკეთება გვსურს და მერე დავსახოთ მიზნები.

**– კარგი, სტრატეგიები გვერდზე გადავდოთ. აქაური მძიმე კულისები არ გაშინებთ, თუ მშვიდობა იქნა მომავალი სამი წლის განმავლობაში?**

– სამი წელი ვიმუშავებ თავმჯდომარის პოზიციაზე, ბორდში ვიქნები მინიმუმ ან ოთხი, ან ექვსი წელი – გააჩნია, რა კოჭი ამომივა. მე მჯერა მაკიაველის, რომელიც ამბობს, რომ ადამიანის ცხოვრება არის ბედისწერა და სიქვე-

**(გაგრძელება 46-ე გვერდზე)**

**მართალია, თბილისში ბევრი სამკურნალო დაწესებულება არსებობს, მაგრამ, შეუძლებელია, ყველგან მიიღო ხარისხიანი მომსახურება ხელმისაწვდომ ფასად. ჩვენდა საბედნიეროდ, ასეთი ადგილიც აღმოვაჩინეთ. მაგალითად, პაციენტები, რომლებიც კონსტანტინე ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრში მიდიან ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, თავიანთი არჩევნით კმაყოფილები არიან, რადგან იქ მართლაც შესაძლებელია, მიიღო მაღალი ხარისხის მომსახურება ხელმისაწვდომ ფასად. ეს ინსტიტუტი 1946 წლიდან არსებობს, რომლის განვითარებასაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მომხდარმა ცვლილებებმა და ჯანდაცვის სისტემის რღვევამ თავისი დაღი დაასვა. 2011 წელს განხორციელდა ქირურგიის ეროვნული ცენტრის პრივატიზაცია და მისი მფლობელი „ავერსი ფარმა" გახდა, რითაც დამთავრდა ძველი და დაიწყო ახალი ეტაპი ცენტრის განვითარებაში. დამფუძნებლის, ბატონი პაატა კურტანიძის გადაწყვეტილებით, მუდმივად მიმდინარეობს კლინიკის განახლება და მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვა როგორც ინვესტირების, ისე რეინვესტირების ხარჯზე.**

**ჩვენი რესპონდენტია ქირურგიის ეროვნული ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მედიცინის დოქტორი, ჯანდაცვის ადმინისტრირების მაგისტრი, საქართველოს უნივერსიტეტის და კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ქალბატონი თეა გამეზარდაშვილი.**

# თბილისის რომელ კლინიკას გააჩნია საუკეთესო ტრადიციები, მაღალი პროფესიონალიზმი და ხელმისაწვდომი ფასები ერთდროულად

**– ქალბატონო თეა, რატომ უნდა გააკეთოს არჩევანი პაციენტმა კონსტანტინე ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრზე? რა არის თქვენი ცენტრის პრიორიტეტი?**

– ჩვენი ცენტრის პრიორიტეტი არის სერვისების მიწოდების მაღალ ხარისხთან შერწყმული ხელმისაწვდომი ფასი და ეს იმის შედეგია, რომ კლინიკა თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპებით იმართება. კლინიკას ბაზარზე თავისი პოზიციონირება გააჩნია, რაც ხელმისაწვდომ ფასებსა და მაღალი ხარისხის მომსახურებას უკავშირდება. ჩვენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ერთ-ერთი აქტიური პროვაიდერები ვართ, რომლის ფარგლებშიც გადაუდებელი ქირურგიული და კონსერვატიული თერაპია უფასოა, ხოლო გეგმიურ ოპერაციებზე მოქმედებს თანაგადახდის პრინციპი და პაციენტს მხოლოდ 30-პროცენტიანი თანადაფინანსება უწევს. თანაგადახდის პრინციპიდან გამომდინარე, დაფინანსება ხდება საავადმყოფოებიდან მიწოდებული ფასების ქვედა კვარტლიდან. თუ კლინიკას მაღალი ფასი აქვს მიწოდებული, პაციენტს გაცილებით მეტი თანხის გაღება უწევს. მაგალითად, თუ ჩვენთან კონკრეტული ოპერაცია ღირს, ვთქვათ 1 000 ლარი, პაციენტი იხდის მხოლოდ 300 ლარს. სხვაგან, შეიძლება, იგივე ოპერაცია 1 500 ლარი ღირდეს, სახელმწიფო ისევ 700 ლარს გადაუხდის, მაგრამ, დარჩენილი 800 ლარი პაციენტის გადასახდელი იქნება.

**– რაც შეეხება სერვისებს?**

– ჩვენი მომსახურების სპექტრი სრულად მოიცავს ყველა ქირურგიულ დარგს: ზოგად ქირურგიას, სისხლძარღვთა და რეკონსტრუქციულ ქირურგიას, პროქტოლოგიას, უროლოგიას, გინეკოლოგიას, ტრავმატოლოგიას, ენდოკრინულ ქირურგიას, ოტო-რინო-ლარინგოლოგიას, ყბა-სახის ქირურგიას, ნეიროქირურგიას, ქირურგიულ ოფთალმოლოგიას, ონკოქირურგიასა და ჩირქოვან ქირურგიას. პაციენტებს ვთავაზობთ ფართო სპექტრის ურთულეს ოპერაციებს, იქნება ეს მუცლის ღრუს ორგანოთა ქირურგია (პანკრეატოდუოდენალური რეზექციის ჩათვლით) თუ ნებისმიერი სხვა. წინა თვეში ჩვენთან წარმატებით განხორციელდა თირკმლის ტრანსპლანტაცია, რომელიც ერთ-ერთი ურთულესი ოპერაციაა. საამაყოა, რომ საქართველოში სწორედ ქირურგიის ინსტიტუტში განხორციელდა ეს ოპერაცია პირველად 1976 წლის 21 მაისს, გვამური დონორიდან, ხოლო 90-იან წლებში ასევე პირველად ჩატარდა ცოცხალი დონორიდან რეციპიენტზე.

ქირურგიული ჩარევებისთვის ფუნქციონირებს ოთხი საოპერაციო ბლოკი, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, უახლესი აპარატურით. კლინიკაში ფართოდაა დანერგილი ლაპაროსკოპიული ქირურგია, რომელსაც წარმატებით ფლობს ქირურგთა აბსოლუტური უმრავლესობა და ურგენტული ოპერაციებიც კი (აპენდიციტი, ქოლეცისტიტი, საკვერცხისა და მილების ქირურგიული პათოლოგიები) ტარდება ლაპაროსკოპიული მეთოდით. ლაპაროსკოპიული ქირურგია ჩვენთან 24 საათის განმავლობაშია ხელმისაწვდომი, რაც ექსკლუზივი გახლავთ. იშვიათია საქართველოს სინამდვილეში კლინიკა, სადაც პაციენტს მიიყვანენ მწვავე აპენდიციტის, საკვერცხის აპოპლექსიის ან მსგავსი პათოლოგიის გამო და დღე-ღამის ნებისმიერ დროს ჩაუტარებენ ლაპაროსკოპიულ ოპერაციას. ცენტრი აღჭურვილია ამ დარგში საუკეთესო იაპონური ბრენდის – OLIMPUS-ის 2013 წლის უახლესი მოდელის VICERA PRO-ს აპარატით.

ჩვენს ცენტრში ტარდება ურთულესი ოპერაციები როგორც პლასტიკურ და რეკონსტრუქციულ, ისე სისხლძარღვთა ქირურგიაში. ესენია: მუცლის აორტის ანევრიზმის ოპერაციული მკურნალობა, მაგისტრალურ სისხლძარღვთა პროთეზირება; ფლებექტომია; თითების რეპლანტაცია და აუტოტრანსპლანტაცია (მტევანზე, ტერფიდან მტევანზე); ტერფმრუდობის მკურნალობა ახალი, შერწყმული მეთოდით, ტენდოპლასტიკა, ტენდოტრანსპოზიცია; რეინოს დაავადების, დიაბეტური ანგიოპათიების მკურნალობა.

**– ოპერაციის შემდეგ პაციენტს განსაკუთრებული მოვლა სჭირდება, რაც რეანიმაციული სამსახურის გარეშე შეუძლებელია. ამის შესახებ რას გვეტყვით?**

– ნებისმიერ ოპერაციულ ჩარევას შესაძლოა მოჰყვეს გართულება, რისთვისაც ქირურგიის ეროვნული ცენტრი ნამდვილად მზადაა. დღეს კონსტანტინე ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი წარმოადგენს პოლიპროფილურ კლინიკას, რომელიც 130 საწოლზეა გაშლილი. გვაქვს ულტრათანამედროვე რეანიმაციული განყოფილება, რომელიც 30 საწოლზეა გაშლილი და ცალკეა გამოყოფილი პოსტოპერაციული ბლოკი. კლინიკას აქვს საკმაოდ მძლავრი მულტიპროფილური სამსახური, რომელიც აერთიანებს შინაგან დაავადებათა თერაპიას, კარდიოლოგიას, ენდოკრინოლოგიას და ალერგოლოგიას. აქვე ფუნქციონირებს ნეფროლოგიის, თირკმლის ტრანსპლანტაციის და ჰემოდიალიზის დეპარტამენტი. თვის განმავლობაში ჰემოდიალიზის დაახლოებით 1 500 სეანსი უტარდება 125 პაციენტს თირკმლის ქრონიკული უკმარისობით. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენთან ტარდება ურგენტული ჰემოდიალიზი.



**მრავალწლიანი გამოცდილება, პროფესიონალიზმის მაღალი დონე და გამართული თანამედროვე მენეჯმენტი – კონსტანტინე ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის წარმატების გარანტიაა**

**– ეს რას ნიშნავს?**

– მოყვანილ პაციენტს, რომელსაც მწვავედ განუვითარდა თირკმლის უკმარისობა, ვუტარებთ ჰემოდიალიზს დღე-ღამის ნებისმიერ დროს, რითაც ვართ ამ სერვისის ექსკლუზიური მიმწოდებლები ქალაქის მასშტაბით.

ჩვენი ყველა სერვისი აწყობილი და მოწყობილია ისე, რომ ჩვენამდე მოსული პაციენტის ყველა საჭიროება თავიდან ბოლომდე დაკმაყოფილდეს. დღე-ღამის განმავლობაში, თითქმის ყველა პროფილის მაღალპროფესიონალი ექიმი მორიგეობს კლინიკაში და სწორედ იმით მიიღწევა ის შედეგი, რომ ქალაქში ერთ-ერთი პირველები ვართ ურგენტულ მიღებაში, ამავე დროს, ვიღებთ ნებისმიერი სირთულის ავადმყოფს.

**– კიდევ რა სერვისებს სთავაზობს თქვენი კლინიკა პაციენტებს 24-საათიან რეჟიმში?**

– რეალურად, დიაგნოსტიკისთვის საჭირო ყველა მეთოდის მიწოდება ხდება 24-საათიან რეჟიმში, მაგალითად:

კომპიუტერული ტომოგრაფია (მაისში დამონტაჟდა იაპონური ბრენდის – TOSHIBA AQUILION-ის 2014 წლის ერთ-ერთი საუკეთესო მოდელი); ულტრათანამედროვე ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია უახლესი აპარატურით. ციფრული რენტგენოსკოპიისა და რენტგენოგრაფიის უახლესი კორეული აპარატი SHIMADZU, რომელიც ძალიან მაღალი ხარისხის გამოსახულებას იძლევა; ექოსკოპია ამერიკული ბრენდის – GE-ის უახლესი ექოსკოპის საშუალებით. ენდოსკოპია, ბრონქოსკოპია და ასე შემდეგ.

ნებისმიერი სერვისი 24-საათიანია და პაციენტს შეუძლია კვირის ნებისმიერ დღეს ისარგებლოს.

**– ცენტრის მომსახურების პირობები მართლაც მიმზიდველია და, დარწმუნებული ვარ, ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, მკითხველს ექნება იმედი, რომ თბილისში არის კლინიკა, სადაც მათ შეეძლებათ, მიიღონ მაღალი ხარისხის მომსახურება დაბალ ფასად.**

– მრავალწლიანი გამოცდილება, პროფესიონალიზმის მაღალი დონე და გამართული თანამედროვე მენეჯმენტი – კონსტანტინე ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის წარმატების გარანტიაა. დიახ, ერისთავის კლინიკა – ეს არის ერთმანეთთან შერწყმული საუკეთესო ტრადიციები, მაღალი პროფესიონალიზმი და ხელმისაწვდომი ფასები.

**მარიკა ხიდურელი**

**ბორის ბედიამ პროექტში „ერთი ერთში“ ყველასგან განსხვავებული ნიშა დაიკავა. მისი გამოსვლები სტაბილურად კარგია, თუმცა, უმაღლესი შეფასებები არც ერთხელ არ დაუმსახურებია. ამის გამო ცოტა ნაწყენიც არის და ამას ინტერვიუშიც არ მალავს. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი არასდროს ყოფილა, ბორისი ახერხებს, თავისი საკმაოდ დამახასიათებელი მანერების მოთოკვას და, ამა თუ იმ მომღერლის ტყავში შესული, ღირსეულ ნომერს გვაჩვენებს. პირადად მე, ყველაზე მეტად მისი ფრედი მერკური მომეწონა, თავად კი, ბოლო რამდენიმე ოთხშაბათზე საკუთარი შეფასებები აქვს.**

# რატომ ეჩქარება ცოლის მოყვანა ბორის ბედიას

**ბორის ბედია**: დაძაბული კვირის შემდეგ, ხუთშაბათობით ვისვენებთ ხოლმე. მონაწილეების რელაქსაციაზე და დასვენებაზე „ჯინო ფერედაისი“ ზრუნავს. ვისაც სცალია, ყველა მივდივართ, ვვარჯიშობთ, ვცურავთ... განმუხტვის შესანიშნავი პირობებია, თან, ვერთობით.

**– რა იყო მიზეზი, რის გამოც პროექტში მონაწილეობაზე დათანხმდი?**

– პირველ ყოვლისა, ალბათ, საკუთარი თავის გამოცდა. სხვის ტყავში უნდა ჩაძვრე და ის სამი თუ ოთხი წუთი, სანამ სცენაზე დგახარ, მისი ცხოვრებით უნდა იცხოვრო, უნდა შეერწყა. რა თქმა უნდა, რთულია, რადგან, არ იცი, ვინ შეგხვდება, რა ექსპერიმენტის გაკეთება მოგიწევს. რაც შეეხება მიზეზს, თქვენც იცით, რომ პატარა „ფანჯარა” მქონდა შემოქმედებაში, პაუზასაც ვერ დავარქმევ, მცირე შესვენება იყო და, სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა შემოთავაზება. საერთოდ, უსაქმურად ყოფნა არ მიყვარს, არ შემიძლია. თან, კარგი პროექტია, ცოტა დაძაბული მომენტებიცაა, გართობის მომენტებიც და, მოკლედ, საინტერესოა.

**– რა თანმიმდევრობით იწყებ მუშაობას ამა თუ იმ ვარსკვლავის სახის შესაქმნელად?**

– პირველ ყოვლისა, ვიწყებ ხმის მიმსგავსებას – მომღერალია და ეს არის მისი პირველი მახასიათებელი. მერე უკვე გადავდივართ ვიზუალურობაზე. ვიზუალი კი ჩემი საზრუნავი ნამდვილად აღარ არის, ეს გრიმიორების საზრუნავია. ლუ ბეგას ძალიან ვგავდი, წურწუმიასაც ვგავდი რაღაც მომენტებში, რასაც ვერ ვიტყვი ტომ ჯონსზე. ცუდად არ გამიგოთ, მაგრამ, გენიოსებსაც მოსდით შეცდომები. ტომ ჯონსს სახის სულ სხვა კორექცია აქვს, რაც არ უნდა მოინდომო, ვერ დაემსგავსები. ჩემი საყვარელი მომღერალია, მაგრამ, სახე აქვს აეროპორტივით *(იცინის).* თვალებიც რაღაც სხვანაირი. ცუდად არ გამიგოთ, ვგიჟდები ამ მომღერალზე, მის სიმღერებზე ვარ გაზრდილი. ხალხის აზრია და ჟიურიმაც აღიარა, რომ ერთი ერთში ვიყავი ბასკოვთან.



**რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, გოგო კარგი გარეგნობის უნდა იყოს. ერთი ფილმის არ იყოს, სახლში რომ შეხვალ და მახინჯი ქალი დაგხვდება, ცუდად გახდებიო. ბუნება კარგი რაჭაში ვიცი, ქალი ლამაზი უნდა იყოს**

**– ლელასთან მსგავსება მართლა საოცარი იყო.**

– ხმის ტემბრის მიმსგავსება იყო ყველაზე რთული. ფრედი მერკურს თავისებური, სპეციფიკური ხმა აქვს, მაგრამ, მაინც მოვერგე. მას კლასიკური განათლება ჰქონდა მიღებული, ყველა სიმღერაში აქვს კლასიკური მომენტები და ამ მომენტებს ჩავეჭიდე. ცოტა ხრინწიც მივეცი დრაივი ნაწილში და კარგი გამოვიდა. ნაწარმოებს, რომელიც შევასრულე, ოთხი თემა აქვს: როკ-ბალადა, ოპერა და ასე შემდეგ. ჩემთვის საწყენი მომენტია და ამის დამალვას არც ვაპირებ – ჟიურის წევრების მხრიდან უსამართლობას ვგრძნობ. ამბობენ: კარგია, ერთი ერთშიაო და, მერე, რაც იმ შესრულებას ეკადრება, ისეთ შეფასებას არ ვიღებ.

**– რომელ შესრულებას გამოარჩევ, სად გგონია, რომ უმაღლეს ქულებს იმსახურებდი?**

– ტომ ჯონსი იყო ერთი ერთში, სისიმაც აღნიშნა, რომ არაჩვეულებრივი შესრულება იყო, ასევე, ბასკოვიც. ძალიან კრიტიკული ვარ საკუთარი თავის მიმართ, ჩემს თავს ერთ დეტონაციასაც კი არ ვაპატიებ, მაგრამ, უნაკლოდ იყო შესრულებული რამდენიმე ნომერი. ერთი, რაშიც ჟიურის ვეთანხმები და, შეიძლება, უარესი ქულების ღირსიც ვიყავი, იყო ლუ ბეგა. ტექსტი დამავიწყდა, საერთოდ დავიბენი. მაგრამ, დანარჩენი, იგივე ფრენკ სინატრა, იგივე მერკური, ძალიან კარგი იყო.

**– ყველაზე მეტად ვისი განსახიერება გაგიჭირდა?**

– არც ერთის არ გამჭირვებია, მაგრამ, ეს ლუ ბეგას ტური იყო ისეთი, რა დამემართა, არ ვიცი. ადრე მოცეკვავე ვიყავი და ცეკვით და რაღაცეებით გამოვიყვანე სიტუაცია, თორემ, ტექსტი საერთოდ დამავიწყდა. მას ორი, ერთმანეთის ზუსტად მსგავსი სიმღერა აქვს, ორი მელოდია და არანაირება ერთმანეთის კოპიოა, მხოლოდ ტექსტებია განსხვავებული და ამერია. მაგრამ, ეს მე არ მამართლებს.

**– შენ სიმღერის შესრულების ძალიან დამახასიათებელი მანერა გაქვს, როგორ ახერხებ ამის „დამალვას”?**

– არ ყოფილა ეს ჩემთვის დიდი სირთული. რომ გაიზარდო როგორც მომღერალი და ჩამოყალიბდე, ძალიან ბევრ დიდ ვარსკვლავს უნდა მოუსმინო. მათ კი არ უნდა დაემსგავსო, არამედ, საუკეთესო მომენტები უნდა აიღო – ასე ყალიბდება შენი „მე” და შენი საკუთარი თავი. ბავშვობაში ტომ ჯონსსაც ვუსმენდი, მელაძესაც. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ რუსია, ვინ ამერიკელი და ვინ – ქართველი?! მთავარია, კარგ მუსიკას ქმნიდეს.

**– ვინ გინდა, რომ შეგხვდეს, ვის განსახიერებას ისურვებდი?**

– ასეთი მომღერლების მეტი რა არის! მინდა, რომ რამე კლასიკური ნაწარმოები ამომივიდეს ან ქართული სიმღერა, თუნდაც, იტალიური ან ესპანური. ახლა ელტონ ჯონი ამომივიდა და გამიხარდა. რომ ვთქვი, ძალიან მიყვარს ეს მომღერალი-მეთქი, გაეცინათ. როგორც მომღერალი, ისე მიყვარს და არა თვითონ პიროვნება *(იცინის).*

**– საინტერესო თემას მიადექი. გოგოების მიმართულებით რა ხდება?! გავიგეთ, რომ ელტონ ჯონი არ მოგწონს.**

– *(იცინის)* ჩემი გულშემატკივრები იტყვიან: ვაიმე, ელტონ ჯონი უყვარს, ამისი საქმე კარგად არ არისო. მერე გოგოებს აღარ მოვეწონნებოდი, ბიჭებს მოვეწონნებოდი და არ იქნებოდა ჩემი საქმე კარგად. მადლობა, ამას ჩემს თავს ნამდვილად არ ვუსურვებ, ღმერთმა დამიფაროს. გოგოებში საქმე არასდროს მიჭირდა, მაგრამ, ახლა ისე ვარ გადართული კონკურსზე, იმდენი საქმე მაქვს, რომ ამისთვის ნამდვილად არ მცალია.

**– ცოლის მოყვანას არ აპირებ?**

– ჯერჯერობით არა, თუმცა, შეიძლება, მოვიყვანო კიდეც, ეს მხოლოდ ღმერთმა იცის. უკვე 30 წლის ვარ და ეს ისეთი ასაკია, როცა კაცმა ცოლი უნდა მოიყვანოს. ოჯახშიც ხშირადაა საუბარი ამ თემაზე. კიდევ თუ დავაგვიანებ, შვილთან ბაბუასავით ვიქნები და ეგეც არ მაწყობს.

**– როგორი გოგოები მოგწონს?**

– კარგი გოგოები. რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, გოგო კარგი გარეგნობის უნდა იყოს. ერთი ფილმის არ იყოს, სახლში რომ შეხვალ და მახინჯი ქალი დაგხვდება, ცუდად გახდებიო. ბუნება კარგი რაჭაში ვიცი, ქალი ლამაზი უნდა იყოს.

**– შენი და, სოფო, ალბათ, შენი განსაკუთრებული გულშემატკივარია?**

– დიახ. როცა ის კონცერტს ესწრება, მაშინ კიდევ უფრო მემატება ძალა და ენერგია. სცენაზე გასვლამდე, რა თქმა უნდა, ვღელავ. მაგრამ, სცენაზე რომ გავდივარ, ყველაფერი მეხსნება და, როგორც თევზი წყალში ისე ვგრძნობ თავს. ცხადია, სოფო განიცდის და ის უფრო ნერვიულობს იმ უსამართლობებზე, რაც ხდება. რაშიც ვერ ვიყავი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ის ძალიან კარგად ვიცი და, მაშინ რომ მაღალი ქულები დაეწერათ, ძალიან ცუდად გამოვჩნდებოდი ხალხის თვალში. ეს ერთი ნომერი იყო ეტაპობრივი ჩავარდნა, მაგრამ, იმის შემდეგ ძალიან ღირსეულად და კარგად წარვდექი ყველა ტურში, თუმცა, კარგი შეფასებები არ მიმიღია. მაგრამ ამაზე არ ვფიქრობ, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი ის მომღერლებია, რომლებიც უნდა განვასახიერო. ხალხი გიყურებს და ხალხი გაფასებს, მთავარია, მათთან იყო მართალი. ჟიურის ოთხი წევრისთვის კი არ ვმღერი, მაყურებლისთვის ვლმერი ყოველთვის. ის კი არა, ჟიურის საერთოდ ვერც ვხედავ იქ, გავდივარ ისე, როგორც კონცერტზე. არ ვმღერი შეფასებებისთვის, ეს ჩემთვის კონცერტია და სიამოვნებას ვიღებ.

**სალომე გველესიანი**

# 100 მილიონი საქართველოს მოსახლეობას ტექნიკის განსაახლებლად! – „სმაილისა" და „ვითიბი" ბანკის უპრეცედენტო შეთავაზება

მაღაზიათა ქსელი „სმაილი" და „ვითიბი" ბანკი 29 მაისიდან საზოგადოებას განვადების ახალ აქციას სთავაზობს. მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ, შეიძინონ მათთვის სასურველი ნებისმიერი საოჯახო ტექნიკა და სულ რაღაც ერთი წუთის განმავლობაში მიიღონ „ვითიბი" ბანკის უპროცენტო განვადება განსხვავებული და საგრძნობლად გამარტივებული პირობებით. განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ ამ აქციის ფარგლებში განვადება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ხდება. პირობების თანახმად, შევსებული 10 განაცხადიდან 9 დამტკიცდება და განვადებით სარგებლობა უმრავლეს შემთხევაში გახდება შესაძლებელი. ამისთვის მხოლოდ 150-ლარიანი შემოსავალია საკმარისი. აქციის ფარგლებში მომხამრებელს არ მოუწევს გაცემის საკომისიოს გადახდა და არ მოითხოვება თანამონაწილეობა.



როგორც „ვითიბი" ბანკის სათავო ოფისში ამა წლის 29 მაისს გამართულ პრესკონფერენციაზე კომპანია „სმაილის" მმართველმა პარტნიორმა, ტარიელ მაჭავარიანმა განაცხადა, ახალი პროექტის ფარგლებში, კომპანია „სმაილი" 100 მილიონი ლარის ღირებულების ტექნიკას ყველაზე ხელსაყრელი პირობებით გასცემს. „ყველა მომხმარებელმა, რომელსაც აინტერესებს წამყვანი ბრენდების – „სამსუნგის", „პანასონიკის", „ჰოპტოინტ/არისტონისა" და „ინდეზიტის" ტექნიკის შეძენა და არ სურს, დაკარგოს დრო ან გადაიხადოს ზედმეტი, უნდა მიმართოს „სმაილის" ფილიალებს თბილისში, რუსთავში, ბათუმში – ჭავჭავაძის #31-ში და მარტივად, 1 წუთში მიიღებს უპროცენტო განვადებას. ასე რომ, ნებისმიერი შემოსავლის მქონე ადამიანს, უკვე შესაძლებლობა აქვს, შეიძინოს სასურველი ნივთი დაფიქრების გარეშე, თუნდაც იმ მომენტისათვის ტექნიკის შესაძენად არანაირი თანხა გათვალისწინებული არ ჰქონდეს," – აცხადებს ტარიელ მაჭავარიანი.

„ვითიბი" ბანკის საცალო ბიზნესის განვითარების სამმართველოს უფროსმა, გივი ვადაჭკორიამ, ჟურნალისტებთან შეხვედრისას განმარტა: „ვითიბი" ბანკი მომხარებელს განვადების უნიკალურ შესაძლებლობას სთავაზობს, რომელიც, პირობების მაქსიმალური გამარტივების შედეგად, გაცილებით მეტი ადამიანისთვის გახდა ხელმისაწვდომი. აქციის ფარგლებში მომხარებელს შეეძლება, სასურველი ნივთი ყოველგვარი დამატებითი ხარჯის გარეშე შეიძინოს, რადგან, არ მოითხოვება არც გაცემის საკომისიო და არც თანამონაწილეობა."

## მაქსთერმი — თბილისში „მაქსთერმის" სავაჭრო ცენტრი გაიხსნა

31 მაისს, ბელიაშვილის ქუჩაზე, მიონის მოპირდაპირე მხარეს, სავაჭრო ცენტრი „მაქსთერმი"გაიხსნა. გახსნას ესწრებოდნენ „მაქსთერმის" უცხოელი პარტნიორები, ბიზნესმენები, დიზაინერები და კომპანიის წარმომადგენლები.

„მაქსთერმში" წარმოდგენილია იტალიური წარმოების გათბობის, კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემები; ასევე აბაზანის მოწყობილობები, – უნიტაზი, ნიჟარა, წყლის შემრევი, წყალკანალიზაციის მილები და სხვა. პროდუქციის მომწოდებლები, საუკეთესო ხარისხის პროდუქციის მწარმოებელი იტალიური, ჩეხური და თურქული კომპანიებია (Fondital, giacomini, Remer Binetterie, Climaveneta და სხვა).

სავაჭრო ცენტრი გათბობის ქვაბებზე, ორწლიან გარანტიას უზრუნველყოფს, რაც პროდუქციის შეკეთებას ან დაზიანებული ნაწილის გამოცვლას გულისხმობს. „მაქსთერმი" მომხმარებლებს პროდუქციის სახლში მიტანის სერვისს და მონტაჟსაც სთავაზობს. პროდუქციის შეძენა შესაძლებელია ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, დილის 10-დან საღამოს 6 საათამდე.



სამომავლოდ გაიზრდება პროდუქციის მრავალფეროვნება. ჩამონათვალს დაემატება ლამინირებული იატაკი, აბაზანები და საშხაპე კაბინები, ასევე, იგეგმება აბაზანის ავეჯის წარმოება. შეკვეთა ავსტრიული მასალით, კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, ადგილზე დამზადდება. ამას გარდა, უახლოეს მომავალში ბათუმში „მაქსთერმის" განახლებული ფილიალი გაიხსნება.

კომპანია „მაქსთერმი" 2005 წელს, გიორგი კუკულავას და ზაქრო გორდაძის მიერ დაფუძნდა. დღესდღეობით კომპანიაში 52 ადამიანია დასაქმებული. მის კლიენტთა სიაშია ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა: სამშენებლო კომპანია „აქსისი", საქართველოს საპატრიარქო, შპს „ახალი სამშენებლო კომპანია", შპს „აირმაქსი", შპს „სამეცნიერო საწარმო", კომპანია „ელ-ეს-ჯი", შპს „მედგრუპჯორჯია", შპს „თერმო ვენტი", შპს „პროექტი 21", შპს „ალიანსი", შპს „ჯი-ემ-პი", შპს „ბანი", ააიპ „ლიმა ჯგუფი" და სხვა.

**10 მაისს დიდი საკონცერტო დარბაზის წინ მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა. ვარსკვლავი მამასთან ერთად გაუხსნეს – მამასთან, რომელმაც ცხოვრების მთავარ კანონებს ისე აზიარა, რომ ძალიან რთული პერიოდების დაძლევაც შეძლო და გადარჩენაც. ჯანსულ და მამუკა ჩარკვიანების ისტორია ერთი ისტორიაა – ბობოქარი, „ჩარჩოებიდან გასული" და იმ იდუმალებით სავსე, რაც მხოლოდ ისეთ მამა-შვილს შეიძლება ჰქონდეს, რომელთაც ერთად „თქვეს:" ომახიანი „თავისუფლება ლომთა ხვედრია" და ერთად გააგრძელეს გზა, რომელიც მათთვის სამოცი წლის წინ დაიწყო.**

# რატომ არის მამუკა ჩარკვიანი მძიმე კაცი და რისგან არ იხსნა ის მამამ

**მამუკა ჩარკვიანი**: ორ კაცზე ერთი ვარსკვლავი, კარგია, ეს ერთად უნდა მომხდარიყო. ცალკე ჩემი ვარსკვლავის გახნას, არც ვისურვებდი. მთელი ჩემი ცხოვრება მამაჩემთან არის დაკავშირებული. წელს ერთი ლექსი ვიპოვე, 2006 წელს აქვს დაწერილი. შემთხვევით გადმოვარდა კარადიდან, თავზე დამეცა. მამას ხელნაწერი იყო და ეწერა – მამუკას. მაშინ, ალბათ, წავიკითხე კიდეც, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე და სადღაც შემოვდე. როგორ უნდა მიცნობდეს კაცი მე, მამუკას, რომ ეს ლექსი დაეწერა ჩემთვის. „მოგონება" ჰქვია ამ ლექსს. ახლა მივხვდი, რა ჰქონდა მასში ჩადებული; როგორ მიხვდა, რომ გავიდოდა დრო და მე იმ ლექსს ვიმღერებდი. ეს არის მამა-შვილს შორის უხილავი ძაფი. „ჩემი აღარა ხარ, მორჩაც" ჯანსულის დაწერილია. როგორ უნდა იცნობდე შვილს, რომ ეს ლექსი დაუწერო. ამიტომაც, რა თქმა უნდა, ჯანსულ ჩარკვიანისა და მამუკა ჩარკვიანის ვარსკვლავი ერთად უნდა ყოფილიყო. მე მამაჩემის პოეზია გავამუსიკე. ჯანსულს ძალიან მაგარი მუსიკა აქვს ლექსებში. მის ლექსებზე დაახლოებით 200 სიმღერაა შექმნილი. თითქმის ყველა კომპოზიტორს აქვს დაწერილი მუსიკა მის ლექსზე, მთელი ჩემი შემოქმედებაც მამაჩემის პოეზიაზეა აგებული. მეცხრე კლასში ვიყავი, როცა მის ლექსზე პირველი სიმღერა დავწერე. „ჩამოთოვა ისევ" დღემდე პოპულარულია და ბევრი ადამიანის სიყვარულის ისტორიაა დაკავშირებული ამ სიმღერასთან.

**– როგორც ამბობენ, ბატონმა ჯანსულმა ჩვეულებისამებრ იხუმრა „საზიარო" ვარსკვალავზე.**

– არ ვიცი, ამაზე რა იხუმრა – ხუმრობა და იუმორი ხომ მისი ჩვეული სტილია. ზუსტად დღეს გამახსენდა ეს ამბავი: როცა ჩემი და გათხოვდა და მისი ხელის სათხოვნელად ჩვენთან, სახლში ჯონი და მისი ახლობლები მოვიდნენ, მამა თავის ოთახში ყოფილა შეკეტილი. დედას უთქვამს, გამოდი, კაცო, დაელაპარაკე ამ ხალხსო. რა უნდა ველაპარაკო, მაგათ ქართული არ იციან, მე – სვანურიო. აი, ასე, სულ ხუმრობს ჯანუკი. მეც მიყვარს ხუმრობა, ჩვენ განსხვავებული იუმორი გვაქვს, მაგრამ მამა-შვილი ვართ და ცხადია, ბევრი რამით ვგავართ ერთმანეთს.

**– როგორ განსაზღვრა მან თქვენი ცხოვრება?**

– ჯანსულს არ განუსაზღვრია ჩემი ცხოვრების გზა, მე თვითონ განვსაზღვრე. ძალიან მინდოდა კინორეჟისორობა, მაგრამ მეათე კლასში ავად გავხდი და შეეშინდათ ჩემი მარტო გაშვება მოსკოვში. ჯანსულმა მითხრა: სადაც გინდა იქ ჩააბარეო. მეც ავდექი და როგორც ლიტერატურის მოყვარულმა კაცმა, ფილოლოგიურზე ჩავაბარე. ფრიადზე დავამთავრე უნივერსიტეტი, საპატიო უნივერსიტეტელი ვარ. რამდენიმე წელი ვიმუშავე ჩემი პროფესიით, წერილებსაც ვაქვეყნებდი, მაგრამ მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. მერე ერთხანს ლიტერატურის მუზეუმში ვიმუშავე. ჩემი სიმღერებით პოპულარული რომ გავხდი, დავანებე თავი ჩემს საქმეს. 40 წლის ვიყავი იმ დროისთვის, ამ ასაკში გვიანი იყო კონსერვატორიაში ჩაბარება, თუმცა ხანდახან ვერც ვიგებ, რას ნიშნავს მუსიკალური განათლება. იმდენი მუსიკოსი ვიცი, დასვამ პიანინოსთან და თუ ნოტებს არ დაუდებ, ვერაფერს დაუკრავს. მე ჩემით ვისწავლე დაკვრა, თეორიების გარეშე, ნებისმიერ რამეს ავაწყობ. ის, დიპლომიანი პროფესიონალები ხშირად, კარგ ვარიანტში, მუსიკალურ შვიდწლედში მიდიან პედაგოგებად. მე სამოცდაათამდე სიმღერის ავტორი ვარ. ახლა თქვენ გადაწყვიტეთ, მათი დიპლომი თუ ჯობია ჩემს შემოქმედებას.

**– დიდი ტაიმაუტი გქონდათ. მეორე წრეზე თითქოს ახალი სუნთქვა გაგეხსნათ, ბევრი ახალი სიმღერა შესთავაზეთ მსმენელს. რა და ვინ არის მამუკა ჩარკვიანის „მუზა"?**

– ხერხემლის პრობლემამ, ჯანმრთელობის მდგომარეობამ „დამბრიდა", თორემ უფრო მეტი რამის გაკეთება მინდოდა ამ პერიოდში. შარშან ვთქვი, მთელ საქართველოს შემოვივლი-მეთქი და ყველგან ვიყავი. კახეთიდან დავიწყე და რაჭამდე ჩავედი, ყველგან ანშლაგები იყო. ფილარმონიაში მინდოდა ამ ტურნეს დაგვირგვინება და ვარსკვლავის ამბავიც დამახვედრა დათო ოქიტაშვილმა. წელიწადნახევარში სამოცი წლის გავხდები. ვიფიქრე, ახლა თუ არა, მერე როდისღა მოვივლი-მეთქი საქართველოს.




მამა-შვილის „ომი" ჩვენც გვაქვს გადატანილი

**– ამ ასაკში რომ ხართ ამას როდის გრძნობთ?**

– ხშირად არა, ვიცი, რომ გარეგნულად სულ არ მეტყობა ასაკი. ახლა, მე ერთ სიმღერას გიმღერებთ და მიხვდებით, ასეთ სიმღერას რომ დაწერ, რასაც გრძნობ. ჩემი ცხოვრებით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. კარგ ოჯახში დავიბადე, კარგი ბებია-ბაბუა მყავდა, ჩემს სიმღერებს ყველგან მღერიან. მთავრობა არ მოდის, „თავისუფლება ლომთა ხვედრია" რომ არ იმღეროს. ბედნიერი ვარ, აბა რა ვარ! მაგრამ ერთ რამესაც გეტყვით, ვარსკვლავი რომ გაიღვიძებ და ხუთი ლარი არ გიდევს ჯიბეში, ეს ძალიან ცუდი განცდაა. მე არავის არაფერს ვთხოვ, მაგრამ ხომ შეიძლება, სახელმწიფომ ისე დააყენოს საქმე, რომ ჩვენნაირ ხალხს და ჩვენ ბევრნი არ ვართ, დაგვენიშნოს ხელფასი. სად უნდა ვიმუშაო, როცა სიმღერას ველარ შევძლებ? ბენზინკალონკაზე ხომ ვერ წავალ. რაღაც უნდა მოიფიქრონ ისეთი ხალხისთვის, ვინც თავის საქმეში ნოვატორია.

**– მამა ძალიან გავლენიანი კაცი იყო, ალბათ, ბევრ პრობლემას გიიოლებდათ შვილს, რომელსაც არ ჰქონდა „სტანდარტული" ცხოვრება.**

– რა თქმა უნდა, მიიოლებდა, ჯანუკი ტრადიციული კაცია. მეც ტრადიციული ვარ, მაგრამ ჩარჩოებიდან გასული. მამაჩემი ამაზე ხმას არ იღებდა, 70-80-იან წლებში ისეთი ლექსები აქვს დაწერილი, თვითონაც გასული იყო იმ „ჩარჩოებიდან". ტყვია მიზანში მოსახვედრიაო, ისეთ დროს თქვა, რომ დაგიბარებდნენ და გკითხავდნენ: ვის უნდა ესროლო და რა თავისუფლებაზე ლაპარაკობ ამ გაგანია კომუნიზმშიო. ჩემი თავისუფლება როგორ გაუკვირდებოდა ამ სიტყვების დამწერ კაცს. მამა-შვილის „ომი" ჩვენც გვაქვს გადატანილი, მაგრამ მამაჩემის ომი რომ გადავიტანე, ამავე დროს ჯანსული წავიკითხე თავიდან ბოლომდე და მივხვდი, რომ არ უნდა მეომა, მას უნდა ავყოლოდი. პირდაპირ გეტყვით: ჯანუკი ძალიან მაგარი კაცია, იმათზე მაგარიც კი, ვინც იჩემებს, კაცი ვარო. თავისუფლებამ და ეგრეთ წოდებულმა დემოკრატიამ, კარგად გამოამზეურა, ვინ არის კაცი, და ვინ – კაცუნა. მე მამას ვგავარ, კაცური სახელის მოპოვების ჟინით, სულ ვცდილობდი, არ დამერღვია ის კანონები, რაც ამ ცხოვრებას ახლავს. კაცი წესიერი უნდა იყო, სხვის ოჯახში მოქცევა იცოდე და არ „იბოზო". ეს, ან მამამ უნდა გასწავლოს, ან „შიგნიდან" უნდა გქონდეს. ჯანუკი სულ მეუბნებოდა, რას ერქვა სწორად მოქცევა. როცა ჩემს ცხოვრებაში რთული სიტუაციები იყო, ისიც მაგრად გადამქონდა. თუმცა, ცრემლიც გადმომვარდნია მაშინ, როცა მეგონა, რომ გამოუვალ სიტუაციაში ვიყავი. მამაჩემი სულ ამბობდა, გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს, იფიქრე, როგორ მოძებნო გამოსავალიო. მამა შორიდან იდგა ხოლმე ჩემ გვერდით, მაგრამ ამას ყოველთვის ვგრძნობდი. უფრო ახლოს იდგა დედა. აგერ უკვე 22 წელია, ჩემი ცოლი დგას ჩემ გვერდით. ირმა ჩემი ნაღდი მეგობარია და ნაღდი მეუღლე. ამაზე ხომ იხუმრა ჯანუკიმ, საირმეში ვცხოვრობო. მე ერთი ირმა კიდევ შევმატე მის „საირმეს."

მამა სახლში იყო მკაცრი, მაგრამ დემოკრატიც. დიდ თავისუფლებას გვაძლევდა მეც და ჩემს დასაც. ჩემ მიმართ უფრო მკაცრი იყო, ვიდრე – თაკოსთან. მე ბევრს ვაშავებდი. თაკოს, როგორც გოგოს, უფრო მეტი „პრივილეგია" ჰქონდა. მე ბევრ პრობლემას ვუქმნიდი. სულ მეუბნებოდა: გეყოლება შვილი და ყველაფერს გადაგიხდისო. ახდა მისი სიტყვები, ხანდახან მაბრაზებს ჯანუკი *(იცინის)*. როცა პატარა ვიყავი, სულ ქუჩაში ვიდექი, მაგრამ მილიციაში არასდროს მოვხვედრილვარ. ქუჩა ისე კაეგად ვიცოდი, ისე გავძვრებოდი და გამოვძვრებოდი, რომ იქ არ მოვხვდებოდი. დანარჩენი რა იყო? სიგარეტის მოწევა რომ დავიწყე, მითხრა: ჩემთან ნუ ეწევიო. სამთვიან ჯარში რომ წავედი, ვალეში ჩამომაკითხა და ერთი დიდი ტომარა ჩამოიტანა. ყაზარმასთან რომ მიაყუდა ვკითხე: მამა, ეს რა არის-მეთქი? კოლხეთი და კოსმოსია, ოღონდ მარტო შენი არ გეგონოს, ეს ყველასიაო. დავტოვე ტომარა გარეთ, ვისაც უნდოდა, იღებდა სიგარეტს.

**– ჯარში მაინც გაგიშვათ გავლენიანმა მამამ?**

– გამიშვა. მისთვის ჩემი ჯარიდან გათავისუფლება არანაირი პრობლემა არ იყო, მაგრამ მაინც გამიშვა. ვალე არ იყო ახლოს. საქართველოა პატარა, თორემ ვალე შორსაა, ხუთი საათის სავალზე. ამაზე ერთ ამბავს გეტყვით. ბინების განაწილებაზე კომისიის წევრი იყო მწერალთა კავშირში. ერთს უთქვამს, ჯანსულ გლდანი შორიაო. თუ მეტყვი, საიდან არის შორი, სხვაგან მოქცემთო, უპასუხია ჯანსულს. რაღაცნაირი კაცი იყო. როცა პატარა ვიყავი, ყოველ დილას 200 გრამ შვეიცარიულ ყველს და 100 გრამ „კალბასს" ყიდულობდა. უყვარდა შვეიცარიული ყველი. ვგიჟდებოდი ამაზე და ვეუბნებოდი: ცოტა მეტი იყიდე, ხვალ ხომ მაინც უნდა იყიდო-მეთქი. არა, ხვალ ხვალისას ვიყიდიო, – მეტყოდა. იმას არ მიმხელდა, რომ თურმე ფული არ ჰქონდა. როცა

**(გაგრძელება 73-ე გვერდზე)**

# ინტიმური საუბრები

### ჩემს გრძნობაში ეჭვი მეპარება

წელიწადზე მეტია, ვხვდები ბიჭს, რომელიც ძალიან მომწონს, უფრო სწორად, აქამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ მიყვარდა. მაგრამ, ახლა, როცა თავისი მშობლები გამაცნო და ოფიციალურად მთხოვა ცოლობა, როცა მთელი ოჯახი მოვიდა ჩვენთან ჩემი ხელის სათხოვნელად და ჯვრისწერაც და ქორწილიც დავნიშნეთ, უკვე ეჭვი მეპარება, მართლა მიყვარს თუ არა. კარგა ხანს ვერ ვხვდებოდი, რატომ დამემართა ასეთი გაორება: ხან მგონია, რომ ზუკას გარეშე ერთ დღესაც ვერ გავძლებ, ხან კი ეჭვის ჭია მიღრღნის გულს – ვაითუ, ვერ შევეგუო მასთან ერთად ცხოვრებას-მეთქი. უკვე მეორე წელი დაიწყო, რაც ერთმანეთს ვიცნობთ და ვხვდებით. და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ გვიჩხუბია, არც კი წავკინკლავებივართ ერთმანეთს, მაგრამ, შინაგანი ხმა მკარნახობს, რომელსაც არ მინდა, რომ დავუჯერო, მაგრამ, მაინც მაშფოთებს, ჩვენი ურთიერთობა არ არის ნამდვილი სიყვარული – მონატრებით, ერთმანეთის გაგების სურვილით, თუნდაც ვნებებით აღსავსე, რაც ჩვენს ასაკში, წესით, აუცილებლად უნდა იყოს (მე 23 წლის ვარ, ზუკა – 25-ის). ყველაფერი რაღაცნაირად მშვიდად მიმდინარეობს – არც ვნებათაღელვა, არც თუნდაც სიმბოლური ეჭვიანობა, არც ფოიერვერკებისა და სიურპრიზების მოწყობის სურვილი... მოკლედ, ჩვენი შეხვედრები მოკლებულია ყველანაირ რომანტიკას. ისეთი ურთიერთობა გვაქვს, როგორიც ძალიან დიდი ხნის დაქორწინებულებს. ზოგჯერ, „გარედან" რომ ვუყურებ ჩვენს შეხვედრებს, მინდა ვიყვირო, რატომ ხართ ერთად, რა საერთო გაქვთ ერთმანეთთან-მეთქი, მაგრამ, ვერ ვბედავ. ასეთი გრძნობა განსაკუთრებით მაშინ მიჩნდება, როცა მთელი საათი დავსეირნობთ ან ვსხედვართ სკვერში (კაფეში ძალიან იშვიათად მპატიჟებს) და ერთმანეთისთვის არაფერი გვაქვს სათქმელი, მოსაყოლი. ძირითადად ჩუმად ვართ და, თუ რამეს ვეტყვით ერთმანეთს, მხოლოდ ზოგად, არაფრისმთქმელ ფრაზებს, რომლებიც არ შეეხება არც ჩვენს სიყვარულს, არც დაგეგმილ ქორწილს, არც მომავალში ერთად ცხოვრების გეგმებს. მოკლედ, თანდათან ვრწმუნდები, რომ ზუკასთან შინაგანად არაფერი მაქვს საერთო. იმიტომ კი არა, რომ მე კარგი ვარ და ის ცუდია, უბრალოდ, როგორც ვატყობ, ჩვენი წყვილი არ შედგა, რადგან, აბსოლუტურად განსხვავებული ტიპები აღმოვჩნდით.

ჩემი ეჭვები დედაჩემს გავანდე, მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ შეწუხებულიყო, მითხრა, გათხოვების წინ ყველა გოგო ნერვიულობს და ამიტომ ყველას ემართება ასეთი რამ. ახლა რა დროს ეჭვებია, ნიშნობა გქონდა და ქორწილიც დანიშნული გვაქვს, რას იტყვის ხალხი. ახლა თუ არ გიყვარს, მერე შეგიყვარდება, თანაც, რას ერჩი ზუკას, ეგეთი ბიჭი სანთლით არის საძებარიო. ძალიან მეწყინა, რომ დედამ ვერ გამიგო. ზუკას დაკარგვა იმიტომ არ უნდა, რომ მატერიალურად უზრუნველყოფილი ვიქნები, რადგან, დედისერთაა და, ასე თუ ისე, ნორმალურად ცხოვრობენ. მაგრამ, კიდევ ხომ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი ფასეულობები?! ყველაზე მეტად იმან მატკინა გული, რომ დედაჩემისთვის მთავარი ის აღმოჩნდა, ხალხმა არაფერი თქვასო, დანარჩენი კი, რაც პირადად მე მეხება, მისთვის მეორეხარისხოვანი ყოფილა.

ერთი დეიდა მყავს, რომელიც სიგიჟემდე მიყვარს. ულამაზესი და უნიჭიერესი გოგო იყო, მაგრამ, პირად ცხოვრებაში არ გაუმართლა – დედამისის ხათრით თუ დაძალებით გათხოვდა კაცზე, რომელიც არ უყვარდა და მერე მალე გაშორდა კიდეც, რადგან, ვერ შეეგუა მის უყურადღებობასა და გულცივობას. მეორედ გათხოვება აღარც უფიქრია და მარტომ გაზარდა შვილი. არადა, ჰყავდა შეყვარებული, რომელსაც ოჯახმა დააშორა, რადგან ღარიბი ბიჭი იყო. დეიდაჩემი არაფერს ამბობს ხმამაღლა, მაგრამ ვიცი, რომ ახლაც ის უყვარს. მისი ისტორია იმიტომ მოგიყევით, რომ, როცა ჩემი და დედაჩემის საუბარი გაიგო, საშინლად ეჩხუბა თავის დას – შენც იგივე შეცდომა გინდა დაუშვა და ისევე გააუბედურო ბავშვი, როგორც მე გამაუბედურა დედაჩემმაო. მერე მე გამიყვანა ცალკე ოთახში და მითხრა: ძალიან კარგად დაფიქრდი და, თუ დარწმუნდები, რომ ზუკა არ გიყვარს, ჯობია, ახლავე ჩაშალო ქორწილი, ვიდრე მერე ირბინო სასამართლოებში და ბავშვით ხელში დარჩე მარტოო. ისიც კი შემომთავაზა, თუ გინდა, მე დავურეკავ ზუკასაც და მის მშობლებსაც და დაველაპარაკებიო.

აი, ასეთ მდგომარეობაში ვარ ახლა. დილიდან საღამომდე იმაზე ვფიქრობ, როგორ მოვიქცე და ვერაფრით მივიღე გადაწყვეტილება. არადა, ქორწილის დღე თანდათან ახლოვდება. იმედი მაქვს, უფალი დამეხმარება და სწორ არჩევანს გამაკეთებინებს.

**თათა, 23 წლის.**



### ჩემი შვილის არჩევანი არ მომწონს

თითქმის ყველა დედა, ვისაც მე ვიცნობ, იმას ცდილობს, თავის შვილს საცოლედ და საქმროდ მდიდარი ოჯახის შვილი მოუძებნოს. შეიძლება, ბევრს ასეთი საქციელი გამართლებულად მიაჩნდეს, მაგრამ, მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი, ჩემს შვილს სასიმამროს ჯიბის სისქის მიხედვით აერჩია საცოლე. ის კი არა, ბავშვობიდანვე იმას ჩავჩიჩინებდი, განებივრებული და გატუტუცებული გოგო ცოლად არ გამოგადგება-მეთქი. იმის მაგალითი ხომ ბევრია, ეს მდიდარი სიდედრ-სიმამრი ან დედამთილ-მამამთილი როგორ აყვედრიდნენ რძალსა თუ სიძეს თავიანთ ქონებას. ხშირად წამოაძახებდნენ ხოლმე, ღატაკი და მშიერი შემოძვერი ჩვენს ოჯახში და ახლა გინდა, ყველაფერს დაეპატრონოო. პრინციპში, შეიძლება, სხვაგვარადაც მომხდარა, მაგრამ, არავითარ შემთხვევაში, არ მინდოდა რძლად მილიონერის შვილი, რადგან, მე ისე გავზარდე ჩემი ბიჭი, უშრომლად ნაშოვნი ერთი ლუკმაც არ მიჭმევია მისთვის. თვითონაც ძალიან მშრომელი და პატიოსანი კაცი დადგა. მაგრამ, როგორც ჩანს, ცხოვრებაში სწორედ იმას გადაეყრები, რასაც გაურბიხარ. ჩემმა რეზიკომ მეგობრის დაბადების დღეზე გაიცნო ერთი გოგო, რომელიც შეუყვარდა. იმასაც უყვარდა და სულ ერთად დადიოდნენ, მაგრამ, როცა გავიგე, რომ მამამისი საკმაოდ სერიოზული ბიზნესმენი იყო და ძალიან შეძლებულად ცხოვრობდნენ, ჩემს შვილს ვუთხარი, კარგად დაფიქრდი, მერე სანანებელი არ გაგიხდეს-მეთქი. არ დამიჯერა და შეირთო მაცაცო ცოლად. მხოლოდ სამი თვე იცხოვრეს ჩემთან, მერე კი ჩემმა რძალმა აიტეხა, მშობლებთან მინდა გადასვლაო და რეზიკომაც ველარ გაუწია წინააღმდეგობა, რადგან, ცოლი ორსულად ჰყავდა და არ უნდოდა მისი განერვიულება. გადავიდნენ და, შეიძლება ითქვას, შვილი დავკარგე, რადგან საერთოდ ველარ იცლის, რომ კვირაში ერთხელ მაინც მნახოს. მხოლოდ ტელეფონით თუ მომიკითხავს და თვეში ორას ლარს (თავისი ხელფასიდან) ცოლის ჩუმად მიტოვებს ხოლმე.

ერთხელ მივედი მათთან სტუმრად და ჩემი მძახალი (ქალი) ისეთი „ვაჟნი" სახით შემხვდა, კინაღამ უკან გამოვბრუნდი. მაგრამ, ჩემს თავს ვინ ჩივის, კინაღამ გული გამისკდა, როცა ჩემი შვილისა და მის დიალოგს შევესწარი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ამაყი და თავმოყვარე ბიჭი ხელზე მოსამსახურედ ჰყავს ქცეული და ეს სულელი ვერაფერს გრძნობს, ისე უყვარს ცოლი. ის კი დედის პარალელურად, თვითონაც „ხელის ბიჭივით" დაარბენინებს ქმარს წინ და უკან. თან, იქით აყვედრის, რომ მის მოტანილსა და გაკეთებულს კადრულობს.

მოკლედ, გულგახეთქილი დავბრუნდი სახლში და იმის მერე სურვილი აღარ გამჩენია, მათთან მივსულიყავი. მე კი ჩემს გულს ვასკდები, მაგრამ, რა აზრი აქვს ამ ნერვიულობას? ჩემი შვილი, ეტყობა, კარგად არის იმათთან, სულაც არ გრძნობს თავს დამცირებულად. მე ხომ არ დავუწყებ ჩხიკინს და ოჯახს არ დავუნგრევ? ახლა ჯერ კიდევ ეიფორიაშია, შვილს ელოდებიან და მხოლოდ კარგზე ფიქრობს, მაგრამ, გონს რომ მოვა და მიხვდება, რაში გაყო თავი, უკვე ძალიან გვიან იქნება.

**დალი, 64 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**პროექტი „ორი ვარსკვლავი” დასრულდა, რომელიც ბოლო 3 თვის განმავლობაში ტელეკომპანია „იმედის” არხზე გადიოდა. მართალია, პროექტის გამარჯვებული ირინა ონაშვილისა და გიორგი მახარაშვილის წყვილი გახდა, მაგრამ როგორც ჩვენმა რესპონდენტმა, ლევან ჯავახიშვილმა თქვა, მან თავის მეწყვილესთან, ნინი წიკლაურთან ერთად, მთავარი პრიზი, ხალხის სიყვარული მოიგო. სიმღერამ, რომელიც ლევანმა და ნინიმ ფინალურ ტურში იმღერეს, ყველაზე ერთნაირად ემოციურად იმოქმედა და ცრემლი ტელეეკრანის ორივე მხარეს ჩანდა.**

# როდის გააკეთებს ჯგუფ „ტელელიპუცებს“ ლევან ჯავახიშვილი და რა ფსიქოლოგიური სტრესის გადალახვა მოუწია მას

**– უამრავ მაყურებელს დასწყდა გული, რომ პროექტ „ორი ვარსკვლავის” გამარჯვებული ლევან ჯავახიშვილი არ გახდა. თავად როგორი პროგნოზი გქონდა პროექტის დაწყებამდე?**

– ჩემი და ნინი წიკლაურის პროგრამა მინიმუმი იყო ფინალში გასვლა, პროგრამა მაქსიმუმი – მოგება. ვისარგებლებ შემთხვევით და ირინას გამარჯვებას მივულოცავ, წარმატებას ვუსურვებ. ასევე, ვულოცავ გიორგი მახარაშვილს, რომელიც ძალიან მიყვარს და ჩემი პატარა მეგობარია.

**– სიმღერამ „ჰერიო, ბიჭებო,” რომელიც შენ და ნინიმ ფინალში იმღერეთ, სრული ფურორი მოახდინა – ყველა აატირა. ტიროდა მაყურებელი, ჟიური და თქვენც.**

– ზოგადად, მთელი 12 ტურის განმავლობაში მე და ნინის გვქონდა რამდენიმე ისეთი ნომერი, რომელმაც მაყურებელსა და ჟიურიზე იმოქმედა. „ჰერიო, ბიჭებო” ისეთი ემოციური სიმღერაა, არ არსებობს, როცა მას მთელი შეგნებით მღერი და გათავისებული გაქვს რაზე მღერი, ხალხში ის რეაქცია არ გამოეწვია, რაც მოხდა. ამ შემთხვევაში, ეს ნამდვილად მოსალოდნელი იყო.

**– 26 მაისს ძალიან მოუხდა ეს სიმღერა. ეს სპეციალურად იყო გათვლილი?**

– ფინალი 26 მაისს იყო, ამიტომ მიმაჩნდა, რომ აუცილებლად უნდა ვყოფილიყავი ადეკვატური – 26 მაისს ზუსტად ეს სიმღერა შევურჩიე. პირადად ჩემი დამოკიდებულება ქართული ჯარისადმი ძალიან თბილი და სიყვარულით სავსეა. ძალიან ბევრი ჩემი უფროსი მეგობარი, როცა მე 15 წლის ვიყავი, აფხაზეთის ომში იბრძოდა. მანამდე იყო 9 აპრილი და ასე შემდეგ. პრაქტიკულად, მთელი ჩემი ყმაწვილკაცობა ვუყურებდი როგორ იბრძოდა ჩემი ქვეყანა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. გული მიგრძნობს და დარწმუნებული ვარ, კიდევ არაერთხელ მოგვიწევს ამ ქვეყნის დაცვა. ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ და მეც ფსიქოლოგიურად მზად ვარ ამისთვის.

**– ჯარიც იყო დარბაზში.**

– ძალიან მინდოდა, რომ დარბაზში ყოფილიყვნენ. არა იმიტომ, რომ მაყურებელზე მოეხდინათ გავლენა, არამედ პირადად მინდოდა, რომ ამ ბიჭებთან მქონოდა კონტაქტი 26 მაისს. 2008 წელს ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე, რაც ხდებოდა რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში. მერე, იქიდან მოყოლებული, დაახლოებით 4 წელი ყვირილით ვიღვიძებდი და ფსიქოლოგიური პრობლემები მქონდა, რომელიც გადავლახე. ნებისმიერი ქართველი ჯარისკაცი იმსახურებს იმას, თუნდაც ქუჩაში, გვერდით რომ გაგიაროს, სამაქალაქო პირი მივიდეს მასთან და ხელი ჩამოართვას, გადაეხვიოს, მადლობა გადაუხადოს. 26 მაისს ქართველი სამხედროები ნამდვილად უნდა ყოფილიყვნენ იმ დარბაზში. ვამაყობ, რომ ეს მე და ნინიმ გავაკეთეთ და დავპატიჟეთ მეოთხე მექანიზებული ბრიგადის ბიჭები.



**„ცეკვავენ ვარსკვლავებში” მონაწილეობას არავითარ შემთხვევაში არ მივიღებ. მე ვიცი ჩემი შესაძლებლობები და თავს სასაცილო მდგომარეობაში ვერ ჩავიგდებ. ჟიურიში კი, დიდი სიამოვნებით დავჯდებოდი**

**– ვიზუალურად ნამდვილად გეტყობოდა, რომ სიმღერას არა მხოლოდ მღეროდი, არამედ გრძნობდი ბოლომდე.**

– ვიღაც თუ იტყვის, რომ ნინი წიკლაური და ლევან ჯავახიშვილი თამაშობდნენო, მაშინ „ოსკარი” მეკუთვნის და ალპაჩინოსაც ჩავწევ გვერდზე.

**– როგორც აღნიშნე, პროგრამა მინიმუმი იყო ფინალში გასვლა და ეს შეასრულეთ.**

– ჩემი აზრით, ჩვენ პროგრამა მაქსიმუმი შევასრულეთ. შეიძლება, ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ მე და ნინიმ მოვიგეთ ხალხის სიყვარული. პირადად ჩემთვის, ეს არის მთავარი.

**– პროექტის მიმდინარეობისას, ხომ არ გქონია სინანულის გრძნობა, რომ მონაწილეობაზე დათანხმდი?**

– არასოდეს. ძალიან ხშირად მეკითხებიან, რა მოგცა ამ პროექტმაო. ამ პროექტმა ბევრი ახალი მეგობარი მომცა როგორც მონაწილეების, ასევე სტაფის მხრივ. პროექტზე ძალიან კარგი ჯგუფი მუშაობდა და ყველას ძალიან დიდი მადლობა. გუშინ ნინისაც მივწერე, რომ ჩემი პრიზი ხარ შენ-მეთქი. ის არაჩვეულებრივი ადამიანი და ძალიან კარგი მომღერალია. ცოტა მიკვირს ამ ქვეყნის, რადგან ნინი წიკლაურის და ასევე, ანი კეკუას, ნოდიკო ტატიშვილის დონის მომღერლები, ჩემი აზრით, არ უნდა ეძებდნენ სარჩოს ბარებში, რესტორნებში და ასე შემდეგ. ეს ადამიანები დიდ სცენაზე უნდა იდგნენ.

**– „ორი ვარსკვლავის” შემდეგ, ხომ არ გაგიჩნდა სიმღერის გაგრძელების სურვილი, რომელიც, პრინციპში, შენთვის ბავშვობიდან ახლოსაა.**

– ხშირად გამიგია, ამბობენ, ლევანი ბავშვობაში მღეროდაო. ბავშვობაში ყველა მღერის და ყველა დადის მუსიკაზე.

**– თუმცა, ყველა „მართვეში” არ მღეროდა.**

– ზოგი „მართვეში” მღეროდა, ზოგი – „დარიალში,” ზოგი „მზიურში.” ბავშვს რომ ზრდი, მას ან მუსიკაზე შეიყვან, ან ცეკვაზე, ან სპორტზე და ასე შემდეგ. ეს ჩვეულებრივი მომენტია. რაც შეეხება მუსიკალური კარიერის გაგრძელებას, ცოტა ხმამაღალი ნათქვამია ჩემი მხრიდან. თუმცა, თუ ვინმეს ექნება სურვილი, ჩემთან ერთად მუსიკალურ პროექტზე იმუშაოს, დიდი სიამოვნებით. ამავე დროს, ერთი იდეა მაქვს, რომელსაც მარტო ვერ განვახორციელებ, რადგან გარკვეული პროდიუსინგი სჭირდება. ძალიან მინდა ჯგუფის გაკეთება, სახელად „ტელელიპუცები,” რომელიც ძირითადად, ტელევიზიაში მომუშავე ადამიანებით იქნება დაკომპლექტებული. ვნახოთ, ეს ოცნების დონეა და თუ რეალურად განვახორციელებ, ძალიან მოხარული ვიქნები. ამ შემთხვევაში, ნამდვილად არ ვაპირებ სიმღერას – წვიმა მოვიდა, მე შენ მიყვარხარ და ასეთი ტექსტები. უფრო სხვანაირი, კონცეპტუალური პროექტი იქნება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**– მინდა, ესემესებზეც ვისაუბროთ. მართალია, პროეტებში, რომელიც ესემესებზეა დამოკიდებული, მაყურებელი ამესიჯებს, მაგრამ ყველამ იცის, რომ ძირითადად მაინც მონაწილეებისგან შედის მესიჯები. თქვენს შემთხვევაში როგორ იყო?**

– მე არ ვიცი, ვინ როგორ, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვამბობ და ამით მართლა ვამაყობ, რომ მე და ნინის წყვილს საკუთარი ჯიბიდან არც ერთი თეთრი არ გაუღია და ვერც გაიღებდა. ჩვენ ბოლომდე ვიყავით დამოკიდებული მაყურებელზე. თუმცა, ჩვენთან შეთანხმების გარეშე, სამეგობროც აქტიურობდა, როგორც გავიგეთ. ძალიან დიდი მადლობა მინდა, ვუთხრა ჩვენს მეგობრებს გვერდში დგომისა და მხარდაჭერისთვის. განსაკუთრებით ორ ადამიანს გამოვყოფ. ეს არის ია სათირიშვილი, რომელიც ჩემი კოლეგაა, ერთად ვმუშაობთ, თუმცა არაოფიციალურად ჩემი მარჯვენა ხელია. ასევე, ნუცა კოპალიანს მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა, რომელმაც მთელი ამ სამი თვის განმავლობაში, როგორც ეთერში ჩემმა პარტნიორმა და მეგობარმა, ხელი შემიწყო და ამიტანა. ძალიან მეხმარებოდა. მადლობა ყველას, ბაია ცანავას, ჩვენს ჟურნალისტებს, რომლებიც ყოველთვის მამხნევებდნენ. დრო რომ დავაბრუნო, ისევ დავთანხმდებოდი „ორ ვარსკვლავში” მონაწილეობაზე.

**– მაგალითად, „ცეკვავენ ვარსკვლავებში” თუ მიიღებდი მონაწილეობას?**

– „ცეკვავენ ვარსკვლავები” ის პროექტია, სადაც ჩემი ფავორიტი მყავს და ვგულშემატკივრობ. მაგრამ, მონაწილეობას არავითარ შემთხვევაში, არ მივიღებ. მე ვიცი, ჩემი შესაძლებლობები. ვიცი, რომ ცეკვა საშინლად არ გამომდის და შესაბამისად, თავს სასაცილო მდგომარეობაში ვერ ჩავიგდებ. ჟიურიში კი დიდი სიამოვნებით დავჯდებოდი.

**მარიკა ხიდურელი**


## სასწავლო ცენტრი „პროფესიონალი - 2010“

აცხადებს მე-9, მე-11 და მე-12 კლასების მოსწავლეთა მიღებას სასკოლო, საატესტატო და ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებლად 2014-2015 სასწავლო წლისათვის, ყველა საგანში.

**აქცია:** ივნისში ჩაწერილი მოსწავლეებისათვის 50-იანი და 30-პროცენტიანი ფასდაკლება!

**1 საგანი – 25 ლარიდან. იჩქარეთ, ფასდაკლებით მისაღები მოსწავლეების რაოდენობა შეზღუდულია!**

ჩვენი 6-წლიანი გამოცდილება და პროფესიონალიზმი თქვენი წარმატების საწინდარია.

**სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. მოსწავლეები მიიღებიან საბურთალოს ფილიალისთვისაც.**

**მისამართი: ჭოველიძის ქუჩა №5 (ყოფილი ბელინსკი, რუსთაველის მეტროსთან) დიღმის მასივი, რობაქიძის ქუჩა №7. ტელეფონის ნომრები: 555-63-48-01; 2-30-71-13.**

**ვფიქრობ, მარიამ როინიშვილს განსაკუთრებული წარდგენა მკითხველის წინაშე არ სჭირდება. საქართველოში (და არამხოლოდ) ალბათ, არ მოიძებნება ადამიანი, ვისაც, უპირველესად, მის ვოკალურ მონაცემებზე აუგი დასცდება. მას სწორედ ისეთი ვოკალური მონაცემები აქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს ნამდვილ მომღერალს. ამიტომაც შეარჩიეს ის ქართული საეკლესიო საგალობლების შემსრულებლად, რისი პატივიც ყველას როდი აქვს. როგორია გია როინიშვილისა და თამრიკო ჭოხონელიძის ქალიშვილის პროფესიული თუ პირადი ცხოვრება, როგორი დედაა ის და რა ხდება ახალი მის პირად ცხოვრებაში, ამას ინტერვიუდან გაიგებთ.**

# რა შეცდომებს უშვებს ხშირად მარიამ როინიშვილი და რა არ მოქმედებს მასზე

**– შენი ხმა, პირადად ჩემთვის, დამამშვიდებელი აბივითაა. ნელ-ნელა მოდის, მოდის და სულ სხვა სივრცეში გადაჰყავხარ. ესტრადაზე იმდენად ვერ გხედავთ, უფრო კლასიკასა და პოლიფონიურს ასრულებ ხოლმე.**

– დიდი მადლობა, მიხარია თუ ასეა. ეს ჩემი პროფესიაა, მაგრამ სურვილი იმისა, თავი ესტრადისთვის მიმეძღვნა, არასდროს მქონია. სიმართლე გითხრათ, ჩემს თავს საერთოდ უფრო ექიმის ხალათში ვხედავდი, ვიდრე ესტრადაზე. ეს ჩემი აუხდენელი ოცნებაა, თუმცა დღეს უკვე სხვა ოცნებები მაქვს და ვფიქრობ, აუცილებლად ამისრულდება. უბრალოდ, ეს დიდ შრომას და თავდადებას მოითხოვს. საესტრადო სიმღერების შესრულება არ არის ის, რაც დაბადებიდან ჩემ გვერდითაა. უბრალოდ, გამიმართლა და გავჩნდი ისეთ ოჯახში, სადაც სიმღერა მუდამ ისმოდა... როგორც უკვე ვთქვი, ექიმობა მინდოდა, შემდეგ რატომღაც, შეიცვალა ჩემი გადაწყვეტილება და ჩავაბარე კონსერვატორიაში... რაც შეეხება საგალობლებს, ამ მხრივაც განებივრებული ვიყავი ოჯახის მხრიდან. დედა და ბაბუა უშუალო კავშირში იყვნენ ქართულ საგალობლებთან და საერთოდ, ქართულ ფოლკლორთან... შემდეგ უკვე იყო „კირიე ელეისონი", რომელიც ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მე მანდო. დიდი მადლობელი ვარ მისი და უფლის, რომ გავხდი ღირსი, მეგალობა ეს ძალიან კეთილხმოვანი საგალობელი და ეს ბედნიერება დღემდე გრძელდება. ყოველ კვირას სამების საკათედრო ტაძარში ვგალობ.

**– როდის გააცნობიერე, რომ შენ ხარ პოპულარული ადამიანებისგან შემდგარი ოჯახის წევრი?**

– ეს იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა იყო, დიდი გაცნობიერება არ დამჭირვებია... რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ამავე დროს, ძალიან საპასუხისმგებლოც. რასაც სხვას ადვილად აპატიებენ, შენ არ გეპატიება რატომღაც. ამას დადებითი და უარყოფითი მხარეები ალბათ აქვს, მაგრამ მაინც უფრო დადებითი. შენ ხედავ ამდენი ადამიანი ეფერება შენს ოჯახის წევრებს, უყვართ, პატივს სცემენ...

**– როგორ შეხვდი თამრიკოს და გიას დაშორების ამბავს? რა ხდებოდა პირველ ხანებში – შეეგუე, ვერ შეეგუე?**

– არც ერთი ბავშვისთვის არ არის სასიამოვნო, როდესაც დედა და მამა ერთმანეთს შორდება, მაგრამ ეს მათი გადაწყვეტილება იყო. ჯობდა, ასე არ მომხდარიყო, მაგრამ მოხდა. რა თქმა უნდა, ვაცნობიერებდი, პატარა არ ვიყავი. თუმცა, თამრიკოც და გიაც ცდილობდნენ, მე და კოკოს ეს მძაფრად არ გვეგრძნო და სტრესი არ მიგვეღო. საკუთარ განცდებზე მეტს ვერაფერს გეტყვით, რადგან მხოლოდ ჩემია.

**– და მოხდა ისე, შენც დაშორდი ქმარს. მართალია, ეს არსად გითქვამს, მაგრამ მე ვიცი, რომ ეს ასეა. რაც ცხადია, ძალიან ცუდი ფაქტია. ნანობ რამეს – ამ ადამიანთან თანაცხოვრებას ან დაშორებას?**

– ეს არის კითხვა და საკითხი, რომელზეც არ ვლაპარაკობ და არც ვილაპარაკებ... პირადი იმიტომ ჰქვია, რომ პირადია. რაც შეეხება სინანულს, მე მყავს შვილი და შეიძლება, რამე ვინანო? რა თქმა უნდა, არაფერს ვნანობ. გვერდით ოჯახი მიდგას და ისინი ყველანაირად მეხმარებიან, რომ გავაკეთო ის საქმე, რასაც ვაკეთებ და ძალიან მიყვარს. ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი, უპირველესად, დედას.

**– როცა რაღაც პრობლემა გაქვს, ძალიან გინდა, ვიღაცას უთხრა, რჩევა მიიღო და გული დაიმშვიდო. როგორ იქცევი, ვის ელაპარაკები?**

– დედაჩემიდან დაწყებული, ჩემი დეიდები, ბებიაჩემი, მამაჩემი, ჩემი ძმაც, არაჩვეულებრივი მოსაუბრეები არიან და კარგი მოსმენა იციან. თუ ვხვდები, რომ ვინმეს დახმარება მჭირდება, აუცილებლად ვეკითხები რჩევას რომელიმე მათგანს. მაგრამ, უფრო ხშირად თავად ვწყვეტ პრობლემებს.



**დაე, იყოს ყველაფერი ისე, როგორც არის, თავისი ცუდით და კარგით**

**– როგორ წარმოგიდგენია ამ გადასახედიდან შენ რომ პოპულარული ოჯახიდან და თავადაც პოპულარული გოგო არ იყო, როგორ წარიმართებოდა შენი ცხოვრება?**

– არაფერს შევცვლიდი. დაე, იყოს ყველაფერი ისე, როგორც არის – თავისი ცუდით და თავისი კარგით. ერთი რამ ვიცი ზუსტად, რომ ჩემი ოჯახის წევრებით ისევე ვიამაყებდი, როგორც დღეს ვამაყობ.

**– რა გინდა ახლა ყველაზე მეტად?**

– უპირველესად, მე ვარ დედა და მინდა, ვუყურებდე ჩემი შვილის ბედნიერ მომავალს ბედნიერ ქვეყანაში. ზოგადად, მინდა, რომ ადამიანები ჯანმრთელები იყვნენ! კიდევ ბევრი სურვილი მაქვს, მაგრამ ყველას ხომ ვერ ჩამოვთვლი.

**– შეცდომებს ხშირად უშვებ და მერე ნანობ?**

– უშეცდომო ადამიანი არ არსებობს. რა თქმა უნდა, მეც ვუშვებ შეცდომებს, ისე როგორც ყველა. მე იმ ადამიანებისაც არ მესმის, ვინც სხვის შეცდომებზე სწავლობს... ცოტა არ იყოს, ამაზე მეცინება. ერთხელ დაშვებულ და გააზრებულ საკუთარ შეცდომას, მეორედ და ხანდახან, მეტჯერაც უშვებენ. რას ვნანობ?.. ჯერჯერობით ისეთი არაფერი გამიკეთებია, რომ სანანებელი გამხდომოდა, უბრალოდ, ყოფილა შემთხვევა, მითქვამს: ალბათ, ჯობდა, სხვანაირად მოვქცეულიყავი – ეს ასე კი არა, ისე გამეკეთებინა.

**– ჭორები, ეს არის თემა, რითაც საქართველოში დაკავებულია ყველა, პატარა თუ დიდი. როგორ იღებ ჭორებს?**

– ძირითადად, მეცინება. თუმცა, არ მახსენდება ისეთი განსაკუთრებული ჭორი საკუთარ თავზე ან ოჯახზე, რასაც შეიძლებოდა, ძალიან გავეღიზიანებინე და წყობიდან გამოვეყვანე. არ ვაქცევ ყურადღებას. ჭორები ბუნებრივი მოვლენაა, თუ ოდნავ ცნობილი მაინც ხარ. სხვაზეც რომ ვიგებ რაღაც ჭორს, მაშინაც მეცინება და ვფიქრობ, საიდან მოსდით ასეთი აზრები თავში.

**– გამომდინარე იქედან, რომ ძალიან მორწმუნე ხარ, ისევე როგორც შენი ოჯახი და საეკლესიო საგალობლებს ასრულებ, თუ გაგჩენია რაღაც მომენტში სურვილი, მონასტერში წასვლის? ალბათ, ეს განცდა ბევრ ადამიანს ჰქონია ცხოვრებაში?**

– ეს ის ნაბიჯია, რომელიც ჩემში საოცარ განცდებს აღძრავს. ალბათ, ყველა ადამიანს უფიქრია ამაზე, თუმცა ასეთი ნაბიჯის გადადგმა ძალიან რთულია, უდიდეს პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული. მაგრამ, სადაც რწმენაა, იქ ყველაფერი გასაგებია.

ეს ფიქრი გადაწყვეტილებამდე არ მისულა.

**– ძალიან მშვიდი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ.**

– სინამდვილეში, არ ვარ მშვიდი.

**– მართლა? აბა, ფეთქებადი ხარ?**

– არა, ეს არ მიგულისხმია, უბრალოდ, არ ვარ ზედმეტად მშვიდი და უსიტყვო, რომელსაც მარტოობა უყვარს. მოკლედ, ზედმეტად გაწონასწორებული ვარ.

**– ბავშვის გაზრდაში, ალბათ, ოჯახი ან ძიძა გეხმარება, თუ მთლიანად შენს თავზე აიღე ელენეს გაზრდა?**

– ბავშვის გაზრდა, ზოგადად, რთულია. თან, ელენე საკმაოდ რთული ბავშვია იმ მხრივ, რომ თითქმის ორი წელი არ სძინებია. თუმცა, ბევრი ადამიანი მყავდა გვერდით, ვინც მიადვილებდა ყოფას ელენესთან მიმართებაში.

**ეკა პატარაია**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**



# რატომ აბნევს ზოგიერთ მამაკაცს სიყვარული და აშვებინებს სერიოზულ შეცდომებს

**მამაკაცების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს შეუძლია, უყვარდეს გულწრფელად და შეეძლოს ამ სიყვარულისთვის მსხვერპლის გაღება. ანუ, უარი თქვას პირად ეგოიზმზე და იცხოვროს საყვარელი ადამიანისთვის – ასე ფიქრობენ ქალები და ხშირ შემთხვევაში, მართლებიც არიან. თუმცა, ყველაფერი ასე მარტივადაც არ არის. კაცებს უნდათ, რომ უყვარდეთ. უნდათ, იყვნენ ერთგულები და გულწრფელები, მაგრამ ყოველთვის არ გამოსდით. შეიძლება, ამის მიზეზი თვით ბუნებაა, მაგრამ ეს კაცებს პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს. მათ მეტი უნდა იფიქრონ... კიდევ უფრო მეტი და მოერიონ სურვილს მრავალფეროვნებისკენ ლტოლვისას, რადგან დგება მომენტი, როცა მათაც ესტუმრებათ სინანული და იმედგაცრუება...**

**დიტო** *(37 წლის):* სიყვარული ძალიან სასტიკი რამეა და ამ გრძნობისგან, ძირითადად, მამაკაცები ვზარალდებით. იკითხავთ, რატომო?! დარწმუნებული ვარ, რომ საპირისპიროს მტკიცებას დაიწყებთ. ყველას თავისი სიმართლე აქვს, მაგრამ მე ჩემი მაგალითით ვმსჯელობ. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, ეტყობა, ეს ყველაფერი დავიმსახურე-მეთქი. იყო პერიოდი, როცა არ ვფიქრობდი საკუთარი საქციელის შედეგებზე და ძალიან ვატკინე გული არაჩვეულებრივ ადამიანს. ვნანობ ამას, თუმცა ახლა, ალბათ, უკვე გვიანაა.

**– ტკენაში, ალბათ, უპასუხო სიყვარულს გულისხმობთ?**

– მთლად ასეც არ არის საქმე. არ ვცდილობ, მშრალად ამოვიდე წყლიდან. ეს კიდევ უფრო არაკაცური საქციელი იქნება... გავიცანი და ეგრევე შემიყვარდა. იცით, რა მაოცებდა და ახლაც მაოცებს? – ერთი წუთითაც კი არ მქონია ყოყმანის მომენტი. თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო, უნდა მყვარებოდა და ამისთვის ვიყავი დაბადებული. ყოველთვის მებრძოლი, ძლიერი, ავანტიურისტი გოგოები მომწონდა, რომლებიც სიტყვას არავის შეარჩენენ და ვალში არ დაგრჩებიან. არიან თავისუფლები, გახსნილები... ზუსტად ასეთი იყო, თანაც სხვა კაცი ჰყავდა გვერდით.

**– ამას არ ჰქონდა თქვენთვის მნიშვნელობა?**

– თეორიულად ჰქონდა. ვიცოდი, რომ არ უნდა შემეყვარებინა და საერთოდ არ უნდა გადავღობებოდი გზაზე. მაგრამ...

**– ანუ, თქვენი სიყვარული თავიდანვე იყო მარცხისთვის განწირული.**

– არ გინდათ, ასე მკაცრად. რატომ მტკენთ გულს, ისედაც ძალიან ცუდად ვარ. ის ჩემი ოცნების ქალი იყო, ყველა „პარამეტრითა და კრიტერიუმით“. ოცნებაზე კი უარს ასე ადვილად არ ამბობენ. ეტყობა, მეტისმეტად მოვინდომე... სიყვარული მოვინდომე, რომლის შედეგებზეც ველარ ვიფიქრე. ზოგადად, კაცებს გვიჭირს შედეგებზე ფიქრი. ამ მხრივ, ჩვენი ლოგიკაც რთულად მუშაობს. უნდა ვაღიაროთ, რომ ხშირად ინსტინქტს ავყვებით ხოლმე. რა ვქნათ, ასეთი ბუნება გვაქვს.

**– მერე ისევ თქვენ წუწუნებთ, რომ სიყვარულში არ გიმართლებთ?**

– არ ვწუწუნებ, გული მტკივა. მართლა არ ვიმსახურებდი იმას, რაც ბოლოს დამემართა. სტერეოტიპია, თითქოს კაცები ადვილად ვიცვლით პარტნიორებს და ეს ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს. სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემს შემთხვევაში, ასე არ ყოფილა. როცა სიყვარული მართლა მოვიდა, მერე გაცილებით მეტს მივხვდი. მაგალითად, ისიც აღმოვაჩინე, რომ ქალები არც ისეთი ანგელოზები და გულუბრყვილონი არიან, როგორებადაც თავს გვაჩვენებენ... გაცნობის პირველ დღეებში მოჯადოებული ვიყავი და მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, ასეთი ბედნიერება რითი დავიმსახურე-მეთქი. მეგონა, მისთვის სიყვარული ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თურმე, ვცდებოდი – ისე ცხოვრობდა, როგორც მოეწონებოდა. არავის აზრი არ აინტერესებდა, მათ შორის არც ჩემი. არადა, სხვას ვხვდებოდი მასთან შეხვედრამდე. ის თითქმის ჩემს საცოლედ მიიჩნევდა თავს. იძულებული გავხდი, რაღაც პერიოდის განმავლობაში მატყუარად ვქცეულიყავი. მრცხვენია, ამას რომ ვამბობ. ეგოისტურად მოვექეცი და ეგოისტურად მომექცნენ მეც... ოღონდ წარმოუდგენლად ეგოისტურად მომექცა...

**ერთი წუთითაც არ მქონია ყოყმანის მომენტი. უნდა მყვარებოდა, ეს ასე უნდა ყოფილიყო, ამისთვის ვიყავი დაბადებული**

**– ბუმერანგის პრინციპმა იმუშავა... არა?**

– თუ ამას ნიშნის მოგებით ამბობთ, უკვე საკმარისად დავისაჯე. ცოლად შევირთე საკუთარ თავზე შეყვარებული არსება, რომელსაც მე საერთოდ არ ვაინტერესებდი. მერე მითხრა: იმიტომ გამოგყევი, რომ საკუთარი თავისთვის დღესასწაულის მოწყობა გინდოდაო... გავერთეო – წარმოგიდგენიათ? აღარ მოვყვები, როგორ იქცეოდა სახლში – პრეტენზიები, ბრძანებები, შენიშვნები და მოთხოვნები... თანაც, კატეგორიული ტონით. მე ავადმყოფურად ვიყავი მასზე მიჯაჭვული. ამას სიყვარული უკვე აღარ ერქვა. მეშინოდა იმის, რომ ერთ დღესაც ჩემ გვერდით აღარ იქნებოდა. დამცინებთ, მაგრამ ვიღვიძებდი ემოციებით დაღლილი, განადგურებული და დანგრეული... გონების ხანმოკლე გამონათებების დროს ვხვდებოდი, რომ ეს ადამიანი ჩემ გვერდით არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ საკუთარ თავს ვერაფერს ვუხერხებდი. გავწამდი. ვფიქრობდი, თუ სიყვარული ასეთი სასტიკი და შეუბრალებელია, სერთოდ რაში მჭირდება-მეთქი.

**– თქვენს საცოლეს დაშორდით. მისთვის ხომ იყო ეს მტკივნეული?**

– რა თქმა უნდა. ამაზე ძალიან ვწუხვარ. მისასვლელი პირი არ მაქვს, თორემ მუხლებში ჩავუვარდებოდი და პატიებას ვთხოვდი. ძალიან დავაშავე, მაგრამ ამან, მე კიდევ უფრო მეტად დამაზარალა. დავკარგე ადამიანი, რომელსაც ესმოდა ჩემი და ცხოვრება ეგოისტ, არაპროგნოზირებად, უპასუხისმგებლო ქალს დავუკავშირე. ისე მექცეოდა, როგორც არარაობას. შეეძლო, უმნიშვნელო წვრილმანზე ქვეყანა დაექცია. ატეხდა წივილ-კივილს და საერთოდ არ აინტერესებდა, სად იყო ამ დროს. მოურიდებლად მლანძღავდა ყველგან, ყველასთან და ყველაზე საშინელი, დამამცირებელი სიტყვებით. მეორე წუთში კი ისე მომეხუტებოდა, თითქოს ჩემზე ძვირფასი არავინ ჰყავდა. მეც, უთავმოყვარეო სულელი, ენაჩავარდნილი მისი გაღიმებისთვის ყველაფერს ვაკეთებდი. თავისუფალი სიყვარულის მომხრე ვარო, სიცილით ამბობდა და დიდხანს ვერ ვხვდებოდი, რას გულისხმობდა ამაში. ვერ წარმოვიდგენდი, რომ შეეძლო, სხვა კაცსაც უპრობლემოდ ჩაწოლოდა ლოგინში. მე სულ მიკვირდა, როგორ ხუჭავენ კაცები თვალს ცოლების ღალატზე, ასეთი შეურაცხყოფის პატიება როგორ შეიძლება-მეთქი.

**– ქალი რომ აპატოებს კაცს ღალატს, ეს ნორმალურად მიგაჩნდათ?**

– ვერ მოგატყუებთ და ვერ გეტყვით, რომ მთლად არანორმალურად მიმაჩნდა. ახლა არ მომწონს ეს ამბავი და სირცხვილად ვუთვლი საკუთარ თავს. ახლა ვაცნობიერ-

# ლია ხუციშვილი – ნათელმხილველი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

## ნათელმხილველი, ვისზეც თბილისში ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა

***ლია ხუციშვილი** დღეს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნათელმხილველია. სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ამ ფენომენალური უნარით არის დაჯილდოვებული და მასზე საოცარ ისტორიებს ყვებიან. ქალბატონი ლიას შესახებ ქართულ პრესაში ძალიან ბევრჯერ დაწერილა, რადგან მომავლის განჭვრეტასა და ბოროტი ძალების განეიტრალებაში, მართლაც არ ჰყავს ბადალი. ამაში კი თავადაც დარწმუნდებით, თუ თქვენი პრობლემების მოგვარებას მიანდობთ. ლია ხუციშვილის მიერ ჩატარებული სეანსები უკეთესობისკენ შეცვლის თქვენს ცხოვრებას – გაიხსნით ჩაკეტილ პირად ცხოვრებას, მოიზიდავთ ბარაქას, დაძლევთ წარუმატებლობას და მიაღწევთ ფინანსურ წარმატებებს.*

**– ქალბატონო ლია, რას მოიცავს თქვენი ნათელხილვები?**

– ყველა იმ პრობლემას, რაც აწუხებს ადამიანს. ვმუშაობ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, ბარაქის მოზიდვასა და ეკონომიურ პრობლემებზე, ვკურნავ შიშებს, ნევროზს. პროცედურები განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების მეშვეობით, რომელსაც რამდენიმე წელია, სხვადასხვა კომპონენტის შემადგენლობით ვამზადებ. მათი გამოყენების შემდეგ, ადამიანის ცხოვრება თავისუფალი და გახსნილია უკეთესობისკენ. ჩვენ ნეგატიურად დამუხტულ გარემოში გვიწევს ცხოვრება, ამიტომაც ყველანაირად უნდა ვეცადოთ, დავამარცხოთ ბოროტი ძალა, გავიხსნათ ბედი და მოვიზიდოთ წარმატებული მომავალი.

***ლია ხუციშვილთან** ყოველთვის ხალხმრავლობაა, ზოგიერთები, ვისაც ქალბატონი ლია ცხოვრების რთული ეტაპის გადალახვაში დაეხმარა, აქ მადლიერების სათქმელად არის მოსული. ზოგი კი, აქ პირველადაა, მაგრამ ნათელმხილველის ფენომენალური უნარის შესახებ საკუთარ შთაბეჭდილებებს არ მალავს. ჩვენ გავესაუბრეთ ამ ადამიანებს.*

**ქეთინო ნ-შვილი** *(47 წლის, თბილისი):* მე რომ პრობლემა მქონდა, მტერს არ ვუსურვებ. არ ვიცოდი, ჩემი საშველი თუ არსებობდა. ერთ-ერთ გადაცემაში შევიტყვე ლიას შესახებ და აქეთ გამოვეშურე. დამინახა თუ არა, მაშინვე უთხრა ხალხს, ამ ქალს რიგში ნუ ჩააყენებთ, პირდაპირ გამოუშვით ჩემთან, ისეთი დიდი პრობლემა აქვსო. განვმარტოვდით თუ არა, სიტყვასიტყვით მითხრა, რა მდგომარეობაშიც ვიყავი. ისეთი სიზუსტით აღწერა ყველაფერი, ვიფქირე, ადრეც ხომ არ შევხვედრივარ-მეთქი. მითხრა, შენი ქალიშვილი ძალიან ცუდად არის, რადგან ქმარმა მიატოვაო. გაკვირვებული დავრჩი. მე არც მინდოდა, ყოფილი სიძის უკან დაბრუნება, მაგრამ ვხედავდი, როგორ იტანჯებოდა ჩემი შვილი და სხვა რა გზა მქონდა? როგორც ლია დამპირდა, სულ სამი-ოთხი შეხვედრა დაგვჭირდა და ყველაფერი ძველებურ რეჟიმში ჩადგა: ჩემი სიძე ცოლ-შვილს დაუბრუნდა, ბოდიშებით, თავგზა ამებნა და უნდა მაპატიოთო. ამის შემდეგ დავიჯერე ლია ხუციშვილის ძალა. დღესდღეობით ის თბილისში ყველაზე ძლიერი ნათელმხილველია.



**მარინა პ-ძე** *(53 წლის, ქუთაისი):* ლია ხუციშვილის შესახებ ჩემი მეზობლისგან შევიტყვე. ის მომიყვა, როგორ დაეხმარა დაკარგული შვილის მოძებნაში სომეხ ბიზნესმენს, რომელიც სომხეთის პრეზიდენტის კარზე ძალიან გავლენიანი კაცი ყოფილა. ჩემი მეზობელი იმ ბიზნესმენის ნათესავია და მითხრა: იმ კაცმა ლია ერევანში წაიყვანა. მადლიერების ნიშნად რას აღარ ჰპირდებოდა. მის გარეშე ნაბიჯს არ დგამდა და უკან აღარ უშვებდაო. ეს რომ გავიგე, მაშინვე თბილისისკენ წამოვედი. ჩვენს ოჯახს ძალიან დიდი ფინანსური პრობლემები ჰქონდა. ისეთი უბარაქობა დაგვემართა, თავი ძლივს გაგვქონდა. ამას ისიც დაემატა, რომ ყველა უმუშევარი დავრჩით. ლიამ ბარაქაზე შემილოცა, მომცა სპეციალური თილისმები, რომელსაც ორი თვე ვატარებდით ოჯახის წევრები. ამის შემდეგ ჩვენი საქმეები წინ და წინ წავიდა.

**მერაბ ვ-შვილი** *(63 წლის, თელავი):* ამ ქალბატონთან ჩემმა ცოლმა მომიყვანა. უჩემოდ იყო ჩამოსული და ასე უთქვამს, შენს ქმარზე საგვარეულო ჯადოა გადასული და ხელი იმიტომ არ გემართებათო. შემჭამა ჩემმა ცოლმა, სანამ აქ არ მომიყვანა – ერთი თვეა, დავდივარ. ვიცავ ყველაფერს, რაც ქალბატონმა ლიამ გვასწავლა და ჩვენი საქმეები წინ მიდის. ბიჭმა, რომელიც 40 წელს არის გადაცილებული, ცოლი მოიყვანა, ქალიშვილი – სამსახურში აიყვანეს. აი, ამას ჰქვია ნათელმხილველი.

**ქალბატონ ლიასთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონებზე:**
**5 93 21 52 33; 5 55 97 44 21**
**(ჩაწერა წინასწარ)**

**თამარ ჩხენკელი**

---

ებ, რომ ღალატი ქალს და კაცს ზუსტად ერთნაირად სტკივა. მაპატიეთ, ამას რომ ვამბობ. გულწრფელად ვწუხვარ ჩემი არასწორი მოსაზრებებისა და ფიქრების გამო. თუ ეს ვინმეს დაამშვიდებს, უკვე სრულად მომეზღო.

**– თქვენ ამას ყოფილი საცოლის გასაგონად ამბობთ?**

– ყველას გასაგონად ვამბობ და კონკრეტულად ვინ მიიღებს ამას საკუთარ თავზე, ეს უკვე აღარ ვიცი. მართლა ძალიან

## ავადმყოფურად ვიყავი მასზე მიჯაჭვული. ამას სიყვარული აღარ ერქვა

ვნანობ, მცდარი ნაბიჯი რომ გადავდგი. ბევრჯერ ვუთხარი საკუთარ თავს: მოშორდი ამ ცივსისხლიან, ყინულის არსებას-მეთქი, მაგრამ უცებ ისეთ ვნების ფოიერვერკს მომიწყობდა, ეგრევე მავიწყდებოდა ყველა წყენა. უნებისყოფო აღმოვჩნდი სიყვარულის წინაშე და აღარ მიკვირს, როგორ მიდიან ამ გრძნობის გავლენით ადამიანები რადიკალურ ქმედებებზე.

**– სუიციდს ხომ არ გულისხმობთ?**

– ღმერთმა დამიფაროს, თუმცა თქვენც ხომ იცით არაერთი შემთხვევა, როცა ადამიანები სიყვარულს თვითმკვლელობამდე მიუყვანია.

**– იმის თქმა გინდათ, რომ სიყვარული სახიფათოა?**

– ისეთი სიყვარული, მე რომ დამემართა, უსაფრთხო ნამდვილად არ არის. დამაბრმავა და საკუთარი მე დამაკარგინა. ოღონდ, არ იფიქროთ, რომ ჩემს ცოლს ვაბრალებ რამეს. ის ისეთია, როგორც არის. მე უნდა შემრჩენოდა საღი აზრი და გონება. ერთ წამში ეცვლება გუნება-განწყობა და ამით მაგიჟებს. ეჭვმა დამაავადა. სულ ვკანკალებ, როცა ტელეფონი ურეკავს ან მესიჯი მოსდის. ვიცი, რომ არ შეიძლება მისი ნდობა. საოცრად არაპროგნოზირებადია. ვერავინ იტყვის, ხვალ რა აზრი მოუვა თავში და რას მოიმოქმედებს. როცა ამ თემაზე ველაპარაკები, დამცინის და მხრებს იჩეჩავს, ეს შენი პრობლემააო. ბავშვის გაჩენაზე ჩამოვუგდე ლაპარაკი და ჯერ ამისთვის მზად არ ვაროო.

**– ფიქრობთ, რომ ბავშვით მიაჯაჭვებთ ოჯახს?**

– არა. მიჯაჭვულობაზე ლაპარაკი არ არის. იქნებ მეტი პასუხისმგებლობა გაუჩნდეს. გავშორდებოდი და ალბათ, ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, მაგრამ ვერ გავძლებ მის გარეშე. არ შემიძლია...

**დალი მიქელაძე**

---

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**როგორ ავუხსნა ჩემს საქმროს, რომ სხვა შემიყვარდა. რა ვქნა, ყველაფერი ძალიან მოულოდნელად მოხდა. მართალია, ქორწილი ჯერ დანიშნული არ გვქონდა, თუმცა დანაშაულის განცდა მაინც მაქვს. მაგრამ, სიყვარული სიყვარულია და მასზე უარის თქმას არ ვაპირებ. ძალიან მინდა, ყველაფერი ისე ავუხსნა ყოფილ საქმროს, რომ კორექტულად გამოვიდეს და გულიც არ ვატკინო.**

**გამოხმაურება:** საკმაოდ რთული სიტუაცია გაქვთ. გული არ ვატკინო – მხოლოდ სათქმელად არის ადვილი. რეალობა გაცილებით მძიმეა. მაგრამ, საქმროს მაინც გულახდილად უნდა დაელაპარაკოთ, თანაც მალევე. ეს გარდაუვალია.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**ბავშვობიდან მახსოვს სიუჟეტი თუ დოკუმენტური ფილმი 5-6 წლის ნიჭიერ გოგონაზე, რომელიც ხელის ერთი მოსმით ხატავდა. ისე მომეწონა, ისეთი დიდი ემოცია გამოიწვია ამ ყველაფერმა ჩემში, რომ ეს კადრები დიდხანს მესიზმრებოდა... ის ნიჭიერი ბავშვი რუსუდან ფეტვიაშვილი გახლდათ. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ წლების შემდეგ მასთან ინტერვიუს ჩაწერის პატივი მექნებოდა და, მისი მითოლოგიური, როგორც თვითონ ამბობს, „იგავური" ფიგურებით სავსე სამყაროში ვიმოგზაურებდი.**

# როგორ ხდებიან თეთრი სახლის მესვეურები რუსუდან ფეტვიაშვილის ნახატების მფლობელები და რომელ პრეზიდენტს აქვს მისი ნახატების კოლექცია

**რუსუდან ფეტვიაშვილი:** ხატვა წლისა და 10 თვის ასაკში დავიწყე. 4 წლისას პირველი გამოფენა მქონდა, 6 წლის ასაკში ჩემი პირველი პერონალური გამოფენა მოეწყო, რომელიც ელენე ახვლედიანმა გახსნა. 8 წლისას მოსკოვში მქონდა ორი პერსონალური გამოფენა. 12 წლის ასაკში, ისევ მოსკოვში, ძალიან დიდი გამოფენა მომიწყვეს – დაახლოებით 200 ნამუშევარი მქონდა გამოფენილი. ეს გამოფენა ორკვირიანი უნდა ყოფილიყო და 3 თვე ვერ დახურეს, იმდენი დამთვალიერებელი მოდიოდა. ამის მერეც ძალიან ბევრი გამოფენა იყო როგორც ქვეყნის შიგნით, ისე – გარეთ. მახსოვს, თბილისში ძალიან კარგი გამოფენა მქონდა თემო გოცაძესთან. მაშინ ბილეთები იყიდებოდა. ბატონმა თემომ დამიძახა და მითხრა: შენ ათი წლის გეგმა შეგვასრულებინე, იმდენი ბილეთი გაიყიდა, ამიტომ, ჩვენც გვინდა, მადლობა კარგი ჟესტით გამოვხატოთ და გამოცდის გარეშე დაგიშვათ აკადემიაშიო. მართლაც, გამოცდის გარეშე გავხდი სამხატვრო აკადემიის სტუდენტი – ასეთი სიკეთე გამიკეთეს. ამის შემდეგ „ქართული ხალხური ზღაპრებისა" და „ვეფხისტყაოსნის" გაფორმება მომიწია პარიზში.



თბილისში ძალიან კარგი გამოფენა მქონდა თემო გოცაძესთან. მაშინ ბილეთები იყიდებოდა. ბატონმა თემომ მითხრა: შენ ათი წლის გეგმა შეგვასრულებინე, იმდენი ბილეთი გაიყიდა; ამიტომ, ჩვენც გვინდა, მადლობა კარგი ჟესტით გამოვხატოთ და გამოცდის გარეშე დაგიშვათ აკადემიაშიო

**– ყველაფერს ისე ადვილად ყვებით, თითქოს ნებისმიერ მსურველს შეეძლოს ამ ყველაფრის მიღწევა...**

– ყველაფერს თავისი სიძნელეები ჰქონდა, მაგრამ, ეს სიძნელეები ხან ილახება, ხან – ვერა.

**– დღეს როგორ ცხოვრობთ?**

– ბევრს ვმუშაობ ძალიან. რამდენიმე წლის წინ მე და ჩემმა მეგობარმა გავხსენით ბათუმში „არტ გალერი-კაფე." მთელი ჩემი დანაზოგი მასში ჩავდე, არადა, თბილისში არც სახლი მაქვს, არც სახელოსნო. თბილისშიც მქონდა გალერეა, რომელიც ბატონ ზურა ჟვანიას ეგიდით გაკეთდა, მაგრამ, რეკონსტრუქციაში მოყვა და ჯერჯერობით ქალაქპროექტის შენობაში ვართ.

**– გაიხსენეთ თქვენი მისამართით ნათქვამი ყველაზე მნიშვნელოვანი კომენტარი.**

– ომის პერიოდი იყო... რუსთაველზე თანამედროვე ხელოვნების გალერეა მდებარეობდა. მთხოვეს გამოფენის მოწყობა – ბევრი ხალხი მოვა და, ეგებ, შევინარჩუნოთო. ერთი თვით გავაკეთეთ გამოფენა. იცით, ეს რომელი პერიოდი იყო, ტრანსპორტი რომ არ მოძრაობდა ქალაქში. ბევრი ხალხი დაესწრო გახსნას. მახსოვს, ლია ელიავა მოვიდა თვალებაცრემლებული და მითხრა: ძალიან დიდი მადლობა, რომ საქართველოდან არ წახვედითო. ასეთ მძიმე პერიოდში ყველამ დატოვა საქართველო, ვისაც კი შეეძლო და შანსი ჰქონდა, თქვენ კი, ვიცი, რომ შანსი გქონდათ, და არ წახვედით, ძალიან დიდი მადლობა ამისთვისო. იმავე გამოფენაზე იყო ნოშრევან თავხელიძე – ნუ ჩქარობ! ნუ ჩაერევი ამ დედამიწისეულ ორომტრიალში! მშვიდად გააკეთე შენი საქმეო – მითხრა. ეს ორი ადამიანი დამამახსოვრდა იმ რთული პერიოდიდან.

მართლაც, მქონდა პანიკის გრძნობა, იმის გამო, რომ ომია... საერთოდ, ხელოვნება არსებობს იმ შემთხვევაში, თუ ნაწილობრივ მაინც სიმშვიდეა. სიმშვიდის გარეშე ხელოვნება თითქმის არ არსებობს. თუმცა კი, ომის პერიოდებში პალტოთი ვიჯექი და უზარმაზარ ტილოებზე ვმუშაობდი. ახლა ყველა ის ტილო ამერიკაშია წაღებული.

**– რა არის დამახასიათებელი ყველა თქვენს ნახატში?**

– მრავალფიგურიანია ჩემი ნახატები, ბევრი ისტორიაა შიგ ჩადებული და ძალიან მიყვარს რომ არის სავსე. მე რასაც ვგრძნობ ყოველთვის ის გადმოდის იმ ნამუშევარში. ვთქვათ, ადამიანის გამომეტყველება, ან სევდა, ან თხოვნა. იყო ნახატი, რომელიც 1992 წელს ეძღვნებოდა. სამწუხაროდ, ეს ნამუშევარი დღეს გაყიდულია.

**– ძნელი არაა შეელიო ასეთ მნიშვნელოვან ნამუშევარს?**

– ყველა ნამუშევარი მნიშვნელოვანია და არც ერთი არ ღირს იაფი, აქედან გამომდინარე, როცა ვიცი, რომ ადამიანს მოსწონს ის, რაც მეც მომწონს და მასში არ ენანება ფულის გადახდა, მე ვფიქრობ, რომ ის მოუვლის ჩემს ნახატს და იმასაც ჩემნაირი გრძნობა გაუჩნდა ჩემი ნამუშევრის მიმართ. თავისთავად დასაფასებელია, როცა ადამიანს ის მოსწონს, რაც – შენ, ყიდულობს და მიაქვს სახლში.

**– რომელი ცნობილი ადამიანები არიან თქვენი ნახატების მფლობელები?**

– ძალიან ბევრ ცნობილ ადამიანს აქვს ჩემი ნახატები, – მარგარეტ ტეტჩერს, ჯორჯ ბუშს...

**– ტეტჩერს სად შეხვდით?**

– როდესაც თბილისში იყო ჩამოსული, მაშინ გამოფენა მოაწყვეს სპეციალურად. ამ გამოფენაზე გადავეცი ჩემი სურათი. დამამახსოვრდა, რომ ძალიან დიდი პიროვნული სიძლიერე მოდიოდა ამ ქალისგან, გახსნილი მზერა ჰქონდა და ძლიერი ძალიან. ეს დამამახსოვრდა, ასე ვთქვათ, ფიზიკური შეგრძნების დონეზე. ბუშს რაც შეეხება ვიცი რომ, როდესაც ის საქართველოში ჩამოვიდა, მე მაშინ გერმანიაში ვიყავი, ჩემი ნახატი შეიძინეს და გადასცეს მას საჩუქრად. ძალიან ბევრ ჩემს ნამუშევარს ყიდულობენ, მიაქვთ თეთრ სახლში და ვიცი, რომ ამერიკის ბევრი მინისტრი ჩემი ნახატების მფლობელია. პრეზიდენტებსაც აქვთ, ალიევს აქვს ძალიან დიდი კოლექცია ჩემი ნახატების, ასევე ეკვადორის ექს სახლახო მრჩეველს, კიდევ ძალიან ბევრ ელჩს... ყველა არ მახსენდება. ალბათ იმიტომ, რომ ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. იტალიაში როდესაც მქონდა გამოფენა, მახსოვს, შემოვიდა ერთი ადამიანი, რომელიც იყო ყოფილი მფრინავი, უკვე პენსიაში მყოფი. ის ერთ ნახატთან დადგა და თქვა: ეს ნახატი მინდა, რომ ჩემი იყოს! არადა ის ნახატი ღირდა ძვირი. იმდენად საშინლად მოეწონა, თავიდან ბოლომდე რომ იგრძნობს ადამიანი ნახატში რაც ჩავდე. მასზე გამოსახული იყო ხელებგაშლილი ადამიანი, რომელიც მინდვრებზე მიფრინავს და ამ ადამიანმა რატომღაც თავის თავთან ასოცირება მოახდინა ამ ნახატის. დღეების განმავლობაში მოდიოდა. მე მაგდენი ფული არ მაქვსო თქვა და იდგა და იდგა ამ ნამუშევართან, სხვაგვარად არ შემიძლია – ეს ნამუშევარი ჩემი უნდა გახდესო. ვაჩუქე ბოლოს. წამოვედი და დავტოვე ბედნიერი. მსგავსი ისტორიები გადამხდა ინგლისში და ესპანეთშიც. ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებმაც ჩემი ნამუშევარი ძალიან დააფასეს, ასეთები კი ყველა მამახსოვრდება. ეს უფრო მნიშვნელოვანია.

**– ოჯახზე მიამბეთ.**

– მყავს მეუღლე, შვილები არ გვყავს. დიდ ოჯახს რაც შეეხება, 5 და-ძმა ვართ. ჩემი ძმა, გიორგი, ერთადერთია ჩვენ შორის, ვინც ხელოვნებას არ გაჰყვა.

**– მეუღლე რა პროფესიისაა?**

– მეუღლე პროფესიით რეჟისორია, არის თოჯინების თეატრის დირექტორი. ჩემს მშობლებს რაც შეეხება, მამა წელს პენსიონერი გახდა, მანამდე აკადემიაში ასწავლიდა; დედა კი არის ლიტერატორი, მთარგმნელი, მწერალი და სალიტერატურო ნაწილის გამგე თეატრში.

**– რუსუდანი რატომ დაგარქვეს?**

– დედაჩემის დედის სახელია. მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოვესწარით, გვიყვარდა. იმდენ თბილ ისტორიას გვიყვებოდა დედა მასზე. ნინო, ქეთი და ანა – ეს სამი სახელი მომწონდა ძალიან. მერჩივნა, რომ მათგან რომელიმე მრქმეოდა. რუსუდანი ჩემთვის ძალიან სერიოზული სახელია. ცუდი კი არაა, მაგრამ, მე მინდოდა უფრო მოფერებითი... დედაჩემს ჰქონდა პრინციპი, რუსიკოსაც არ მეძახდა, არც რუსკას. ხუთივე და-ძმას სრულ სახელებს გვეძახდა.

**– რაზე შეიძლება გაბრაზდეს რუსუდანი?**

– შეიძლება, მარტივ რაღაცეებზეც გავღიზიანდე, ნერვები მომეშალოს და ადვილად გამოვიდე წყობიდან, მაგრამ, მეორე წუთში აღარ მახსოვს აღარაფერი. ფეთქებადი ხასიათი მაქვს, თუმცა, საბედნიეროდ, გულში არაფერს ვიტოვებ. მნიშვნელოვანია, რომ გული იყოს სუფთა, ისე ვერაფრით ვერ ვიმუშავებ. გაბრაზებულზე მუშაობა არ გამომდის, ძალიან გახარებული როცა ვარ – არც მაშინ. რომ დახატო მნიშვნელოვანია, გული გქონდეს სუფთა და იყო გაწონასწორებული.

კიდევ როგორი ვარ... მოწესრიგებული ვარ შინაგანად, თუმცა, გარეგნულად არ ვტოვებ ასეთ შთაბეჭდილებას. მიყვარს ყველაფერი აწყობილი და დალაგებული – გონებაშიც და გარშემოც.

**– ყოფითში როგორია რუსუდანი, მაგალითად, სამზარეულოში ფუსფუსებს?**

– აქ ნაკლებად, იმიტომ რომ ძირითადად ჩემი დედამთილი განაგებს მაგ ტერიტორიას. მე და ჩემი მეუღლე დედამთილთან და მულთან ერთად ვცხოვრობთ. როცა მივდივართ საზღვარგარეთ, იქ უკვე მიწევს. არ მეზარება, – მეხალისება.

**– თქვენი ნახატები სადაურია?**

– მართალია, გადატანითი მნიშვნელობით ვხატავ, მაგრამ მე ვთვლი, რომ ჩემი ნახატები ქართულია.

**ეკა სალაღაია**

# როგორ გაეხვრიტა „დონ ჟუანის" ფარიკაობის სცენის დროს ლევან აბაშიძეს ტუჩი და რატომ ეძახდა მიშა თუმანიშვილი მას, გია აბესალაშვილსა და თემო გვალიას სამ არანორმალურს

**გია აბესალაშვილს არასდროს უოცნებია მსახიობობაზე, მაგრამ, როცა ბედი მიშა თუმანიშვილის სამყაროში მოგახვედრებს, მერე ყველაფერი თავისით მოხდება... მოხდა კიდეც. დღეს მსახიობ გია აბესალაშვილს ყველა იცნობს და უყვარს. თუ როგორ განვითარდა მისი კარიერა და რა ოინებს უწყობდნენ, მისდა უნებურად, ის, თემურ გვალია და ლევან აბაშიძე ბატონ მიშას, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

**გია აბესალაშვილი**: ვიზრდებოდი ჩვეულებრივ თბილისურ ოჯახში. მამა კავშირგაბმულობაში მუშაობდა ინჟინრად, დედა რაღაც სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიაში. სკოლის პერიოდში შემიყვანეს ცეკვაზე, მერე ჩავაბარე „სუხიშვილების" ხუთწლიან სტუდიაში. ცეკვა ჩემი დიდი გატაცება იყო. ვხატავდი და ვფიქრობდი, აკადემიაში ჩამებარებინა, რომ მომენდომებინა, კი ჩავაბარებდი, მაგრამ მერე რა იქნებოდა, არ ვიცი. სწორედ ამ პერიოდში, თსუ ანსამბლის ჩამოყალიბებას აპირებდა და რამდენიმე მოცეკვავე გადაგვიყვანეს. მოკლედ, დავაფუძნეთ უნივერიტეტის ანსამბლი და ჩაბარებაშიც დახმარებას დაგვპირდნენ. რამდენიმე ბიჭი ვიყავით და საბუთები იქ შევიტანეთ, სადაც ყველაზე ნაკლები კონკურსი იყო.

– **რა ფაკულტეტზე?**

– მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა-დაგეგმვა.

ერთ დღეს, სრულიად შემთხვევით, ვიღაც ქალმა გამაჩერა ქუჩაში და ფოტოები გადამიღო. ეს ქალი რეჟისორის ასისტენტი ლალი კოლხიდაშვილი აღმოჩნდა. ეძებდა მთავარი როლის შემსრულებელს თემურ ფალავანდიშვილის ფილმისთვის „წერილები ბამიდან". ძალიან დიდი კონკურსი იყო და დამამტკიცეს. გადაღებებზე ციმბირში გავემგზავრეთ, ნია გრუზინსკაიაში. რომელი ვაგონითაც წავედით, ხან რომელ მატარებელს მიაბეს, ხან რომელს. 14 დღე-ღამე ვიარეთ. ძალიან კარგი მსახიობთა ჯგუფი იყო: გურამი ლორთქია, გივი თოხაძე, ჯემალ კახნიაშვილი. პირველად ვიყავი მათ საზოგადოებაში. ყველანი ახალგაზრდები იყვნენ. გადაღებებიდან რომ დავბრუნდი, უნივერსიტეტში აღდგენაზე აღარ იყო ლაპარაკი. მაშინ უმუშევარი არ უნდა ყოფილიყავი. ამიტომ, რეზო ჩხეიძის პროტექციით, გამომიშვეს თუმანიშვილის თეატრში. ვიყავი გამნათებლის ასისტენტი, გამნათებელი, სცენის მუშა, მერე რეკვიზიტორი. ნელ-ნელა რაღაც პატარა როლებზეც მაკავებდნენ, მაგრამ დიდ ენთუზიაზმს არ ვიჩენდი. ფილმები მომწონდა, მაგრამ პროფესიულ თეატრში სცენაზე დგომა, ეს უკვე სხვა რამეა.

– **როგორ აღმოჩნდით პროფესიულ სცენაზე?**

– დოლი დასჭირდათ, კარგად ვუკრავდი, „შუშანიკის წამებაში" ბერიკას ვთამაშობდი. მერე მიცვალებული პარტიზანიც ვითამაშე – შემიყვანდნენ ურიკით სცენაზე და მერე გავყავდი. ერთხელ მიშა თუმანიშვილმა მითხრა: თუ გინდა, თეატრალურში ჩააბარო, რეპეტიციებზეც უნდა იაროო. არ მინდა-მეთქი. რას ჰქვია, არ გინდა, მიშა გეუბნებაო, – გაგიჟდნენ. კარგ გარემოში მოვხვდი, დავუახლოვდი უამრავ ადამიანს. მიშასთან მოხვედრა ასეთი ადვილი არ იყო – არც განშორება. რეპეტიციაზე მარტო მსახიობობას კი არა, ცხოვრებას გასწავლიდა. ერთი სიტყვით, ჩავაბარე. დავამთავრეთ თუ არა, თუმანიშვილმა მე, თემურ გვალია და ლევან აბაშიძე თავის თეატრში წამოგვიყვანა.

– **თქვენ და ლევან აბაშიძე ერთ ჯგუფში იყავით, რამდენი საერთო ისტორია გექნებათ გადახდენილი.**

– განსაკუთრებული ჯგუფი გვქონდა. ცოტა განებივრებული ვიყავით – ოსტატობა, აქ გვიტარდებოდა კინოსტუდიის უკან მულტგაერთიანებაში. სულ ერთად ვიყავით. მახსოვს, „ზაპოროჟეცი" იყიდა ლევანმა, ძველებური, მოცისფრო, კუებს რომ ეძახიან – მრგვალი. წინა მხარეს ორივე კარი ეღებოდა. ვაპრიალებდით ამ „ზაპოროჟეცს" და დავდიოდით აღმადაღმა.

– **ამ სიგრძე ბიჭები, როგორ ეტეოდით იმ სათამაშო მანქანაში?**

– ყველა ვეტეოდით *(იცინის).* ერთხელ, მოვდივართ თეატრალურიდან. ცირკის მხარეს, სანამ ჩელუსკინელების ხიდზე გადმოხვალ, მიშა ფეხით მოდიოდა ხოლმე თეატრში და თურმე ჩავურიხინეთ. მე და თემურ გვალია სახურავზე ზემოდან ვიჯექით, ქვემოთ კი გოგონებით იყო გაჭედილი. რა ვიცი, რატომ არავინ გვაჩერებდა?! თურმე, მიშა გვიყურებს, ისე ჩავუარეთ, მართლა არ დაგვინახავს. მე, მგონია, რომ სერიოზულ ხალხთან მაქვს საქმე, ჩემთან თუ გინდათ ყოფნა თქვით და თუ ცოტა მაღალზე გირჩევნიათ, – ცირკზე მიგვანიშნა, – ჩაგიწყობთ საქმეს და მიდით. რომ კლოუნობთ, რა გინდათ სახურავზეო.

– **„დანაშაული", როგორ გამოისყიდეთ?**



ლევანი არ იყო ისეთი ტიპი, დღეს რომ ერთი ჰყავს და ხვალ მეორე. ერთგული იყო ბუნებით, მიკა უყვარდა

– მეგობრული ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ ძალიან დიდი ავტორიტეტი იყო მიშა თუმანიშვილი ჩვენთვის. ის რასაც იტყოდა, კანონი იყო. გვინდოდა, გვესიამოვნებინა და საღამო რომ მოახლოვდა, მიხაილოვიჩ, ჩვენ უნდა წაგიყვანოთ სახლში-მეთქი, შევთავაზე. თავი დამანებეთ, არ მინდაო. რას ჰქვია, აგერ მანქანით ვართ, ნუ დასცინით ჩვენს მანქანას-მეთქი. არ დავცინი, ფეხით სიარული მიყვარსო. გადავეკიდეთ და რომ იტყვიან, ძალით ჩავსვით. საჭესთან ლევანი იყო, მე და თემური უკან შევძვერით. წინ დავსვით, მიშა. მარჯვენა კარი არ იკეტებოდა კარგად და თოკით ვაბამდით. თოკები რომ გამოვუტარეთ წინ და მერე უკან გავფსკვენით, თვალები დაქაჩა, რაღაცა ცუდ ამბავში რომ გაეხვა მიხვდა, მაგრამ რაღას იზამდა?! მოკლედ, დავამაგრეთ და გავარდით ვაკის მიმართულებით. ცირკს რომ ჩასცდები, მოედანი იყო, წრის ფორმის. წრეზე შევედით და რა ჯანდაბა დაეტაკა ამ თოკს, არ ვიცი, გაწყდა, კარი გაიღო და მანქანას უკანვე შემოეჯახუნა. აქეთ დიდი „იკარუსის" ბორბალი უყურებს მიშას, იქით მანქანების ნაკადი, სიგნალები. ფუ, თქვენიო, – გადაგვიხტა, – თავი გამანებეთო, მოგვაძახა და ფეხით წავიდა...

– **კიდევ რას გაიხსენებთ?**

– სცენური ჩხუბი გვქონდა დადგმული დანით, ფარიკაობით, სკამზე გადაყირავებებით. ჯერ აქ დადგა თეატრში ბატონმა მიშამ, დონა ელვირას ძმებს ვთამაშობდით. თავს ვესხმოდით დონ ჟუანს და ვჩხუბობდით. ზურა ყიფშიძე იყო დონ ჟუანი. ერთხელ, სპექტაკლის დროს, ამ ლანალუწში, დაშნა გაგვისხლტა და ზემოთ გაერჭო ხის ჭერზე. ზურამ ახედა, მერე რაღაცნაირად ჩამოვარდა, დაიჭირა დონ ჟუანმა და გვესროლა. ლევანი ჩაცუცქული იყო, ეს დაშნა გამოსრიალდა და ტუჩი გაუხვრიტა. გაგიჟდა მიშა, ესენი დაშავდებიან, ნორმალურები ვერ არიან, თავს იკლავენო. ამოიღო ფარიკაობის სცენა „დონ ჟუანიდან" და თუ ასე გინდათ ფარიკაობაო, გვითხრა, თქვენ სამივე არანორმალური, ანუ, მე, თემო და ლევანი, წამოდით და ოპერაში იფარიკავეთო. ოპერაშიც დგამდა „დონ ჟუანს". იქ არ სჭირდებოდათ მძაფრი ხასიათის ფარიკაობა – ერთ-ორს მივარტყ-მოვარტყამდით და ეს იყო. მაშინ სტუდენტები ვიყავით და ოპერასთან ერთად, ბევრგან წავედით გასტროლებზე. იქაც დონა ელვირას ძმები ვიყავით.

მახსოვს, ზამთარია, ოპერის „დონ ჟუანით" დიდ თეატრში გასტროლებზე წავედით. თბილი ჩასაცმელები არ გვქონდა, რუსეთს რომ გაუძლებდა ისეთი. ლევანმა წამოიღო ვახუშტი კოტეტიშვილის „დუბლიონკა" – ვახუშტიმ ათხოვა და მეორე კი მამამისის, მთამსვლელის პუხის თბილი ქურქი, რომელიც ფილმშიც აცვია, „ანემიაში". ის ქურქი ხან მე მეცვა, ხან მას, ვცვლიდით ხოლმე. რადგან თბილი ჩასაცმელი გვქონდა, თემურ გვალიას ვუთხარით, სასტუმრო „ნაციონალის" წინ, მაგარ უცხოურ სიგარეტებს ყიდიანო. თემურმა – არ წახვიდეთ, თორემ დაგიჭერენ, ვინ მოგყიდით თქვენ სიგარეტებს, რასა ჰგავხართო. ჩვენ მაინც წავედით. მაგარი ყინვაა. მივედით, „ჩაიკები" დგას „ნაციონალის" წინ და მძღოლები, ვინც ამ მანქანით უცხოელებს ატარებდნენ, ისინი ყიდიდნენ სიგარეტს. ავარჩიერთ ნაირ-ნაირი სიგარეტი. ამ დროს, მწეველები არც ვიყავით. ვიყიდეთ, მოვდივართ და უცებ აქეთ-იქიდან სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი, ცილინდრიანი მამაკაცები ამოგვიდგნენ და შეგვიყვანეს სადღაც. წამოგვყევითო და გვათვალიერებინებენ: აქ დერჟინსკი იჯდა, აქ ულიანოვი, აქ ის, აქ ის... აქ კიდევ მე ვზივარო. წაგვიკითხეს ლექციები, ის მძღოლებიც ამოგვიყვანეს. გაარკვიეს ვინ ვიყავით – გაიგეს, რომ დიდ თეატრში ვართ გასტროლებზე და გამოგვყარეს. კიბეზე რომ ჩამოვდიოდით, ჩვენი სიგარეტის ბლოკები ზემოდან გადმოგვაყარეს.

– **ყოჩაღ, მეგონა, იმ სიგარეტებს წრეზე ატრიალებდნენ. შეყვარებულ ლევანზეც მიამბეთ.**

– ის გოგო, მიკა, ლევანს თემურმა გააცნო. მიკა, ჩვენთან სწავლობდა თეატრალურში, მოლდავეთის ჯგუფში. ლევანი გადაღებაზე იყო და მანამდე ჩვენ გავიცანით, მერე ლევანს გავაცანით. გაუგეს ერთმანეთს. ლევანი არ იყო ისეთი ტიპი, დღეს რომ ერთი ჰყავს და ხვალ მეორე. ერთგული ბუნება ჰქონდა. მიკა უყვარდა. მიკა არ მინახავს დიდი ხანია. კი ყოფილა ჩამოსული, მაგრამ ვერ შევხვდით.

მერე იყო ომი. გადაღებიდან ჩავიდა ომში ლევანი. იქ, ერთი ბიჭი იყო მასთან, ამბროლაურელი. ის იხსენებდა: მე დაჭრილი ვიყავი, ვეღარ დავრბოდი. სროლის დროს ლევანი და მე გზის ერთ მხარეს მოვყევითო. რა იყო, შე რაჭუკა, რა ჩამოყარე ყურები, ხომ არ გეშინიაო, – უთქვამს ლევანს მისთვის. შენ რა გენაღვლება, ვერცხლისწყალივითა ხარ, მე კი აქედან, მგონი, ველარც გავალო, – უპასუხია ამას. ცინკებს ვეძახდით ყუთებს, რომელშიც ტყვიები ელაგა. თურმე, ეს ცინკი გზის იქით დარჩენილა და ლევანს სროლის დროს გზა გადაურბენია და გადმოუტანია. მერე დაბომბვა რომ დაიწყო, ლევანი გარდაიცვალა და იმ რაჭველმა ბიჭმა ჩამოასვენა.

**ეკა სალაღაია**

**სულთმოფენობის დღესასწაულს მეტად ღრმა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს; როდესაც წმიდა წინასწარმეტყველი მოსე ებრაელებს ეგვიპტიდან გამოუძღვა, მან ისინი მეორმოცე დღეს სინას წმიდა მთასთან მიიყვანა, ხოლო ორმოცდამეათე დღე ებრაელებისთვის უდიდეს ყოველწლიურ დღესასწაულად იქცა. სწორედ ამ დღეს მოევლინათ მოწაფეებს სულიწმინდის მადლი, რაც ძველი სჯულის ახლით შეცვლის ნიშანი იყო. ამიტომაც ეს დღე ქრისტეს ეკლესიის დაარსების დღედ მიიჩნევა. სულთმოფენობის დღესასწაულზე ეკლესია ირთვება ყვავილებით, ფოთლებითა და აყვავებული ტოტებით, ძირს ეფინება ბევრი ბალახი. სულიწმიდის მადლი ამ სიმწვანეზე გადმოდის, რის გამოც მორწმუნეები ტაძარში დაფენილ ბალახს მთელი წელი ინახავენ. როგორც ცნობილია, ამ ბალახის ნახარშს კურნების სასწაულმოქმედი ძალა აქვს. ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# როდის ნახავს ყველა ადამიანი მაცხოვრის ზეციდან მოსვლას და რა ძალაუფლებას ფლობს მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესია

– არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეორედ მოსვლის წინ მრავალი ცრუ წინასწარმეტყველი მოვა ქრისტესმტყუვრის სახით. ისინი იტყვიან: „მე ვარ იესო ქრისტე"; გამოვლენ ტელევიზიით, პრესით, საჯარო თავშეყრის ადგილებში და მრავალ ადამიანს აცდუნებენ. ამიტომ გაგვაფრთხილა ეკლესიამ, რომ, როგორც მოციქულებმა იხილეს ხილული ქვეყნიდან ზეცად აღმავალი მაცხოვარი, ასევე, ყველა ადამიანი იხილავს ზეციდან მის დაბრუნებას. როგორც ცნობილია, აღდგომიდან მეორმოცე დღეს არის ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ყოველ დილით, სარწმუნოების სიმბოლოში მართლმადიდებელი ქრისტიანი წარმოთქვამს შემდეგ სიტყვებს: „და ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა". ამას გვაუწყებს მარკოზის სახარებაც. როდესაც მაცხოვარმა მოციქულები აიყვანა ელეონის მთაზე, დაასხა ხელი, მიჰბერა მათ სულიწმიდა, ანუ სამღვდელო მადლი და უთხრა: ვისაც მიუტევებთ ცოდვებს – მიეტევებათ, ვისაც არ მიუტევებთ – არ მიეტევებათო. ცოდვების მიტევება-არმიტევება ხდება მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაში. სხვა ეკლესიები ამ ძალაუფლებას არ ფლობენ, რადგან ისინი გამოეყვნენ, განუდგნენ მართლმადიდებელ დედაეკლესიას. როდესაც მაცხოვარი ელეონის მთაზე ამაღლდა, მოციქულები უყურებდნენ ქვევიდან ზევით და მათ ეჩვენათ ორი ადამიანი სპეტაკი სამოსით. ბუნებრივია, აქ ლაპარაკია ანგელოზების სიწმიდეზე, რომლებმაც უთხრეს: „კაცნო, გალილეველნო, რატომ იყურებით ზეცად? ეს არის იესო, რომელიც ამაღლდა თქვენდა და რომელსაც ასევე იხილავთ ზეცად მომავალს". როგორც მოციქულებმა იხილეს, როგორ ამაღლდა მაცხოვარი ზეცად, ასევე, მთელი კაცობრიობა იხილავს მაცხოვრის მეორედ მობრძანებას. ამაღლების დღესასწაულიდან 10 დღის შემდეგ კი ეკლესია სულთმოფენობის დღესასწაულს აღნიშნავს. კარჩაკეტილ სახლში მოციქულებს მოესმათ ძლიერი ქარის მსგავსი ხმაური და იხილეს შუქი, რომელიც, ვითარცა ცეცხლოვანი ენები, აკიაფდა ყოველი მათგანის თავზე. მათ სასწაულებრივად მოემადლათ ნიჭი მრავალ ენაზე ქადაგებისა, რამაც განაცვიფრა სახლის გარშემო შეკრებილი სხვადასხვა ერისა და ტომის ადამიანები, რომლებსაც მოციქულთა ქადაგება თავთავიანთ ენაზე ესმოდათ. გაოცებულ ხალხს წმიდა პეტრემ განუმარტა მომხდარის აზრი: „ამგვარად მომაღლდა იგი ღმერთის მარჯვენით, მამისგან მიიღო სულიწმიდის აღქმა და გადმოაფრქვია ის, რასაც თქვენ ხედავთ და ისმენთ. მოინანიეთ და ყოველი თქვენგანი მოინათლოს იესო ქრისტეს სახელით ცოდვების მისატევებლად და მიიღებთ სულიწმიდის ნიჭს, ვინაიდან თქვენ გეკუთვნით აღქმა და თქვენს შვილებს და ყველა შორეულს, ვისაც კი მოუხმობს უფალი ღმერთი ჩვენი".

**– როგორც ცნობილია, სულიწმიდის მოფენა ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში იყო ნაწინასწარმეტყველევი, ამასვე მოასწავებდა იოანე ნათლისმცემელიც.**

– სულთმოფენობა ეს არის ქრისტეს მიწიერი მისიის დაგვირგვინება, მისი განკაცებით აღთქმის აღსრულება. ეს არის უმთავრესი მოვლენა ქრისტიანული რწმენის დაარსებაში, ღმერთთან გაწყვეტილი კავშირის აღდგენაში, კაცთა მოდგმის ხსნის განგებულების საქმეში, რომელსაც მოჰყვა საუკუნო მეუფება უფლისა. მართლაც, სულთმოფენობა, ერთი მხრივ, აგვირგვინებს და ასრულებს ქრისტეს მიწიერ მოღვაწეობას, მეორე მხრივ კი, იწყებს ახალ ეპოქას მსოფლიოს ხალხების ქრისტიანულ ეკლესიაში გაერთიანებისა, რაც განკითხვის დღით ბოლოვდება. სულთმოფენის გამოსახულების უამრავი ნიმუში არსებობს როგორც მონუმენტურ, ასევე მინიატურულ მხატვრობაში, ხატწერასა და ჭედურობაში. ზოგადად, კომპოზიციის ბირთვია ნახევარწრიული მოხაზულობის მერხზე (ხშირად – მაღალი ზურგით) მჯდარი თორმეტი მოციქულის ფიგურა. შარავანდედით მოსილნი, წიგნებითა და გრაგნილებით ხელში, ისინი საზეიმოდ და წარმოსადეგად სხედან, კურთხევის ან მოწმობის ჟესტით ცენტრისკენ მიმართული ხელებით. თუ საუფლო ან სხვა დღესასწაულთა სცენაში მოციქულები ხშირად შარავანდედის გარეშე გამოისახებიან, ამ შემთხვევაში ეს აუცილებელია, რათა თვალნათლივ გამოჩნდეს მათზე სულიწმიდის გარდამოსვლა. ამასვე აღნიშნავს ცეცხლოვანი ენები ყველას თავზე – ეს სულიწმიდის ნიჭის ვიზუალური გამოსახულებაა და, თანაც, მოციქულთა მაღალი მისიის აღმნიშვნელი – თავზე ანთებული ალით ისინი რწმენისთვის დანთებულ სანთლებს მოგვაგონებენ.



**ცოდვების მიტევება-არმიტევება ხდება მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაში. სხვა ეკლესიები ამ ძალაუფლებას არ ფლობენ, რადგან ისინი გამოეყვნენ, განუდგნენ მართლმადიდებელ დედაეკლესიას**

**– როგორც ცნობილია, ამ დღეს ბევრი სასწაული მოხდა.**

– სიონის მთაზე იყო შეკრებილი 120 ადამიანი, იქ იყო ღვთისმშობელიც. როცა ისინი ერთად ლოცულობდნენ, სულიწმიდა ცეცხლოვანი ენის სახით გადმოვიდა. ამ მოვლენას ძალიან ბევრი ადამიანი დაესწრო და მოისმინეს, თუ როგორ ამეტყველდნენ მოციქულები სხვადასხვა ენაზე. ამ დროს მოციქულებს მიეცათ მადლი ღვთის სიტყვის ქადაგებისა, რათა მათ სხვადასხვა ქვეყანაში ექადაგათ უფლის სარწმუნოება. რადგან ისინი უბრალო მეთევზეები, მებადურები იყვნენ და წერა-კითხვა არ იცოდნენ, უცებ ვერ ისწავლიდნენ სხვადასხვა ენას, ამიტომ, სულიწმიდის მადლით ამეტყველდნენ იმ ენაზე, რომელ ენაზეც ამა თუ იმ ქვეყანაში უნდა ექადაგათ ჭეშმარიტი სარწმუნოება. ასეთი გადმოცემაც არსებობს: რადგან საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ამიტომ იგი ამეტყველდა ქართულად, რათა ქართულად ექადაგა ჭეშმარიტი სარწმუნოება. უფლის კურთხევით, სულიწმიდის გარდამოსვლით მოხდა სამოციქულო ეკლესიის ამა თუ იმ ენაზე ალაპარაკება, რომ ყველა ეროვნებას თავის ენაზე ექადაგა ღვთის სიტყვა. ეს დღემდე ასე გრძელდება და გაგრძელდება მანამ, სანამ მაცხოვარი მეორედ მოვა ჩვენს სამხილებლად და სანამ ყველა ენაზე არ იქადაგება სახარება. თუ სულთმოფენობამდე მოწაფეები ურიათა შიშის გამო იყვნენ დამალულები, სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ ისინი თამამად გადიან და იწყებენ ღვთის სიტყვის ქადაგებას.

**– ამ დღეს ეკლესია ირთვება ყვავილებით, რომლებიც მორწმუნეებს მიაქვთ სახლში და მომავალ სულთმოფენობამდე ინახავენ. ბევრი მას სამკურნალოდაც იყენებს.**

– სულიწმიდის გარდამოსვლის დღესასწაულამდე, შაბათს, ეკლესიაში იხდიან დიდ პანაშვიდს მიცვალებულების სულის საოხებლად. სულის შაბათი, ანუ სულთაობა – ასე უწოდებენ ამ დღეს და მორწმუნეები თავიანთი გარდაცვლილების მოსახსენიებლად, მათი სულის საოხებლად მოდიან ეკლესიაში, ესწრებიან საყოველთაო პანაშვიდს. მეორე დღეს კი, ანუ, სულიწმიდის მოფენის დღეს, საზეიმო წირვისას, ეკლესია ხის მწვანე რტოებით, ბალახებითა და ყვავილებით ირთვება, რაც იმ წმიდა და განმაცხოველებელ მადლს მოგვაგონებს, სულიწმიდის მოფენის შემდეგ რომ ვიღებთ. ყვავილები და სიმწვანე, სიმბოლურად, სიცოცხლის მანიშნებელია. ამ დღეს ეკლესიაში იკითხება ხანგრძლივი მუხლმოდრეკის ლოცვა. წირვის შემდეგ წინამძღვარი აღსავლის კართან მოიყრის მუხლს, მრევლიც იყრის მუხლს და ამ დროს იკითხება სულიწმიდის მოწვევის ლოცვები. ეს არის ძალიან ლამაზი, ბედნიერი, მისტიკური დღე. რაც შეეხება ყვავილების სახლში წაბრძანებას, ბზა ხომ მიგვაქვს შინ, ნიშნად მარადიული სიყვარულისა, სარწმუნოებისა, სიხარულისა და ამით უფალს ვიწვევთ სახლში, ამავე მიზნით ხდება სულთმოფენობის დღეს, ეკლესიიდან სახლში ყვავილების წაბრძანებაც. რუსული ტრადიციით, როცა მორწმუნეებს სახლში მიაქვთ ყვავილები, კერავენ პატარა ბალიშებს, ამ ყვავილებით ამოავსებენ და თავქვეშ იდებენ, ავადმყოფებსაც უდებენ. ეს არის ტრადიცია, საეკლესიო გარდამოცემა, რასაც ქართველი ქრისტიანებიც სიამოვნებით აღვასრულებთ. ასევე, ამ დღეს ეკლესიაში სულიწმიდის გარდამოსვლა აღესრულება მირონის ცხებით. ადრე, როდესაც მოციქულები ნათლავდნენ ხალხს, მათი ხელდასხმით გადმოდიოდა ადამიანებზე სულიწმიდა. რადგან ნათლისღების მსურველთა რაოდენობა ბევრი აღმოჩნდა, ამიტომ ეკლესიაში დადგინდნენ მოციქულების მიერ ნაკურთხი ხუცესები, იგივე მღვდელმსახურები, რომლებსაც კეთილსურნელების სახით გადაეცათ მირონი. მირონის ცხებით ნათლისღების საიდუმლოს დროს ადამიანს ენიჭება სულიწმიდის მადლი. ბევრმა არ იცის, რომ ნათლისღების დღეს ის ორ საიდუმლოში მონაწილეობს: პირველი – ეს არის ნათლისღება, ხოლო მირონცხებით ადამიანს ენიჭება სულიწმიდის მადლი, რომლის გარეშეც მას არ შეუძლია, თქვას აღსარება, ეზიაროს, იაროს ეკლესიაში და, რაც მთავარია, ვერ ცხონდება.

**ნათია უტიაშვილი**

# მამა პაისი მთაწმინდელის სასწაულები

### თესალონიკელი მოძღვრის ნაამბობი

მცირე ხნის წინ ჩემთან ერთი ახალგაზრდა მოვიდა და მითხრა: „მამაო, ღმერთმა სიკვდილს გადამარჩინა!" მოტოციკლით მანქანას დავეჯახე. დარტყმის ძალამ შორს გადამისროლა. ამ დროს მოხუცმა ბერმა ხელი ჩამკიდა და დაცემა შემიმსუბუქა. ასე გადავრჩი. ხატები და თანამედროვე მოღვაწეების ფოტოები ვაჩვენე – იქნებ მათ შორის შენი მხსნელი ამოიცნო-მეთქი. ჭაბუკმა ყურადღებით დაათვალიერა ალბომი და მამა პაისის ფოტოსურათზე აღელვებით წამოიძახა: „აი, ეს ბერი იყო, მამაო!"

რამდენიმე დღის შემდეგ ჭაბუკი კვლავ მოვიდა და მომიყვა, რომ ქურთუკის ჯიბეში, რომელიც მას ავარიის დღეს ეცვა, მაცხოვრის ხატი და მამა პაისი მთაწმინდელის ფოტო აღმოაჩინა, რომლებიც მისთვის დედამისს იმ დღეს ფარულად ჩაუდევს.

### ეშმაკეულის განკურნება

1996 წლის დეკემბრის დილას, სუროტის მონასტრის მაღაზიაში ასეთი რამ მოხდა: შუახნის ქალბატონი მოულოდნელად ძირს დაეცა და კრუნჩხვებში ჩავარდა. საშინელი შესახედავი იყო, ხალხი მის დახმარებას ცდილობდა. მოულოდნელად, საბრალო ქალი მამაკაცის ბოხი ხმით აყვირდა: „ცოტაც დამაცადეთ და მალე მოგივლით ყველას! სულ მალე აღგიბეჭდავთ ხელებს ჩემი ნიშნით და თაყვანს მცემთ!" – და ბილწ გინებას მოჰყვა. უეცრად ის ისეთი ხმით აყვირდა, ყველა მიხვდა, რომ ვიღაცის ეშინოდა: „პაისი, ნუ მწვავ, ნუ მწვავ! ჩემი ჯოჯოხეთში გაგზავნა გინდა! ეს საძულველი ქალიც სულ მონასტრებში დამათრევს! რატომ ეხმარები მას? ნუ მწვავ, ნუ მწვავ!" ქალი სულ უფრო ხმამაღლა მოსთქვამდა და თავს იატაკს ურტყამდა: „აი, მარიამიც მოვიდა! ნუ მწვავ, ნუ მწვავ, პაისი!"

უეცრად ქალი დამშვიდდა და თვალები გაახილა. ხალხი წამოდგომაში დაეხმარა. ქალი ატირდა და მადლობა შესწირა უფალს: „გმადლობ, უფალო! გმადლობთ, ასე რომ შემეწიეთ მე უღირსს!" შემდეგ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატთან მივიდა და ლოცვით მის წინ განერთხა.

ბოლოს, როდესაც დამშვიდდა, ქალმა მონაზონს უამბო, რომ წინა ღამით სიზმარში მამა პაისი იხილა, რომელმაც უთხრა: „ჩემს საფლავთან მოდი და მე განგკურნავ". ქალი სწორედ ამიტომ ჩავიდა მონასტერში და მამა პაისის საფლავი მოილოცა. ამის შემდეგ მოხდა ის, რაც ყველამ იხილა.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ზოგიერთი ადამიანი საუბრის დროს ხშირად იწერს პირჯვარს. სწორია თუ არა ასეთი საქციელი?**

**პასუხი:** ღმერთისადმი სიყვარულის გამოვლენას თავისი წესი აქვს. ხოლო, როცა ეს წესი ხელოვნურად გადამეტებულ ფორმას იღებს, გარეგნული ეფექტებით გადაჭარბებულად ვლინდება, სწორი არ არის. სიყვარული უფლისადმი მოკრძალებითა და რიდით უნდა გამოიხატებოდეს. ადამიანის შინაგანი მდგომარეობის ხაზგასმული გამომზეურება იმ გარემოში, რომელიც შინაგან ფაქიზ მდგომარეობას არ შეესაბამება, საჭირო არ გახლავთ. მაგალითად, ყველა გონიერმა ადამიანმა იცის, რომ მეტანია, რომელსაც ტაძარში უდიდესი თაყვანისცემის ნიშნად ვასრულებთ, ქუჩაში არ უნდა გავიმეოროთ. თვით ღვთისმსახურსაც არ შეეფერება უფლის მიმართ თავისი დამოკიდებულების გადამეტებულად გამოვლენა. უფალი ისედაც ყველაფერს ხედავს.



**კითხვა: რას ნიშნავს აღსარების დროს ცოდვათა არასრული აღიარება?**

**პასუხი:** აღსარების დროს ერიდეთ ასეთ გამოთქმებს: „მტერმა მაცდუნა", „სუსტი ვარ", „ულონო ვარ" და სხვა. ასეთი სახის თავისმართლება ცოდვაა, რადგან ამით საკუთარ ცოდვათა შემსუბუქებას ვცდილობთ. თავის მართლებაბ ბოროტი ძალა შთაგვაგონებს.

**კითხვა: ძალიან მიჭირს წყენის მოთმენა, რით ვუშველი თავს?**

**პასუხი:** როცა გაწყენინებენ, გაიხსენეთ, როგორ აწყენინებდნენ უდანაშაულო მაცხოვარს და როგორ მიიყვანეს სიკვდილის პირას ტანჯვით, ხოლო ჯვარცმული ამბობდა: უფალო, შეუნდევ მათ, რამეთუ არ უწყიან, რას იქმან".

**კითხვა: როგორი ლოცვაა უფლისთვის სათნო?**

**პასუხი:** ლოცვის დროს მხოლოდ კი არ უნდა ითხოვდე: „უფალო, შემეწიე, უფალო, შემიწყალე!" არამედ განუწყვეტლივ ჰმადლობდე და ადიდებდე უფალს, მაშინ გექნება სულის სიმშვიდე.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

### დასჯილი ფიცის გამტეხი

ერთი ვინმე კიეველი დიდებული კაცი – იოანე შედგა ბერად. მას ჰყავდა მცირეწლოვანი შვილი – ზაქარია. როცა იოანემ იგრძნო სიკვდილის მოახლოება, თავისი შვილი შეავედრა ზეცას, გამოითხოვა ღვთისაგან მფარველობა მისი და ჩააბარა ის ამხანაგ ბერს – სერგის, რომელიც წინათ თვითონაც კიეველი დიდებული იყო და იოანესთან ერთად შედგა ბერად. იოანემ მიაბარა სერგის ათასი ვერცხლი, ასი ოქრო და სთხოვა, რომ ეს ფული შვილისთვის გადაეცა, როცა ის წამოიზრდებოდა. ამ განკარგულების მერე იოანე მოკვდა. როცა ზაქარია თერთმეტი წლის შეიქნა, მოსთხოვა სერგის მამისგან მიბარებული ფული. მაგრამ ბერული ძაძა და მოღვაწეობის მძიმე ჯაჭვი ყოველთვის ვერ იფარავენ გულს მაცდური ეშმაკისაგან. მეუდაბნოე შეიქნა ანგარების მოყვარების მონად, ის გაკვირდა, თითქოს არ იცოდა, რა ფულს სთხოვდა მას ზაქარია. როცა დაინახა, რომ ზაქარია არ ეშვებოდა, თვალთმაქცურად იწყინა და უთხრა მას: „მამაშენმა მთელი ქონება ღმერთს მისცა, მას მოსთხოვე, მე რას მთხოვ?! განა მე ვარ დამნაშავე, რომ იოანე იმდენად უჭკუო იყო, გლახებს ამდიდრებდა და ერთადერთი შვილი კი დააგლახაკა".

ასეთი მოულოდნელი გაუტანლობის მნახველი ახალგაზრდა ზაქარია ატირდა. ის ევედრებოდა სერგის, რომ ნახევარი მაინც მიეცა მისთვის, შემდეგ მესამედს ჯერდებოდა, ბოლოს – მეათედს... მაგრამ დანაშაული ჩადენილი იყო და სერგის არ უნდოდა გამოტეხილიყო – რამდენად ღვთის წინააღმდეგია სული მისი. ზაქარიას დარჩა უკანასკნელი საშუალება, რომ ბერს ღვთის წინაშე ფიცით დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა.

ბიწიერებას აქვს ისეთი დამღუპველი თვისება, რომ კაცს თუ ერთხელ ფეხი წაუცდა, მეორედაც წაიბორძიკებს. წუთისოფლის მოყვარე მეუდაბნოემ წაიყვანა მოწმეებად სხვა ბერები და ზაქარიასთან ერთად შევიდა ეკლესიაში, სადაც წინათ იოანესთან ერთად აღიკვეცა ბერად. იქ სასწაულთმოქმედი ღვთისმშობლის ხატის წინ დაიფიცა, რომ ზაქარიას მამას მისთვის არათუ ათასი ვერცხლი და ასი ოქრო არ მიეცეს, არამედ არც ერთი გროში. ფიცის მერე ღვთისმშობლის ხატის მთხვევა უნდოდა, მაგრამ უხილავმა ძალამ გააჩერა, წინ ფეხი ვერ წადგა და სრულიად ათრთოლდა. დაინახა რა, თუ რამდენად საშიშია მართლმსაჯულება ღვთისა, დაიყვირა: „ღირსნო მამანო ანტონი და თეოდოსი! ევედრეთ ღვთისმშობელს, რომ არ მიმცეს მე დასაღუპავად მომაკვდინებელ ანგელოზს, ხოლო შენ, შვილო ჩემი მომმისა და მეგობრისაო, წაიღე შენი ოქრო და ვერცხლი და შემინდე მე ცოდვილსა". ბერები განცვიფრდნენ, წავიდნენ სერგის სენაკში და ადიდებდნენ ღმერთს, რომელმანც ქმნა ასეთი სასწაული.

***

„არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა", სთქვა უფალმა მოსეს მიერ. ქრისტიანენო! გეშინოდეთ თქმა სიტყვისა: „ღმერთმანი", „ქრისტეა მოწამე!", მაშინაც კი, როცა მართალი ხარ. საკმარისია სთქვა: ჰე, ჰე და არა, არა. უმეტესად დაგიფაროს თქვენ ღმერთმან უბრალო ფიცის ჩვეულებისგან. იტყვის უფალი იესო ქრისტე: „არა ფიცვად ყოვლადვე... არამედ იყავნ სიტყვა თქვენი: „ჰე, ჰე და არა, არა" (მათე 5, 34; 37). „ყოველი ცრუ ფიცი უფლისაგან შურის ძიებულ იქმნების" (ზაქარია 5,3).

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# საინტერესო ფაქტები „რეალ მადრიდის" შესახებ

*„რეალ მადრიდმა" მეათედ მოიგო ევროპის ყველაზე პრესტიჟული საფეხბურთო გათამაშება, სახელად „ჩემპიონთა ლიგა" და საკუთარი სახელი სამუდამოდ ჩაწერა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. მადრიდული სუპერკლუბი მეოცე საუკუნის საუკეთესო საფეხბურთო კლუბად არის დასახელებული „ფიფას" მიერ. გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ფაქტს.*

* თავდაპირველად „რეალ მადრიდს" „ფკ სკაი" ერქვა და ამ სახელწოდებით კლუბი 1895-1900 წლებში გამოდიოდა. 1902 წლის 6 მარტს კი კლუბის მაშინდელმა პრეზიდენტმა, ჟულიან პალასიოსმა, სახელწოდება „რეალ მადრიდი" უწოდა კლუბს.



* პირველი ტიტული „რეალ მადრიდმა" 1905 წელს მოიგო – სამეფო თასის ფინალში სამეფო კლუბმა ბილბაოს „ატლეტიკო" დაამარცხა.

* ყველაზე დიდი ანგარიშით „რეალ მადრიდი" 1929-1930 წლების სეზონში დამარცხდა – „ესპანიოლმა" 8:1 მოუგო.

* კრიშტიანუ რონალდუს ყველაზე სწრაფი ჰეთ-ტრიკი აქვს შესრულებული „რეალის" ისტორიაში: 2011 წლის მაისში პორტუგალიელმა ვარსკვლავმა სამი გოლის გატანას 10 წუთი მოანდომა.

* მიგელ მუნიოსი ყველაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ედგა სათავეში „რეალ მადრიდს". 15 წლინადში მან 604 მატჩი ჩაატარა მთავარი მწვრთნელის რანგში და 14 ტიტული მოიგო.

* ხუან მონჭარდინი „რეალის" პირველი ფეხბურთელია, რომელიც ესპანეთის ნაკრებში მიიწვიეს. ეს ფაქტი 1922 წლის 17 დეკემბერს მოხდა პორტუგალიის ნაკრებთან მატჩში.

* სახელწოდება „სამეფო კლუბი" „რეალს" 1920 წლის 29 ივნისს უწოდა ესპანეთის მეფემ, ალფონსო მეცამეტემ.

* იკერ კასილასის დებიუტი „რეალის" შემადგენლობაში 1999 წლის შემოდგომაზე შედგა ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ლევერკუზენის" წინააღმდეგ.

* კრიშტიანუ რონალდუს 105 მატჩი დასჭირდა, რათა გაეტანა 100 გოლი „რეალის" მაისურით.

* პირველი გოლი „ბარსელონის" კარში „რეალის" ფეხბურთელებიდან არტურ ჯონსონმა გაიტანა 1902 წლის 13 მაისს.

* ჩაბი ალონსო „რეალის" ყველაზე ძვირად ღირებული „ესპანური" შენაძენია – იგი 30 მილიონ ევროდ გადმოიყვანეს „ლივერპულიდან", ხოლო ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული ტრანსფერი 2013 წლის ზაფხულში დაფიქსირდა, როდესაც უელსელი გარეთ ბეილი „რეალმა" 100 მილიონ ევროდ შეიძინა.

# პაკისტანელი თალიბების სამიზნე გოგონას პორტრეტი 102,5 ათას დოლარად გაიყიდა

ბრიტანელი მხატვრის, ჯონათან იეოს მიერ შექმნილი, 16 წლის პაკისტანელი გოგონას მალალა იუსუფზაის პორტრეტი „კრისტის" აუქციონის საქველმოქმედო ვაჭრობაზე 102,5 ათას დოლარად გაიყიდა.

იუსუფზაი ცნობილი გახდა ინტერნეტბლოგით, სადაც ის ყვებოდა, როგორ უკრძალავდნენ გოგონებს სკოლაში სიარულს პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში. 2012 წელს მას თავს დაესხნენ მოძრაობა „თეჰრიკ-ი-თალიბან პაკისტანის" ბოევიკები და თავსა და ყელში დაჭრეს, თუმცა მალალა სასწაულით გადარჩა. იეომ პორტრეტი 2013 წელს დახატა, მას შემდეგ, რაც გოგონა საცხოვრებლად დიდ ბრიტანეთში გადასახლდა და ბირმინჰემის სკოლაში დაიწყო სიარული. აუქციონზე მოხვედრამდე სურათი მხატვრის პერსონალურ გამოფენაზე, ლონდონის ნაციონალურ „პორტრეტთა გალერეაში," ცნობილ ადამიანთა პორტრეტების გვერდით იყო ექსპონირებული. პორტრეტის მყიდველის ვინაობა გასაიდუმლოებულია. შემოსული თანხა კი ნიგერიის საზოგადოებრივ ორგანიზაციას გადაეცა, რომელიც ქალებისა და გოგონების განათლების სპონსორია. ეს გადაწყვეტილება ისლამური დაჯგუფების – „ბოკო ჰარამის" მიერ ჩიბოკის ლიცეუმიდან 276 მოსწავლე გოგონას გატაცების შემდეგ მიიღეს.

მალალა იუსუფზაი ახლა ბრიტანულ ოჯახში ცხოვრობს და სიმართლისთვის ბრძოლას განაგრძობს. 2013 წელს ის საერთაშორისო საბავშვო პრემიის ლაურეატი გახდა მშვიდობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და მიენიჭა ევროპარლამენტის მიერ დაწესებული, აკადემიკოს ანდრეი სახაროვის პრემია – „თავისუფალი აზრისთვის". ობამამ კი მას „ყველაზე უშიშარი გოგონა" უწოდა.

# ჰალკის მაისური – ბრაზილიის პრეზიდენტს

ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელები მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებას სამშობლოში გადიან და, ბუნებრივია, რომ ისინი საინფორმაციო საშუალებებში ნომერ პირველი „ნიუსმეიქერები" არიან. უკვე ცნობილია, რომ სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის" ფორვარდი ჰალკი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონების მთავარი დამრტყმელი ძალა იქნება შეტევაში. ნაკრების ბაზის, სადაც ფეხბურთელები ემზადებიან, სტუმართა შორის ერთ-ერთი პირველი იყო ბრაზილიის პრეზიდენტი დილმა რუსეფი, რომელმაც ფეხბურთელებს წარმატება უსურვა, საპასუხოდ კი ჰალკისგან სახსოვრად „ზენიტის" მაისური მიიღო საჩუქრად.




# შეიკის სკანდალური აქცია

ირინა შეიკი მორიგი სკანდალის ეპიცენტრში მოექცა. ლამაზმანმა ორიგინალურად გადაწყვიტა გამოეხატა მხარდაჭერა ნიგერიელი სკოლის მოსწავლე გოგონებისთვის, რომლებიც რადიკალური ისლამისტური ორგანიზაცია „ბოკო ჰარამის" მებრძოლებმა გაიტაცეს. კრიშტიანუ რონალდუს მეგობრამა შიშველ სხეულზე მიდებული ქაღალდზე დაწერილი წარწერით – „დაგვიბრუნეთ გოგონები" – მხარდამჭერი ფოტო გამოაქვეყნა „ინსტაგრამზე", რითაც მავანთა აღშფოთება გამოიწვია. შეიკის შიშველი პროტესტი უხამსად და შეუფერებლად მიიჩნიეს, თუმცა, ფოტომ მაინც მოახერხა 70 ათასი „ლაიქის" დაგროვება.




# სარეკლამო სახეები სპორტის სამყაროდან

ამერიკულმა კომპანია „სპორსტპრომ" ბიზნესის რეკლამირებისთვის ყველაზე სასურველი 50 სპორტის ვარსკვლავისგან შემდგარი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლის პირველ ადგილზე ავტომრბოლელი ბრიტანელი ლუის ჰემილტონი მოხვდა. პირველ ათეულში არიან: კრიკეტის მოთამაშე ვირატ კოჰლი, ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავი რობერტ გრიფინი, ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ, ჩოგბურთელი გრიგორ დიმიტროვი, მორბენალი უსაინ ბოლტი, ფეხბურთელი ნეიმარი, მოცურავე მისი ფრანკლინი, კალათბურთელი ბლეიკ გრიფინი და ჩოგბურთელი სლოან სტივენსი. რეიტინგში, ასევე, ფიგურირებენ: ფეხბურთელი ლიონელ მესი, „ფორმულა 1-ის" ჩემპიონი სებასტიან ფეტელი, ჩოგბურთელები – კაროლინ ვოზნიაცკი და ვიქტორია აზარენკო და მოკრივე საულ ალვარესი.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# საინტერესო ფაქტები როკ-ვარსკვლავების ცხოვრებიდან

***როკ-ვარსკვლავების პირადი ცხოვრება მუდამ იწვევს ინტერესს საზოგადოებაში. გთავაზობთ მათ შესახებ გავრცელებულ ნაკლებად ცნობილ ფაქტებს.***

* ჰარდ-როკ ჯგუფი „მეტალიკა" პოპულარული ამერიკული ანიმაციური სერიალის – „სიმფსონების" ერთ-ერთ ეპიზოდში გამოჩნდა, რომელიც როკ-მუსიკოსებთან ერთად 2005 წელს ჩაიწერა და სწორედ „მეტალიკამ" გახსნა ლეგენდარული სერიალის მეთვრამეტე სეზონი. ამავე ეპიზოდში ანიმაციურმა „მეტალიკამ" თავისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჰიტი – „მასტერ ოფ ფაფეტს" შეასრულა.

*1969 წლის 2 მარტს, ხმის ჩამწერ სტუდიაში გვიანობამდე ყოფნის გამო, პოლ მაკარტნიმ ვერ მოასწრო, ეყიდა ნიშნობის ბეჭედი თავის საცოლე ლინდასთვის. ქორწილის წინა ღამეს პოლი იძულებული გახდა, ეთხოვა იაფფასიანი საიუველირო მაღაზიის მფლობელისთვის, შუაღამით გაეხსნა მაღაზია, სადაც 12 ფუნტად შეიძინა ბეჭედი.



* ფრედი მერკურის კატები უყვარდა და მის სახლში კატისებრი ჯიშის რამდენიმე ათეული ცხოველი ბინადრობდა. მეტსახელებს მერკური თავად არქმევდა: ტიფანი, ოსკარი, დელაილა, მიკო, რომეო, ლილი, და გოლიაფი.

* 2003 წელს „როლინგ სთოუნზის" ლეგენდარულმა გიტარისტმა კიტ რიჩარდსმა 60 წლის იუბილე აღნიშნა და იმ წელს ტელეარხმა „ვი-ეიჩ უანმა" ის მსოფლიო როკ მუსიკაში ყველაზე დიდ დებოშიორად დაასახელა.

* 1970 წლის ზაფხულში ლეგენდარული რიჩი ბლეკმორი ლონდონის პოლიციამ დააკავა. მუსიკოსს ბრალად ედებოდა საფანტიანი იარაღიდან გასროლა ვინძორების სასახლის მიმართულებით.

* „პინკ ფლოიდის" პატივსაცემად ამერიკელმა ასტრონავტებმა ახლად აღმოჩენილ ასტეროიდს „1967 პინკ ფლოიდი" უწოდეს.

* საბჭოთა კავშირში პოპულარული ჯგუფ „კინოს" სოლისტი ვიქტორ ცოი ხისგან გამოთლილი ტრადიციული იაპონური ფიგურების – ნეცკეების გამოჭრის ოსტატი იყო.

* ამერიკელმა მწერალმა ჰანტერ ტომფსონმა თავისი ყველაზე ცნობილი წიგნი – „შიში და სიძულვილი ლასვეგასში" – ბობ დილანს მიუძღვნა; გარდა ამისა, თავის ანდერძში მან მიუთითა, რომ, თავისი დასაფლავების დღეს ბობ დილანის რამდენიმე კომპოზიცია დაეკრათ.

# მხოლოდ ფაქტები

* აღმოსავლეთ ფინეთის ქალაქ სავონლინას 40 პროცენტი ტბებსა და მდინარეებს უკავია, ამიტომ მეორენაირად მას „ფინურ ვენეციას" უწოდებენ.

* ზოოლოგმა ულმარ გრაფემ, ბრუნეის ჯუნგლებში ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიის ცხოველთა სამყაროს შესწავლის შემდეგ დაწერილ ნაშრომში აღნიშნა ადგილობრივი ბაყაყების უცნაური ქცევები: რადგან მათ ერთმანეთის ყიყინი არ ესმით, მდედრების მოსახმობად თათებს იქნევენ.

* პრინცესა ფრედერიკა შარლოტა მარია ვიუტენბერგსკაიამ, მომავალში ელენა პავლოვნამ, დიდი თავადის, მიხაილ პავლეს ძის მეუღლემ, გზაში – სამშობლოდან მეუღლის სახლამდე მისვლამდე – შეისწავლა... რუსული ენა.

* იაპონური რეანძის ბაღს სხვანაირად „ზღვასაც" უწოდებენ. ფართობი, რომელიც ბაღს უჭირავს, თეთრი კენჭებითაა დაფარული, რომელშიც გაფანტულია 15 დიდი ქვა – როგორც ტალღებში კუნძულები.

* სპარსეთის მმართველი მუბარიზ ადდინი ისლამური ტრადიციების დიდი დამცველი იყო და შესაბამისი კანონიც შემოიტანა, რომელსაც პოეტმა ჰაფიზ შირაზმა „მშრალი კანონი" უწოდა.

* ერთ-ერთ პაკისტანურ ბირთვულ რაკეტას „ჰაფტი" დაარქვეს. მისი სიგრძე 112 სანტიმეტრია, რის გამოც მიიღო ეს პოეტური სახელი. სწორედ 112 სანტიმეტრი იყო მახვილი, რომელიც თავდაპირველად მეფე დავითს ეკუთვნოდა, შემდეგ კი – წინასწარმეტყველ მუჰამედს. სწორედ ამ მახვილით შემოიღო მან ჯიჰადი ცეცხლთაყვანისმცემლების წინააღმდეგ.

* ბანჯი-ჯამფინგი – ელასტიკური ღვედებით კოშკიდან ხტომა დღეს საკმაოდ გავრცელებული გასართობია. მისი საფუძველი ვანუატუს ტომის ტრადიციული განაყოფიერების რიტუალია – მამაკაცები სიმაღლეზე ადიან, ფეხებზე ლიანებს იხვევენ და ხტებიან ისე, რომ თმით მიწას შეეხონ.

* ალბანურ ენაში ულვაშების ფორმის გამოსახატავად 27 სიტყვა არსებობს, წარბების ფორმის გადმოსაცემად კი – 30 სიტყვა.

* კოკას მასტიმულირებელი თვისება ცნობილი იყო ესპანელი კონკისტადორებისთვის, ამიტომ ისინი ამ მცენარეს ვერცხლის მომპოვებელ შახტებში მომუშავე მონების შრომისუნარიანობის ასამაღლებლად იყენებდნენ.

* პერიოდული სისტემის ელემენტს ჰოლმიუმი, ქალაქის ძველი სახელი, სტოკჰოლმის პატივსაცემად ეწოდა; გაფნიუმი, ასევე, ქალაქის ძველი სახელი – კოპენჰაგენის პატივსაცემად, ლუტეციუმი – პარიზის პატივსაცემად.

# ვლადიმირ პუტინი – თანამედროვე პოლიტიკის ნომერ პირველი ანტიგმირი

***რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ნომერ პირველ ანტიგმირად ყალიბდება. მთელი მსოფლიო მის გატარებულ პოლიტიკას აკრიტიკებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მისი გავლენა მსოფლიოში მაინც უზარმაზარია, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ პუტინი ბოლო ათწლეულის ყველაზე გავლენიან ადამიანად არის დასახელებული არაერთი გავლენიანი და ცნობილი გამოცემის მიერ.***

* ვლადიმირ პუტინს ბავშვობიდან უყვარდა საბჭოური ფილმები ჯაშუშებზე და ოცნებობდა, რომ მომავალში სადაზვერვო სამსახურში ემუშავა. 1975 წელს პუტინის ოცნება ახდა – იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, პუტინი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში მოხვდა განაწილებით.

* 1985-1990 წლებში ვლადიმირ პუტინი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მუშაობდა რეზიდენტად, თუმცა, "ქალალდზე" ის დრეზდენის „მეგობრობის სახლის" დირექტორი იყო.



* 1983 წლის 28 ივლისს ვლადიმირ პუტინი ლუდმილა პუტინაზე დაქორწინდა. წყვილს ორი შვილი ჰყავს – მარია და ეკატერინა. 30-წლიანი ქორწინება 2013 წელს განქორწინებით დასრულდა.

* პუტინს რამდენიმე შინაური ცხოველი ჰყავს: ოთხი ძაღლი, მათ შორის – შავი ლაბრადორი „კონი," ორი პუდელი და კარაკაჩანის ჯიშის ძაღლი, მეტსახელად „ბაფი". პუტინის „ზოოპარკში," ასევე, არიან თხა – „სკაზკა" და პონი – „ვადიკი".

* ვლადიმირ პუტინი გეოგრაფიული რუკებისა და ცნობილი ადამიანების გამოსახულებიანი საფოსტო მარკების კოლექციონერია.

* ვლადიმირ პუტინი მაჯის საათს მარჯვენა ხელზე ატარებს. ის შემდეგი ბრენდის საათებს ანიჭებს უპირატესობას: „პატეკ ფილიპი", „ბლანკპეინი", „ბრეგო" და „ლანჟე & სონიე".

* ვლადიმირ პუტინის შესახებ გადაღებულია 13 ფილმი, მათ შორის – 12 დოკუმენტური და 1 მხატვრული.

* 1999 წელს ვლადიმირ პუტინმა, ვასილი შესტაკოვისა და ალექსეი ლევიცკის თანაავტორობით, გამოსცა წიგნი – „ვეუფლებით ძიუდოს ვლადიმირ პუტინთან ერთად". რუსეთის პრეზიდენტი სპორტის ოსტატია ძიუდოსა და სამბოში. იგი ძიუდოს ცნობილ რუს მწვრთნელთან, ანატოლი რახლინთან ვარჯიშობდა 11 წლის განმავლობაში.

**გვერდი მოამზადა
უშანგი რუხაძემ**



## მწვანილი ორგანიზმისთვის აუცილებელი ვიტამინებისა და მიკროელემენტების წყაროა

ცოცხალ პოლივიტამინებზე უკეთესი არაფერია. მათ კარგად შეითვისებს ორგანიზმი. საჭირო ვიტამინებსა და მიკროელემენტებთან ერთად, ხილი და ბოსტნეული სხვა ძვირფას ნივთიერებებსაც შეიცავს. მთავარია, იცოდეთ, სად იპოვოთ ისინი.

მწვანილი ვიტამინებისა და მიკროელემენტების წყაროა:

**კამა** შეიცავს 20 პროცენტით მეტ C ვიტამინს, ვიდრე ლიმონი ან ფორთოხალი. მასში ბევრია ბეტა-კაროტინი და სხვა საჭირო ვიტამინები. ამას ემატება 12 მნიშვნელოვანი მიკროელემენტიც.

**ნიახური** B ჯგუფის ვიტამინების სრულ კომპლექტს შეიცავს; ასევე, სასარგებლოა **ოხრახუში** და **რეჰანი**. თითქმის ყველა მწვანილი ამაღლებს ორგანიზმის უჯრედების აქტიურობას.

**ნიორი** სისხლის კაპილარულ მიმოქცევას აღადგენს და სახის კანზე ზრუნავს.

**კომბოსტო** შეიცავს B ჯგუფის ყველა ვიტამინის ნაკრებს, C ვიტამინს, თუთიას, მანგანუმს და, ასევე, სხვა სასარგებლო ნივთიერებებს. ეს ბოსტნეული უჯრედების ზრდის ერთ-ერთი საუკეთესო ბუნებრივი სტიმულატორია. მას აღმდგენი და გამაახალგაზრდავებელი თვისებები აქვს.

**წიწაკა** შეიცავს ნივთიერება კაპსაიცინს, რომელიც სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს. მასში ბევრია კაროტინი, C ვიტამინი, სილიციუმი, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის საერთო სიჯანსაღისთვის.

## დაასვენეთ თქვენი ნერვული სისტემა

ბევრი ჩვენგანი ნებით ისჯის თავს, როცა ძილს ღამის კლუბებზე, ინტერნეტსა თუ ღამის სატელევიზიო გადაცემებზე ცვლის. ცხოვრების ასეთი წესი ქრონიკულ დაღლილობას, შრომის უნარის დაქვეითებასა და ათას დაავადებას იწვევს.

იძინეთ იმდენი, რამდენსაც ორგანიზმი მოითხოვს. მიეცით ნერვულ სისტემას სრულფასოვანი დასვენების საშუალება. ერთი უძილო ღამე რომ აინაზღაუროთ, ორი ღამე მაინც არის საჭირო, დღის ძილი კი არცთუ კარგია. ის ბიორითმებს ცვლის და ორგანიზმში მიმდინარე პროცესთა დესინქრონიზაციას იწვევს. მოერიდეთ ყველაფერს, რაც დაძინებაში გიშლით ხელს, მაგალითად: ვახშამი დაწოლამდე ორი საათით ადრე მიირთვით; საღამოს, ძილის წინ, ნუ მოწევთ სიგარეტს, ნურც ყავას და მაგარ ჩაის დალევთ; საწოლში არ იკითხოთ და არც ტელევიზორს უყუროთ დაწოლილმა. დაწექით დასაძინებლად, როცა ძილი მოგერევათ – ასე გამოგიმუშავდებათ რეფლექსი და, დაწვებით თუ არა, მალევე დაგეძინებათ.

ბევრი ადამიანი დილით ფინჯან ყავას მიირთმევს და ამბობს, რომ კოფეინი გადაღლილობისა და გამოფიტვის საწინააღმდეგო საშუალებაა. ეს არასწორი მოსაზრებაა, რადგან, კოფეინი ალკალოიდია, რომელიც ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ზემოქმედებს და ენერგიის მოზღვავების იმიტაციას იწვევს. ის დაკარგულს კი არ აღადგენს, არამედ, დარჩენილ მარაგს კრებს და ორგანიზმს უფრო მეტად ფიტავს. ამიტომ, ქრონიკული დაღლილობისა და უძილობის დროს ყავის სმას ნუ მიეძალებით, ეს უარესია. ყავა კი არ აფხიზლებს ადამიანს, არამედ, ძილს უფრთხობს. ამ დროს იწყება თავის ტკივილი და, შესაძლოა, ხანგრძლივი უძილობაც კი დაგჩემდეთ. გირჩევთ, ნუ დალევთ დღეში ორ ფინჯანზე მეტ ყავას. თუ დაღლილობას თავს ვერ ართმევთ, სხვა სასმელი მიირთვით, მაგალითად, ლიმონიანი ჩაი, თაფლიანი ან მინერალური წყალი. მიიღეთ კონტრასტული შხაპი, ჩაიტარეთ სუნთქვითი ვარჯიშები, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე და ასე შემდეგ.

ასევე, სერიოზული ზიანი მოაქვს სიმსუქნეს. ჭარბი ცხიმოვანი ქსოვილი არანაკლებ ჟანგბადსა და საკვებ ნივთიერებებს მოიხმარს, ვიდრე გული და ტვინი. ის გულს აიძულებს, ერთიორად მეტი დატვირთვით იმუშაოს და საკუთარ პრობლემებს სხვა ორგანოების, კერძოდ, გულის, სისხლძარღვების, კუჭის, პანკრეასის, სახსრების ხარჯზე აგვარებს. ამიტომაც არის სიმსუქნე გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიების, შაქრიანი დიაბეტის, ოსტეოპოროზისა და სხვა დაავადებების რისკ-ფაქტორი. ამიტომ, გირჩევთ, ერიდოთ მაღალკალორიულ საკვებს და მეტი იმოძრაოთ.

ადამიანები დიდ დროს ატარებენ ავტომობილში, ტელევიზორთან, კომპიუტერთან და ასე შემდეგ. ასეთ მდგომარეობას ჰიპოკინეზია, ანუ, მოძრაობის უკმარისობა ეწოდება და ორგანიზმისთვის ძალიან საშიშია, ამიტომ, სწორად უნდა შეარჩიოთ ფიზიკური ვარჯიშები. ფიზიკური აქტივობა ნებისმიერს სჭირდება, რათა პასიური ცხოვრების წესმა ორგანიზმი არ გამოფიტოს და არ დააავადოს.

## კანის სოკოვან დაავადებას კაკლის ფოთლების ნახარში შველის

სოკოვანი დაავადება საკმაოდ უსიამოვნო და საშიშია. თუ სოკო ფეხის თითებზე გაჩნდა, გაიკეთეთ ცივი წყლის აბაზანა. წყალში კი ჩაყარეთ 1 სადილის კოვზი საჭმელი სოდა და მარილი. როგორც კი წყალში ფეხებს ჩადგამთ, მაშინვე იგრძნობთ შვებას.

სოკოვანი დაავადების დროს, აგრეთვე, კარგია კაკლის ფოთლების ნახარში, კერძოდ, 1 მუჭა, ანუ 100 გრამი კაკლის ფოთოლი ჩაყარეთ 3 ლიტრ ადუღებულ წყალში და თავზე მჭიდროდ დაახურეთ. როცა წყალი გაგრილდება, გაიკეთეთ აბაზანები. ეს პროცედურა უნდა ჩაიტაროთ დღეში ერთხელ, საღამოს. შემდეგ კი ფეხები არ შეიმშრალოთ.

კანის ძლიერი ქავილის დროს ტანი დაიზილეთ მარილიან წყალში დასველებული ტილოთი. გარწმუნებთ, ასეთი მეთოდის გამოყენებით, ქავილი შეწყდება და შვებასაც მალევე იგრძნობთ.

## კვერცხი პოტენციას ამაღლებს

კვერცხი შეიცავს ქოლესტერინს, მაგრამ მასში ბევრია სხვა სასარგებლო ნივთიერებაც. კვერცხი სისხლში ქოლესტერინის დონეს ამაღლებს, ოღონდ, ძალიან მცირე რაოდენობით და სხვა სასარგებლო ნივთიერებებით კომპენსირდება.

ცხიმები ცილაში არ არსებობს, კვერცხის გულში კი, მხოლოდ ერთი გრამია.

კვერცხი 75 კილოკალორიას შეიცავს. ამიტომ, ის სრულიად უნიკალური ბუნებრივი პროდუქტია. დღეში, შეგიძლიათ, ერთი ან ორი კვერცხი მიირთვათ.

კვერცხის ჭამას უნდა მოერიდონ დიაბეტიანები, რადგან მათ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა შეცვლილია და ანტიქოლესტერინის დამცველი მექანიზმი ცუდად მუშაობს.

უმი კვერცხი პოტენციის ამაღლებას უწყობს ხელს და ეს განსაკუთრებით მამაკაცებისთვისაა სასარგებლო.

## ხშირად მიირთვით წიწაკითა და მდოგვით შეკაზმული კერძები

**მდოგვი** ეფექტურ ანტიანთებით საშუალებად მიიჩნევა. თანამედროვე მედიცინაში მდოგვს გამოიყენებენ კბილის ტკივილის, ციებ-ცხელების, პნევმონიის, ბრონქიტისა და იპოქონდრიის დროს. თუ კერძებს მდოგვს დაუმატებთ, საგრძნობლად გაიუმჯობესებთ ენერგიას. ის ცხიმების შეთვისებაშიც ეხმარება ორგანიზმს.

**შავი პილპილი** საჭმლის მონელების პროცესს საგრძნობლად ასტიმულირებს და აუმჯობესებს მადას, ადამიანის ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი ფაქტორია.

**წიწაკა** კი ადამიანს ენერგიით ავსებს, ძალას ჰმატებს და ამხნევებს. ეს ბოსტნეული კარგია გაციებისა და გადაღლის დროს. ტკბილ წიწაკაში ბევრი ვიტამინია, კერძოდ: $B_1$, C, E, PP და ასე შემდეგ. მასში შემავალი ბეტა-კაროტინი და მიკროელემენტები აძლიერებს ორგანიზმის საერთო იმუნიტეტს, ამაღლებს სისხლძარღვების ელასტიკურობას და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას.

ასევე, გაითვალისწინეთ, რომ თუ წიწაკას რეგულარულად მიირთმევთ, მელანქოლია და აპათია არასოდეს შეგაწუხებთ.

## სასიცოცხლო ტონუსის შესანარჩუნებლად აუცილებლად აკონტროლეთ წნევა, სისხლძარღვების ჯანმრთელობა და წონა

გადაღლა, სტრესი და არასწორი კვება ცვეთს სისხლძარღვებს, უკარგავს ელასტიკ-

ურობას, იხშობა წვრილი ძარღვები, რასაც სპაზმები, თავის ტკივილი და მთელი რიგი უსიამოვნებები მოსდევს.

ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევისა და ინსულტის რისკ-ფაქტორებს შორის პირველ ადგილზე ჰიპერტონიაა.

კოორდინაციის დაკარგვის, თავბრუხვევის, თავის ტვინის სპაზმების დროს, უნდა მიიღოთ მცენარეული ნედლეულით დამზადებული წამლები, რომლებიც აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, წნევას, წმენდს კაპილარებს ცხიმოვანი დანალექებისგან, აღადგენს ძარღვების ელასტიკურობას და ასე შემდეგ.

დაძაბულობისა და გადაღლის დროს მიირთვით საქონლის ღვიძლი ან ტვინი, ბროწეული, ანანასი, ავოკადო, ხორბლის, ღერღილის ნაწარმი, ბევრი ხილი და ბოსტნეული.

C ვიტამინი, რომელსაც უხვად შეიცავს ფორთოხალი და გრეიპფრუტი, წმენდს ტვინის სისხლძარღვებს. კვებით რაციონში აუცილებლად ჩართეთ მინერალური ნივთიერებებით მდიდარი ზღვის პროდუქტებიც. ეს აუმჯობესებს ადამიანის გონებრივ აქტივობას.

### გადაანაწილეთ საკვები პროდუქტები სწორად საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე

სწორი კვება გულისხმობს პროდუქტების სწორ ურთიერთშეთავსებასაც. ამიტომ, თუ გსურთ, ჯანმრთელობა და შრომისუნარიანობა დიდხანს შეინარჩუნოთ, აუცილებლად გაითვალისწინეთ ქვემოთ მოყვანილი რჩევები.

არ შეიძლება, პურეული და პროტეინის შემცველი პროდუქტების, მაგალითად, რძის, ყველის, ხორცის, კვერცხის, თევზის ერთად ჭამა. პროტეინები გადამუშავდება მაღალი სიმჟავის კუჭის წვენით, რომელშიც პურეული ნაწარმი დუღილს იწყებს. ამ პროდუქტების ერთმანეთში არევა კი საჭმლის მომნელებელი პროცესის დისბალანსს იწვევს. არ შეიძლება, შეათავსოთ ერთმანეთთან, მაგალითად, თევზი და ყველი, ქათმის ხორცი და კარტოფილი, მაკარონი და ბიფშტექსი.

საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე მხოლოდ ერთი ჯგუფის პროდუქტები უნდა ჭამოთ. მაგალითად, ცომეული ან ტკბილეული.

პროტეინების ზედმეტი რაოდენობა ორგანიზმში შარდოვანას მომატებულ გამომუშავებას იწვევს, რომლის მიზეზითაც ვითარდება რევმატიზმი და პოდაგრა. შეგიძლიათ, ჭამოთ ხორცი ან თევზი, ხორცი ან ნიგოზი, კვერცხი ან შებოლილი ხორცი, კვერცხი მაიონეზით. არ შეიძლება ომლეტისა და ყველის, ომლეტისა და შებოლილი ხორცის ერთად მირთმევა.

ერთ ჯერზე მიიღეთ მხოლოდ ერთი სახის პურეული ნაწარმი. ყველა ადამიანისთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც ნაკლებად მოძრაობს, ზედმეტად კალორიული საკვების მიღება მავნე და საშიშია. ამიტომ, ერთ ჭამაზე ერთი სახის პურეულ საკვებს დასჯერდით: მიირთვით პური ან მაკარონი, კარტოფილი ან ბრინჯი.

არ შეიძლება, პურეული პროდუქტებისა და მჟავე ხილის შეთავსება. ასეთ ხილს ორგანიზმი მაღალმჟავიანი კუჭის წვენით ამუშავებს. ამიტომ, არ არის რეკომენდებული, მიირთვათ ვაშლის, ჭერმის, მარწყვის ან სხვა ხილის ღვეზელი.

რაც შეეხება ნესვს, მისი შეთავსება არ შეიძლება არც ერთ საკვებთან. ამიტომ, ის ცალკე უნდა მიირთვათ. განსაკუთრებით მოერიდეთ მასთან ერთად სხვა ხილისა და ტკბილეულის მიღებას.

მაწონი, რძე, იოგურტი, ნაღები, ნესვის მსგავსად, ასევე ცუდად ეგუება სხვა პროდუქტებს, ამიტომ, ისინიც ცალკე უნდა მიირთვათ.

რძე და რძის ნაწარმი პროტეინშემცველი პროდუქტებია, რომლებიც ცუდად უთავსდება პურეულ და სხვა პროტეინშემცველ პროდუქტებს. ამიტომ, ნუ მიირთმევთ ერთად კარტოფილსა და რძეს, ბრინჯსა და რძეს, თევზსა და რძეს.

უპირატესობა მიანიჭეთ მცენარეულ ცხიმს. ასეთი სახის ცხიმი შეიცავს ცხიმოვან მჟავებს, რაც ხელს უშლის ქოლესტერინის წარმოქმნას და კარგად ესადაგება როგორც პურეულ, ასევე პროტეინშემცველ ნებისმიერ პროდუქტს.



**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ექიმის რჩევები

**კითხვა: მაწუხებს ყაბზობა, მირჩიეს: წყალბადის ზეჟანგი 25 გრამი, ზეთი 50 გრამი და წყალი 200 გრამი – ასეთი ნარევის ოყნის გაკეთება. საერთოდ, შეიძლება, წყალბადის ზეჟანგის ოყნით გაკეთება?**

**პასუხი:** ასეთი მეთოდი გამოიყენება დისბაქტერიოზის სხვადასხვა ფორმის სამკურნალოდ, ვირუსული ინფექციების, კანდიდოზების, ქალისა და მამაკაცის შარდ-სასქესო სისტემის დაავადებების დროს, ასევე, ჭიების გამოსადევნად. ნარევი შედგება - 200 მილილიტრი ფიზიოლოგიური ხსნარი + 5 მილილიტრი 3-პროცენტიანი წყალბადის ზეჟანგი (თანდათანობით რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს 10 მილილიტრამდე). წინასწარ კეთდება გამწმენდი ოყნა, შემდეგ წყალბადის ზეჟანგიანი – სიჩქარით 60 წვეთი წუთში. ამისათვის სისხლის გადასხმის სისტემას იყენებენ, რომელსაც ცალი მხრიდან ნემსს ხსნიან, ხოლო მეორე ბოლო (ნემსიანი) უერთდება ხსნარს.

**კითხვა: რისთვის არის სასარგებლო სტაფილო?**

**პასუხი:** სტაფილო შეიცავს B, C, K, PP ვიტამინებს, მინერალურ მარილებს, კალიუმს, რკინას, იოდს, სპილენძს, ფრუქტოზასა და კაროტინს. ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას ბეტა-კაროტინი გარდაიქმნება A ვიტამინად, რომელიც ძალზე სასარგებლოა. ეს უძლიერესი ანტიოქსიდანტი იცავს ორგანიზმს გადაღლასა და დაბერებისგან. სტაფილო აუცილებელია ორსულებისთვის, რომელთაც ძლიერი და ჯანმრთელი ბავშვის გაჩენა სურთ. სტაფილო ძალიან კარგია მათთვის, ვისაც კანის სიმშრალე, ფრჩხილების მტვრევა და თმის ცვენა აწუხებს. სტაფილო წმენდს სისხლს და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, რითაც ამცირებს გულსისხლძარღვთა და ონკოლოგიური დაავადებების განვითარების რისკს.

**კითხვა: როგორი სიმპტომები აქვს ურეაპლაზმას?**

**პასუხი:** ხშირად ურეაპლაზმოზი უსიმპტომოდ მიმდინარეობს (ასეთი მიმდინარეობა უფრო ქალებში შეიმჩნევა). დასაწყისში სიმპტომები შემდეგია: ჩნდება მსუბუქი წვა შარდგამომყოფი არხის მიდამოში, მოგვიანებით, ემატება საშარდე გზებიდან უმნიშვნელო რაოდენობით გამონადენი, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება ჩირქოვანი გახდეს. შარდი ხდება მუქი ფერის, შესაძლოა, გაჩნდეს შარდის სპეციფიკური სუნი. მამაკაცებში ურეაპლაზმოზის ყველაზე გავრცელებული სიმპტომებია მცირედი გამჭვირვალე გამონადენი სასქესო ასოდან, ზომიერი ტკივილი და წვის შეგრძნება მოშარდვის დროს. ურეაპლაზმით წინამდებარე ჯირკვლის დაზიანება პროსტატიტის ნიშნებით ვლინდება.

**კითხვა: როგორ უნდა ვიკვებო პოდაგრის დროს?**

**პასუხი:** პოდაგრის კომპლექსური თერაპიის ნაწილია დიეტა და ითვალისწინებს რაციონიდან შებოლილი და ცხარე პროდუქტების, ხორცის, ხორცის სუბპროდუქტების (საქონლისა და ღორის გული, თირკმელები, ღვიძლი, ტვინი), ხორცის ნახარშის, ცხიმიანი თევზის, თევზისა და ხორცის კონსერვების, შოკოლადისა და ყავის ამოღებას. ერიდეთ ასევე, პურინებით მდიდარ საკვებს: ბარდას, ლობიოს, სოიოს და სხვა. რეკომენდებულია დიდი რაოდენობით სითხის მიღება (მწვანე ჩაი და ხილის წვენები) ორთქლზე მომზადებული ბოსტნეულის ჩართვა, შეწვარი საკვების მოხარშულით შეცვლა. ყველა პაციენტს ეკრძალება ალკოჰოლიანი სასმელები და ეძლევა რეკომენდაცია, ერიდოს ნერვულ სტრესს – ეს ორი ფაქტორი ერთსა და იმავე დროს პროვოცირებას უწევს შარდმჟავას სინთეზის გაძლიერებას და მისი გამოდევნის გაუარესებას.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# როგორ გახდა ლევან ბერძენიშვილი როკ-მუსიკოსი და როგორ იყიდებოდა ბილეთები მის კონცერტებზე

*პოლიტიკაშიც შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომლებიც საზოგადოებაში დადებით ემოციებს იწვევენ. მართალია, ასეთები თითზე ჩამოსათვლელნი არიან, მაგრამ, მაინც არიან. სწორედ ასეთია ლევან ბერძენიშვილი. ეს უწყინარი, ბავშვური გამომეტყველების მქონე ადამიანი გარშემო მყოფებს ძალიან უყვართ, თუნდაც მის სტუდენტებს, რომლებთანაც ის ყოველთვის მეგობრობს, საუბრობს ყველანაირ თემაზე და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ზოგჯერ მათ მსახიობის ოსტატობის გაკვეთილებსაც უტარებს – ლიტერატურულ ეტიუდებს. მოკლედ, ბევრს აღარ გავაგრძელებ და დღეს სხვა, ძალიან განათლებულ, ინტელექტუალურ, მრავალი ენის მცოდნე, უშუალო ლევან ბერძენიშვილს წარმოგიდგენთ თავისი ცხოვრების უცნაური პერიოდებით.*



### ჩოხატაურელი ბერძენიშვილები და ილო ბებო

წარმოშობით ჩოხატაურიდან ვართ. ჩვენს გვარში ძირითადად სამღვდელოების წარმომადგენლები იყვნენ. ყველაზე განთქმული ბეჟან ბერძენიშვილი იყო, რომელსაც შთამომავლობა ახასიათებს როგორც ძალიან სერიოზულ და მნიშვნელოვან ფიგურას. იმდენად ომახიანი ხმა ჰქონია, ჩოხატაურში რომ დაიძახებდა, ნაგომარში გააგონებდა. ბაბუა არ მახსოვს. პირველი ქორწინებიდანაც ჰყავდა შვილები და მეორე ქორწინებიდან – მამაჩემი. მამას, ფაქტობრივად, მამიდა დორა ზრდიდა, რომელსაც ჩვენს გაზრდაშიც აქვს წვლილი შეტანილი. მამა ნიჭიერი და შრომისმოყვარე კაცი გახლდათ. იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა, ომში რომ წაიყვანეს. იქიდან რომ დაბრუნდა, როგორც კარგ იურისტსა და შრომისმოყვარეს, აჭარის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა შესთავაზეს, სადაც წლების განმავლობაში მუშაობდა. შემდეგ საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე იყო, ბოლოს – ადვოკატი. რაც შეეხება ბებიას, სამწუხაროდ, არც ის მახსოვს. დედა, ვენერა რუხაძე, ხონელი იყო, მაგრამ, ფოთში გაიზარდა. პროფესიით ფილოლოგი გახლდათ. მშობლები ერთმანეთს მამაჩემის დამ, თამარმა გააცნო. რაც შეეხება დედაჩემის მამას, პოლიკარპე რუხაძეს, მოხელე იყო, მაგრამ, ძალიან საინტერესო ადამიანი ყოფილა. როგორც ყველა ქართველ კაცს, მასაც უყვარდა ნადირობა, ქეიფი, ამასთან ერთად, ქალები და ამით ბებიას ძალიან ამწარებდა. ქალბატონი ივლიტა, რომელსაც ილო ბებოს ვეძახდით, გამორჩეული თვისებების ადამიანი იყო. მას არ ჰქონდა უმაღლესი განათლება, თუმცა, საქართველოში არ მეგულება ბევრი პროფესორი და აკადემიკოსი, რომელიც ბებიაჩემს რამეში შეეჯიბრებოდა. მსგავსი ინტელექტის ქალი არ მინახავს. ჯერ ერთი, ჰქონდა თხრობის წარმოუდგენლად კარგი უნარი, ლექსიკური მარაგი, მეხსიერება. მაგალითად, ძალიან კარგად ახსოვდა, რომელი მიტინგი სად და როდის დაიწყო. მოკლედ, ჩემზე ორმა ქალმა მოახდინა განსაკუთრებული გავლენა – მამიდა დორამ და ბებიაჩემმა ივლიტამ.





### დაწესებულება „ჟხ-385/35“

1984 წელს, როცა მე და ჩემს ძმას, დათოს, ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისთვის გვასამართლებდნენ, დედა ისეთი პატრიოტული სიტყვით გამოვიდა, მოსამართლემ უთხრა: ქალბატონო, ესენი კი არა, თქვენ ხართ დასაჭერიო. დედა უფრო თამამი ქალი იყო, ვიდრე მამა. სხვათა შორის, ძალიან შეხმატკბილებული ოჯახი გვქონდა. არ გვახსოვს, ოდესმე მშობლებს რაიმე კონფლიქტი მოსვლოდათ. მამა ძალიან მოკრძალებული კაცი იყო და ამიტომ ვიწროდ, ყველა ერთ ოთახში ვცხოვრობდით. მერე ოროთახიანი ბინა მივიღეთ, მაგრამ, იქაც ვიწროდ ვიყავით. ზოგი რომ ტრაბახობს, მამაჩემმა სიმდიდრე დამიტოვაო, მამაჩემმაც დაგვიტოვა სიმდიდრე – წიგნები იკითხეთო. სხვანაირი სიმდიდრე არც გვინდოდა და არც მიგვიღია. მართალია, სკოლაში მედალოსანი ვიყავი, მაგრამ, ჩემი ყოფაქცევა კითხვის ნიშნებსაც იწვევდა. მაგალითად, შემეძლო, „კედლის ბატარეა“ გამეტეხა, რომ ცხელი წყალი გადმოსულიყო და, მასწავლებელს, რომელიც არავის მოგვწონდა, ფეხებზე დასხმოდა. ბავშვობაში რაღაც მიდრეკილებები მქონდა და, როგორც ყველა მშობელი, დედაჩემიც იბრძოდა, სწორ გზაზე დავმდგარიყავით. ერთ-ერთი ასეთი მიდრეკილება იყო როკ-ანსამბლის შექმნა. სკოლიდან წამოღებული მქონდა ხმის გამაძლიერებელი და ელექტროგიტარაზე ვუკრავდი. თმა მოვუშვი, მეცვა, ეგრეთ წოდებული, „ბიტლოვკა“ – წინ ნაქსოვით და უკან ტყავით. პატარა მუსიკალური განათლება მაქვს მიღებული ფორტეპიანოს განხრით, მაგრამ, არც ისეთი, ჩემს მეუღლეს რომ აქვს. ძალიან საყვარელი, მსუქანი ბავშვი ვიყავი. მეოთხე კლასში, ხელი რომ მოვიტეხე, მიხაროდა, მუსიკაზე სიარული შევწყვიტე. მერე, მომენტი რომ გამოხტა, პირიქით, ვნანობდი, რატომ არ ვისწავლე-მეთქი. ჩამოვაყალიბე ჯერ ერთი, მერე კი მეორე ანსამბლი. ბათუმში ბევრი კონცერტი გვაქვს ჩატარებული, გიჟდებოდნენ ჩვენს კონცერტებზე. ბილეთები კარგად იყიდებოდა. დედაჩემს მოუწია ჩარევა, რადგან, ეს გატაცება სწავლაზე უარყოფითად ისახებოდა. ამის შემდეგ ხან ფოტოსაქმიანობით ვიყავი გატაცებული, ხან – კინოთი. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი გადავიღეთ სიყვარულზე, რვამილიმეტრიან ფირზე, მაგრამ, ფირი არ გადარჩა. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რომ ვსწავლობდი, იქ ერთი ლამაზი გოგო გვყავდა, რომელზეც მთელ ინსტიტუტს მზე და მთვარე ამოსდიოდა და, გადავწყვიტე, მთავარ როლზე მომეწვია. რეჟისორიც მე ვიყავი, ოპერატორიც, გამნათებელიც და მემონტაჟეც. რაღაც ჩანაფიქრები განვახორციელე, მაგრამ, როგორი რეჟისურა იყო, ვერ გეტყვით. ყოველ შემთხვევაში, ჩემს მეგობარს, კინომცოდნე გოგი გვახარიას რომ არ მოეწონებოდა, ვიცი. ასევე, მქონდა კომპიუტერული გატაცება და, საერთოდ, ტექნიკასთან დაკავშირებული რაღაცეები. რადიოხულიგანიც ვიყავი – ეთერში გავსულვარ საბჭოთა კავშირის დროს, რაც არ შეიძლებოდა და ამის გამო ერთი-ორჯერ დაჭერილიც ვარ ბათუმის ბულვარში. „გეპეიში“ რომ ვსწავლობდი, კედლის გაზეთი გამოვუშვი, რამაც დიდი ხმაური გამოიწვია, განხილვები მიდიოდა. რვა ავტორი აწერდა ხელს და ყველა მე ვიყავი სხვადასხვა ფსევდონიმით. ჟურნალისტური გამოძიებაც კი ჩავატარე, მამხილებელი სტატია გავაკეთე მექრთამე ლექტორის შესახებ, თუ ვისგან როდის და რამდენი აიღო. მაგ დროს ბევრი ადამიანი



გავიცანი უნივერსიტეტიდან მოსული და მომეწონა ის ვითარება, რაც უნივერსიტეტში იყო. ამიტომ, გამოვედი „გეპეიდან“ და უნივერსიტეტში შევედი. „გეპეიში” ხუთი გოგო და ოცდახუთი ბიჭი ვიყავით, უნივერსიტეტში ას ხუთი გოგო და ხუთი – ბიჭი. ამ ხუთ ბიჭს გოგონები ხელისგულზე გვატარებდნენ. 1978 წელს, როდესაც გამსახურდიასა და კოსტავას სასამართლო პროცესი გაიმართა, მე, ვახტანგ ძაბირიძემ, ვახტანგ შონიამ და ჩემმა ძმამ – დათომ, იატაკქვეშეთში „რესპუბლიკური პარტია” შევქმენით და აქედან დაიწყო ჩვენი პოლიტიკური საქმიანობა. 1983 წელს ჯერ დათო, შემდეგ კი მე და ორივე ვახტანგი დაგვაპატიმრეს. სასჯელი მორდოვეთში მოვიხადეთ, დედაქალაქ სარანსკში, რომელიც საშინლად ჭაობიანი მხარეა. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი და მძიმე სამი წელი იმ თვალსაზრისით, რომ ბევრი რაღაცის გადაანგარიშება მომიხდა. საფრთხე გველოდა იმ დაწესებულებაში, რომელსაც „ჟხ-385/35“ ერქვა. ანდროპოვი რომ არ მომკვდარიყო, შემთხვევით რომ არ მოსულიყო გორბაჩოვი და „პერესტროიკა“ არ დაწყებულიყო, ჩვენ იქიდან გამომსვლელები არ ვიყავით. ვიცოდით, რაც გველოდა – ხანგრძლივი პატიმრობა. მეორედ საფრთხე შეიქმნა 2007 წელს, როდესაც გვეძებდნენ – სპეციალური ჯგუფები იყო გამოყოფილი. როგორც მერე გავიგე, ჩვენზე ლიკვიდაციის ბრძანება იყო გაცემული. როცა რუსეთის აგენტად გაცხადებენ და გეძებენ, უნდა გცემონ ან მოგკლან, შესაბამისად, უნდა ინერვიულო, მაგრამ, მე ჩემი სანერვიულო უკვე გავ-



# როგორ დასრულდა ქართველი მეზღვაურის სიცოცხლე მეორე მსოფლიო ომის დროს და რატომ ინახავდა ის სიცოცხლის ბოლომდე სამი ქალის ფოტოსურათს

***ქალაქ ქერჩში ცხოვრობს არაჩვეულებრივი ადამიანი – ვასილი ალექსანდრეს ძე კოსტოვსკი. წელს მას 85 წელი უსრულდება. ის დიდი ხანია, უძღვება პარტიზანთა და იატაკქვეშელთა კავშირს.***

**ჟურნალისტის შენიშვნა**: მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ისტორიები, ალბათ, ერთ-ერთი მძიმე თემაა ჩემს რუბრიკაში. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდის შემდეგ არაერთი ათწლეულია გასული, განსაცვიფრებელია, რომ სამამულო ომის დროს დაღუპულ ადამიანთა ისტორიები თითქოს ცოცხლდება და თავის ლოგიკურ გაგრძელებას ითხოვს. სტატიაში მოყვანილი დაღუპული მეზღვაური რომანტიკულ გმირად მიმაჩნია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის იბრძოდა ფაშისტური რეჟიმის დასამხობად (რასაც შეეწირა კიდეც), არამედ იმიტომ, რომ, მკერდში ჭრილობის მიუხედავად, ჯიბეში საყვარელი ადამიანების ფოტო ჰქონდა შენახული. ამ ფაქტმა ისე ააღელვა სრულიად უცხო და სხვა ეროვნების ადამიანი, რომ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ქართველი მეზღვაურის ისტორიას თაობიდან თაობას გადასცემს.

ომის პერიოდში ვასილი ქერჩის მახლობლად, ნოვოოლესეევსკაიას დასახლებაში ცხოვრობდა და 15 წლის ასაკიდან აქტიურად მონაწილეობდა იატაკქვეშა მოძრაობაში. საბჭოთა ხელმძღვანელობის დახმარებისთვის დაჯილდოებული იყო მედლებით „საბრძოლო დამსახურებისთვის“ და „საბრძოლო მამაცობისთვის“. მრავალი წლის განმავლობაში ის გულით ატარებს ტკივილს, რომელიც მას გაუჩნდა ოკუპაციის წლებში ნანახისგან, მაგრამ, განსაკუთრებით აწუხებს და ახსოვს 1942 წლის მაისის დღეს დანახული ადამიანის სახე, რომლის შესახებაც მან შემდეგი გვიამბო:

„1942 წლის მაისში, ფაშისტურ შენაერთებთან წარუმატებელი და ტრაგიკული ბრძოლების შემდეგ, ყირიმის ფრონტის შენაერთები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ მონაისკის პოზიციებიდან ქერჩისკენ, შემდგომ კი, დიდი დანაკარგის გამო, ყუბანის მიწაზე გადასულიყვნენ. იმ დღეებში ერთ-ერთი თანამებრძოლის – მეზღვაურის სიკვდილის თვითმხილველი გავხდი. ეს სოფელ ნოვოალექსეევკაში მოხდა. 14 მაისის დილა იყო, წვიმიანი. ჩვენს სახლს სამი ცხენოსანი მეომარი მოუახლოვდა. მათ ხელის ტყვიამფრქვევები და ავტომატები ჰქონდათ. წყალი და ლიბნეხტოვკაზე გამავალი გზის ჩვენება გვთხოვეს. დედა მათ რძით გაუმასპინძლდა. მადლობა გადაგვიხადეს და გზა განაგრძეს. 20 წუთის შემდეგ კი სოფელში მოტოციკლებით ოცამდე ფაშისტი შემოიჭრა, მოტოციკლების ეტლებზე ტყვიამფრქვევებით. უფროსმა ოფიცერმა თარჯიმნის დახმარებით ბრძანა ლიბნეხტოვკისკენ მიმავალი გზა გვეჩვენებინა. როდესაც ისინი წავიდნენ, მთის იქიდან აფეთქებისა და ტყვიამფრქვევის გასროლის ხმები გაისმა – ეს, ალბათ, ფაშისტების მოწინავე დამრტყმელი ძალა იყო.



მალე სოფელი ოკუპანტებმა დაიკავეს. უცებ ჩვენს ეზოს მოადგა წელს ზემოთ შიშველი მეზღვაური, მკერდზე სისხლიანი ნახვევით. მისი გარეგნობა და აქცენტი მის ქართველობაზე მეტყველებდა. მეზღვაურმა წყალი ითხოვა. დედამ მას ჭიქა რძით გაუმასპინძლდა, მაგრამ, რამდენიმე წუთში ჩვენ ერთჯერადი გასროლის ხმა გავიგეთ – მეზღვაური მოკლეს. მე და დედას გვინდოდა, ის სოფლის სასაფლაოზე დაგვეკრძალა, მაგრამ, გერმანელებმა ნება არ დაგვრთეს. მეზღვაურს ჯიბეში არაფერი ჰქონდა, გარდა სამი ქალის ფოტოსურათისა. მე მას მთელი ეს წლები ვინახავდი და ვიმედოვნებდი, იქნებ, ვიპოვო მეზღვაურის ნათესავები და მისი სიცოცხლის ბოლო წუთების შესახებ მოყოლის საშუალება მომეცეს-მეთქი. ის ბომბის აფეთქებისგან გაჩენილ ორმოში დავკრძალეთ.”

მკითხველს ვთხოვთ, დააკვირდეს ფოტოზე გამოსახულ სამ ქალბატონს და, თუ ვინმეს რაიმე ინფორმაციის მოწოდება შეუძლია მათ შესახებ, შეგვეხმიანოს.

**თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

ლილი მქონდა. ციხე ყველაზე დიდი მასწავლებელია, რომელიც, ყველაფერთან ერთად, იმასაც გასწავლის, რომ, თუ მოკვდი – მოკვდი. სიკვდილზე დიდი საშინელებაც არსებობს. „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“... „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“ – ეს სრულიად გასაგები და მისაღები კონცეფციებია. ის, რომ ვიღაცამ აგენტი დამიძახა, არ მომკლავს, მე მომკლავს, მართლა აგენტი რომ ვიყო. რომ დამიჭირეს, იმის მეშინოდა, ჩემებს არაფერი მოუვიდეთ-მეთქი. იყო ასეთი მუქარები: შენი უფროსი ძმა, მამუკა, მშენებლობაზე მუშაობს და, ფრთხილად იყავი, რამე არ მოხდეს, არ გადმოვარდესო... ყველამ უნდა იცოდეს, რომ ყველა განსაცდელისგან უმწიკვლო ვერ გამოხვალ. ციხეში ბევრს ახასიათებს მონანიება. თუ გაგიჩნდა გრძნობა, რომ ცხოვრებაში ჩაგიდენია ისეთი რამეები, რისთვისაც ეს ტანჯვა-წამება გეკუთვნის, ესე იგი, სულიერად გადარჩენილი ხარ. ყოველთვის ბრწყინვალე მასწავლებლები მყავდა, მაგრამ, არანაკლები მასწავლებლები მყავდა ციხეში, სადაც ვისწავლე გამძლეობა, რაც მანამდე არასდროს მქონია. პირველი, რაც უნდა გაიგო, ისაა, რომ, არ შეიძლება თავის გადარჩენა ნებისმიერ ფასად – ეს ნიშნავს, რომ სხვები უნდა გაწირო.



### ...და ეს მეგობრობა დამთავრდა

მეგობრების შერჩევაში ვერ ვარ მაგარი. იმაზე მეტმა მეგობარმა მიღალატა, ვიდრე ეს ნორმალურია, თუ, საერთოდ, ღალატი ნორმალური მოვლენაა. პირადად მე არავისთვის მიღალატია. მათ შორის, პოლიტიკური ღალატიც ყოფილა. სადღაც, ალბათ, ჩემი დანაშაულიც იყო, არ ვიცი. მაგალითად, ოცდაროა წელი ვმეგობრობდი კაცთან და, ისეთი რამ ჩაიდინა, რომ ეს მეგობრობა დაამთავრა.



### დიდი ექსკურსია, ვნებები და ვირთხები

ცოლი რომ შევირთე, ხელფასი 47 მანეთი მქონდა. ნახევარ განაკვეთზე ვმუშაობდი, მაგრამ, ახალგაზრდები ვიყავით. ბევრ ადგილას გვიცხოვრია ნაქირავებში, მთელი თბილისის უბნები მოვლილი გვაქვს. მახსოვს, ერთ სახლში იმხელა ვირთხები დარბოდნენ, ჩემი ცოლი ლოგინზე ფეხებშემოწყობილი იჯდა და ღამეებს ათევდა. სამნი ვიყავით: მე, ინგა და ჩვენი შვილი – თამუნა. ბევრი არაფერი გვჭირდებოდა. ამ მხრივ მდგომარეობა შემდგომში გართულდა, როცა ჯანმრთელობის გამო თანხები დაგვჭირდა. თირკმელები მაწუხებს და დღესაც ინტენსიურ მკურნალობას გავდივარ, მაგრამ, ღვთის წყალობით, მყავს ადამიანები, რომლებიც მეხმარებიან. სამწუხაროდ, ჩემი დასაქმება საქართველოში არავის უნდა ან არ შეუძლია. როდესაც ამერიკაში შემომთავაზეს ლექციების წაკითხვა, შემრცხვა, რომ ამას ჩემს ქვეყანაში ვერ ვახერხებ.



დედაჩემი ინგას კლასის დამრიგებელი იყო. განსაკუთრებულად უყვარდათ ერთმანეთი. ერთხელ დედამ დიდი ექსკურსია მოაწყო ნოვოივანოვკაში. მე სხვა სკოლაში ვსწავლობდი, მაგრამ, ექსკურსიები მიყვარდა და დედას გავყევი არა როგორც მოსწავლე, არამედ, როგორც შვილი. ოღონდ ბათუმს გავცილებოდი და არ დავეძებდი, სად წავიდოდი. ბათუმში არის ერთი ასეთი ადგილი, რომელსაც „ბონი” ჰქვია და ავტობუსი იქ გაჩერდა. ერთი ძალიან წარმოსადეგი გარეგნობის ქალბატონი ამოვიდა და პატარა გოგონა ამოიყვანა. ამას რომ ვამბობ ხოლმე, ჩემი სიდედრი სიცილით კვდება. ყველამ თავისთან დაჯდომა შესთავაზა, მაგრამ, ინგა ჩემ გვერდით დაჯდა, როგორც საყვარელი მასწავლებლის შვილთან. ბათუმში რომ დავიწყე ლაპარაკი, ჩოხატაურამდე არ გავჩერებულვარ – სამი საათი ენა არ გამიჩერებია და, ჩოხატაურში რომ ჩამოვედით, უკვე საშვილიშვილოდ ვიყავი შეყვარებული. მისი მხრიდან არაფერი იგრძნობოდა, თორემ, მე მძიმედ ვიყავი შეყვარებული. მეთოდურად მებრძოლი ტიპის ადამიანი ვარ. არ ვიცი, რომელ ეტაპზე მომიხერხდა მისი დაყოლიება, მაგრამ, მოვახერხე... ჩვენ რომ შევუღლდით, ჩვენ შორის – მეგობრობა ყველა მიმართულებით ჩამოყალიბდა, მათ შორის, პოლიტიკური კუთხითაც. შეიძლება, გენიოსები არ ვართ, მაგრამ, არც დებილები ვიყავით, ჩემი ცოლიც ჩარეული იყო ანტისაბჭოთა საქმიანობაში. შევქმენით ჟურნალი „სამრეკლო“. ხან მე ვბეჭდავდი, ხან – ის. როცა დამაპატიმრეს, გამომძიებელმა მითხრა: თქვენმა მეუღლემ ყველაფერი იცოდა, მისი ჩვენება გვაქვს და დავაპატიმრებთო. ამას წინათ ვიღაცამ თქვა: ისეთი ცუდი კაცია, რომ ძმაც ჩაუშვა და შეყვარებულიცო. არ ვიცი, ვინ შეყვარებულს გულისხმობდა, მაგრამ ნამდვილად არავინ ჩამიშვია, გარდა მათი აგენტისა, რომელიც ჩვენთან შემოგზავნეს.”

**ეკა პატარაია**

**რამდენიმე თვის წინ ჩატარდა კვლევა, რომელშიც ცნობილი უცხოელი პარაფსიქოლოგები და მედიკოსები იღებდნენ მონაწილეობას. მათ არაერთი პაციენტი გამოიკვლიეს და საკმაოდ დასაფიქრებელი შედეგები დადეს. კერძოდ, ისინი ამტკიცებენ, რომ ავადმყოფობა ზემოდან მოვლენილი სასჯელია, რომელსაც ნებისმიერი ჩვენგანი თავისი ქცევით იმსახურებს. როგორც ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი, ქალბატონი დალი ამბობს, ავადმყოფობა მაშინ ჩნდება, როცა ადამიანი თავის ენერგიას არასწორად ხარჯავს, არ ითვალისწინებს ეზოთერიკულ კანონებს და ყველაფერს ბედს ანდობს.**

# როგორ უნდა ხარჯოთ ორგანიზმში დაგროვილი და მოჭარბებული ენერგია სწორად და როგორ ხდება სასიცოცხლო ენერგიის აღდგენა და ერთი ადამიანიდან მეორეზე ხასიათის გადაცემა



**– ქალბატონო დალი, ბევრს აწუხებს კითხვა: საიდან ჩნდება ესა თუ ის დაავადება, რატომ იჩენს ის თავს და, ზოგადად, რისი შედეგი შეიძლება იყოს ის? თქვენ ამ საკითხზე ეზოთერიკული კუთხით მუშაობთ და, იქნებ, გვიპასუხოთ ამ შეკითხვებზე?**

– დიდი ხანია, ამ თემებზე ვმუშაობ და არაერთ ცნობილ უცხოელ პარაფსიქოლოგთან, ეზოთერიკოსთან თუ მედიკოსთან მქონდა შეხვედრები. უკვე აღარ არის საიდუმლო, რომ ყველა დაავადება ბიოველის დაზიანებით იწყება, შემდეგ ეს გადადის ასტრალურ სხეულზე, შედის ფიზიკურ სხეულში და ფიქსირდება როგორც დაავადება. ენერგიის სწორად ხარჯვა კი სწორი ცხოვრების წესია და ეს ყველამ კარგად უნდა შევიგნოთ. ეს კვლევებმაც აჩვენა და, ფაქტია, რომ ავადმყოფობის მიზეზი შეიძლება იყოს არასწორად დახარჯული ენერგია.

**– როგორ დავხარჯოთ მოჭარბებული ენერგია ისე, რომ ის დაავადებაში არ გადაიზარდოს?**

– ჩვენ, ადამიანები, უზარმაზარ ენერგიას ვფლობთ, რომლის ხარჯვასაც, ძირითადად, ვერ ვახერხებთ. მოჭარბებული ენერგია კი, თუ მან გამოსავალი ვერ ნახა, ერთ ადგილას გროვდება და ბრძოლას იწყებს. არსებობს მინიშნება დაავადების სახით, როცა ადამიანი იღებს გამოგზავნილ სასჯელსა და განსაცდელს. ეს ის დაავადებაა, რომელსაც შთაგონებისთვის გვიგზავნიან ზემოდან. დღეს ასეთი დაავადებით ხშირად ინფიცირდებიან არა მხოლოდ დიდები, არამედ, მოზარდებიც. ასეთი დაავადება არა მარტო გარშემო მყოფებს აშორებს საფრთხეს, არამედ, თავად ადამიანსაც იცავს უარესისგან. თუმცა, ყველა ავადმყოფობის მთავარი და საწყისი მიზეზი მაინც მოჭარბებული ენერგიის არასწორად ხარჯვაა. ენერგიის არასწორმა გაცვლა-გამოცვლამ, ასევე, შეიძლება, ოჯახის დანგრევამდე მიგვიყვანოს. მუდმივი ჩხუბისა და დავიდარაბის გამო ბევრი ცოლ-ქმარი იტანჯება. კონფლიქტის მიზეზი ბევრჯერ ელემენტარულია, მაგრამ, მათ არ იციან ერთმანეთში ენერგიის გაცვლის მეთოდი. მაგალითად, ნორმალური ადამიანი დადებით ენერგიას ასხივებს, აგრესიული კი ამას ვერ ახერხებს, რის გამოც თავადვე იტანჯება და ავადმყოფურად განიცდის. ენერგია ორგანიზმიდან მუდმივად უნდა გაედინებოდეს.

**– ადამიანს აქვს იმის უნარი, ორგანიზმში მოჭარბებული ენერგია შეაკავოს და დათრგუნოს?**

– შეკავების შემთხვევაში, ის აუცილებლად შეაწუხებს და დისკომფორტს შეუქმნის. მაგალითად, როდესაც თქვენ გვერდით ახლობელი მოიწყენს, იცოდეთ, რომ მას თქვენი ენერგია მოაკლდა. ამიტომ, მიუჯექით გვერდით, ბევრი ეფერეთ, შეეხეთ მის სხეულს ხელისგულებით და, დარწმუნებული იყავით, თქვენი ენერგიის ასეთი წესით გადაცემით, მას ხასიათზე მოიყვანთ. თუ გრძნობთ, რომ მოჭარბებული ენერგიის დახარჯვას ვერ ახერხებთ, სანამ ის ფიზიკურ დაავადებაში გადავა, გირჩევთ, ბევრი დრო დაჰყოთ ბუნებაში, ხეების გვერდით; იაროთ ბალახზე ფეხშიშველმა და, უბრალოდ, ღრმად ისუნთქოთ სუფთა ჰაერი. დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ სასიცოცხლო ძალების პერიოდულად აღდგენა აუცილებელია და ის ადამიანს შრომის უნარსა და სიცოცხლის ხალისს უორმაგებს. თუმცა, როგორ მოახერხონ ეს, ბევრმა არ იცის. სასიცოცხლო ძალები რომ აღიდგინოთ და შეივსოთ, ამისთვის ყველაზე კარგია ვარჯიში, აგრეთვე, იმ ადამიანებთან კონტაქტი, რომლებიც დადებითი და სასიამოვნო ემოციებით გავსებენ. ამისთვის ხანდახან განმარტოებაც კარგია. ყოველივე ამის ხარჯზე კი თქვენ შეძლებთ, ადვილად დაიცვათ თავი ენერგოვამპირის „შემოტევისგან," აღიდგინოთ საკუთარი ენერგია, გახდეთ მეტად მშვიდი, ენერგიული და შრომისუნარიანი. ეს კი, დამეთანხმებით, ყველას გვჭირდება.

**თუ ადამიანს სასიცოცხლო ენერგიები აკლია, მას ხშირად ემართება „დეჟავუ"**

**– გამიგია, რომ თუ ადამიანს სასიცოცხლო ენერგიები აკლია, მას ხშირად ემართება „დეჟავუ." კვლევებმა ისიც აჩვენა, რომ ადამიანთა 97 პროცენტს ცხოვრებაში ერთხელ მაინც განუცდია ეს ამოუხსნელი გრძნობა. ფსიქიატრები ირწმუნებიან, რომ „დეჟავუს" ხშირი განცდა იწვევს ადამიანის ფსიქიკურ გაუწონასწორებლობას. ეს სიმართლეა?**

– „დეჟავუ" გარკვეული ფსიქოლოგიური მდგომარეობაა, რომლის დროსაც ადამიანს ეუფლება შეგრძნება, თითქოს ეს სიტუაცია უკვე იყო და ახლა მეორდება; მართალია, დარწმუნებულია, რომ ეს ფაქტი არასდროს მომხდარა, თუმცა, შეგრძნება წარსულში კონკრეტული მომენტის ხილვისა, მას მაინც არ ტოვებს. როგორც წესი, ადამიანი ასეთ მომენტში გაურკვევლობაში ვარდება, აანალიზებს, რომ ეს არის არარეალური, თუმცა, დაჯერება მაინც უჭირს, რადგან, დეტალური სიზუსტით იცის, რა მოხდება შემდეგ წამებში. არის შემთხვევები, როდესაც „დეჟავუ" იმდენად ძლიერ ემოციებს იწვევს, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მის გონებას შოკურ მდგომარეობაში ტოვებს. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ „დეჟავუს" ფენომენი ძალიან გავრცელებულია და, ადამიანთა უმრავლესობას ცხოვრებაში ერთხელ მაინც განუცდია ეს ამოუხსნელი გრძნობა. „დეჟავუს" ხშირი განცდა მართლაც იწვევს ფსიქიკურ გაუწონასწორებლობას, რადგან, ის გამოწვეულია ტვინში მიმდინარე სხვადასხვა პროცესით, რომლებზეც პასუხისმგებელია აღქმისა და მეხსიერების უჯრედები. სხვათა შორის, „დეჟავუს" გამომწვევი მიზეზი, შესაძლოა, სიზმრებიც იყოს. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის ცხოვრებაში არის მომენტები, როცა რეალურად ხდება ფაქტი, რაზეც მას უფიქრია, გონებას კი ეს სიტუაცია, ასე ვთქვათ, კადრებად „აუწყვია", ფსიქიკა ამ დროს ვერ აღიდგენს წარსულს და ვარდება გაურკვევლობასა და ემოციაში, რაც „დეჟავუს" თანმხლებია.

**ნონა დათეშიძე**

## მთავარია, მოვიდეს...

ჩვენ მას ვეძებთ, ველოდებით, ვჩქარობთ... ვცდილობთ, ხელში მოვიგდოთ როგორც ბედნიერების „ლურჯი ფრინველი“ და, ერთხელაც, მოდის – თავისით და დაუპატიჟებლად, ზოგჯერ სრულიად მოულოდნელადაც კი და გვაფრთხობს. დადგენილია, რომ შეყვარებული ქალები ორნახევარჯერ უფრო ხშირად იღიმებიან, ეფექტურადაც გამოიყურებიან და, საკუთარ თავში დარწმუნებულები, არასდროს წუწუნებენ... სიყვარული აუცილებელია ჩვენი ნორმალური არსებობისთვის. ვცდებით, როცა გვეშინია დიდი გრძნობის და საკუთარ თავს სიყვარულს ვუკრძალავთ.

რისი გვეშინია? იმის, რომ, შეიძლება, ჩვენი სიყვარული უპასუხოდ დარჩეს? მაგრამ ეს ხომ არ არის მთავარი?! თუკი ეს გრძნობა ისევ ჩვენი პიროვნების რეალიზაციისთვის არის საჭირო და თუნდაც ცოტა ხნით გვაგრძნობინებს ბედნიერებას, რატომ უნდა ვთქვათ უარი ამაზე?!

მთავარია, მოვიდეს, მთავარია, ავივსოთ ამ ფერადი, მრავლისმომცემი გრძნობით; მთავარია, გაგვიხალისოს ყოველდღიური ერთფეროვნება და სხვანაირად დაგვანახვოს ცხოვრება, გაგვავსოს მომავლის რწმენით და პოზიტივით დაგვმუხტოს და, მერე თუნდაც წავიდეს, ის ისევ მოვა, მოვა აუცილებლად და, ერთხელაც, სამუდამოდ დარჩება თქვენთან...

## მიზეზები სიხარულისთვის

თუ ცხოვრება გიხარია, მაშინ, გაცილებით მარტივია შენთვის მძიმე ყოველდღიურობაც კი. არადა, არცთუ ცოტა მიზეზი გვაქვს იმისთვის, რომ პატარ-პატარა სიხარულები არ მოვიკლოთ. მაგრამ, რატომღაც, აბსოლუტურად სხვანაირად ვიქცევით: ჩვენივე თავის საზიანოდ ვწუწუნებთ, ვითმენთ ან ვერ ვითმენთ... ვიტანჯებით, ზოგჯერ თავადაც არ ვიცით, რატომ... რა ხდება? რატომ ვერ მიდის ჩვენი ცხოვრება იმ მიმართულებით, რაც გვინდა და რაზეც ვოცნებობთ? რა უნდა ვქნათ, რომ ყოველდღიურობა სიხარულით შევივსოთ?..

დავიწყოთ იმით, რომ ხშირად საერთოდ ვაუფასურებთ საკუთარ პერსონას – იმას, რაც როდესმე გვიკეთებია, წყალში ვყრით და მერე გული გვწყდება, რომ სხვა ადამიანები, მათ შორის ოჯახის წევრებიც, სერიოზულად აღარ აღგვიქვამენ. ვამბობთ, რომ ცუდად გამოვიყურებით, ვწუწუნებთ, მერე კი ვითხოვთ, ვინმეს მოვეწონოთ და კომპლიმენტი გვითხრას.

ფსიქოლოგიაში არ არსებობს „ცუდი“ და „კარგი“ ემოცია.

ყველა ჩვენი გრძნობა და ემოცია ბუნებრივია და კონტროლს არ ექვემდებარება. რა თქმა უნდა, სრული უფლება გვაქვს, ვიდარდოთ, ვინერვიულოთ, ვიტიროთ კიდეც, მაგრამ, უნდა გვესმოდეს, რა მოჰყვება ამას: ნელ-ნელა დავკარგავთ თვითშეფასების უნარს; შეუცნობლად ავუკრძალავთ საკუთარ თავს სიხარულს და, ისე ვიქცევით უბედურ, უიღბლო არსებებად, ვერც კი შევამჩნევთ, ეს როდის ან როგორ მოხდა.

ისინი, ვინც ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ გარშემო მყოფებს თავი წარმატებულად და იღბლიანად მოაჩვენონ, ბოლოს ხდებიან კიდეც ასეთები. ნურასოდეს შეგეშინდებათ წარუმატებლობის, ეს არ არის და ვერ იქნება ქვეყნიერების აღსასრული. შეხვდით ხვალინდელ დღეს მომავლის, უკეთესი ცხოვრების იმედით და აუცილებლად იქნებით ბედნიერი. თან, იმასაც ისწავლით, როგორ უნდა აღმოაჩინოთ თქვენს ყოველდღიურობაში უამრავი მიზეზი სიხარულისთვის.

## არავითარი იდეალიზმი...

ადამიანების უმრავლესობას ახასიათებს წარსულის იდეალიზება. მათ ავიწყდებათ მარტივი ჭეშმარიტება: ის, ვინც წარსულით ცხოვრობს, მუდმივად დეპრესიაშია. მშვიდადაა ის, ვინც დღევანდელი დღით ცხოვრობს. ეს ისე არ უნდა გაიგოთ, რომ მომავალზე საერთოდ არ იფიქროთ. არსებობს ჯანსაღი აზროვნებისა და ცხოვრების სწორად წარმართვის ოთხი პრინციპი:

1. იყავით ყოველთვის გულწრფელი, უპირველესად, საკუთარ თავთან. საუბრისას ახლობელ ადამიანთან ილაპარაკეთ კონკრეტულად, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე. რა თქმა უნდა, ეს ადვილი არ არის, მაგრამ გაცილებით მძიმე სიტუაციაში ჩაიგდებთ თავს, თუკი კრიტიკულ მომენტში სიმართლეს დაემალებით. იქ, სადაც იმედი არარეალურია, ნუ გასცემთ ამ იმედს, რათა თავიდან აიცილოთ მტკივნეული დარტყმა.
2. ნუ დაიბოღმებით და ნუ ჩაიდებთ გულში შურისძიებას. ანგარიშსწორება უზარმაზარი ნეგატიური ენერგიის აკუმულირებას ახდენს, რომელიც ისევ თქვენ გაზარალებთ. ნურც თქვენ მიიყენებთ ტკივილს და ნურც სხვას ატკენთ გულს. წყენის დავიწყება შეიძლება.
3. დააფასეთ ის, რაც კარგი იყო და არის. ამ ყველაფრის გახსენება განწყობას გაგიუმჯობესებთ და ხვალის იმედს ჩაგინერგავთ. გქონდეთ მადლიერების განცდა. ეს ძალიან დადებითი ემოციების მომტანია.
4. შეებრძოლეთ ტკივილს და აჯობეთ მას, რაც გაგაძლიერებთ და საკუთარი თავის რწმენას შეგმატებთ. მხოლოდ ასე შეძლებთ გათავისუფლდეთ მტანჯველი წარსულისგან.

## მთავარი პრიორიტეტებია

აუცილებელი არ არის, ექსპერიმენტატორი იყო და ყველა სიახლე საკუთარ თავზე გამოსცადო. თუმცა, განახლებისკენ, ცვლილებებისკენ ლტოლვა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაზე პოზიტიურად აისახება. მთავარია, პრიორიტეტები იყოს სწორად დანახული და შერჩეული.

დაიწყეთ სულ მარტივით – თქვენი ჩაცმის სტილით და იმიჯით. კარგად დააკვირდით საკუთარ თავს. წუწუნით და იმის ლაპარაკით, რომ არ ხართ ლამაზი და მიმზიდველი, დროსაც ტყუილად დაკარგავთ და ნერვებიც მოგეშლებათ. იფიქრეთ იმაზე, რისი შეცვლა შეგიძლიათ, რომ საკუთარი თავი თქვენვე მოგეწონდეთ. თუ მუქი ფერებისკენ გაქვთ მიდრეკილება, სცადეთ და გარდერობი ცოტა გაიფერადეთ. გამოიჩინეთ სითამამე და არ შეგეშინდეთ იმის, რომ შეიძლება, სარკეში სხვა ადამიანი დაინახოთ. ეს არ არის პრობლემა. მთავარია, ის ფერები შეარჩიოთ, რომელიც, თქვენი აზრით, მართლა გიხდებათ. ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ფერად ტანსაცმელში აკურატულად გამოწყობილ, მოწესრიგებულ, თავდაჯერებულ ქალს, მამაკაცები უყურადღებოდ არ ტოვებენ.

ნუ შეეცდებით, რამდენიმე პრობლემის ერთად გადაწყვეტას. ეს გაგაღიზიანებთ და გაგანერვიულებთ. დაიწყეთ ყველაზე მნიშვნელოვანით. პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა წარმატების საწინდარია. რაც გაგამხნევებთ და წინსვლის მოტივაციას, ანუ კიდევ უფრო მეტის კეთების სურვილს გაგიჩენთ. დადგენილია, რომ ადამიანები, რომლებსაც აქვთ უნარი სწორად განსაზღვრონ პრიორიტეტები, ახერხებენ საკუთარი ცხოვრების დალაგებას. აქედან ბედნიერებამდე ნახევარი ნაბიჯი რჩება.

## სიყვარული წავიდა...

როცა ერთმანეთს შეხვდით, ორივე დარწმუნებული იყავით, რომ ეს ბედისწერა იყო და ერთმანეთს აღარაფერი დაგაშორებდათ. ისე კარგად გრძნობდით ერთად თავს, თითოეულ დღეს ბედნიერება და სიხარული მოჰქონდა... ხომ გჯეროდათ, რომ დიდხანს იცხოვრებით ხელიხელჩაკიდებულები. ვერც წარმოგედგინათ, რაზე შეიძლებოდა გეჩხუბათ... რას შეეძლო თქვენი იდილიის გაფუჭება... მაგრამ გავიდა დრო. ყოველდღიურობაში კამათი, კინკლაობა გახშირდა... ერთი-ორჯერ იჩხუბეთ კიდეც... მერე შერიგდით... ისევ იჩხუბეთ... ისევ შერიგდით და ერთ დღესაც აღმოაჩინეთ, რომ სიყვარული გაქრა... ის აღარ არსებობს და უკვე აღარც იცით, რატომ ხართ ერთად... ებლაუჭებით, არც კი იცით, რას... გაშვება გიჭირთ, თითქოს რაღაცის იმედი გაქვთ... ცრემლები... ტკივილი... სკანდალები... იქნებ დაფიქრდეთ, რატომ ინგრევთ ცხოვრებას. ხომ ხვდებით, შინაგანი ხმა ხომ გეუბნებათ, რომ ყველაფერი მორჩა! მოვიდა დრო, დაასრულოთ ურთიერთობა. თქვენ ერთმანეთი ამოწურეთ. დასხედით და გულახდილად დაელაპარაკეთ ერთმანეთს. ეს აუცილებელია. ოღონდ მშვიდად, არგუმენტირებულად. შეეცადეთ, არ მიაყენოთ შეურაცხყოფა ერთმანეთს. ეს გამოგივათ, თუ გრძნობა ორივეს გაგიქრათ. ბევრ მამაკაცს არ უყვარს გადაწყვეტილების მიღება. ელოდებიან, როდის გააკეთებს ქალი ამას მის მაგივრად, ხოლო, როცა გარემოება აიძულებთ, წერტილი დაუსვან ურთიერთობას, ისინი დაუმშვიდობებლად მიდიან...



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# მსოფლიოში ცნობილი დიეტოლოგები გვირჩევენ

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ გახდომა საჭიროა არა მხოლოდ სილამაზის, არამედ, უპირველეს ყოფლისა, ჯანმრთელობის გამო. ამიტომ, არ უნდა გაგვიტაცოს მხოლოდ გარეგნულმა მხარემ. სილამაზისკენ სწრაფვა ჯანმრთელობის დარღვევით რომ არ „დაგვირგვინდეს“, აუცილებელია ჭარბი წონის პრობლემაში გარკვევა, ანუ, უნდა დაადგინოთ, რატომ „დაიგროვეთ“ ზედმეტი კილოგრამები – არასწორი კვების, უმოძრაობის თუ ჯანმრთელობის დარღვევის გამო. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ, დაიწყოთ შესაბამისი დიეტა, ცხადია, თქვენს პირად ექიმთან და დიეტოლოგთან შეთანხმებით.



დავიწყოთ იმით, რომ ყველაზე უვნებელი დიეტის ზოგადი სქემა (რაც არაერთხელ გვითქვამს) ასეთია: კვების საათობრივი რეჟიმი, არაკალორიული საკვები, ბოლო კვება არ უნდა გადასცილდეს 19 საათს და, რაც მთავარია – ვარჯიში, ვარჯიში და ვარჯიში!

გამორიცხეთ ყველანაირი „ეფექტური“ ტაბლეტები, კრემები და ქამრები, რომელთა მწარმოებლებიც ცდილობენ, დაგარწმუნონ, რომ: „ერთ კვირაში დაიკლებთ 10 კილოგრამით“, „გახდებით დიეტის გარეშე“, „წონაში კლება გაგრძელდება ძილის პროცესში“ და ასე შემდეგ. ისინი კარგი ფსიქოლოგები არიან – ადამიანი, ზოგადად, ზარმაცია და, თუკი უშრომლად და უწვალებლად გალამაზდება, თანაც – იოლად და სწრაფად, ამას რა ჯობია!

ყველას უნდა ახსოვდეს, რომ წონაში სწრაფად დაკლებამ, თანაც, რაღაც გაურკვეველი შემადგენლობის პრეპარატების დახმარებით, შესაძლოა, სერიოზულად დააზიანოს თქვენი ჯანმრთელობა. მყარი სამკურნალო ეფექტი შეიძლება მიიღოთ მხოლოდ იმ მეთოდით, რომელიც ითვალისწინებს თქვენს ასაკს, სიმსუქნის ხარისხსა და ორგანიზმის თავისებურებას.

მსოფლიოში ცნობილი დიეტოლოგების თეორია ასეთია: იმისთვის, რომ შეცვალოთ თქვენი ორგანიზმის მდგომარეობა, აუცილებელია, რადიკალურად შეცვალოთ ცხოვრების წესი, აზროვნება და საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულება. გახსოვდეთ: გახდომის, ორგანიზმში ცხიმების რაოდენობის შემცირების, ერთადერთი რეალური მეთოდია მათი „დაწვა“, ანუ, დაგროვილი ცხიმები უნდა გამოიყენოთ ენერგიის წყაროდ. ამიტომ, უნდა შეიმუშავოთ გახდომის მთავარი წესი: დახარჯული ენერგიის რაოდენობა მინიმუმ ორჯერ უნდა აღემატებოდეს საკვებით მიღებული ენერგიის რაოდენობას. თუ ამ წესს არ დაიცავთ, გამორიცხული იქნება ბუნებრივი გახდომა. დიეტის გარეშე ცხიმების მოშორება და, შესაბამისად, წონაში დაკლება, შესაძლებელია მხოლოდ ქირურგიული ჩარევით – ლიპოსაქციით.

აუცილებელია იცოდეთ კიდევ ერთი მთავარი წესი: უნდა მიიღოთ ნაკლები კალორიები და არა საკვები, ამისთვის კი უნდა გამოიყენოთ კალორიულობის ცხრილი (ოღონდ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ, თუ რომელიმე პროდუქტი 0 კალორიას შეიცავს, ის უზომო რაოდენობით უნდა მიირთვათ).

სპეციალისტების აზრით, უმრავლეს შემთხვევაში, სიმსუქნისადმი მიდრეკილება გამოწვეულია ორგანიზმის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მდგომარეობით, რომლის დროსაც, ნეიროფსიქოლოგიური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ენერგეტიკულ ბალანსს, განწყობილნი არიან ცხიმების დაგროვებისადმი. ამიტომ, პირველ ყოვლისა, აუცილებელია ორგანიზმი „გადართოთ“ ხარისხობრივად სხვა მდგომარეობაში, ესე იგი, ვისაც ჭარბი წონა აწუხებთ, უნდა შეიცვალოს ფსიქოლოგიური განწყობა საკუთარი თავის მიმართ, ანუ, აღარ უნდა ჩათვალოთ თავი ფიზიკურად და სულიერად მსუქან ადამიანად. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია ფსიქოთერაპიისა და რეფლექსოთერაპიის დახმარებით.

და, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: სანამ დიეტას დაიწყებთ, აუცილებლად უნდა დაადგინოთ, რამდენი უნდა იყოს თქვენი ნორმალური წონა; არა იდეალური, არამედ – ნორმალური. ამის გასარკვევად არსებობს უამრავი ცხრილი თუ ფორმულა, მაგრამ, უმჯობესია, მიმართოთ ენდოკრინოლოგს, რადგან, ყოველი ორგანიზმი ინდივიდუალურია და, შესაბამისად, ის ფორმულები ბევრს არაფერს მოგცემთ.

ბევრ ქალბატონს (განსაკუთრებით – ახალგაზრდებს) ოცნებად აქვს გადაქცეული, დაემსგავსოს ამა თუ იმ მოდელს და ამის მისაღწევად თვეების განმავლობაში შიმშილობს, მაგრამ, გახსოვდეთ: თუ თქვენთვის დადგენილ ნორმაზე „ქვემოთ“ ჩახვალთ, ანუ, ნორმაზე მეტად გახდებით, შესაძლოა, ამან გაცილებით მეტი ზიანი მოგაყენოთ, ვიდრე სიმსუქნემ.

ბევრს აინტერესებს, რა „სისწრაფით“ შეიძლება გახდომა ისე, რომ ზიანი არ მიადგეს ჯანმრთელობას? სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ წონაში კლების შედარებით უსაფრთხო „სისწრაფეა“ სხეულის წონის 3-5 პროცენტის მოკლება თვეში, თუმცა, ეს არ უნდა ხდებოდეს ქიმიური პრეპარატებით, სუროგატი პროდუქტებით ან ჰიპნოზის მეშვეობით (დიახ, ასეთი შემთხვევებიც არსებობს). საუკეთესო ვარიანტია დაბალანსებული კვება – თუ ნებისყოფა გეყოფათ და რამდენიმე თვის განმავლობაში შეძლებთ, იკვებოთ ასეთი მეთოდით, ზედმეტ კილოგრამებსაც ნელ-ნელა მოიშორებთ, თანაც, უკან დაუბრუნებლად და ჯანმრთელობასაც გაიკაჟებთ. მაგრამ, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ: აუცილებელია ფიზიკური დატვირთვა – სირბილი, ცურვა, ველოსიპედით სეირნობა, ანუ, ვარჯიში, ვარჯიში და კიდევ ერთხელ ვარჯიში!

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: გაზაფხულობით მიჩნდება ჭორფლი, მაგრამ, თუ მაშინვე არ მივიღე ზომები, შემოდგომამდე მიმუქდება ხოლმე. გთხოვთ, მასწავლოთ რამე შინაური მეთოდი მათ გასაბაცებლად.**

**პასუხი**: გთავაზობთ სამ რეცეპტს:

1) 1 ჩაის კოვზ ცაცხვის გამხმარ ყვავილებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და თავდახურული დადგით 20 წუთის განმავლობაში. შემდეგ გადაწურეთ, ნაყენში შეურიეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი, ნახევარი ჩაის კოვზი ლიმონის წვენი და მასში დასველებული დოლბანდის ტამპონით გაიწმინდეთ პრობლემური ადგილები დღეში 3-ჯერ (გაწმენდის შემდეგ არ ჩამოიბანოთ).

2) 1 საშუალო ზომის კიტრი გახეხეთ წვრილ სახეხზე, შეურიეთ 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი და 2 ჩაის კოვზი არაყანი (ან 1 სადილის კოვზი ხაჭო და 2 სადილის კოვზი კეფირი), წაისვით პრობლემურ ადგილებზე და წამოწექით. 20-25 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ გრილი წყლით.

3) ერთმანეთს შეურიეთ 3 სადილის კოვზი წითელი მოცხარი და 3 სადილის კოვზი მარწყვის წვენი. თუ ცხიმიანი კანი გაქვთ, დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი კეფირი (ან მაწონი). წაისვით ეს ნაზავი ბამბის ტამპონით და 20 წუთის შემდეგ თბილი წყლის ჩამოიბანეთ.

ნიღაბი გაიკეთეთ ყოველ საღამოს, დაძინებამდე 1-2 საათით ადრე, ერთი თვის განმავლობაში.

**კითხვა: რატომ არ არის რეკომენდებული დღის მაკიაჟის გაკეთების დროს მუქი რუჟის წასმა?**

**პასუხი**: მუქი რუჟი ვიზუალურად აბერებს სახეს და ეს დღის სინათლეზე უფრო აშკარად ჩანს. გარდა ამისა, თითქმის ყავისფერი ან მუქი შინდისფერი ღაწვები არაბუნებრივად და ხშირად სასაცილოდაც კი გამოიყურება.

**კითხვა: როგორ გავიზარდო ტუჩების მოცულობა სახლის პირობებში ისე, რომ ბუნებრივადაც გამოიყურებოდეს და ჯანმრთელობისთვისაც არ იყო საზიანო?**



**პასუხი**: ტუჩებზე თხელ ფენად გადაისვით კარგი ხარისხის პუდრი და შემდეგ წაისვით პომადა. კონტური კი გაიკეთეთ თქვენი ტუჩის საცხის ფერის ფანქრით.

**მოამზადა თამრიკო ზამთარაძე**

# რატომ მოისურვა სტალინმა, რომ ვერსია პეტრე დიდის ქართული წარმოშობის შესახებ საიდუმლოდ შეენახათ



ბევრი მკვლევარი ლაპარაკობს პეტრე პირველის ქართული წარმოშობის შესახებ. ამ ვერსიების თანახმად, ისტორიაში დიდ რუს იმპერატორად ცნობილი პეტრე დიდის მამა, რუსეთში გადახვეწილი ერთ-ერთი ქართველი ბატონიშვილი – ნიკოლოზი გახლავთ. ის, ვინც ქართველ ბატონიშვილ ნიკოლოზად მოიხსენიება, იყო კახეთის დიდი მეფის, თეიმურაზ პირველის ვაჟის, დავითის შვილი – ერეკლე. ამ ვერსიების განხილვამ შორის რომ არ წაგვიყვანოს, მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ქართველი ბატონიშვილისა და პეტრეს დედის, ნატალია ნარიშკინას ფიზიკური სიახლოვის მაუწყებელია მათი მიმოწერა. ცნობილია, რომ ამ დიდი იმპერატორის ცხოვრება თავის ნაწარმოებში ასახა ალექსანდრე ტოლსტოიმ. სტალინი და გორკი დიდ ყურადღებას იჩენდნენ ამ რომანის მიმართ. ბელადი პირადადაც რამდენჯერმე შეხვდა ალექსანდრე ტოლსტოის რომანზე მუშაობის პერიოდში. იოსებ სტალინთან ერთ-ერთი შეხვედრისას, მწერალმა ბელადს ნატალია ნარიშკინას წერილებიდან სწორედ ის ამონარიდები წარუდგინა, რომლებიც დიდი „რუსი" იმპერატორის ქართულ წარმოშობას ადასტურებდა. როდესაც სტალინმა ისინი წაიკითხა, ტოლსტოის ჰკითხა: „გინდათ, ეს დოკუმენტი გამოიყენოთ თქვენს რომანში? და პასუხს არ დალოდებია, ისე დასძინა – არ გირჩევთ, ჩემი თხოვნაა, საერთოდ ნურავის ნურაფერს გაუმხელთ ნატალია ნარიშკინასა და ქართველი ბატონიშვილის ამ მიმოწერის შესახებ. რუსეთს ორი სახელოვანი, ნიჭიერი და გამჭრიახი მმართველი ჰყავდა: ივანე (მეოთხე) მრისხანე და პეტრე დიდი. ივანე არ იყო წარმოშობით რუსი. ის რიურიკოვიჩების შტოს წარმომადგენელი გახლდათ. ახლა, გამოდის, რომ პეტრეც არ ყოფილა წარმოშობით რუსი". ამის შემდეგ, ბელადმა ჟდანოვს დაურეკა და მისი მეშვეობით სახელმწიფო არქივის დირექტორს მისცა კატეგორიული მითითება, ნატალია ნარიშკინას წერილები საიდუმლო ფონდში მოეთავსებინა და არავითარ შემთხვევაში არ გადაეცა მკვლევარებისთვის.

სტალინი თავის საქციელს ამგვარად ხსნიდა: თუ პეტრე პირველის წარმოშობასთან დაკავშირებულ ამ საიდუმლოს გაახმაურებთ, ამაში მე დამდებენ ბრალს. ამიტომ, ამას ნუ იზამთო. ალექსანდრე ტოლსტოისთან დამშვიდობებისას კი ბელადს ღიმილით ჩაულაპარაკებია: ახლა კი მივხვდი, რატომ იყო პეტრე ასეთი ყოჩაღი, მის ძარღვებში ხომ სამი მეფის სისხლი ჩქეფდა: რიურიკების, ბაგრატიონებისა და ცოტაც რომანოვებისო. რიურიკების რატომღა? – მაინც უკითხავს ტოლსტოის, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული იყო, ბელადი შეცდა. რიურიკების მოხსენიება პეტრე დიდის უშუალო წინაპრებში არაფერ შუაში იყო. როგორ, ასეთმა ერუდიტმა რუსეთის ისტორიის საკითხებში, არ იცი, რომ პირველი რომანოვი მეფის, მიხეილ თეოფორეს ძის დედა ივანე მეოთხეს ღვიძლი და იყო და მაშასადამე, რიურიკიო.

ბელადის გატუმრების შემდეგ ალექსანდრე ტოლსტოის მეუღლესთან უთქვამს ალფრთოვანებულს: ვერ გავიგე, ამ ქართველმა როდის მოასწრო ასეთი ცოდნის შეძენა, მაშინ, როცა ადრეული წლებიდანვე აქტიურ რევოლუციურ მოძრაობაში იყო ჩაფლული, რის გამოც სულ დევნიდნენ, ავიწროვებდნენ. ხან გისოსებს მიღმა, ხან კი გადასახლებაში ამყოფებდნენ, ეს ხომ ნამდვილი სასწაულიაო.

ბელადთან გამართული ამ დიალოგის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, მწერალს ხსენებული წერილის ფრაგმენტები აღარ გამოუყენებია რომანში. თუმცა, ფილმში მაინც გაილევა პეტრეს არარუსული წარმოშობის შესახებ მცირე ფრაგმენტმა.

ჩანს, იოსებ სტალინის ღრმა განსწავლულობით მხოლოდ ალექსანდრე ტოლსტოი არ იყო განცვიფრებული. ცნობილია, რომ ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი სტალინის შესახებ აღნიშნავდა: რა ერუდიცია აქვს, რა ზღვა ცოდნა – საწინააღმდეგოს უმტკიცებ, საბუთები მოგყავს, ფიქრობ, დაარწმუნე. ის მოთმინებით გისმენს, მაგრამ შემდეგ თავისი ლოგიკის ბასრი ხმლით მოგწვდება და პირდაპირ თავს გაგდებინებსო.

**ბელადის გასტუმრების შემდეგ ტოლსტოის მეუღლესთან უთქვამს: ვერ გავიგე, ამ ქართველმა როდის მოასწრო ასეთი ცოდნის შეძენა. ის ხომ ადრეული წლებიდანვე აქტიურ რევოლუციურ მოძრაობაში იყო ჩაფლული, რის გამოც სულ დევნიდნენ, ავიწროებდნენ – ხან გისოსებს მიღმა, ხან კი გადასახლებაში ამყოფებდნენ. ეს ხომ ნამდვილი სასწაულიაო**

ცნობილია, რომ აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა, მოსკოვში ერთ-ერთ საარქივო საქმეში, სრულიად მოულოდნელად, მიაკვლია ნატალია ნარიშკინას მიმოწერას ბატონიშვილ ერეკლესთან, როცა ერეკლე ჯერ კიდევ მოსკოვში იმყოფებოდა. ამ წერილებში, ნატალია, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, ჯერ კიდევ ყრმა პეტრეს, მისსა და ერეკლეს შვილად მოიხსენიებს. ამ წერილების ასავალ-დასავალი დღეს ჩვენთვის უცნობია.

საინტერესოა, იოსებ სტალინის დამოკიდებულება ცნობილი ისტორიული გმირის, გიორგი სააკაძისადმი. ის დიდ მოურავზე ფილმის გადაღების იდეით დაინტერესდა. გადაღებები გაგანია ომის პარალელურად მიმდინარეობდა. ცოტა ხნით ადრე, 1940 წლის 11 ოქტომბერს საბჭოთა ბელადის მიერ კინემატოგრაფიის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარისადმი მიწერილ წერილში, რომელიც „გიორგი სააკაძის" კინოსცენარის შეფასებაა, ვკითხულობთ: „ამხანაგ ბოლშაკოვს! ამ დღეებში მე მივიღე სცენარი თემაზე გიორგი სააკაძე. ერთი ანტონოვსკაიასი, მეორე – ლეონიძის. ჩემი აზრით, ლეონიძის სცენარი წარუმატებელია. ის ღარიბია მხატვრულად, რამდენადმე პრიმიტიულია ისტორიული მასალის შერჩევისა და გამოყენების თვალსაზრისით. ანტონოვსკაიას სცენარი თავისუფალია ამგვარი ნაკლოვანებებისგან, მაგრამ აქვს ხარვეზები. ის მთავრდება სააკაძის პოლიტიკისა და პირადად მისი გამარჯვებით, მაგრამ ასეთი ფინალი, როგორც ცნობილია, არ შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს. ეს ქმნის ყალბ წარმოდგენას საქართველოს წარსულზე. სინამდვილეში, როგორც ისტორია მოგვითხრობს, სააკაძის პოლიტიკამ, – პროგრესულმა საქართველოს მომავალი პერსპექტივის თვალსაზრისით, მარცხი განიცადა (ხოლო თვით სააკაძე დაიღუპა). სააკაძის დროინდელი საქართველო ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული ასეთი პოლიტიკისთვის – მისი გაერთიანებისათვის ერთ სახელმწიფოდ, სამეფო აბსოლუტიზმის განმტკიცებისა და თავადთა ხელისუფლების ლიკვიდაციის გზით. მიზეზი ნათელია: თავადები და ფეოდალები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, ხოლო მეფეები და აზნაურები უფრო სუსტნი, ვიდრე სააკაძე ფიქრობდა. სააკაძე გრძნობდა ამ შინაგან სისუსტეს და ეცადა, დაეძლია საქმეში გარეშე, უცხო, ძალის ჩარევით. მაგრამ, საგარეო ფაქტორის ძალას არ შეეძლო ქვეყნის შინაგანი სისუსტის კონპენსირება. როგორც ცნობილია, ეს ასეც მოხდა. ამ გადაუჭრელ წინააღმდეგობათა ვითარებაში სააკაძის პოლიტიკას უნდა განეცადა და კიდევაც განიცადა მარცხი. ვფიქრობ, ეს ისტორიული სიმართლე უნდა აღდგეს ანტონოვსკაიას სცენარში. და თუკი აღდგენილი იქნება, ანტონოვსკაიას სცენარი, უნდა მივიჩნიოთ საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად."

სტალინი დიდი ყურადღებით მოეკიდა ფილმ გიორგი სააკაძის გადაღებებსაც. ბელადი მიიჩნევდა, რომ ის ჯარისკაცთა პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას სჭირდებოდა. ამბობდა კიდეც, რომ მის შექმნას უდიდესი პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ის ხალხს რწმენას ჩაუსახავს. ჩვენ ის გამარჯვებისთვის გვჭირდებაო.

სტალინმა რეჟისორ მიხეილ ჭიაურელს მოსთხოვა, ფილმი რადაც არ უნდა დასჯდომოდა, 6 თვეში დაესრულებინა, მაშინ, როცა თვითონ ჭიაურელი ფილმის დასასრულებლად ორ წელს ითხოვდა. სტალინმა ყველანაირი დახმარება აღუთქვა ქართველ რეჟისორს. მიხეილ ჭიაურელიც საქმეს შეუდგა და მართლაც, სულ მოკლე დროში გადაიღო კიდეც ფილმი. არ ვიცით, სინამდვილეში რა როლი შეასრულა „გიორგი სააკაძემ" მებრძოლთა სულისკვეთების ამაღლებაში, მაგრამ ერთი რამ თვალშისაცემია და ალბათ, შემთხვევითიც არ არის. კერძოდ ის, რომ საბჭოთა ჯარისკაცის პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას, სტალინი ქართველი ისტორიული გმირის მაგალითით აპირებდა.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.

კურტ ვონეგუტი

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1994 წლის 1 მაისს. რომელი პროფესია იქნება ჩემთვის მისაღები და რომელ ნიშანთან მირჩევთ ოჯახის შექმნას?**

**პასუხი:** თქვენთვის კარგია ოჯახის შექმნა მერწყულის, ვერძის, ქალწულის, თხის რქის, თევზების ან კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანთან; პროფესიებიდან კი მისაღებია: დრამატურგია, სცენარისტობა, რეჟისურა, სოციოლოგია, ავიაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, დიზაინი, არქიტექტურა, საინჟინრო საქმიანობა, აუდიო, კომპიუტერული, პროგრამული, მობილური და ვიდეოსისტემები. ასევე, წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ, წარმატება გელით შემდეგ სფეროებში: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო სფეროს ფართო სპექტრი, უძრავი ქონების ბიზნესი, საიუველირო საქმიანობა, საკონდიტრო ინდუსტრია, სამუზეუმო, საარქივო, საბიბლიოთეკო საქმიანობა, მშენებლობის ფართო სპექტრი.

**კითხვა: დავიბადე 1988 წლის 10 მარტს, დაახლოებით საღამოს 8 საათზე. რომელი პროფესიებია ჩემთვის მისაღები?**

**პასუხი:** თქვენთვის წარმატების მომტანია: ტურისტული ბიზნესი, რადიო, ტელევიზია, ჟურნალისტიკა, პრესა, საგამომცემლო, სარეკლამო ინდუსტრიის ფართო სპექტრი, სამეცნიერო-კვლევითი საქმე, მთარგმნელობითი საქმიანობა, იურისპრუდენცია, ფოტოგრაფიის ხელოვნება ან ბიზნესი, სადალაქო საქმე, საკონდიტრო სფერო, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ხელოვნება, პოეზია, ლიტერატურა, დიზაინი, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ბიზნესი.

# როგორ გამოვთვალოთ პირადი ცხოვრებისეული ეტაპები

*თითოეული ადამიანი ყოველ წელიწადს გადის შვიდ მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ ეტაპს. ეს შვიდი ეტაპი ასტროლოგიურ დონეზე საგრძნობლად გაგიადვილებთ არსებობას. მათი ცოდნა ყველასთვის აუცილებელი და საჭიროა.*

*ცხოვრებისეული ეტაპები საკმაოდ ადვილად დასაანგარიშებელია. მათი გამოთვლა ხდება დაბადების დღიდან და 52 დღე გრძელდება. ეს იქნება თქვენი პირადი ცხოვრებისეული ეტაპი.*

*მორიგი ეტაპი იწყება განვლილი 52 დღის შემდეგ. კვლავ გადათვალეთ 52 დღე. ეს კი იქნება მეორე ცხოვრებისეული ეტაპი და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაში, დაბადების წელს არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება. ბოლო, მეშვიდე ეტაპი სრულდება დაბადების დღის წინ.*

*ასე რომ, გამოთვალეთ თქვენი ცხოვრებისეული ეტაპი და გაარკვიეთ, რას გიქადით ბედი ასტროლოგიური თვალსაზრისით.*

**პირველი ეტაპი** – თვითგამოვლენის პერიოდი. საუკეთესოა ჩანაფიქრების განსახორციელებლად. გავლენიან ადამიანებს მიმართეთ დასახმარებლად. ადვილად წარიმართება ამ პერიოდში დაწყებული ახალი საქმე. კარგია ბიზნესში კაპიტალის დაბანდება და ავტორიტეტის ამაღლება.

**მეორე ეტაპი** – ცვლილებების დრო. კარგია საქმიანი მივლინება, დასვენება, მოგზაურობა, ავტომობილის ყიდვა ან გაყიდვა, საზოგადოების წინაშე გამოსვლა და აქტიური მოქმედება. ნუ დაიწყებთ ამ პერიოდში ახალ საქმეს, ანუ, ნუ წამოიწყებთ ბიზნესს. ნურც აიღებთ და ნურც გასცემთ ვალს. მოერიდეთ აზარტულ თამაშებს.

**მესამე ეტაპი** – ენერგიის მოზღვავების დრო. აშკარად იგრძნობთ ენერგიის მოზღვავებას, რაც დაგეხმარებათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმაში. კარგია ბინის ან მანქანის ყიდვა-გაყიდვა. ერიდეთ ახალ სასიყვარულო კავშირებს, კონფლიქტებს. მაღალია ფარული მტრების გამოჩენის შესაძლებლობა. ამიტომ, იყავით ფრთხილი და წინდახედული.

**მეოთხე ეტაპი** – შემოქმედებითი იღბლიანობის დრო. ეს პერიოდი იღბლიანია შემოქმედებითი საქმიანობისა და იმ ადამიანებისთვის, ვინც ამ სფეროშია დაკავებული. ადვილად შეძლებთ იდეების განხორციელებას, რადგან ფორტუნა თქვენს მხარეს იქნება. მოიმატებს მომავლის რწმენა. ეს პერიოდი არ ვარგა ახალი სასიყვარულო კავშირებისა და მსხვილი შენაძენებისთვის.

**მეხუთე ეტაპი** – წარმატებების პიკი. თქვენს აზრს ბევრი გაითვალისწინებს, ისარგებლეთ გარშემო მყოფთა ნდობით. იყავით მეტად კომუნიკაბელური, ნუ იქნებით მორცხვი. დაამყარეთ ახალი კონტაქტები, გადაწყვიტეთ იურიდიული საკითხები, აწარმოეთ მოლაპარაკებები პარტნიორებთან. გააკეთეთ მნიშვნელოვანი შენაძენები. დააბანდეთ ფული საქმეში, მაგრამ, დაიცავით წესები და კანონები.

**მეექვსე ეტაპი** – დასვენების დრო. მეტი დრო დაუთმეთ დასვენებასა და გართობას. კარგია მეგობრებთან ურთიერთობა, რომანტიკული კონტაქტები. კარიერაშიც წარმატებები გელით. არ დაგენანოთ, ფული დაახარჯოთ საყვარელ ადამიანებს. ადვილად შეძლებთ ნებისმიერი ადამიანის გულის მოგებას. თამამად დააბანდეთ ფული ნებისმიერ პერსპექტიულ პროექტში.

**მეშვიდე ეტაპი** – ანალიზის დრო. კარგად გააანალიზეთ ცხოვრებაში მიღებული გამოცდილება. ადვილად მიხვდებით, სად დაუშვით შეცდომა და რა გიშლით ხელს წარმატებების მიღწევაში. დასახეთ შემდგომი პერიოდის გეგმები, ნუ იჩქარებთ ძველი კავშირების დარღვევას. ნუ აჰყვებით ემოციებს, რადგან ეს დრო მალე გაივლის და თქვენ ცხოვრების ახალ ეტაპზე გადახვალთ.

# რატომ უნდა დავგეგმოთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარება მთვარის ფაზების მიხედვით

*სასოფლო-სამეურნეო ასტროლოგია აღწერს კოსმოსის გავლენას ცოცხალ ბუნებაზე და სხვადასხვა მცენარეზე; ასევე, ცხოველებიც სხვადასხვა კოსმიურ ენერგიას ატარებენ და, შესაბამისად, მათი რეაქციაც სხვადასხვაა კოსმოსში მიმდინარე პროცესების მიმართ. ამ რეაქციების ცოდნა ადამიანს ეხმარება, სწორად დაგეგმოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, წინასწარ განსაზღვროს დადებითი ან უარყოფითი პერიოდები ამა თუ იმ კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებით. სხვათა შორის, სასოფლო-სამეურნეო ასტროლოგიას ჩვენი წინაპრები ოდითგანვე იყენებდნენ და სწორედ მთვარის ფაზების მიხედვით ადგენდნენ, თუ როდის მოეხნათ მიწა, დაეთესათ მცენარეები, დაერგოთ ხეები და აელოთ და დაებინავებინათ მოსავალი. ასე რომ, სასოფლო-სამეურნეო ასტროლოგია დაგეხმარებათ და ხელს შეგიწყობთ, სწორად დაგეგმოთ ის საქმიანობა, რომლისგანაც მომავალში სარგებელს ელით. აქვე გთავაზობთ, ივნისის თვის პროგნოზს, თუ რომელ დღეს რომელი სამუშაოების ჩატარებაა მიზანშეწონილი:*

**2 ივნისი** – კარგია კარტოფილისა და კომბოსტოს ალება-დაბინავება; მცენარეების დარგვა-გადარგვა.

**3 ივნისი** – კარგია მცენარეების დარგვა-გადარგვა; ბალახის მოცელვა და თივის შენახვა; მიწის დამუშავება, კომპოტების დამზადება და ზამთრისთვის შენახვა.

**4 ივნისი** – მოერიდეთ მცენარეების დარგვას, გადაბელვას, მოჭრას. კარგია ხილის დაკრეფა და დაჩირვა.

**5 ივნისი** – კარგია მიწათმოქმედება, მცენარეების დარგვა-გადარგვა, ხეების გადაბელვა, ბოსტნეულის ამოღება მიწიდან.

**6 ივნისი** – კარგია მიწის დამუშავება, სასუქებით განოყიერება, ხეების დარგვა, ხილის დაკრეფა-შენახვა.

**13 ივნისი** – ამ დღეს სავსემთვარეობაა. მოერიდეთ მიწის დამუშავებას, ხეხილის დარგვას, მცენარეების მოჭრას, ხილის კრეფას, ბოსტნეულის ალებასა და ზამთრის მარაგის გაკეთებას.

**15 ივნისი** – კარგია მიწის დამუშავება, მცენარეების დარგვა-გადარგვა, მორწყვა, კომპოტების მოხუფვა და მურაბების დამზადება.

**16 ივნისი** – კარგია ხეების დარგვა, რადგან ისინი მალე გაიზრდება და ნაყოფსაც ადრე გამოიღებს.

**18 ივნისი** – კარგია მცენარეების დარგვა-გადარგვა, მორწყვა და მიწის განოყიერება სასუქით.

**19 ივნისი** – კარგია მცენარეების დარგვა, გადარგვა, მორწყვა, ბალახის მოთიბვა ზამთრისთვის შესანახად; ასევე, ზამთრისთვის კომპოტებისა და მურაბების მოხუფვა და შენახვა.

**21 ივნისი** – დღეს ზაფხულის ბუნიობაა. მოერიდეთ მიწის სამუშაოებსა და ზამთრისთვის მარაგის შენახვას.

**22 ივნისი** – კარგია მცენარეების დარგვა-გადარგვა, მორწყვა, გადაბელვა, მიწის განაყოფიერება-გაფხვიერება;

**24 ივნისი** – კარგია მცენარეების დარგვა, გადარგვა, მორწყვა, ხილის კრეფა და დაჩირვა; მურაბებისა და კომპოტების დამზადება.

**25 ივნისი** – ნუ დაკრეფთ ყვავილებს. მოერიდეთ ხეების მოჭრას, გადაბელვას და მიწიდან ბოსტნეულის ამოღებას.

**27 ივნისი** – ამ დღეს ახალმთვარეობაა. კატეგორიულად იკრძალება ზამთრისთვის პროდუქტების მოხუფვა, ხილის კრეფა, ბოსტნეულის ალება-დაბინავება და მიწათმოქმედება.

**29 ივნისი** – არ ვარგა მცენარეების დარგვა-გადარგვა, მორწყვა, ხილის დაკრეფა, ბოსტნეულის ალება და ზამთრისთვის შენახვა; ასევე, თივის მოგროვება.

# თეატრები

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

5 ივნისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ამერიკა აგანოში"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისურა და მუსიკალური გაფორმება ლინდა ურბონისა. მონაწილეობენ: ანდრია თავბერიძე, ზურა ინგოროყვა, კახა კუპატაძე, მამუკა ლორია, ირაკლი სანაია, ქეთი სვანიძე, ბექა სონღულაშვილი, დარეჯან ხარშილაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

6 ივნისი, **პარასკევი** 19.00 - **„პრინცი ჰომბურგი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ირაკლი მაჭარაშვილი, მარინა ჯანაშია, ია სუხიტაშვილი, ზურა ინგოროყვა, სანდრო მიკუჩაძე-ლაღაძიძე, დავით უფლისაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ბაჩი ლეჟავა, ბექა სონღულაშვილი, მანანა აბრამიშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

7 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„სტუმარ-მასპინძელი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ვალერიან გორგოშაძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, ია სუხიტაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ლევან ხურციძა, გელა ლეჟავა. *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

8 ივნისი, **კვირა** 19.00 - **„ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, ბესო ზანგური, ნინო თარხან-მოურავი, გაგი სვანიძე, ია სუხიტაშვილი, ნიკა ქაცარიძე. *ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი.*

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**მარჯანიშვილის ქუჩა №8,**
**ტელ.: 295-59-66**

3, 7 ივნისი, **სამშაბათი, შაბათი** 20.00 - **„ჟოლო"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა. *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

4 ივნისი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ქალები"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: ცოცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე. *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

5 ივნისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ჩემო მეჟოლია"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), რეჟისორი: ხათუნა მილორავა. მონაწილეობენ: ზაზა გოგუაძე, ზაზა იაქაშვილი, ნატა ბერეჟიანი, ანა სანაია, კოკო როინიშვილი, მარი სუჯაშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

6 ივნისი, **პარასკევი** 20.00 - **„ტოიბელე და მისი დემონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გოგა თავაძე. მონაწილეობენ: ანა ვასაძე, მალხაზ აბულაძე, ნათია გუბენკო, პაატა პაპუაშვილი, მარლენ ეგუტია, გიგა გოგიჩაძე, ნიაზ ხუციანიძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

6 ივნისი, **პარასკევი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

8 ივნისი, **კვირა** 20.00 - **„როგორც გენებოთ"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი. *ხანგრძლივობა: 2სთ.*

**მარჯანიშვილის თეატრი**
**(ახალი სცენა)**
**მარჯანიშვილის ქუჩა №5.**
**ტელ.: 2 955-966**

3 ივნისი, **სამშაბათი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*

4 ივნისი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„შეხვედებით სამოთხეში"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: ზურაბ ბერიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, გურამ ჯაში, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

5 ივნისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„კრამერი კრამერის წინააღმდეგ"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: დავით ჩხარტიშვილი. მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ნათია ნიკოლაიშვილი, სანდრო შარაშიძე, თეონა ქოქრაშვილი, ვალერი კორშია, ზურა ბეგალიშვილი, გვანცა კორშია, ჯანო იზორია; *ხანგრძლივობა: 2სთ.*

**თავისუფალი თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2,**
**ტელ.: 298-58-21**

3 ივნისი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

4 ივნისი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

5 ივნისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

6 ივნისი, **პარასკევი** 19.00 - **„მგზნებარე შეყვარებული"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, თიკო კორძაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

7 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„რიჩარდ III"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ქეთა ლორთქიფანიძე, მარიამ ნადირაძე, მარიამ ჯოლოგუა, ანი ალადაშვილი, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, ჯაბა კილაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

8 ივნისი, **კვირა** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი.*

**მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164.**
**ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

3 ივნისი, **სამშაბათი** 20.00 - **„მაცეკვე ტანგო"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: მამუკა ტყემალაძე. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, ზაზა მიქაშავიძე, გია აბესალაშვილი, ქეთი ასათიანი, ბექა ჯღუმუტია, ჯაბა სულაკაძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

– ეს ყველაფერი ნელ-ნელა დავხვეწე. ბოლო დროს გაჩნდა მათ სახეებში ემოციები, რაც ჩემთვის ყველაზე მთავარია. მინდა, ჩემი თოჯინები ემოციური იყოს, მოძრაობაში, მნახველს რაღაცას ეუბნებოდეს. თუმცა, ბევრი მათგანი მოწყენილია, რადგან, მათზე რომ ვმუშაობდი, ცოტა რთული პერიოდი მქონდა – შეყვარებულს დავშორდი. დეპრესია საკმაოდ დიდხანს მქონდა, ამიტომ იმ პერიოდში შექმნილი თოჯინები მოწყენილებია, ნაკლებად იცინიან. 2012 წელს კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმში მქონდა გამოფენა, სადაც 30 ნამუშევარი გავიტანე. სამ თვეში შეიქმნა ჩემი ნამუშევრები და ეს ერთგვარი რელაქსაციაც იყო. მუშაობის პროცესს ყოველთვის გამოვყავარ რთული მდგომარეობიდან. ეს ისეთი შეგრძნებაა – შენთვის, რომ ხარ, მაგრამ ჰაერში დაფრინავ. ახლა ხალისიან განწყობაზე ვარ და მეგობრები დამცინიან: ტიტველი ქალების გაკეთება დაიწყეო. ზოგადად, ჩემი საყვარელი ეპოქა მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნის საფრანგეთია – დახვეწილი, ქალური ლამაზი ქალი, კორსეტით, დიდი კაბებით. ამიტომ, ჩემს ძველ ნამუშევრებში, ძირითადად, ასეთები სჭარბობს – მინდოდა, გადმომეცა ქალის სინაზე, სილამაზე. ჩემთვის, შინაგანი ემოციის გარდა, ჩაცმულობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ბოლო დროს უფრო გავთანამედროვდი და ჩემი შემოქმედების ინტერესი თანამედროვეებსაც მისწვდა. მაგალითად, ჰარი პოტერი, ჯამბაზები... ახლა ვმუშაობ ასეთ რაღაცაზე – „ვირობანა“ ჰქვია, ბიჭები თამაშობენ „ვირობანას“. ჩემი ბავშვობა გამახსენდა. ალბათ, ეს თამაში ყველას უთამაშია და გადავწყვიტე, გამეკეთებინა.

**– შენი თოჯინების სამოსის ფერებიც ძალიან კარგად არის შეხამებული. ამას უფრო მეტი ხალისი შეაქვს და ალამაზებს მათ.**

– ჩემი საყვარელი ფერი წითელია, ამიტომაც ეს ფერი ჭარბობს. მე ხომ მხატვარი არ ვარ, ამიტომ ესკიზებს ვერ ვაკეთებ. რასაც თვალით, ხელით შევიგრძნობ, იმას მივყვები. ერთ მეგობართან წავიწუწუნე: მიჭირს ფერების შეხამება-მეთქი. მან კი მითხრა: გარეთ გაიხედე, შეხედე, რას რა უხდება, ხეებს, ფოთლებს და მიხვდებიო. ამან ფერების აღქმის ახალი საშუალება მომცა და დავიწყე ფერებში ჩასმა. ადრე ცვილზე ვმუშაობდი, რომელიც ადვილად დასამორჩილებელია. ახლა მყარ მასალაზე ვმუშაობ, ეს არის კერამიკა, თიხა და ბოლო დროს კი ქსოვილებზეც გადავედი. დიზაინერი გავხდი ლამის, ჩემს თოჯინებს სამოსს მე ვუკერავ. კერვა საშინელებაა, ძალიან ვიტანჯები, თარგსაც თვალით ვჭრი, ესკიზის გარეშე. თან, ჩემს სამოსს ვჭრი, ფარდებს. სხვადასხვა ქსოვილი მეგობრებსაც მოაქვთ. ერთ-ერთი თოჯინას კაბა დედაჩემის ფარდისგანაა შეკერილი – ეს არის პერსონაჟი ფილმიდან „საიდუმლო კავშირები“. ცოტა „კურტიზანკა“ ქალს ჰგავს, მოშიშვლებული მკერდი აქვს. მისი კაბის შეკერვა ძალიან რთული იყო.

**– შენს შემოქმედებაში ჯამბაზები ჭარბობენ. რატომ?**

– ეს იტალიური გავლენაა. „კაპოდემონტეს“ ფაიფურზე გავიარე პრაქტიკა და იქიდან რომ ჩამოვედი, მერე დავიწყე ჯამბაზების კეთება. ვატიკანის ელჩმა კლაუდიო გუჯეროტიმ ნახა ჩემი ნამუშევრები, მათი ფოტოები გააგზავნა და მომიწვია მიწვევა. ნეაპოლშია პატარ-პატარა ქარხნები, სადაც ოსტატი ზის და ფაიფურისგან უძვირფასეს ნამუშევრებს აკეთებს, რომლებიც საკმაოდ ძვირი ღირს.



მას არც საუბარი შეეძლო, პირჯვარსაც ძლივს იწერდა. ეს ჩემთვის უდიდესი შოკი იყო, გამახსენდა სიზმარი

იქ ბევრი რამ ვისწავლე, რაც უმთავრესია, ვიმუშავე ფაიფურზე და ისეთი ფაიფურის ნაკეთობებს ვაკეთებდი, რომელიც მთელ მსოფლიოშია გავრცელებული და საკმაოდ ძვირად ფასობს. ვცხოვრობდი მეთექვსმეტე საუკუნეში აშენებულ სასახლეში, სადაც გამოფენილი იყო იტალიელი მხატვრების ნამუშევრები, თან ორიგინალები. ოსტატი მაძლევდა დავალებას და მე ვაკეთებდი ყველაფერს. ეს არის დიდი პროცესი, რთული და საინტერესო. სხვათა შორის, საბოლოოდ, ოსტატი ისე აღფრთოვანდა ჩემი მუშაობით, რომ მთხოვდა, დიდი ხნით დავრჩენილიყავი, მაგრამ ვერ მოვახერხე. ეს ცოტა შორეული ოცნებაა. თუმცა, მაქვს სურვილი, ისევ წავიდე ნეაპოლში და შევისწავლო ფაიფურის რესტავრაცია. სხვათა შორის, მე პირველი ქართველი ვარ, რომელმაც „კაპოდემონტეს“ სამეფო ფაიფურზე მუშაობა ისწავლა და ეს კურსი გაიარა. ძირითადად, ვაკეთებდი მზარეულის თოჯინას, რომელიც მათთვის საკულტო თოჯინაა, სულ ამას აკეთებენ. კიდევ ვიმუშავე „შობაზე“. თავად შევქმენი დიზაინი, რომელიც ოსტატს ძალიან მოეწონა. ჩემი ნამუშევრები იქ დარჩა. საკმაოდ ძვირი ღირს და რთული იყო მისი ჩამოტანა. უბრალოდ, ჩემი ნამუშევრებიდან ოსტატმა რამდენიმე მაჩუქა და ისინი ჩამოვიტანე.

**– ვისთან ინახება შენი ნამუშევრები?**

– ვატიკანის ელჩს იტალიაში, ვატიკანში აქვს ცვილისგან გაკეთებული „შობა“, რომელიც ძალიან მოეწონა, გახარებული იყო. საკმაოდ საინტერესო კომპოზიცია გამოვიდა ჩემი ინტერპრეტაციით გაკეთებული. ცოტა ხნის წინ „თავისუფალმა თეატრმა“ შემიკვეთა სპექტაკლ „კომედიანტების“ კომპოზიცია. გავაკეთე და ბატონ ავთო ვარსიმაშვილს გადავეცი საჩუქრად. იქ იყო ოვაციები, ფეხზე წამოვდექი, მთელი დარბაზი მიკრავდა ტაშს – ეს პროცესი ძალიან სასიამოვნოა, როცა შენი ნამუშევარი მოსწონთ. ჩემი ნამუშევრები მუზეუმებშია დაცული. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი ნამუშევარი ბათუმში გაიგზავნა, მისი უწმიდესობის, ილია მეორის სალონ-მუზეუმში, რომელიც ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მდებარეობს. ეს არის მოხუცი ქალბატონი, რომლის პროტოტიპი ბებიაჩემია. ის ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. მიხარია, რომ პატრიარქის მუზეუმში ინახება ბებიაჩემის პორტრეტი. უცხოეთიდანაც შემიკვეთეს საკმაოდ ძვირად ღირებული ნამუშევარი, რომელიც, თუ არ ვცდები, გერმანიაშია. ასევე, უცხოეთშია ჩემი გაკეთებული ტომ სოიერი. „ხელოვნების სასახლე“ უშვებს კატალოგს, სადაც შევა ამ მუზეუმში დაცული სხვადასხვა ნამუშევრები – გუდიაშვილის, ახვლედიანის... აღარ გავაგრძელებ ჩამოთვლას და მათ შორის, ჩემი ერთი ნამუშევარიც. ეს ჩემთვის ძალიან დიდი პატივი და ბედნიერებაა. გოგი ჭიჭინაძის პორტრეტიც მაქვს გაკეთებული, დირიჟორის ჯოხით და ფრაკში. ძალიან მოეწონა, ახლა სახლში აქვს.

**– იმედია, მხოლოდ საჩუქრებად არ გასცემ შენს ნამუშევრებს და ყიდი კიდეც.**

– ეს ჩემი შემოსავლის ერთადერთი წყაროა. ძირითადად, სხვადასხვა ადამიანის პორტრეტებს მიკვეთავენ. პორტრეტზე მუშაობა ძალიან რთულია, მაგრამ საინტერესო. სხვა ადამიანის ემოციებს, ნაკვთებს ვისრუტავ და მერე ნამუშევარში გადმომაქვს. ფოტოებს მიგზავნიან და იმის მიხედვით ვაკეთებ. ერთმა გოგონამ თავისი შეყვარებულის ფიგურა გამაკეთებინა გურული სამოსით, ძალიან ლამაზი გამოვიდა. თან, წლებს უძლებს, ადვილად არ ტყდება. თუმცა, გასაყიდად მენანება ხოლმე, ვფიქრობ: მოუვლის, არ მოუვლის?! ისინი ხომ ჩემი სხეულის ნაწილებია, ძალიან მიყვარს, ვუფრთხილდები...

**– თითები საოცრად დაოსტატებული გექნება და ალბათ, განსაკუთრებულად უფრთხილდები კიდეც.**

– თითებით ვგრძნობ ყველაფერს. თითებში იმხელა შეგრძნებები მაქვს, შემიძლია, თვალდახუჭულმა გავაკეთო ყველაფერი. ამიტომაც, ყველაზე მეტად ხელის და თითების მოტეხვის მეშინია. ერთხელ მატარებლიდან გადმოვვარდი, უფრო სწორად, ჯარში ვიყავი, დავალება გვქონდა ასეთი: ნელა მიმავალი მატარებლიდან უნდა გადმოვმხტარიყავით. რომ ვისკუპე ამ ჩემი ზურგჩანთით, გავფრინდი, ხელები სულ ამიტყავდა. მაშინვე თითებს დავხედე, შემეშინდა, მოტეხილი ხომ არ მქონდა. ამის პანიკური შიში მაქვს და სულ ვუფრთხილდები. ჩემს ცხოვრებაში ერთი უცნაური რამ მოხდა. ჯერ ხალხი არ მიცნობდა, როცა ჩემ მეზობლად, ყაზანის ღვთისმშობლის ხატი მოაბრძანეს. ღამე დამესიზმრა: ქუჩაში ვიდექი, ბევრი ხალხი იყო, უცებ ერთი ქალი მომიახლოვდა, ხელზე ხელი მომკიდა და მითხრა: შენ მალე ძალიან ცნობილი გახდები, წინ ბევრი რამ გელოდებაო. სხვა რაღაცეებიც მითხრა, მაგრამ არ მახსოვს. ეს ხატი ონკოლოგიურში უნდა წაებრძანებინათ, სადაც სიმსივნით დაავადებული დედაო იწვა. მეზობელმა მთხოვა, მეც გავყოლოდი. მე, მამაო და ჩემი მეზობელი წავედით. პალატაში რომ შევედით, ხატი მე მეჭირა ხელში. საოცრება მოხდა: სარეცელზე ზუსტად ის ქალი იწვა, ანუ დედაო, რომელიც სიზმარში ვნახე. მას არც საუბარი შეეძლო, პირჯვარსაც ძლივს იწერდა. ეს ჩემთვის უდიდესი შოკი იყო, გამახსენდა სიზმარი. ამის შემდეგ დაიწყო ყველაფერი – დაიწერა ჩემზე, გადაიღეს სიუჟეტები, წავედი იტალიაში. ამ ყველაფერმა უფრო მეტი სტიმული მომცა.

**ნათია უტიაშვილი**

# ქართველი გენიოსის მიერ დასმული თვითმფრინავიდან ბოროტმოქმედებმა 20 მილიონი მანეთი და 500 კილოგრამი ოქრო გაიტაცეს



### ნორჩი ტექნიკოსი

1963 წლის მაისში, 13 წლის თბილისელმა მოსწავლემ ანდრო გაბელიამ მოსკოვში გამართულ ნორჩ ტექნიკოსთა საკავშირო კონკურსში გაიმარჯვა – მის მიერ აწყობილმა მოკლეტალღურმა რადიოგადამცემმა პირველი ადგილი მოიპოვა და საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერების აღტაცება დაიმსახურა. გამარჯვებული ქართველი მოსწავლე საკავშირო პიონერული ბანაკის, „არტეკის" საგზურით დააჯილდოვეს და ივნისში პატარა ანდრო ერთი თვით ყირიმში გაემგზავრა. ანდრომ „არტეკშიც" იყოჩაღა და საქვეყნოდ ცნობილ ბანაკში მრავალფუნქციური რადიოკვანძი ჩამოაყალიბა. ამის გამო „არტეკის" დირექციამ ანდროს კიდევ ორი თვით გაუგრძელა ბანაკში დასვენების ხანგრძლივობა და მთელი ზაფხული მან ყირიმის ნახევარკუნძულის ამ მშვენიერ კუთხეში გაატარა. თბილისში დაბრუნებულ ანდრო გაბელიას „არტეკიდან" მადლობის წერილი და დიდი წითელი დიპლომი მოუვიდა სკოლაში. ამიტომ, ისედაც კარგად ცნობილი და პოპულარული ანდრო, კიდევ უფრო დაფასებული გახდა და სკოლის დირექტორი სიხარულით მეცხრე ცაზე დაფრინავდა. არანაკლებად ხარობდნენ თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა სასახლის „ნორჩი ტექნიკოსის" წრის წევრებიც, რადგან „არტეკიდან" მათაც მოუვიდათ ანდროს ქების წერილი. ერთი სიტყვით, ვუნდერკინდ ქართველ ნორჩ ტექნიკოსს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

### საგანგებო აღრიცხვა

პირველი დიდი წარმატების შემდეგ, პატარა ანდროს ცხოვრება აღმავალი ნიშნით წარიმართა და სკოლის დამთავრებამდე, მრავალი საკავშირო ჯილდო დაიმსახურა. 1966 წლის დეკემბერში კი, ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში გამართულ ჭაბუკ რადიომოყვარულთა კონკურსზე, ანდროს აწყობილმა პორტატულმა რადიომოწყობლობამ დიდი ოქროს მედალი და საერთაშორისო კონკურსის პირველი ადგილი დაიმსახურა. მოსკოვში დაბრუნებულ ქართველ ჭაბუკს ცნობილი საბჭოთა რადიოინჟინერი, აკადემიკოსი პავლე კუკუშკინი შეხვდა, გაესაუბრა, აღთოვანებული დარჩა და თავის კოლეგებს უთხრა:

– ამხანაგებო, გარწმუნებთ, რომ ეს გენიოსი ჭაბუკი სულ რაღაც ათ წელიწადში დიდ წვლილს შეიტანს ჩვენი დარგის განვითარებაში.

თბილისში დაბრუნებულ ანდროს, რომელიც სულ რაღაც 17 წლის იყო, როგორც დიდსა და ავტორიტეტულ ადამიანს, ისე ეპყრობოდნენ, პატივს სცემდნენ და ჭკუას ეკითხებოდნენ. ანდრო კი სკოლის გამოსაშვები გამოცდებისთვის და მოსკოვის, ბაუმანის სახელობის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში ჩასაბარებლად ემზადებოდა. მან, რა თქმა უნდა, წარმატებით დაძლია სასკოლო გამოცდები და მოსკოვში ჩასაბარებელი გამოცდების საგნების გაძლიერებულ სწავლებაზე გადავიდა. 1967 წლის ივლისის მიწურულს ანდრო მოსკოვში გასამგზავრებლად ემზადებოდა. 24 ივლისს, სახლში მას სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის რადიოტექნიკური განყოფილების თანამშრომლები და გამომძიებლები ეწვივნენ. მის ეზოსთან კი პელენგატორიანი რადიოფურგონი იდგა. სწორედ მისი მეშვეობით იპოვეს ანდრო. საქმე კი ის იყო, რომ 23 ივლისის ღამეს, თბილისისკენ მომავალმა თვითმფრინავმა, რომელსაც „ცეკას" პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე მოჰყავდა, აეროპორტში დაჯდომა ვერ შეძლო და კვლავ მოსკოვში გაფრინდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ სამთავრობო რადიოხაზები უცნობი სიგნალებით იყო დაბლოკილი და აეროდისპეტჩერები თვითმფრინავის დასმას ვერ ახერხებდნენ. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, რომელსაც საბოტაჟისა და ტერორიზმის სუნი ასდიოდა. ამიტომ, საქმეში „კაგებე" ჩაერთო. „ჩეკისტებმა" ბევრი ოფლი დაღვარეს, სანამ ნორჩ რადიოხულიგანს მიაგნებდნენ. შემდეგ ის „კაგებეს" შენობაში, საგანგებო აღრიცხვაზე აიყვანეს და ხელწერილი ჩამოართვეს, რომ მსგავს საქციელს აღარ ჩაიდენდა. ანდრო მეორე დღეს გამოუშვეს. ორ დღეში კი ანდრო გაბელია და მამამისი მოსკოვში გაემგზავრნენ. ანდრომ წარმატებით დაძლია ურთულესი გამოცდები და 17 წლის ასაკში ბაუმანის სახელობის ინსტიტუტის ყველაზე ახალგაზრდა სტუდენტი გახდა ამ სასწავლებლის ისტორიაში.

### გენიალური გამოგონება

ბაუმანის სახელობის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ანდრო გაბელია აკადემიკოს პავლე კუკუშკინის უსაყვარლესი

## 22 წლის ქართველ ახალგაზრდას მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიანიჭეს და მოსკოვის ცენტრში ოთხოთახიანი ბინა მისცეს

სტუდენტი იყო. ღვაწლმოსილი საბჭოთა მეცნიერი, შვილიშვილის ტოლა ბიჭს ღრმა პატივისცემის ნიშნად მამის სახელით მიმართავდა – ანდრო ივანიჩს ეძახდა... საქვეყნოდ ცნობილმა საბჭოთა რადიომეცნიერმა ანდროს თავისი ლაბორაოტორია დაუთმო, სადაც ქართველი ყმაწვილი სხვადასხვა ცდას ატარებდა. 1971 წელს, 21 წლის მეოთხე კურსელმა ანდრო გაბელიამ უნიკალური რადიოპულტი შექმნა, რომელსაც სხვადასხვა სიხშირის სიგნალების დაჭერა, გარდაქმნა და მართვა შეეძლო. ეს იყო გენიალური გამოგონება, რომელიც მაშინვე გაასაიდუმლოეს, სამხედრო-საავიაციო და სარაკეტო მრეწველობაში დანერგეს და დღემდე იყენებენ. ანდრო გაბელიამ დროზე ადრე მიიღო ინსტიტუტის დიპლომი, ხოლო მის სადიპლომო ნაშრომს საკანდიდატო ხარისხი მიანიჭეს. 22 წლის ქართველი ახალგაზრდა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გახდა. ამ დამსახურებისთვის ანდროს ოთხოთახიანი ბინა მისცეს მოსკოვში და ერთ-ერთ გასაიდუმლოებულ რადიოლაბორატორიაში გაამწესეს სამუშაოდ, რომელსაც აკადემიკოსი კუკუშკინი კურირებდა.

### უპრეცედენტო ძარცვა

აკადემიკოს პავლე კუკუშკინს ორი ქალიშვილი ჰყავდა – ალა და ნატა. 26 წლის ალა ანდროს უყვარდა და ყოველმხრივ ცდილობდა მისი გულის მონადირებას. ალა კი სულ სხვა ადამიანი იყო, კრიმინალური მენტალიტეტით და როგორც თვითონ მოგვიანებით აღიარა, „დიდ საქმეზე" ოცნებობდა. პირმშვენიერი გოგონა სახელმწიფო ბანკში მუშაობდა და ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფთან იყო დაკავშირებული. ჯგუფს 36 წლის ყოფილი სამხედრო ლეიტენანტი რომან კაზანცევი ხელმძღვანელობდა. სწორედ რომანის საყვარელი იყო ალა და აკადემიკოსის ქალიშვილი კაზანცევის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. რომანმა ანდროს შესახებ ალასგან იცოდა და ხშირად დასცინოდა შეყვარებულ ქართველ ახალგაზრდას. ერთ მშვენიერ დღეს ალამ რომან კაზანცევს უთხრა.

– როგორც იქნა, ჩვენს ქუჩაზეც მოვიდა ზეიმი. რაზეც ეს წლები ვოცნებობდით, რეალური ხდება და თუკი ყველაფერს ზუსტად შევასრულებთ, დიდი კუში ჩვენი იქნება.

ალამ კაზანცევს უამბო, რომ 1972 წლის 4 ივნისს მოსკოვიდან კიევში საბჭოთა კავშირის ფინანსთა სამინისტროს პატარა კუთვნილი თვითმფრინავი უნდა გაფრენილიყო. თვითმფრინავში 20 მილიონი მანეთი, 500 კილოგრამი ოქრო და ფინანსური დოკუმენტაცია იქნებოდა. ქალმა რომანს ამ თვითმფრინავის გაძარცვა შესთავაზა.

– კი მაგრამ, როგორ უნდა გაძარცვო ეგ თვითმფრინავი, მას ხომ გაძლიერებული დაცვა ეყოლება და აეროპორტამდეც კი არავინ მიგასუნინებს, – უთხრა რომანმა ალას.

– დაცვა მას მხოლოდ აეროპორტამდე მიაცილებს და კიევში დახვდება. ჩვენ ის ჰაერში უნდა მოვხსნათ, – მიუგო ალამ, რაზეც რომანმა უთხრა:

– შენ, მგონი, შეიშალე, ჩემო გოგონა და „დიდი საქმის" იდეაფიქსმა რეალობას მოგწყვიტა.

– სულაც არა, – გაეცინა ალას და დაამატა, – თვითმფრინავს მოსკოვიდან 160 კილომეტრით დაშორებულ, მიტოვებულ სამხედრო აეროდრომზე დავსვამთ. შენ და შენი „არწივები" კი მას იქ დახვდებით და გაძარცვავთ.

– ჰო, დასვამ... ხელს ჩაავლებ და დასვამ ან უბრძანებ: დაჯექიო და დაჯდება, – აბუჩად აიგდო კაზანცევმა ალა. გოგონამ კი მშვიდად უთხრა:

– თვითმფრინავს ჩემი „პაკლონიკი" ანდრო დასვამს. მან სპეციალური მოწყობილობა გამოიგონა და მე რომ ვეტყვი, შეასრულებს.

1972 წლის 4 ივნისს, დილის 9 საათსა და 47 წუთზე, ანდრო გაბელიამ თვითმფრინავი მიტოვებულ აეროდრომზე დასვა თავისი მოწყობილობის მეშვეობით. კაზანცევმა და მისმა ბანდამ ის ხუთ წუთში „გაასუფთავეს", ფული და ოქრო გატაცებულ სამხედრო მანქანაზე დატვირთეს და გაუჩინარდნენ.

მოსკოვის მახლობლად განხორციელებული დანაშაული იყო უპრეცედენტო ძარცვა თავისი მასშტაბებითა და რაც მთავარია, შესრულების მხრივ. თუმცა, ამ დანაშაულის ყველა მონაწილე „კაგებემ" ორ დღეში დააპატიმრა. პირველად ანდრო გაბელია აიყვანეს, შემდეგ კი ალა და კაზანცევი თავისი შეიარაღებული ბანდით.

ყოფილ სამხედროსა და მის ბანდიტებს 15-15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ალა კუკუშკინას პირობითი ხუთწლიანი სასჯელი გამოუტანეს და გაძლიერებული მეთვალყურეობა დაუწესეს. გენიალური ქართველი რადიომეცნიერი კი „კაგებემ" ისე გაასაიდუმლოა, მისი ადგილსამყოფელი სულ რამდენიმე ადამიანმა იცოდა.

ანდრო გაბელია დღესაც ცოცხალია, რუსეთში ცხოვრობს და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში მუშაობს.

**ნიკა ლაშაური**

# რატომ დაჭრა მამაკაცმა მეგობრის ცოლი და რა დატოვა მან შემთხვევის ადგილზე

41 წლის კახა წ-ძეს, რომელიც წარსულში ორჯერ იყო ნასამართლევი ნარკოტიკების მოხმარებისთვის, მეგობრის ცოლის განზრახ მკვლელობის მცდელობის გამო 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. დანაშაულის ჩადენის მოტივი, რომელიც განსასჯელმა სასამართლოზეც ისევე დაადასტურა, როგორც წინასწარ გამოძიებაში, სასამართლომ დამაჯერებლად არ მიიჩნია. განსასჯელის წინააღმდეგ ჩვენება მისცა დაზარალებული ქალბატონის შვილმა, 24 წლის გოგონამ, რომელიც ინციდენტის თვითმხილველი შემთხვევით აღმოჩნდა და ამტკიცებდა, რომ მამაკაცმა დანაშაული ჩაიდინა არა აფექტურ მდგომარეობაში, როგორც ამას თავად განმარტვდა, არამედ, წინასწარი განზრახვით და მეგობრის ცოლთან ანგარიშის გასასწორებლად შეიარაღებული მივიდა. იმის მიუხედავად, რომ კახა წ-ძე თავად გამოცხადდა პოლიციაში დანაშაულის აღიარების მიზნით, სასამართლომ შემამსუბუქებელ გარემოებებად არ ჩათვალა მისი დაცვის მხარის მიერ წამოყენებული არგუმენტები, მამაკაცი დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის იმ მუხლით, რომლითაც მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

ინციდენტი, რომელსაც 45 წლის ნანა მ-ძის მძიმედ დაჭრა მოჰყვა, დაზარალებულის ნათესავი ქალის საცხოვრებელ ბინაში მოხდა. სწორედ ამ ბინაში ემალებოდა ნანა მ-ძე 41 წლის კახა წ-ძეს ორი თვის განმავლობაში, რადგან ქალს მამაკაცთან და მის ცოლთან იპოთეკურ სესხთან დაკავშირებული დავა ჰქონდა. ნანა კახას ბავშვობის მეგობრის მეუღლე და მისი შვილის ნათლია იყო. ქალს ახლო მეგობრობა ჰქონდა კახა წ-ძის ცოლთან: მათ ერთი წლის განმავლობაში ჰქონდათ საერთო ბიზნესი – სილამაზის სალონი, რასაც ქალებს შორის დაპირისპირება მოჰყვა. მოგვიანებით საქმის გარჩევაში მათი ქმრებიც ჩაერივნენ, რაც მძიმე დანაშაულით – ახალგაზრდა ქალის მძიმედ დაჭრით დასრულდა.

**მერე კი მივხვდი, როგორ მოვაჭერი ყური ქალს, რომელმაც ძალიან გამამწარა**

გამოძიების მასალებით, კახა წ-ძემ ქალს გულ-მკერდის არეში ჯერ ორი ჭრილობა მიაყენა, შემდეგ კი ყური ჩამოათალა.

ამონაწერი თეა გ-შვილის ჩვენებიდან:

„ბოლო ორი თვე დედა ნათესავის სახლში იმალებოდა, რადგან იცოდა, რომ კახა მოკვლით ემუქრებოდა. იმ დღეს დედა არ მელოდა, შემთხვევით მივედი სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენს ბინაში კახა წ-ძე იყო მისული. დედას საჭმელი მივუტანე და კარზე ზარი დავრეკე, მაგრამ კარი ღია დამხვდა. სახლში შევედი და სასტუმრო ოთახში ძირს დავარდნილი დედა დავინახე. ჯერ ვერ მივხვდი, რა მოხდა, ახლოს მისულმა სისხლი დავინახე. უცებ სამზარეულოს კართან კახას შევეფეთე, რომელიც სამზარეულოდან გამოდიოდა და სისხლიან ხელ-პირს საკუთარი მაისურით იწმენდდა. ზურგიდან მივვარდი, მაგრამ, ხელი მკრა და უკან გადამაგდო. თავი მაგიდას დავარტყი და გონება დავკარგე. ალბათ, რამდენიმე წამი ვიყავი გონდაკარგული, რადგან, როცა თვალი გავახილე, კახა ჩემთან ძალიან ახლოს იდგა. სისხლიანი დანა ჯერ კიდევ ხელში ეჭირა. ძალიან შემეშინდა, ვიფიქრე, რომ მეც მომკლავდა. დავინახე პისტოლეტიც, რომელიც იქვე, დედაჩემის გვერდით ეგდო იატაკზე. როგორც კი კახამ შენიშნა, რომ მე ცეცლსასროლი იარაღი დავინახე, პისტოლეტი აიღო, დედას გადააბიჯა და ოთახიდან სამზარეულოს გავლით გავიდა, რადგან, მეორე მხარეს გასასვლელი მე მქონდა დაკეტილი. ძლივს მოვახერხე ფეხზე წამოდგომა. დედა სულ სისხლიანი იყო და გონება დაკარგული ჰქონდა. სისხლი მოსდიოდა ყურიდანაც, მისი ყურის ბიბილო კი იქვე ეგდო. ფანჯარა გავაღე და კივილი დავიწყე.

დაჭრილ ნანა მ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო, მას ორი ქირურგიული ოპერაცია გაუკეთდა, რის შემდეგაც ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში პოლიციაში დანაშაულის აღიარებით გამოცხადდა კახა წ-ძე, რომელმაც განაცხადა, რომ დანაშაული შურისძიების ნიადაგზე ჩაიდინა. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, კახა წ-ძემ კუთვნილი საცხოვრებელი ბინა ნანა მ-ძის მეშვეობით დაკარგა და ცოლ-შვილთან ერთად უსახლკაროდ დარჩა, რაც ოჯახის ახლობელ ქალს არ აპატია. საქმის მასალების მიხედვით, ნანა მ-ძეს კახა წ-ძის ცოლთან ერთად სილამაზის სალონი ჰქონდა. პარალელურად ქალებმა ჰოსტელის გახსნა გადაწყვიტეს და ნანა მ-ძემ ჰოსტელი კახა წ-ძის კუთვნილ ბინაში გახსნა. იპოთეკური კრედიტი მან კახა წ-ძის ბინის გირავნობით აიღო, მაგრამ, ქალებმა იპოთეკური სესხის გადახდა ველარ შეძლეს და რამდენიმე თვეში კახა წ-ძემ და მისმა მეუღლემ კუთვნილი ბინა დაკარგეს. ამას ორ ოჯახს შორის დაპირისპირება მოჰყვა – კახა წ-ძე ჯერ მეგობარს დაუპირისპირდა, შემდეგ კი მის მეუღლეს – ნანა მ-ძეს. ის რამდენჯერმე მიუვარდა ყოფილ საქმიან პარტნიორებს სახლში და დაულეწა საოჯახო ნივთები, რის შემდეგაც უკვე ქმართანაც დაპირისპირებული ნანა მ-ძე იძულებული გახდა, ნათესავის ბინაში შეხიზნულიყო. კახა წ-ძე ოჯახისგან ბინის გაყიდვას მოითხოვდა იმ მოტივით, რომ ჩემს ცოლს ბინა თაღლითურად დააკარგვინეთ და სანაცვლოდ ვალი თქვენი ბინით უნდა გადაიხადოთო. მამაკაცებს შორის დაპირისპირება რამდენჯერმე გახდა მათი საერთო ნაცნობების გარჩევის თემა, კახა წ-ძის მეუღლე სასამართლოში გეგმავდა ყოფილ ბიზნესპარტნიორთან საქმის გარკვევას, მაგრამ კახა წ-ძემ ცოლს საქმის სამართლებრივი წარმართვა არ აცალა და ყოფილი მეგობრის ცოლს – თავისი შვილის ნათლიას, თავად გაუსწორდა. სასამართლო პროცესზე დანაშაულის თვითმხილველი, დაზარალებულის შვილი ამტკიცებდა, რომ კახა წ-ძე ცეცხლსასროლი იარაღითაც იყო შეიარაღებული და საკუთარი თვალით დაინახა, როგორ დაუვარდა კახა წ-ძეს შემთხვევის ადგილზე პისტოლეტი, რომელიც მას არ გამოუყენებია. განსასჯელმა კახა წ-ძემ სასამართლოზე აღიარა ჩადენილი დანაშაული, შემთხვევის ადგილზე ცეცხლსასროლი იარაღის არსებობა კი უარყო. მისი განცხადებით, ნანას მოკვლა არ ჰქონდა გამიზნული, დანა მხოლოდ მის შესაშინებლად წაიღო და მისი გამოყენება მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ქალმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ამონაწერი განსასჯელის ჩვენებიდან:

„ნანა ჩემთან საუბარში თავის დანაშაულს არ აღიარებდა, უფრო მეტიც, დამცინა კიდეც. დანა ორჯერ დავარტყი, ძირს დავარდნილს ზემოდან მოვექეცი და მის ყურზე დიდი ზომის ძვირფასი საყურე დავინახე. ისეთი არაადეკვატური ვიყავი, რომ იმავე დანით ყურის ბიბილო მოვაჭერი. რას ვაკეთებდი, გაცნობიერებული არ მქონდა”.

გამოძიებამ შემთხვევის ადგილიდან ამოიღო კახა წ-ძის კუთვნილი დანა, რომლითაც მძიმე დანაშაული იყო ჩადენილი. ის დამნაშავეს კარადის ქვეშ შეეგდო, როგორც თავად განმარტა, არა დამალვის მიზნით, არამედ, ინსტინქტურად. კახა წ-ძემ საკუთარი ქმედება მძიმე ემოციური მდგომარეობით ახსნა, თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დანაშაულის ჩადენის დროს განსასჯელი არ იმყოფებოდა აფექტურ მდგომარეობაში. მან დანაშაული ჩაიდინა ბინის დაკარგვიდან ორი თვის შემდეგ და ამ პერიოდის განმავლობაში რამდენჯერმე შეხვდა ქალს, რომლის მკვლელობის მცდელობისთვისაც ის გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

**2 ივნისი**

1557 – რომის კათოლიკურმა ეკლესიამ ოფიციალურად აღიარა, რომ „ინდიელებიც ადამიანები არიან“.

1886 – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჰოვარდ კლივლენდმა ცოლი მოიყვანა – ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედმა პრეზიდენტმა იქორწინა.

1896 – იტალიელმა გულიელმო მარკონიმ დააპატენტა რადიო.

1946 – იტალიაში გაუქმნდა მონარქია.

**3 ივნისი**

1846 – დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების და მექსიკის ომი.

1875 – ალექსანდრ ბელმა დააპატენტა ტელეფონი.

1975 – პელე სათამაშოდ გადავიდა ნიუ-იორკის კლუბ „კოსმოსში“.

**4 ივნისი**

1784 – ლონდონელი მარი ტიბლი გახდა პირველი ქალი, რომელიც საჰაერო ბურთით აფრინდა.

1800 – ვაშინგტონში დასრულდა თეთრი სახლის მშენებლობა.

**5 ივნისი**

8499 ჩვენს წელთაღრიცხვამდე – წმინდა წიგნებისა და მითების მიხედვით დაიწყო წარღვნა, რასაც ატლანტიდის დაღუპვა მოჰყვა. გერმანელი მეცნიერის მუკის მტკიცებით, ეს გამოიწვია ატლანტის ოკეანეში ასტეროიდ „ა-ს“ ჩავარდნამ.

1945 – მოკავშირე ქვეყნების სამხედრო მეთაურებმა – ჟუკოვმა, ეიზენჰაუერმა, მონტგომერმა და დალატრ დე ტასინიმ ბერლინში ხელი მოაწერეს დეკლარაციას გერმანიის დამარცხებისა და მისი მმართველობის საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებზე გადაცემის შესახებ.

1968 – პირველ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, სასიკვდილოდ დაჭრეს სენატორი რობერტ კენედი, დაშავდა კიდევ 5 ადამიანი.

1977 – გასაყიდად გამოვიდა პერსონალური კომპიუტერი „ეფლ 2“.

1981 – სან-ფრანცისკოს ჯანმრთელობის დაცვის ცენტრმა ოფიციალურად განაცხადა ახალი დაავადების – შიდსის – შესახებ.

**6 ივნისი**

1664 – სახელი შეეცვალა და ახალ ამსტერდამს, დაერქვა ნიუ-იორკი.

1815 – ვატერლოოს ბრძოლა – ნაპოლეონის საბოლოო მარცხი.

1944 – ევროპაში გაიხსნა მეორე ფრონტი.

**7 ივნისი**

1099 – პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეები მიადგნენ ქალაქ იერუსალიმს და ალყა შემოარტყეს.

1494 – ესპანეთის ქალაქ ტოდესილიასში დაიდო ხელშეკრულება ესპანეთსა და პორტუგალიას შორის სახმელეთო და საზღვაო საზღვრების დადგენის შესახებ, ბრაზილია ერგო პორტუგალიას.

1929 – წარმოიშვა სახელმწიფო ვატიკანი.

**8 ივნისი**

632 – გარდაიცვალა მუჰამედი, ისლამის ფუძემდებელი. დაიბადა 570 წელს.

1825 – ნოა კაშინგმა დააპატენტა სარეცხი მანქანა.

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბინაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა: რთულია თუ არა ოთახის პირობებში ვარდის გახარება, როგორი პირობები შევუქმნა მას და რა საშუალებებით გავამრავლო ის?**

**პასუხი:** ძველი დროიდან მოყოლებული, დღემდე ვარდი ყვავილების დედოფლად მოიაზრება. ის ოთახის პირობებში ძალიან ჭირვეული და რთული მოსავლელი ხდება. მას სჭირდება კარგად განათებული ფანჯარა, უმჯობესია, იყოს მზის პირდაპირი სხივები და სუფთა ჰაერი. არ უყვარს გადახურება და გამოშრობა. გაზაფხულიდან შეგიძლიათ, მცენარე აივანზე გაიტანოთ. პირდაპირი განათება და გრილი ჰაერი მისი უპირველესი მოთხოვნილებაა. ფოთლების უეცარი ჩამოყრის შემთხვევაში, აუცილებლად შეამოწმეთ მიწის კომი – შესაძლებელია, მას ნიადაგი გამოუშრა, ან, შეიძლება, ამის მიზეზი იყოს მწერების უეცარი თავდასხმა. ვარდის გახარებაზე, ასევე, ცუდად მოქმედებს ტემპერატურის უეცარი ვარდნა და განათების ცვალებადობა.

ვეგეტაციის პერიოდში, კვირაში ერთხელ, მცენარეს მიაწოდეთ ორგანული და მინერალური სასუქები. ზრდისა და აყვავილების პერიოდში კი მორწყეთ ინტენსიურად – მთავარია, მიწის კომი არ გამოშრეს; სასურველია ყოველდღიურად წყლის შეპკურებაც. აგვისტოს მეორე ნახევრიდან მორწყვას უნდა მოუკლოთ. თუ გსურთ, რომ ვარდმა გაზაფხულის დასაწყისშივე იყვავილოს, სავალდებულოა ზამთარში კარგი სითბო და დამატებითი სინათლის წყარო, ანუ – განათება.

ვარდის კარგად გასახარებლად საჭიროა მისი გაკრეჭა. შემდეგი წლის ყვავილობისთვის არ არის აუცილებელი ნიადაგის მთლიანად გამოცვლა, მხოლოდ ზედა ფენა შეუცვალეთ – ეს სრულიად საკმარისი იქნება.

როდესაც მცენარე ზრდას დაიწყებს, აუცილებელია მორწყვის განახლება და დამატებითი სასუქების მიწოდება. თუ გსურთ, რომ ყვავილობა კარგი ჰქონდეს, მოაწყვიტეთ 2-3 ბუტონი. დაყვავილებული ყვავილებიც სწრაფად მოაცილეთ ხოლმე.

ვარდი ძირითადად მრავლდება კალმით. სრულყოფილი და ჯანმრთელი ნერგის მისაღებად საჭიროა დაკალმების პერიოდის სწორად შერჩევა. ყველაზე კარგი ხარისხის კალამი გამოდის ფანქრისოდენა მოყვავილე ღეროებიდან 2-3 კვირტის დატოვებით. თუ აჭრილი კალამი მაშინვე არ დააკალმეთ, შედეგი სასურველი არ იქნება. 18 გრადუსის ქვემოთ, ვარდი საერთოდ არ დაკალმდება. მის კალამს მუდმივად უნდა შეუნარჩუნოთ ტენიანობა და ნიადაგში უნდა შედიოდეს ტორფი და ქვიშა.

გაითვალისწინეთ, ვარდს ყველაზე ხშირად უჩნდება ობობა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. ეს მცენარე კარგად იტანს სპირტის ხსნარს და ასევე უყვარს ულტრაიისფერი დასხივება.

**კითხვა: როგორ მოვუაროთ სუროს და რა პირობები შევუქმნა მას?**

**პასუხი:** სურო კარგად გრძნობს თავს ნებისმიერ ოთახში, სადაც ცოტაოდენი სინათლეა. თუ დროგამოშვებით მორწყავთ, სათანადო პირობებს შეუქმნით და შესაბამისად მოუვლით, ჯანსაღ მცენარეს მიიღებთ. ამ მცენარის ჭრელ სახეობებს კაშკაშა სინათლე სჭირდება, სადა ფერის სურო კი ჩრდილსაც აიტანს. სიცხეში სურო ფორმას იცვლის და უშნოვდება. ამიტომ, მთელი წლის განმავლობაში სიგრილეში ამყოფეთ. ზაფხულობით მიწა მუდამ ტენიანი უნდა ჰქონდეს. ნიადაგს ნურც ზამთარში გამოუშრობთ, თორემ, ფოთლები დაეჭმუჭნება. ის იოლად გასაზრდელი მცენარეა. მისი დიდი უპირატესობა ის არის, რომ ჩრდილსაც იტანს და სიგრილესაც; კარგად ხარობს ჰოლშიც და ზამთრის ბაღშიც. ის დაახლოებით 30 სანტიმეტრი იზრდება. ასე რომ, სურო სულაც არ არის პრეტენზიული მცენარე, თუ არ გაქვთ, აუცილებლად შეიძინეთ და, გარწმუნებთ, მისი გახარება არ გაგიჭირდებათ.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
>
> ანატოლ ფრანსი

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, არსებობს თუ არა შემოწირულობის სამართლებრივი განმარტება; დადებით შემთხვევაში, რა ითვლება შემოწირულობად და, შესაძლებელია თუ არა შეწირული ნივთის უკან გამოთხოვა სამართლებრივი გზით?**

**პასუხი:** განგიმარტავთ: მხარეებს შეუძლიათ, დაადგინონ, რომ ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია ამა თუ იმ პირობის შესრულებაზე ან განსაზღვრული მიზნის მიღწევაზე. ეს მიზანი შეიძლება იყოს საერთო-სასარგებლოც და, როდესაც ჩუქება ხორციელდება საერთო-სასარგებლო მიზნით, მას სამოქალაქო სამართალში ეწოდება შეწირულობა. ამასთან, პირობის შესრულება, გარდა მჩუქებლისა, შეუძლია, მოითხოვოს იმ პირმაც, ვის ინტერესებშიც იქნა ის დათქმული და, თუ დასაჩუქრებული პირობას არ შეასრულებს, მაშინ მჩუქებელს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე და უკან გამოითხოვოს შეწირულობა.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ჩაითვლება თუ არა ჩუქება ნამდვილად, როდესაც ის ზეპირი ფორმით განხორციელდა და არ არსებობს ჩუქების შესახებ წერილობითი დოკუმენტი, თუმცა, მოხდა ნაჩუქარი ნივთის დასაჩუქრებულისათვის ფაქტობრივი გადაცემა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მოძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან. რაც შეეხება უძრავ ქონებას, უძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ხელშეკრულებით განსაზღვრული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. შესაბამისად, თუ ნაჩუქარი ნივთი დასაჩუქრებულისათვის გადაცემულია, ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, აქვს თუ არა მჩუქებელს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებისა და გაჩუქებული ნივთის უკან დაბრუნების უფლება სასამართლოს მეშვეობით?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ მჩუქებელს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების უფლება აქვს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, კერძოდ, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ. ამასთან, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, პირისთვის საჩუქრის საჯაროდ, ზეპირი ფორმით დაპირებას აქვს თუ არა რაიმე სამართლებრივი ძალა და მნიშვნელობა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ, თუ ის წერილობითი ფორმითაა დადებული, შესაბამისად, ზეპირი ფორმით საჩუქრის თუნდაც საჯაროდ დაპირება ამგვარ ვალდებულებას არ წარმოშობს.

**კითხვა: ჩემი მეგობრის მიერ აღებული სესხისთვის გაწეული მაქვს თავდებობა, რაც დაფიქსირებულია ხელშეკრულებაში. მეგობარი არ იხდის სესხს, რის გამოც სესხის გამცემმა შემატყობინა, რომ ვალის ამოღებას ჩემგან აპირებს. გთხოვთ, მაცნობოთ, მაქვს თუ არა უფლება, უარი განვაცხადო მეგობრის ვალის გადახდაზე, მიუხედავად იმისა, რომ თავდები პირი ვარ?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, თავდებს შეუძლია, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას. შესაბამისად, თქვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში გაქვთ უარის თქმის უფლება, თუ კრედიტორი არ ცდილობს თქვენი მეგობრისგან ვალის იძულებით აღსრულებას.

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი **მევლუდ მელაძე**

**კითხვა**: **ღირს თუ არა წყალდიდობაში მოხვედრილი ავტომობილის ყიდვა? ამერიკიდან მაქვს შანსი, რომ იაფად შევიძინო.**

**პასუხი**: წყალდიდობაში მოხვედრილი ავტომობილის ყიდვა ერთგვარი ლატარიაა და მხოლოდ გამართლებაზეა დამოკიდებული. მნიშვნელობა აქვს ყველაფერს – როგორ ჩაიძირა, რამდენ ხანს იყო წყალში, შემდეგ რა

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

სერვისი ჩაუტარეს და რამდენ ხანში. იმასაც კი აქვს მნიშვნელობა, ძრავა რა პოზიციაში გაჩერდა, როცა წყალში მოხვდა. გარდა ძრავასი კიდევ ბევრი სათუო საკითხია – უამრავი დეტალია ავტომობილში, რომლის გამართული მუშაობა ეჭვქვეშ დგება თუ წყალშია მოხვედრილი. მაგალითისთვის, სიჩქარეების კოლოფი, ამძრავი დეტალები, ელექტრული სენსორები, კომპიუტერები. შეიძლება წყალდიდობაში მოხვედრილი ავტომობილი ძალიან იაფად შეიძინოთ, მაგრამ მისი შეკეთება ისე, რომ გამართულად იმუშაოს, ვერასდროს მოხერხდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სალონის დეტალები სრულიად რომ გამოიცვალოს, სალონიდან შმორის სუნის გაყვანა თითქმის შეუძლებელია. ასევე, სალონში ხმის იზოლაცია ისეთი მასალისგან არის დამზადებული, რომ წყალში ყოფნა აფუჭებს. თუ ამ მასალას ამოიღებთ, ავტომობილი ხმაურიანი და არაკომფორტული ხდება. ძალიან უნდა გაგიმართლოთ, რომ წყალში მთლიანად ჩაძირული არ იყოს, მხოლოდ მსუბუქად იყოს დაზიანებული.

**კითხვა**: **მყავს ავტომობილი „მიცუბიში აირტეკი", 2.4-ლიტრიანი, ეგრეთ წოდებული, „გედეი" ძრავათი, 2002 წლის. მაინტერესებს, როგორ დამიხასიათებთ ამ ავტომობილს – რა აქვს სუსტი და რა უპირატესობებით სარგებლობს?**

**პასუხი**: ეს არის საკმაოდ კარგი ავტომობილი ყოველდღიური მოხმარებისთვის. კარგი იქნებოდა, მცოდნოდა მხოლოდ წინა წამყვანი თვლებით აღჭურვილ ავტომობილზეა საუბარი, თუ – ოთხივე წამყვანი თვლით აღჭურვილზე. მათ განსხვავებული მახასიათებლები აქვს, მაგრამ რადგან ეს არ ვიცი, ზოგადი ახსნით შემოვიფარგლები. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის „ჯიპი" არ არის და შესაბამისად, არ უნდა გადავტვირთოთ უგზოობის პირობებში მოძრაობით. ეს არის მოდიფიცირებული მსუბუქი ავტომობილი, რომელსაც შეუძლია მცირე უგზოობაზეც და გზის მოულოდნელ უსწორობებზე დაუზიანებლად გადაადგილება. საკმაოდ ხარისხიანი მასალითაა დამზადებული, თუმცა პერიოდულად მაინც გამოაჩენს რაღაც სისუსტეებს. მაგალითად, იოლად ზიანდება სავალი ნაწილის მცირე დეტალები, საჭის მექანიზმი და სიჩქარეების კოლოფი. გადაადგილებისას კარგი სამართავია, მაგრამ უფრო სპორტული ხასიათისაა და ამიტომ უხეშია. ეს თვისება კომფორტს არ ქმნის, მაგრამ მოსახვევებში სისწრაფეს უწყობს ხელს. რაც შეეხება „გედეი" სისტემით აღჭურვილ ძრავას, ის კარგია იაპონიაში, მაგრამ ჩვენთან, ცოტა არ იყოს, ჭირს მასთან ურთიერთობა. ძირითადად, მაინც დაბინძურებული საწვავის ეშინია და არ უყვარს, როცა საწვავი თავდება ან ცოტაა დარჩენილი. პრინციპში, თუ ასეთ პირობებს არ შეუქმნით, დიდხანს, უპრობლემოდ მოგემსახურებათ, თანაც, მეორადებში უკვე საკმაოდ მოიპოვება სათადარიგო ნაწილები.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი **ზაქრო ბაჯიაშვილი**

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
> **ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა**: **ძაღლებსაც უჩნდებათ თუ არა კბილის ქვები? თუ უჩნდებათ, მაინტერესებს დაახლოებით რა ასაკში და როგორ უნდა მოვაშოროთ ის?**

**პასუხი**: კბილის ქვების წარმოქმნა ხდება ძირითადად ძაღლის სიცოცხლის მეორე ნახევარში. კბილის ქვები ვითარდება მხოლოდ კბილის მინანქარზე, რადგან, ლორწოვანი გარსი აქტიურად გამოყოფს სეკრეტს და სწრაფად ხდება მისი დაზიანებული ზედაპირის აღდგენა. ყველაზე ხშირად ქვები წარმოიქმნება კბილის წინა და უკანა ზედაპირზე, რაც განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული ზედაპირები განიცდიან ნაკლებ მექანიკურ დატვირთვას. ის ბაქტერიები, რომლებიც „ცხოვრობენ" კბილების ზედაპირზე, მეტაბოლიზმის პროცესში გამოყოფენ მინერალურ და არაგანწავად ნაერთებს, რომლებიც ფიქსირდებიან ცილოვან მატრიცებზე და იძენენ მყარ სტრუქტურას. რაც უფრო ხშირად და ბევრს ჭამს ცხოველი, მით უფრო მალე ვითარდება კბილის ქვები. ზოგიერთ პაციენტს საერთოდ არ უჩანს კბილის ქსოვილი და მათი ზედაპირი მთლიანად არის დაფარული კბილის ნადებით, ქვებით. ასეთ სიტუაციაში შეიძლება გამოსავალი დრამატული იყოს, რადგან, აღნიშნულ დროს ინფექციური პროცესი მიდის ღრძილების ქვეშ, რაც იწვევს შემდგომ პარადონტიტის განვითარებას. კბილის ქვების მკურნალობისთვის აუცილებლად უნდა მიმართოთ გამოცდილ ვეტერინარს, რომელიც მოაშორებს კბილის ნადებს სპეციალური ინსტრუმენტების დახმარებით და მდგომარეობის შესაბამისად დანიშნავს შესაფერის მკურნალობას, იქნება ეს ანტიბიოტიკი, ვიტამინი თუ სხვა სახის თერაპია. მკურნალობის ყველა მეთოდი მიმართული უნდა იყოს ღრძილებისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

**კითხვა**: **როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ძაღლს ამა თუ იმ საკვების მიმართ აუტანლობა აქვს?**

**პასუხი**: თუ თქვენს ძაღლს საკვებისადმი აუტანლობა აქვს, ამას აუცილებლად შეამჩნევთ: მას დაეწყება ღებინება, ასევე, ფაღარათი ან მუცლის შებერვა გაზების დაგროვების გამო. არ არის გამორიცხული, დაეწყოს კანის ქავილი და სიწითლე, ქერტლი, ყურების ქრონიკული პრობლემები, ცემინება, ხველა და ასე შემდეგ. როგორც კი ძაღლი ამ სიმპტომებს გამოავლენს, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ვეტერინარს, რომელიც დასვამს სწორ დიაგნოზს და სათანადო მკურნალობას დაუნიშნავს. საკვებისმიერი ალერგიის ხშირი მიზეზი ძაღლებში უმეტესად საქონლის ხორცი და რძის პროდუქტებია. ჩემი კეთილი რჩევა იქნება, ნუ მიაჩვევთ ცხოველს თქვენი საკვების ნარჩენების ჭამას, არც ტკბილეულია მათთვის რეკომენდებული. საკვების მიმართ მგრძნობელობა ყველაზე ხშირია სიცოცხლის ადრეულ სტადიაში. გარდა ამისა, არის რამდენიმე ჯიში, რომლებსაც უფრო ხშირად ემართებათ ეს. მაგალითად, კოკერ-სპანიელი, ტერიერი და ასე შემდეგ. თუ შენიშნავთ, რომ თქვენს ძაღლს აქვს საკვების აუტანლობა, მაშინვე მიმართეთ ვეტერინარს, რომელიც დაგეხმარებათ პრობლემის მარტივად გადაჭრაში. სასურველია, თუ ცხოველს მხოლოდ სპეციალისტის მიერ რეკომენდებული წესით გამოკვებავთ. გეტყვით იმასაც, რომ მზა საჭმელი ძაღლებისთვის ძალიან კარგია, თუმცა, ისიც სწორად უნდა იყოს შერჩეული.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

1565 წლის ზავის ადგილი
მეტყვ-ელების ნაკლის მქონე
კოშზი აზეთიც არის
რუსი პოეტი ....ჩუკ-ოვსკი
იოსები მოკლედ
ანაბ-ეჭდის სახეობა
ექსკურ-სიაზე დადის
სტეპების ქურციკი
მეურ-ნეობა ასეთიც არის
ძალა, ენერგია
სიყვ-არულის ღმერთი
ბურა-ტინოს კუ
სულხან-საბას სოფელი
(.......) აბარა, ქარელი, გორი
ჯოყ-ოლამ მოკლა
შნო
უფროსი მამაკაცი
ქალაქის მმართ-ველობა
მევიო-ლინე ვანესა (.......)
ფრანგი მწე-რალი ალბერ....
ფრანგი მეზ-ღაპრე შარლ....
სამხედრო სასწავ-ლებლის სტუდენტი
(.......) ყანწელი / ქარ-თველი
გაეროს ყოფილი „შეფი"
საფოსტო ატრი-ბუტი
ქვემოთ
გორბ-აჩოვის ცოლი
სასოება
სამიანი ნარდში
ცარცით საწერი
ცხელი თვე
(.......) რაიკინი
(.......) მური
ადგილის კითხვა
შემდეგ გადას-ახდელი
სოფელი „გვადი ბიგვაში"
არტურ (......) დოილი
მეტი არა
ასეთი „დასიც" არსე-ბობდა
ვიწრო ფიცარი
შალა-შინი
კულინ-არული ნაწარმი
რუსეთის ტელე-ვიზია
ცისარ-ტყელას ქალ-ღმერთი
ოპერის სიმღერა
მცირე ზომის
ამერ-იკული სპორტი
ლეგენდა
დილა ასეთიც არის
ჭურ-ჭელი
ონკანი
იტალ.მს-ახიობი მონიკა (.......)
(.......) არაბ-ველი
პოლონე-ლი კინო-რეჟისორი ანჯეი...
სომხ-ეთის ფული
ვერდის ოპერა
დაუშ-რეტელი
პაუზა
ჩოხის ნაწილი
მხატვრის სახე-ლოსნო
ცეცხლ-სასროლი იარაღი
ფუტკ-რების ბინა



მარადო-ნას ერთ-ერთი სახელი
ხორბლ-ის თავ-თავთა კონა
ფალი-აშვილის ოპერა
ქვეყანა ოკეან-ეთში
გურულის დედა / ლაქა სხეულზე
მანძილ-ის ფრა-ნგული საზომი
დათუნია - აბლი.... / XIX ს გერმანელი კომპოზიტორი
წყალ-ხმალეთა ფრინველი
ინგლი-სური თანხმობა
საბჭოთა მზვერავი
„მაქვს მკერდს მიღებუ-ლი......"
დიდი მომღ-ერალი მარიო....
არეუ-ლობის ნახე-ვარი
ხაჭაპური / საალდგომო ხე / წყლის ორმო
ყანწის მასალა
მატყ-უარა არსება
პარკ-ოსანი / ცხელი სასმელი
კარგი ამინდი
მავანთა ახლან-დელი „მექა"
გამხ-მარი ხილი
კავკას-იელ მთიელთა სოფელი
მარტო-მყოფი
„ახალი სამყ-არო"
ანტი-ლოპა
პატარა ლია-ლიანა
დარაჯი / ბარე-გნობა
შავი ღლის-თვის

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | 4 | | | | | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | 7 | 8 | 6 | | 7 | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | 3 | 1 | 2 | 2 | 4 | 2 | 1 | 6 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | 4 | 6 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 6 | 9 | | | 1 | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | 6 | 8 | 14 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 2 | 8 | 7 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | | | | | | | | | |
| | 2 | 1 | 1 | 1 | 4 | 2 | 8 | 3 | 2 | 2 | 4 | 2 | 3 | 4 | 2 | 2 | 2 | 2 | 6 | 4 | 4 | 6 | 6 | 8 | 4 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 8 |
| 28 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 4 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 10 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 4 | 3 | 4 | 13 |
| | 2 | 5 | 6 | 2 |
| | 1 | 7 | 7 | 1 |
| 1 | 4 | 6 | 5 | 1 |
| 1 | 3 | 4 | 4 | 1 |
| 1 | 4 | 6 | 4 | 1 |
| | | 1 | 16 | 1 |
| | 1 | 7 | 6 | 1 |
| | 1 | 5 | 4 | 1 |
| | | 1 | 3 | 2 |
| | | 1 | 12 | 1 |
| | | 1 | 14 | 3 |
| | | 1 | 3 | 8 |
| | | 1 | 2 | 8 |
| 1 | 2 | 3 | 3 | 8 |
| | | 1 | 2 | 8 |
| | 1 | 2 | 2 | 3 |
| | | 1 | 12 | 1 |
| | | 1 | 2 | 2 |
| | 1 | 2 | 2 | 1 |
| | 1 | 2 | 2 | 1 |
| | | 1 | 4 | 1 |
| | | 1 | 4 | 1 |
| | 1 | 2 | 3 | 1 |
| | 1 | 2 | 2 | 1 |
| | 1 | 2 | 2 | 1 |
| | 1 | 2 | 2 | 1 |
| | 1 | 3 | 3 | 1 |
| | 2 | 2 | 3 | 2 |
| | | | | 33 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | 8 | | 6 | 3 | | 9 |
| 4 | 3 | | 5 | 1 | | 2 | 6 | |
| | 6 | | 9 | | 2 | 1 | 4 | 7 |
| | 9 | 6 | | 7 | 1 | | 2 | |
| 2 | | 3 | 6 | | 9 | | 1 | 5 |
| 1 | | 8 | 4 | | 5 | 9 | 3 | |
| | 8 | | 1 | 6 | | 5 | 7 | 2 |
| 3 | | 7 | | 9 | | 6 | 8 | |
| | 1 | 2 | | 5 | | 4 | | 3 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | 5 | | 2 | | 6 | |
| 2 | | | | | | 5 | | |
| | | 5 | 4 | | | 3 | 2 | 1 |
| | | 7 | | 2 | | 6 | | |
| | 6 | | 1 | | 4 | | | 2 |
| | 1 | | | 6 | | | 5 | |
| | 4 | | 2 | 8 | | | 9 | 3 |
| 9 | 2 | | | | 6 | | 8 | |
| | 8 | | | | 9 | | 7 | 6 |

# გაქვთ სიხარულის უნარი?!

**შეგიძლიათ, განიცადოთ სიხარული? – ძალიან კარგი შეკითხვაა. ბავშვობაში ხომ ამას შესანიშნავად ვახერხებდით. ახლა რა გვიშლის ხელს?!**



*1. როცა ბავშვობას ვიხსენებ, მაშინვე კარგ გუნებაზე ვდგები და ვხალისობ.*

*2. ძალიან იშვიათად მქენჯნის სინდისი და მაწუხებს დანაშაულის განცდა.*

*3. ოპტიმიზმი და გულწრფელობა ჩემი ხასიათის მთავარი ღირსებებია.*

*4. შემიძლია, უმნიშვნელო წვრილმანითაც გავიხარო.*

*5. უკეთესია, სულიერი სიხარული, ვიდრე უინტერესო სიმშვიდე.*

*6. ყოველთვის მიხარია, როცა სხვა ადამიანებს ბედნიერებას ვანიჭებ.*

*7. ადამიანებს უნდა ენდობოდე.*

*8. ჩემ გვერდით არიან ისინი, ვისაც ყველა საიდუმლოს გავუმხელდი.*

*9. ჩემს ცხოვრებაში კაშკაშა, ნათელი ფერები უფრო მეტია, ვიდრე მწუხარება და სევდა.*

*10. ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდ ვიწყებ სიცილს და ცხოვრება მიხარია.*

*შეკითხვებზე უპასუხეთ: „დიახ", „არ ვიცი", „არა".*

**ნახეთ შედეგები:**

*თუ პასუხების უმრავლესობაა „დიახ:" თქვენ გინდათ, განიცადოთ უფრო მძაფრი ემოცია, ვიდრე უბრალოდ, კმაყოფილება ან პატარა სიხარული. გხიბლავთ ექსტრემალური განცდები და ახალ-ახალი შეგრძნებები. ნამდვილად გაქვთ სიხარულის უნარი.*

*თუ პასუხების უმრავლესობაა „არა": როგორც ჩანს, ამ ეტაპზე, ცხოვრებაში ძალიან მძიმე პერიოდი გაქვთ. თუ საერთოდ ამ ტიპის ადამიანი ხართ, ძალიან ცუდად ყოფილა თქვენი საქმე. იცით, რომ სიხარულის გარეშე ცხოვრება ძალიან შავ-თეთრია?! სასწრაფოდ მიიღეთ ზომები, რაღაც იღონეთ მდგომარეობის გამოსასწორებლად. შეიძლება, დეპრესია გაქვთ. მიაკითხეთ სპეციალისტს.*

*თუ პასუხების უმრავლესობაა – „არ ვიცი" – სიხარული არ არის თქვენთვის უცხო. მაგრამ, საერთოდ არ ცდილობთ, ხშირად განიცადოთ ის. ჩვეულებრივ, იტყუებთ თავს, როცა უარს ამბობთ წვრილმანებით სიხარულის განცდაზე.*

## სიყვარულის გეოგრაფია

*სასიყვარულო ტრადიციები ზოგიერთ ქვეყანაში, რბილად რომ ვთქვათ, გვაოცებთ. თუმცა, ადგილობრივებისთვის განსაკუთრებული მათში არაფერია*

დავიწყოთ **ნიგერიით** – ბორორის ტომში ყოველწლიურად ტარდება „სილამაზის კონკურსი" ვაჟებს შორის. მონაწილეები საგულდაგულოდ იგრიმებიან და სათითაოდ ეჩვენებიან ტომის ათ ულამაზეს გოგონას. ყველაზე ლამაზ ჭაბუკს უფლება ეძლევა, ჟიურის წევრებიდან ამოირჩიოს ისინი, ვინც მას მოსწონს და იცხოვროს რამდენიმე პარტნიორთან ერთად ერთი თვის განმავლობაში. ჩვენს სილამაზის კონკურსებში ასეთი პრიზები არ არის.



**კენია** – ამ ქვეყანაში ახალგაზრდა გოგონას სიყვარულის შესახებ ყველაფერს მისი გვარის უხუცესი ქალი ასწავლის. ზოგჯერ „მასწავლებელი" პირველ ღამეს ახალდაქორწინებულების საწოლის გვერდით ატარებს და ახალბედებს მითითებებს აძლევს. ძირითადად, რჩევებს პატარძალი იღებს. ახალგამომცხვარი ქმარი კი ვალდებულია, ერთი თვე ცოლის ტანსაცმლით იაროს. მიჩნეულია, რომ ეს მას დაეხმარება იმის გაგებაში, თუ რამდენი საზრუნავი აქვს ქალს ოჯახში.

**ნეპალი** – აქ მიღებულია მრავალქმრიანობა. ქალიშვილი ჯერ ოჯახის უფროს ვაჟიშვილზე თხოვდება... მერე უმცროსი ძმებიც იზრდებიან და მათაც უწევს ცოლობას. თუმცა, ყველაფერი მაინც მოლაპარაკებაზეა. ქალია მთავარი და როგორც ის იტყვის, ისე მოხდება.

**იაპონია** – ამომავალი მზის ქვეყანაში სიყვარულის თამაშები რთული და საინტერესოა. მამაკაცი მოქმედებს პრინციპით – ბატონობა და მორჩილება. მხოლოდ სიამოვნების მინიჭება პარტნიორისთვის, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან.

**ფილიპინები** – პირველ საქორწინო ღამეს ცოლ-ქმარს ინტიმური ურთიერთობა აკრძალული აქვთ. ამიტომ, ნეფე-პატარძალს უფლება აქვთ იმდენი ალკოჰოლი დალიონ, რამდენიც უნდათ, იმხიარულონ და გაერთონ, როგორც ესიამოვნებათ.

## ოცნების ქვეყანა

გაგიკვირდებათ, მაგრამ ძალიან ბევრი ადამიანი მსოფლიოში ოცნებობს, აღმოჩნდეს იაპონიაში. თუ პარიზი ლუვრია და ეიფელის კოშკი, ლონდონი – ბიგ ბენი, ტოკიოში ყველაფერი გაოცებთ. ხმაურიანი ღირსშესანიშნაობები აქ არ არის, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. მაგალითად, ტოკიოში ერთ-ერთ სადგურ სიბუიაზე დგას ყველაზე ცნობილი იაპონელი ძაღლის, ხატიკოს ქანდაკება, რომელიც ყოველდღე ელოდებოდა პატრონს სამსახურიდან დაბრუნებისას. ის ერთხელაც არ დაბრუნდა – სამსახურში ინფარქტით გარდაიცვალა. ძაღლი 10 წელი, ფეხმოუცვლელად იჯდა სადგურზე, სანამ თვითონაც არ მოკვდა. ხატიკო იაპონიაში მარადიული სიყვარულისა და ერთგულების სიმბოლოა. შეყვარებულები ძაღლის ბრინჯაოს ქანდაკებასთან მიდიან და ერთდროულად ჰკიდებენ ხელს თათზე. ამის მერე მათ სიკვდილიც ველარ დააშორებთ.

ტოკიოს სატელევიზიო კოშკი მსოფლიოში ყველაზე მაღალია – 634 მეტრი. თუმცა, ამ სიმაღლიდანაც კი ტოკიოს ყველა უბანი არ ჩანს. გარდა რამდენიმე პანორამა მოედნისა, საიდანაც ქალაქის ხედებით ტკბობა შეიძლება. ტოკიოს ტელეკოშკში არის პლანეტარიუმი, აკვარიუმი, ათეული რესტორანი და 300 მაღაზია. ანუ, ჩვეულებრივი სავაჭრო ცენტრია.

საკმარისია, რომელიმე ხე აყვავდეს, რომ იაპონელებისთვის ზეიმის ხანა დგება. ალუბლის ყვავილობა ჩვეულებრივი დღესასწაულია. „საკურა" აქ წმინდა ხეა. მისი ყვავილობა – უდიდესი მოვლენაა.

ცენტრალურ პარკში – ხამარიკიუში ხეები ისეა დარგული, რომ მთელი წლის განმავლობაში, უწყვეტ რეჟიმში, რაღაც აუცილებლად ყვავის.

განსაკუთრებულია ცუკიძი – თევზის ბაზარი, თავისი რესტორნებითურთ. სადაც ზღვის პროდუქტებისგან დამზადებულ უცნაურ და იშვიათ კერძებს მოგართმევენ.

**გვერდი მოამზადა
ელენე წულუკიძემ**

# წაიკითხე და მოკვდი!

## არტურ კონან დოილი

ჰოლმსს იმ დილით თავისი ერთადერთი კოლეჯელი მეგობარი ესტუმრა, ვინმე ვიქტორე ტრევორე ნორფოლკის საგრაფოდან და, საკმაოდ შეწუხებულმა, უცნაური შინაარსის ბარათი მოუტანა: „ნანადირევის საქმე დასრულდა. ჰადსონმა ბუზების ხოცვის შესახებ ყველაფერი თქვა. გეშინოდეთ ხოხბის მსგავსი ქათმების“.

დოქტორმა უოტსონმა ხმამაღლა გაიცინა, როცა ჰოლმსმა ბარათის შინაარსი მის გასაგონადაც წაიკითხა.

– თქვენ გეცინებათ, მისტერ, მაგრამ, ამ ბარათმა მამაჩემი კინაღამ მოკლა! – შეჰვირა ახალგაზრდა კაცმა. სერიოზულმა მოსამართლემ კი, წაიკითხა თუ არა, მაშინვე გულის შეტევა მოუვიდა და ახლა სულს ღაფავს. ჰოლმს, მამაჩემი უპატიოსნესი და უწესიერესი ადამიანია. გამაგებინეთ, რა საიდუმლოს მსხვერპლი შეიძლება გახდეს ის, ნუთუ ეს ბავშვური ნაჯღაბნი რამეს ნიშნავს?



ჰოლმსი შეიჭმუხნა.

– ნაჯღაბნის გამო გულის შეტევით არ კვდებიან, საქმე გაცილებით სერიოზულია, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. ვიქტორე, დაწვრილებით მომიყევით, რა იცით ამ ყველაფრის შესახებ.

ჰოლმსის სტუმარი დაფიქრდა:

– აბა, რა გითხრათ. მამაჩემი წყნარი, პატივსაცემი მემამულეა. ოცი წლის განმავლობაში ნორფოლკის მოსამართლედაც იყო არჩეული. მე მისი ერთადერთი შვილი ვარ. დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ ცოლი არ შეურთავს. მამული ლაგმეროს ჩრდილოეთით, პატარა სოფელ დონიფორპიში შეიძინა. ვიცი, რომ ახალგაზრდობისას ბევრს მოგზაურობდა. შეიძლება, ბევრი წიგნი არ წაუკითხავს, მაგრამ, ბევრი უნახავს და გამოცდილებაც შეიძინა. კეთილი და გულისხმიერია. მტრები, როგორც მახსოვს, არ ჰყოლია. თუმცა, ვერც იმას ვიხსენებ, მეგობრები გვსტუმრებოდნენ. მხოლოდ ერთი პიროვნებისგან მოდიოდა ხოლმე მიპატიჟება ნადირობის სეზონზე – ვინმე მისტერ ბედოზასგან.

– მამათქვენს სუსტი გული ჰქონდა?

– რა გითხრათ... მხოლოდ ერთხელ მახსენდება შემთხვევა, როცა ცუდად გახდა და გონებადაკარგული იატაკზე დაეცა.

– ეს როდის მოხდა?

– დაახლოებით ორი თვის წინ, როცა მის ხელზე ამოსვირინგებული „გ“ და „ს“ ვნახე. ვკითხე: ვინ იყო ის ადამიანი, რომლის სახელის ინიციალებიც ამოისვირინგე, ეტყობა, ბევრს ნიშნავდა შენთვის-მეთქი და სწორედ მაშინ დაეცა მოცელილივით.

– კიდევ რა მოხდა უცნაური და უჩვეულო? – შეჭმუხნილმა იკითხა ჰოლმსმა, რომელიც ყურადღებით უსმენდა ტრევორე-უმცროსს.

– ერთ თვეზე ცოტა მეტია გასული იმ დღიდან, რაც ჩვენს მამულში ვიღაც ჩამოძონძილი კაცი, ყოფილი მეზღვაური მოვიდა. სერიოზულად არ აღმიქვამს და, ისიც კი ვიფიქრე, რომ ჩვეულებრივი მათხოვარი იყო, მაგრამ, მამაჩემს მძაფრი რეაქცია ჰქონდა მის დანახვაზე.

– ხომ მიცანი? – უთხრა იმ მაწანწალამ, – მე ჰადსონი ვარ.

მამაჩემმაც თავი დაუქნია. მე გავიფიქრე, რამდენიმე გროშს მისცემს და ისიც წავა-მეთქი. მაგრამ, ასე არ მოხდა. მამამ ის ჯერ მებაღედ დანიშნა, მერე კი მსახურთ-უფროსად დააწინაურა... წარმოუდგენელი თავხედი იყო. ბილწსიტყვაობდა და მოსამსახურე გოგოებს უხეშად ეარშიყებოდა. ისინი მამაჩემთან მორბოდნენ საჩივლელად, მაგრამ მამა ჰადსონს ვერაფერსეუბნებოდა, პირიქით, თავისი საყვარელი, საუკეთესო სანადირო თოფიც კი აჩუქა. ერთხელ შევუსწარი, როგორ უყვიროდა მამაჩემს, ის კი თავდახრილი სთხოვდა, დამშვიდებულიყო. ვეღარ მოვითმინე და კინწისკვრით მივაბრძანე ბიბლიოთეკიდან, სადაც მამაჩემი ბრენდის სვამდა ხოლმე. იმავე საღამოს მამა ლამის მუხლებში ჩამივარდა და შემეხვეწა, იმ ნაძირალასთვის ბოდიში მომეხადა.

– სად არის ახლა ის ჰადსონი? – ჰკითხა პოლმსმა.

– ოთხი დღით ადრე, სანამ მამაჩემს შეტევა მოუვიდოდა, წავიდა. გამოაცხადა, აქ ცუდად მეპყრობით, ახლა ფორდინგბრიჯში უნდა წავიდეო. მამაჩემს კონვერტით ნაღდი ფული გამოართვა და წავიდა ცინიკური ღიმილით. როგორ ვნანობ, რომ მაგრად არ ვცემე.

– წერილი, რომელიც მამათქვენმა მიიღო, ფორდინგბრიჯიდან იყო?

– დიახ, ჰოლმს...

– ის კაცი, ბედოზა, მიპატიჟებებსაც ხომ ფორდინბრიჯიდან უგზავნიდა მამათქვენს?

– დიახ...

ჰოლმსმა ხელები მოიფშვნიტა:

– ჩემთვის ყველაფერი გასაგებია. მამათქვენი შანტაჟის მსხვერპლი გახდა. შესაძლოა, უახლოეს მომავალში კიდევ ერთი მსხვერპლი გამოჩნდეს – მისტერ ბედოზა... თუმცა, ვინ იცის, როგორი რეაქცია ექნება მას შანტაჟისტის მუქარაზე.

– კი მაგრამ, მამაჩემი პატიოსანი კაცი იყო. წესიერი და კრისტალური წარსულით. რით უნდა დაეშანტაჟებინა იმ ნაძირალას?

– მაგას მალე გავიგებ, – თქვა ჰოლმსმა და ჩიბუხი გატენა, – რა თქვით? სად ჰქონდა მამათქვენს სვირინგი?

– მხოლოდ ინიციალები – „გ“ და „ს“... მაჯაზე, შიგნითა მხრიდან, – ცოტა არ იყოს გაოცებით მიუგო ტრევორე-უმცროსმა.

– კარგი. თორმეტი საათი მჭირდება და გეტყვით, რა მოხდა სინამდვილეში, – დარწმუნებით ჩაილაპარაკა ჰოლმსმა.

– ძვირფასო მეგობარო, არ მჯერა, რომ თქვენ იცით მაგ უცნაური ბარათის ჭეშმარიტი შინაარსი! – შეჰყვირა უოტსონმა.

– ეგ ყველაზე იოლი საქმეა, – მხრები აიჩეჩა ჰოლმსმა, – წერილი მუქარას შეიცავს – ამაში დარწმუნებული ვარ. დანარჩენ კითხვებზე კი პასუხს მოგვიანებით მიიღებთ.

მეორე დღეს, საღამოს, ჰოლმსთან ვიქტორე ტრევორე დამწუხრებული მოვიდა.

– მამა გარდაიცვალა, – თქვა მგლოვიარე ხმით, – დილით, ისე, რომ ვერაფრის თქმა ვეღარ მოასწრო, გარდა ერთისა: „თუ ოდესმე სიმართლეს გაიგებ, არ განმსაჯო...“ რა ხდება, ჰოლმს, რა უნდა გავიგო?

– ძაღლებს შენი ხმა აუცილებლად ექნებათ ჩაწერილი.

– მერე რა?

– მერე ის, რომ როგორც კი თუნდაც შეცვლილი ხმით დაილაპარაკებ ტელეფონზე, „სოდის“ ტექნიკური სამსახურის დისპლეიზე შენი მონაცემები ამოვარდება. საკმარისია, ოპერატორმა ძებნის ღილაკს თითი დააჭიროს, სულ რაღაც ნახევარ წუთში, დაადგენენ შენს კოორდინატებს. ანუ, იმ ადგილს, საიდანაც რეკავ. აყვანის ოპერაცია კი უკვე ტექნიკის საქმეა და სპეცნაზს აამოქმედებენ.

– მაიცა, რა, – არ დავიჯერე და თავი გავაქნიე.

– რა მაიცა, არ გჯერა?

– შენ საიდან იცი ეს?

– ტელევიზორიდან. „დისქავერზე“ ვუყურე. ტერორისტებს ეძებენ მასე.

– მერე, მე რომელი ბინ ლადენი ვარ?

– ბიჭო, ბინ ლადენი რა შუაშია. ძებნილი ხარ და სისტემა შენზეც ვრცელდება. ამიტომ, თავი შეიკავე, თუ, რა თქმა უნდა, ამით ქვეყ-

## მარიამ ღუღუნიშვილის გახსენება



მწარე ნაღველით განვლე შენი ცხოვრება, მარტო ატარე მშობლის მძიმე უღელი, ქართველ ქალობით და ერთგულებით.

ქორწინებიდან სამი თვის შემდეგ, მეუღლემ – მიხეილ კურტანიძემ ომში წაიღო შენი ოცნებები. გზას გაჰყურებდი, მაგრამ არ ჩანდა, შინმოუსვლელმა თავი შესწირა სამშობლოს.

შვილის შეძენამ იმედი ჩაგისახა. გავიდა დრო... გვერდში ამოგიდგნენ შვილი, სიძე, შვილიშვილი – შენი მარინა. მაგრამ, უეცრად დიდი ტრაგედია დაგვატყდა – მარინას გარდაცვალება. გვაპატიე, ეს რომ ვერ გაგიმხილეთ.

საუკუნეს შვიდი თვე დაგაკლდა. გვენატრები.

**ნონა და გურამ კიკაბიძეები**



ანა არ დაინგრევა.

– ჩემი უმცროსი ძმა და კოლეგა ზის ციხეში და მის ოჯახს მინდა, დავურეკო მოსკოვში. ფოსტიდან დავრეკავდი, მაგრამ იქ იმდენი ხალხი ირევა, შეიძლება, ვინმემ შემთხვევით მიცნოს და მართლა დავიწვა. აქედან კი უსაფრთხოდ დაველაპარაკები. ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა, რომ უსაფრთხოდ დავრეკავდი.

– მე ჩემი გითხარი, კობრა და არჩევანი შენზეა. სუფთა რეკვიზიტებს კი უპრობლემოდ გაგიჩითავ.

– გამიჩითე. მე კი ქუჩიდან დავრეკავ და სულ ორი წუთი დაველაპარაკები. დავიჯერო, ორ წუთში დამაფიქსირებენ კიდეც, სპეცნაზსაც გამოუშვებენ და ამაგდებენ? – ვუთხარი ჩემს მასპინძელს, თუმცა, ნამდვილად არ მჯეროდა, რომ ასეთი სისტემითაც მეძებდნენ.

– აი, კობრა, ტელეფონი და კარტა. ანგარიშზე ოცი ლარია და შეგიძლია დარეკო, მაგრამ შენს ადგილზე მე თავს შევიკავებდი, – მითხრა ჩემმა მასპინძელმა და ტელეფონი წინ დამიდო.

მე ჩავიცვი, მზის სათვალე გავიკეთე და სანამ სახლიდან გავიდოდი, ჩემს მასპინძელს ვუთხარი:

– ყველაფერი კარგად იქნება. დარდი ნუ გაქვს. მე მალე მოვალ.

სახლიდან რომ გავდიოდი, მართლა ქუჩიდან დარეკვას ვგეგმავდი, მაგრამ ბოლო მომენტში გადავიფიქრე და სწორადაც მოვიქეცი. კონსპირაციული ბინიდან ხუთასიოდე მეტრში ტაქსი გავაჩერე და სოლოლაკში ავედი. იქიდან კი ჩიხებით „მუსორტრესტთან“ გადავედი და მთაწმინდის ტყეში, ჩემი ბავშვობის ბირჟაზე ავედი. იქაურობა კვლავ ძველებურად დამხვდა. ყველაფერი ხელუხლებელი იყო და ერთხანს მოგონებებში გადავეშვი. ბოლოს კი ტელეფონი ამოვიღე და სკალალაზის მშობლების ბინაში დავრეკე. ტელეფონი მისმა ბიძაშვილმა აიღო.

– გისმენთ.

– გალია ხარ?

– დიახ. ვის ველაპარაკები?

– გალიჩკა, კობრა ვარ.

– კობრა, ძვირფასო, როგორ ხარ, სად დაიკარგე.

– გალიჩკა, არა მიშავს. პაბეგში ვარ და დიდხანს ვერ დაგელაპარაკები. შენ ის მითხარი, სკალალაზი როგორაა?

– რა უჭირს, ერთი წელი დარჩა და „ბელი ლებედიდან“ გამოვა. ხშირად გვეკონტაქტება ქსივებით და ყოველთვის გკითხულობს.

– გალიჩკა, მოუბოდიშე, რომ ხმას ვერ ვაწვდენ, ჯურღმულში ვიჯექი და არ შემეძლო. ახლაც ძალიან დიდი რისკის ქვეშ ვარ და სკალალაზს ჩემგან დიდი მოკითხვა შეუთვალე, უთხარი, რომ უეჭველად შევხვდებით. ახლა კი ნახვამდის. შეხვედრამდე, – დავემშვიდობე გალიას, ტელეფონი გავთიშე. საათს დავხედე და ჩავილაპარაკე: „სულ რაღაც სამი წუთი ვიბაზრე და დავიჯერო, ასე მალე გამშიფრავდნენ?“

ტყიდან ფრთხილად დავეშვი, მაგრამ ათიოდე მეტრიც არ მქონდა გავლილი, რომ ჰაერში ვერტმფრენი გამოჩნდა, რომელიც მამადავითის მთაზე დაეშვა, იქიდან კი ტროსი ჩამოუშვეს და ათი სპეცნაზელი ძალიან სწრაფად ჩამოსრიალდა. გაოცებაც ვერ მოვასწარი, რომ „მუსორტრესტის” მხრიდან მანქანების დამუხრუჭების ხმა მომესმა, რასაც იარაღის ჩხაკუნი და ძაღლების ყეფაც დაერთო თან. აშკარა იყო, რომ ორმხრივ ალყაში ვიმყოფებოდი და ჩემს დასაჭერად სერიოზული ძალები გამოგზავნეს.

„აბა, კობრა, ბავშვობა გაიხსენე და აქედან აორთქლდი, თორემ დღის სინათლეს აღარ გაღირსებენ“, – შევუძახე საკუთარ თავს. შემდეგ ადგილს მოვწყდი და წყეული ტელეფონი ფიჭვნარში მოვისროლე, ოციოდე წამის მერე კი უკვე გამოქვაბულში ვიმალებოდი. ის გამოქვაბული ისე ოსტატურადაა შენიღბული, ვერავინ მიაგნებს. მე, ხუჭუჭა და ყბედალო არაერთხელ შევმძვრალვართ შიგნით და მის ლაბირინთებში გვივლია. სწორედ ჩვენ აღმოვაჩინეთ ის ბუნებრივი გვირაბიც, რომელიც მამადავითის მთიდან საკმაოდ შორს გადის და თბილისის ერთ-ერთ უბანში ამოდის. ბოლოს იქ ზუსტად 43 წლის წინ ვიყავით მე, ხუჭუჭა და ყბედალო. გამოქვაბულის შესასვლელში სანთლები, ასანთი და დინამო-ფანარი დავტოვეთ, რომელიც მექანიკური მოძრაობის შედეგად ინთებოდა. ამ ნივთების იქ შენახვა, რა თქმა უნდა, ხუჭუჭას იდეა იყო და მან ასე ახსნა ეს:

– ძმებო! რა იცით, რა ხდება. იქნებ რომელიმე ჩვენგანს, ან სულაც სამივეს, დამალვა, გაქცევა დაგვჭირდეს და გასანათებელი „პრიბორები“ ხომ გვინდა?

რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ფანარიც მუშაობდა და სანთლებიც მთელი იყო. მხოლოდ ასანთის ღერები იყო დანესტიანებული და რომ გაგეშრო, ალბათ, ისიც აინთებოდა. მე ფანარი ავამუშავე და ორმოცდასამწლიანი პაუზის მერე ფუნიკულიორის მთაში დაკლაკნილ გამოქვაბულს დავუყევი, სამშვიდობოზე გავედი და ფანარი გასასვლელთან დავტოვე. სახლში საღამოს მივედი და ჩემმა მასპინძელმა რომ დამინახა, მკითხა:

– მოხდა რამე?

– ისე აგვიხდეს ყველაფერი კარგი, როგორც შენი სიტყვები ახდა.

– გაგშიფრეს?

– თანაც, ძალიან სწრაფად და უფრო სწრაფად მომაქციეს ალყაში.

– სად, როგორ?

ჩემს მასპინძელს ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი და ბოლოს ვუთხარი:

– კიდევ კარგი, რომ ტყეში ავედი და იქიდან დავრეკე, თორემ ქალაქში უეჭველად ამაგდებდნენ.

– ხომ გეუბნებოდი, შენ კი არ გჯეროდა, – მითხრა მასპინძელმა, – ხომ წარმოგიდგენია, რა ინდაურებივით გაგვბაწრავდნენ, აქედან რომ დაგერეკა.

– წარმომიდგენია, ძმაო და ვაღიარებ, რომ შენთვის უნდა დამეჯარებინა და საერთოდ არ დამერეკა.

– ეგ არაფერი. მთავარია, ყველაფერი კარგად დასრულდა, – ხელი ჩაიქნია ჩემმა მასპინძელმა, – სიმართლე გითხრა, მეც არ მეგონა, რომ ჩვენს ძაღლებს ამდენი შესაძლებლობები ჰქონდათ და ასე ოპერატიულად შეეძლოთ მოქმედება. საღოლ, ამერიკა! მაგრად აღუჭურვიათ ქართული პოლიცია.

– აზრზე ხარ, ტო? – ვთქვი მე, – კომუნისტების დროს რომ მილიციას ამდენი შესაძლებლობა ჰქონოდა, რას იზამდნენ?

– მაინც რას? – მკითხა ჩემმა მასპინძელმა.

– რას და პრისტუპნიკს არ გააჭაჭანებდნენ – აი, რას. არაფერი ჰქონდათ და როგორ გვავიწროებდნენ, სულ კუდზე გვესხდნენ და ყოველთვის ბეწვზე ვეკიდეთ.

– მახსოვს, – გაეცინა ჩემს მასპინძელს, – დანჯღრეული მანქანებით დადიოდნენ, პრისტუპნიკებს უკეთესი მანქანები ჰყავდათ.

– ეგ მე მკითხე, – ვუთხარი ჩემს მასპინძელს, – ერთი ამბავი გამახსენდა, რომელიც მე და ბერძენას შეგვემთხვა და გინდა მოგიყვე?

– მიდი, გისმენ, – მითხრა ჩემმა მასპინძელმა და გაჩუმდა.

– კაროჩე, ერთხელ მე და ბერძენამ ერთი წამლის ბარიგას ბაითი დავუბომბეთ, მაგარი კუში ავიღეთ და მშვიდად გავეცალეთ იქაურობას. მოპარული „ჟიგული“ ეზოში გვეყენა და ატხოდი იმით უნდა გაგვეკეთებინა. იმ ბარიგას ერთი ნაბოზარი მეზობალი ჰყავდა. თურმე დავუნახივართ, ბაითიდან რომ გამოვედით და მილიციაში დაურეკავს. ძაღლები კი ისე სწრაფად მოცვივდნენ, რომ პირველ სართულამდე ჩასვლაც ვერ მოვასწარით. მე და ბერძენას სათადარიგო „ატხოდის“ ვარიანტიც გვქონდა. ამიტომ, სახურავზე ავედით, სხვენით გადავედით სხვა სადარბაზოში და ამგვარად დავეშვით ქვემოთ. შემდეგ მოპარულ „ჟიგულიში“ ჩავსხედით და მანქანა ნელა დავძარით. ამ დროს სადარბაზოდან ძაღლებიც გამოცვივდნენ. მიმავალი მანქანა რომ დაინახეს, მიხვდნენ,

სიმაღლეში ზრდის საუკეთესო პროგრამები

სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად, კურსით 3-5 სანტიმეტრის მომატებით 2-25 წლამდე. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.



გახდომა-გასუქება 3-დან 15 კილოგრამამდე თვეში, ჯანმრთელობისთვის უვნებლად, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით,

100%-იანი შედეგით.

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი №154 (მწვანე ოფისი).

ტელ.: 558-156-333, ექიმი ნინო, 218-46-08.

რომ ქურდები ვიყავით. თავიანთ მანქანაში ჩასხდნენ და გამოგვეკიდნენ. სულ რაღაც ერთი კვარტალი გვდიეს და გაჩერდნენ, რადგან მოტორმა „დაუსტუკათ". წარმოგიდგენია, მილიციის სამმართველოს ძაღლების მანქანას მოტორმა „დაუსტუკა" და ამის გამო ქურდები გაექცათ. სხვათა შორის, მეორე დღესვე ბესარიონ აბრალავამ თავის კაბინეტში მიაყვანინა ჩემი თავი ოპერებს და მითხრა:

– გინდა, ერთი თამაში გეთამაშო?

– რა თამაში, ძია ბესო, – მივუგე პოლკოვნიკს, თუმცა დაახლოებით ვიცოდი, რას გულისხმობდა მილიციის სამმართველოს უფროსი.

– ამ თამაშს გამოცნობანა ეწოდება. ჰა, ვითამაშოთ?

– თუ გნებავთ, დომინოს, ნარდს ან კარტს გეთამაშებით, მაგრამ გამოცნობანას თამაში არ ვიცი, ძია ბესო, – ვუთხარი აბრალავას.

– გაგაკარტებ მე შენ, – მითხრა აბრალავამ, – ძალიან ადვილი თამაშია. მე შენ გეტყვი, თუ რას აკეთებდი ან რას ფიქრობდი, შენ კი უნდა მითხრა, გამოვიცანი თუ არა. რას იტყვი, ვითამაშოთ?

– მოდი, ვცადოთ, – ვუთხარი აბრალავას, მან კი მითხრა:

– ჯერ შენი ფიქრებით დავიწყოთ.

– დავიწყოთ.

– აი, მაგალითად, მე შემიძლია, გითხრა, თუ რას ფიქრობდი გუშინ საღამოს.

– აბა, რას, ძია ბესო?

– რას და შენ ფიქრობდი, პერანგში დავიბადე და ძაღლის ბედი მაქვსო. ასე არაა, ბიძიკო?

– არა, ძია ბესო, ვერ გამოიცანით. გუშინ საღამოს მე ბრიჯიტ ბარდოს მონაწილეობით ფილმს ვუყურე და მთელი საღამო ვფიქრობდი, ეს ქალი გამაჟიმინა-მეთქი.

– ეს არარეალური ფიქრებია, – მითხრა აბრალავამ, – კარგი, კარგი, ფიქრებს თავი დავანებოთ და სხვა რამეზე გადავიდეთ. მე შენ ახლა გეტყვი, თუ რას აკეთებდი გუშინ დღისით დაახლოებით დღის პირველიდან ორ საათამდე. მხოლოდ ახლა მაინც არ მომატყუო და ზუსტი პასუხი გამეცი.

– თქვით, ძია ბესო, გისმენთ.

– გუშინ, დღისით, მზისით შენ და ბერძენამ ბარიგის ბინა გაქურდეთ საბურთალოზე, შემდეგ მანქანით – „ნოლ ტრი ჟიგულით" გაექეცით ჩემს თანამშრომლებს და ჩვენი უწყების კუთვნილ „მოსკვიჩს" მოტორი რომ არ დასტუკებოდა, დაგაკავებდნენ.

– ვერ გამოიცანით, ძია ბესო, – გავუღიმე აბრალავას და დავამატე, – უფრო სწორად კი, ნაწილობრივ გამოიცანით.

– ეგ როგორ?

– როგორ, ძია ბესო და მე და ბერძენა მართლა ვიყავით გუშინ ერთად, მაგრამ ბაითს კი არ ვქურდავდით, „პივას" ვსვამდით, თევზს ვჭამდით და არაყს ვაყოლებდით.

– აბა, ახლა თვალებში ნაცარს ნუ მაყრი, თორემ გავბრაზდები, ზუსტად ვიცი, რომ შენ და ბერძენამ იჩალიჩეთ და თუ არ გამოტყდები, მაშინ არანაირ შეღავათს არ მოგცემთ და მაქსიმალურს მოგისჯიან – დამემუქრა პოლკოვნიკი.

– ძია ბესო, კარგი რა. განა არ ვიცი, რომ პონტს აგდებ. მშვენივრად იცი, რომ მე და ბერძენას არ გვიჩალიჩია. თუმცა, ბოლომდე დარწმუნებული არ ხარ ამაში და იმ იმედით, რომ რამეს წამომაცდენინებ, გამოცნობანას მეთამაშები.



– კობრა, კობრა, – თითი დამიქნია აბრალავამ, – ზუსტად ვიცი, რომ თქვენ იყავით და მორჩი ახლა ტყუილებს. გამოტყდი და სინდისს გეფიცები, მინიმალურ სროკს აგკიდებ. შეიძლება, პირობითიც კი მოგიხერხო. ჰა, რას იტყვი, არ ხარ თანახმა?

– ძია ბესო, ჩვენ არ ვყოფილვართ. შენ ხომ კარგად იცი, რომ მე და ბერძენა თბილისში არ ვჩალიჩობთ და იცი, რატომ? იმიტომ, რომ პატივს გცემთ.

– ჩუმად, შე მამაძაღლო! – მაგიდაზე ხელი დაარტყა პოლკოვნიკმა, სკამიდან მრისხანე სახით წამოდგა და იყვირა, – სულ ასეთ სიმღერებს მღერი. კმარა! ამჯერად თავს ველარ დააღწევთ პასუხისმგებლობას და ციხეში წახვალთ.

აბრალავას კარგად ვიცნობდი და ვიცოდი, ჩვენ წინააღმდეგ მხოლოდ ვარაუდებით მოქმედებდა, არანაირი ფაქტები არ ჰქონდა და პონტს აგდებდა. ამიტომ, ამოვიხვნეშე და მშვიდად ვუთხარი:

– ძია ბესო, თუ თქვენ იმ პრინციპით მოქმედებთ, რომ პატარა კაცს დიდ კაცთან სიმართლე არ გასდის, მაშინ თქვენი ხმალი და ჩვენი კისრები. მაინც ვერ ავცდებით სასჯელს და რა აზრი აქვს რამის თქმას? ხოლო, თუ კვლავ ძველ პრინციპებზე დგახართ, მაშინ გეუბნებით, ეს საქმე ჩვენი გაკეთებული არაა და გამიშვით.

– კობრა, მაბოლებ. დარწმუნებული ვარ, რომ ტყუილს ამბობ.

– მაშინ, ტყვია მესროლეთ, მომკალით და მეც მოვისვენებ და თქვენც.

აბრალავამ კაბინეტში გაიარ-გამოიარა, შემდეგ ჩემ წინ გაჩერდა და მითხრა:

– ბიჭო, სიმართლე მითხარი და კაცურად გეუბნები, არც ერთს ხელს არ გახლებთ.

აბრალავა არ მატყუებდა და რომ მეღიარებინა, ბარიგა ჩვენ გავქურდეთ-მეთქი, არც დაგვიჭერდა და არც „ვაზვრატს" მოგვთხოვდა, მაგრამ, ამის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, იმიტომ რომ, პოლკოვნიკს ჩემზე წარმოდგენა შეეცვლებოდა, ნდობას დავკარგავდი და მის მოტყუებას ვეღარასდროს შევძლებდი. ამიტომ, თავი გავაქნიე და ვუთხარი:

– ძია ბესო, თუ გინდა, ჩემს თავზე ავიღებ ამ საქმეს და სროკზე წავალ, მაგრამ იცოდე, მართალ კაცს გასროკავ.

– კარგი. წადი და შენს სინდისზე იყოს. მე მაინც ვფიქრობ, რომ ეგ საქმე თქვენი გაკეთებულია და იცი, რატომ?

– რატომ, ძია ბესო?

– იმიტომ, რომ არანაირი სამხილი, მცირედი ხელჩასაჭიდი ფაქტიც არ დაგიტოვებიათ. ასე კი, მხოლოდ თქვენ ჩალიჩობთ. მოკლედ, წადი და ჭკვიანად იყავით.

ერთი სიტყვით, ამჯერადაც მშვიდობიანად წამოვედი აბრალავას კაბინეტიდან და რომ არა „მოსკვიჩის" „დასტუკებული" მოტორი, ღმერთმა უწყის, ეს საქმე როგორ დასრულდებოდა, – ვუთხარი ჩემს მასპინძელს, – ძველები უფრო მაგრები იყვნენ და მათ რომ თანამედროვე ტექნიკა და აღჭურვილობა ჰქონოდათ, მსოფლიოში ვერავინ აჯობებდათ. ნაღდი ძაღლები იყვნენ, „იდეინები", დაუზარელები და ადვილად ვერც მოატყუებდი, ვერც შეაშინებდი. მართალია, წამორტყმაც ეხერხებოდათ და მაყუთიც უყვარდათ, მაგრამ საზღვარიც იცოდნენ და ყველაფერში ფულს არ იღებდნენ.

– შენ თუ მიგიცია როდესმე მილიციისთვის მაყუთი? – მკითხა ჩემმა მასპინძელმა.

– არასდროს და არც არავის მოუთხოვია. ყველამ იცოდა, რომ „იდეინი" ქურდი ვიყავი, არაქურდულს არასოდეს ჩავიდენდი და მსგავსი რამ არც უკადრებიათ ჩემთვის, ერთი შემთხვევის გარდა.

– რა შემთხვევის?

– ახლავე მოგიყვები, – ვუთხარი ჩემს მასპინძელს, სიგარეტი გავაბოლე და დავიწყე, – მეოთხე სროკის დიდი ნაწილი ციმბირის სხვადასხვა ზონების სტროგაჩებში გავატარე. თბილისში რომ დავბრუნდი, ცოტა არ იყოს, ნერვებმოშლილი და დაღლილი ვიყავი, მეძინებოდა და შევდგი თუ არა სახლში ფეხი, წამოვწექი. ნახევარი საათიც არ იყო გასული, კარზე ბრაგა-ბრუგი ამიტეხეს. იძულებული გავხდი, ავმდგარიყავი და კარი რომ გავაღე, ბინაში ოთხი ძაღლი შემომიცვივდა. ასეთი რამ პირველად მაკადრეს და ძალიან გავმწარდი. მზად ვიყავი, ოთხივე ძვლებში დამელეწა, მაგრამ თავს ვძლიე და დაუპატიჟებელ სტუმრებს ვუთხარი:

– რა მოხდა, ვინ ხართ, რაშია საქმე?

ჩემს სიტყვებზე ძაღლებმა გადაიხარხარეს. შემდეგ მათ ერთი თავგასიებული, ბულდოგისსახიანი, ზორბა კაცი გამოეყო, „ნაგლი" სახით შემომხედა და კიდევ უფრო „ნაგლად" მითხრა:

– ვინ ვართ, ვერ ხვდები, ბიჭო?

– მარჩიელობას ხომ არ დავიწყებ? თანაც, ყოველგვარი უფლების გარეშე ბინაში შემომიცვივდით. რა ხდება, რისთვის გარჯილხარ?

ბულდოგისსახიანმა თავისი მახინჯი სახე კიდევ უფრო მეტად დაჯღანა და მითხრა:

– მე პოდპოლკოვნიკი ზელიმხან ქიბროწაშვილი ვარ. კალინინის რაიონის მილიციის უფროსი და შენთან პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩასატარებლად მოვედი.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**საქართველოში უყვართ ანტიკვარი. ბევრ ქართულ ოჯახში წააწყდებით ანტიკვარის კოლექციას თუ არა, თითო-ოროლა ანტიკვარულ ნივთს მაინც. ხელოვნებათმცოდნე სოსო სისაურთან დღევანდელი ჩვენი საუბარიც სწორედ ანტიკვარულ ნივთებს, მათი მწარმოებლების ბედსა და ანტიკვარული ნივთების ქვეყნიდან გატანის საკითხს დაეთმობა.**

# ვინ იყვნენ დღევანდელი ანტიკვარის მწარმოებლები და როდის შეწყვიტა ფუნქციონირება მათმა დიდმა ნაწილმა

**– ბატონო სოსო, რა არის ანტიკვარი?**

– ანტიკვარი არის ძველი ნივთი, რომელსაც შეუსრულდა 100 წელი და მეტი. მსოფლიოში, შუა საუკუნეებში, ევროპის ქვეყნებში დაიწყო ანტიკვარული ნივთების გაკეთება. ეს ნივთები შეიძლება დამზადებული იყოს ხისგან, ფაიფურისგან, მინისგან, თითბრისგან, ბრინჯაოსგან... ამ და სხვა მასალებისგან შექმნილი ჭურჭელი, ჭაღი, საათი, იარაღი და ასე შემდეგ, უამრავი ნივთი შეიძლება ჩაითვალოს ანტიკვარად.

**– ხდება, თუ არა, ანტიკვარის საქართველოდან გატანა და როგორ?**

– საბჭოთა პერიოდში, როდესაც საკომისიოში იღებდნენ ნივთებს, ჩამბარებლის ფურცელზე ეწერა: „არ შეიძლება სსრკ-დან გატანა", ანუ ასეთ ნივთებს არ ატანდნენ ქვეყნიდან. ასეა დღესაც მთელ მსოფლიოში. სამუზეუმო ექსპონატები არ უნდა გავიდეს ქვეყნიდან. საქართველოში, კულტურის სამინისტროში, ფუნქციონირებს შესაბამისი დეპარტამენტი, განყოფილება, სადაც რომელიმე კონკრეტულ ნივთს მიიტანენ, ან, ამ დეპარტამენტის წარმომადგენელს წაიყვანენ იქ, სადაც ნივთი დგას. ის შეისწავლის ამ ნივთს და თავისი ხელმოწერითა და ბეჭდით რთავს ნებას, რომ ამ ნივთის საქართველოდან გატანა შესაძლებელია; ან, პირიქით, არაა შესაძლებელი. ეს ასე ხდება ყველა ქვეყანაში.

**– რა განაპირობებს ანტიკვარის ფასს: სიძველე, ხარისხი თუ...**

– ანტიკვარის ფასს ძალიან ბევრი რამ განაპირობებს, პირველ ყოვლისა – სიძველე, მერე ის, თუ ვისთვის იყო ის დამზადებული, რომელი ფენის წარმომადგენლისთვის. მაგალითად, საიმპერატორო ქარხანა, რომელიც რუსეთში მოქმედებდა, ამზადებდა მეფის ოჯახისა და თავადაზნაურთა ოჯახებისთვის. ასეთი ნივთები საკმაოდ ძვირად ფასობდა. ნებისმიერ თავადს შეეძლო, მიეცა შეკვეთა ფაბრიკისათვის, რომ მისი ინიციალებით დაემზადებინათ სადილისა და ჩაის სერვიზები. ეს იყო პერსონალური, ერთეული და კონკრეტულად მისთვის დამზადებული. მსგავსი შეკვეთა შეეძლო გაეკეთებინა სხვა თავადსაც.

ასევე, ანტიკვარის ფასს განაპირობებს ნივთის ხარისხიც. მაგალითად: კუზნეცოვი უშვებდა ფაიფურს მდიდრებისთვის – სიფრიფანას, ლამაზს, ოქროთი მოვარაყებულს, თუმცა, ჩვენ დღესაც ვხვდებით კუზნეცოვის ძალიან უხეშ ნაკეთობებს, რომელიც ძალიან ტლანქია, თეთრია, ყოველგვარი მოხატულობის გარეშე და ასეთი ნივთის ღირებულება მცირეა. მდიდრებისთვის დამზადებული ნაწარმი მაშინაც ძვირად ფასობდა და ახლაც ასეა.

დღეს საქართველოში ძალიან ძნელი საშოვნელია კუზნეცოვის, თუნდაც იმპერატორის ფაბრიკის წარმოების, გარდნერის, ან, გნებავთ, პოპოვის წარმოების ფიგურები და, თუ მაინც წააწყდით სადმე, მათგან მხოლოდ ერთეულები შეიძლება ჩაითვალოს ორიგინალებად თავისი დამღებით.

**– ამ ოთხი მწარმოებლიდან რომელი რით ხასიათდება?**

– პოპოვი ცნობილია მოოქრული სტილითა და დახატული ყვავილებით. იმპერატორის ფაბრიკის წარმოების ფიგურებს თუ შეხვდებით, მათი ფასი, შეიძლება, 50 ათასიდან 100 ათასამდეც კი მერყეობდეს, პოპოვი ოდნავ ჩამოუვარდება მას. შემდეგ მოდის გარდნერი და შემდეგ – კუზნეცოვი. კუზნეცოვის წარმოების ყველაზე მცირე ზომის, დაბალფასიანი ფიგურა დღეს მსოფლიოს ბაზარზე 3 ათასი დოლარი ღირს.



**გარდნერი შედარებით დაბალი ფენებისთვისაც უშვებდა პროდუქციას და მდიდრებისთვისაც; კუზნეცოვი ძალიან დაბალი და ძალიან მაღალი ფენებისთვის მუშაობდა. აი, პოპოვი კი მხოლოდ მდიდრებისთვის აწარმოებდა პროდუქციას. რაც შეეხება საიმპერატორო ქარხანას, ის მხოლოდ სამეფო ოჯახისა და დიდგვაროვნებისთვის ფუნქციონირებდა**

**– ოთხი ცნობილი მწარმოებელი დაასახელეთ, რომლებიც, სხვა პროდუქციასთან ერთად, ფაიფურის ფიგურების წარმოებითაც იყვნენ დაკავებულნი. რას გვიამბობთ მათ შესახებ?**

– მიხეილ კუზნეცოვმა მეფის რუსეთის პერიოდში დააარსა კუზნეცოვის ფაბრიკა, რომელიც მოქმედებდა 1917 წლის რევოლუციამდე. გასაბჭოების შემდეგ მარაგი ამ ქარხანაში ისევ ჰქონდათ და, ამიტომ, კვლავ განაგრძეს წარმოება, ოღონდ, ახალი დამღით, რომელზეც გამოსახული იყო ნამგალი და ურო.

კუზნეცოვის თანამედროვე იყო გარდნერიც. მისი მფლობელი, გარდნერი, ებრაელი გახლდათ, მაგრამ, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რუსეთში. გარდნერის ნაწარმი კუზნეცოვისგან ბევრად განსხვავდებოდა. გარდნერი შედარებით დაბალი ფენებისთვისაც უშვებდა პროდუქციას და მდიდრებისთვისაც; კუზნეცოვი ძალიან დაბალი და ძალიან მაღალი ფენებისთვის მუშაობდა, აი, პოპოვი კი მხოლოდ მდიდრებისთვის აწარმოებდა პროდუქციას. რაც შეეხება საიმპერატორო ქარხანას, როგორც აღვნიშნეთ, ის მხოლოდ სამეფო ოჯახისა და დიდგვაროვნებისთვის ფუნქციონირებდა. მათი წარმოების პროდუქციის დიდი ნაწილი დღეს სხვადასხვა მუზეუმშია დაცული.

**– კუზნეცოვის ქარხანა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში საბჭოთა ხანაშიც მოქმედებდაო. დანარჩენებს რა ბედი ეწიათ?**

– პოპოვისა და საიმპერატორო ფაბრიკები ლიკვიდირებულ იქნა, ხოლო გარდნერი, კიდევ ფუნქციონირებდა, კუზნეცოვის დარად.

**– მსოფლიოში ცნობილ მინის მწარმოებლებზეც ვისუბროთ. რატომღაც, დარწმუნებული ვარ, ამ კითხვაზე საუბარს ჩეხური ბროლით დავიწყებთ.**

– ჩეხეთი, მართლაც ცნობილია „ბოჰემიის" წარმოებით. ვინც დღეს მოხვდება ამ ქვეყანაში, ტურისტულ მარშრუტში შედის „ბოჰემიის" მინის წარმოების მუზეუმის დათვალიერება. საერთოდაც, ეს ულამაზესი ქვეყანაა, მათი მინის მუზეუმები კი, მსოფლიოში არსებულ მინის მუზეუმებს შორის, ალბათ, პირველია. გასულ საუკუნეში და დღესაც, ბროლის წარმოებით ყველაზე ცნობილი ჩეხოსლოვაკია იყო, თუმცა, ისტორიულად თუ გადავხედავთ, მინის წარმოებაში ვენეციელ ოსტატებს ბადალი არ ჰყავდათ.

**– მინის მწარმოებლებიდან ვის გამოყოფდით?**

– ასეთები მრავლად იყვნენ. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ მალცევი. მალცევის ნაწარმი დღესაც საკმაოდ მოთხოვნადია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ქარხანაც ოქტომბრის რევოლუციამდე ფუნქციონირებდა. მალცევის გარდა, მინის ბაზარზე აღნიშვნის ღირსია „ბაკარა", – ფრანგული წარმოების მინა. საფრანგეთში მდებარეობს პატარა სოფელი – ბაკარა, სადაც მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში ერთ-ერთ კაპიტალისტს ჰქონდა მინის წარმოების ქარხანა, რომლის წყალობითაც ამ სოფლის სახელი მთელმა მსოფლიომ შეიტყო და შეიყვარა. მსოფლიოშია ცნობილი „ბაკარას" მინის შედევრები.

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ვენეციაში ცნობილი იყო „მურანოს" ნაკეთობები. მურანო გვარია, ისევე, როგორც მალცევი. „მურანოს" ნაკეთობები დღესაც ფასეულია. იყო აგრეთვე „ტიფანი", რომელიც დღესაც გვხვდება. ტიფანი ამერიკელი იყო, ის, ჭურჭლის გარდა, ცნობილი გახლდათ ვიტრაჟებისა და ჭაღების წარმოებით. იგი მეცხრამეტე საუკუნეში გამოჩნდა ბაზარზე, მისი ჭაღები კი დღემდე ძვირად ფასობს.

მინის მწარმოებელთა შორისაა „გალეც". მისი მფლობელი, ემილი გალე, ფრანგი გახლდათ, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწეობდა. მის მიერ წარმოებული ნივთები ახლაც გვხვდება. „გალე" ცნობილია ნახატიანი საყვავილეებით, თუმცა, ის მხოლოდ საყვავილეების წარმოებით არ ყოფილა დაკავებული. მისი ნაწარმის დიდ ნაწილს, დაახლოებით 90 პროცენტს, ამშვენებს სახელწოდება – „გალე." „გალეს" დაახლოებით 10 სანტიმეტრი სიმაღლის საყვავილე, შეიძლება, 500 დოლარად შეიძინოთ. ზომის მიხედვით, „გალეს" პროდუქტი, შესაძლოა, 200-300 ათასიც ღირდეს.

**– ქართულ ბაზარს გულისხმობთ?**

– არა მგონია, ქართულ ბაზარზე „გალეს" დიდი ნივთები იყოს. ქართველი „ბაკარას" უფრო იყიდის, ვიდრე „გალეს", რადგან, არ ესმის, ამას ცოტა ხუმრობითა და ბევრი დაკვირვებით ***(იცინის).*** არადა, „ბაკარა" მოდებულია მსოლიოში – რომელი ქვეყნის საკომისიოშიც არ უნდა მიხვიდე, „ბაკარას" ყველგან წააწყდები, „გალეს" კი – ვერა.

**– ანტიკვარულ საათებზე რას მეტყვით?**

– საათებში ლიდერობენ „მოზერისა" და „გუსტავ ბეკერის" საათები, რომლებიც მზადდებოდა ევროპის ბევრ ქვეყანაში. საბჭოთა პერიოდში ძალიან პოპულარული იყო „ორლოვის" საათების ქარხანა. საბჭოთა წყობილების დამყარებიდან მალევე, რუსეთში შეიქმნა საათების ქარხანა, რომელიც უშვებდა როგორც კედლის, ისე იატაკზე დასადგამ საათებს. დღეს ეს იატაკის საათები არც ისე იაფი ღირს – მათი ღირებულება დაახლოებით 700 დოლარს შეადგენს. თითქმის ყველა მდიდარ ოჯახში იდგა ეს საათები, ღარიბი ფენისთვის კი ის მაშინვე ფუფუნების საგანს წარმოადგენდა. რაც შეეხება კედლის საათებს, მათი ღირებულება არ იყო მაღალი და თითქმის ყველა ოჯახში შევხვდებოდით მის რომელიმე მოდელს. დღეს მათი დაახლოებითი ღირებულება 60 ლარს შეადგენს.

დაუსრულებლად შეიძლება ანტიკვარზე საუბარი, რადგან, ანტიკვარი საქართველოში პოპულარულია. შემიძლია ვთქვა, რომ თითქმის ყოველი მესამე ქართველი ესთეტია – ჩვენ მოგვწონს სილამაზე.

**ეკა სალაღაია**

**მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოში ბევრი გერმანული ოჯახი ჩამოასახლეს. ისინი ძირითადად, მათ მიერ აშენებულ, დღევანდელ აღმაშენებლის გამზირზე დასახლდნენ. მოგვიანებით, ერთ-ერთმა მათგანმა, ჰერმან კერერმა კავკასიაში ფორტეპიანოს პირველი საწარმო დააარსა, რომლის ცენტრიც თბილისში, გოლოვინის გამზირზე მდებარეობდა. სწორედ მისი შვილიშვილი გახლავთ, შარშან, ბერლინში 90 წლის ასაკში გარდაცვლილი ცნობილი და მსოფლიოში აღიარებული პიანისტი რუდოლფ კერერი. რუდოლფის თბილისური ბავშვობის, საბჭოური გადასახლებისა და უკანასკნელი წლების შესახებ, მის შვილიშვილთან თბილისში, წინაპრების ნასახლარისა და ნაკვალევის საძიებლად ჩამოსულ, ელზა კერერთან ვისაუბრეთ.**

# ვინ დააარსა თბილისში კავკასიაში პირველი ფორტეპიანოების საწარმო და რა ბედი ეწიათ მის შთამომავლებს

**– ელზა, როგორ მოხვდნენ თქვენი წინაპრები საქართველოში?**

– ჩემი დიდი ბაბუა, ანუ რუდოლფ კერერის ბაბუა, გერმანიიდან მეცხრამეტე საუკუნეში ჩამოვიდა თბილისში. ჩემი წინაპრები იყვნენ შვაბი ემიგრანტები, რომელთაც სამშობლო რელიგიური მოტივით დატოვეს. ისინი პიეტისტები იყვნენ (ეს მიმდინარეობა ამხელდა ლუთერანული ეკლესიის მანკიერებებს). როგორც გადმოცემით ვიცი, იმ პერიოდში საქართველოში და კერძოდ, თბილისში, ძალიან ბევრი გერმანელი ემიგრანტი ჩამოვიდა. მათ შორის იყვნენ მშენებლებიც, რომლებმაც ააშენეს მთელი აღმაშენებლის გამზირი და იქვე დასახლდნენ.

**– თქვენი წინაპრებიც აღმაშენებლის გამზირზე ცხოვრობდნენ? რა არის ცნობილი მათი საქართველოში მოღვაწეობის შესახებ?**



– დიახ, ჩემი წინაპრებიც სწორედ აღმაშენებლის გამზირზე ცხოვრობდნენ, ახლანდელი მიხაილოვის საავადმყოფოს ტერიტორიაზე. რაც შეეხება საქმიანობას, ჩემმა დიდმა ბაბუამ შექმნა კავკასიაში ფორტეპიანოების პირველი საწარმო, რომლის ცენტრიც იყო თბილისში, გოლოვინის გამზირზე. იქ დამზადებული ფორტეპიანოს საფირმო სახელწოდება იყო „Herman Kehrer". როგორც მითხრეს, ეს პიანინოები დღესაც შემორჩენილია ზოგიერთ თბილისურ ოჯახში. ეს საწარმო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ დაიხურა და მამაჩემის ბაბუა – ჰერმანის ვაჟიშვილი, მისი საქმის გამგრძელებელი, თბილისის კონსერვატორიაში დასაქმდა პიანინოების ამწყობად. 1923 წელს დაიბადა ბაბუა – რუდოლფ კერერი.

**– როგორი იყო რუდოლფ კერერის თბილისური ბავშვობა?**

– ბაბუასთვის, როგორც თვითონ ყვებოდა, თბილისში გატარებული ბავშვობა მის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი ხანა იყო. ის დაბადებიდანვე ეზიარა მუსიკალურ ხელოვნებას. მთელი ბავშვობა თბილისის კონსერვატორიაში გაატარა. სულ პატარა ყოფილა, როცა მშობლებმა და ახლობლებმა აღმოაჩინეს მისი მუსიკალური ტალანტი და მიაბარეს კონსერვატორიის „ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფში". ის ხშირად იხსენებდა მის მეზობლად მცხოვრებ, შემდეგში ცნობილ მომღერალ ერნა კრაუზეს, რომლის სახლშიც, მთელი თბილისის მუსიკალური ელიტა იკრიბებოდა. ბაბუა გერმანულ სკოლაში სწავლობდა, თუმცა ქართულ კულტურასა და ტრადიციებს ოჯახში ეზიარა. ეს მისი ცხოვრების ძალიან ადრეული წლები იყო. 1939 წელს რუდოლფ კერერის მამა და ბიძები გერმანული წარმომავლობის გამო, ჯაშუშობის ბრალდებით გადაასახლეს. ისინი გულაგში დაიღუპნენ. 1941 წელს კი, თბილისში აღარც ერთი გერმანელი აღარ დატოვეს, გარდა იმ გერმანელი ქალებისა, რომლებსაც ქართველი ქმრები ჰყავდათ. მათი შთამომავლები ახლაც ცხოვრობენ თბილისში. ზოგიერთი მათგანი ნათესავადაც მეკუთვნის. მიხარია, რომ დღეს, თბილისში ვიზიტისას, მათი გაცნობის საშუალება მომეცა. მოკლედ, ბაბუა 16 წლის იყო, როცა დედასთან, დეიდასთან და ძმასთან ერთად, ყაზახეთის ყველაზე მივარდნილ სოფელში გადაასახლეს.



**საწარმო რევოლუციის შემდეგ დაიხურა და მამაჩემის ბაბუა, ჰერმანის ვაჟიშვილი, მისი საქმის გამგრძელებელი, თბილისის კონსერვატორიაში დასაქმდა პიანინოების ამწყობად**

**– როგორ გაიარა გადასახლების მძიმე წლებმა?**

– ბუნებრივია, ძალიან რთულ პირობებში უწევდათ ცხოვრება, ოჯახმა გადაიტანა მალარია. ბაბუა და მისი ძმა „კოლხოზში" მუშაობდნენ, ოჯახი რომ ერჩინათ. ბევრი ასეთი საშინელი ცხოვრების პირობებში სულიერად გატყდებოდა, მაგრამ ბაბუა მტკიცე ნებისყოფის აღმოჩნდა. მთელი 13 წელი, დღე არ ყოფილა, რომ მუსიკის გარეშე ეცხოვრა. თუმცა, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, არც მუსიკის ხმა გაუგონია და არც ნამდვილ ინსტრუმენტს შეხებია. მან კლავიატურა მაგიდაზე დახატა და ასეთ წარმოსახვაში განაგრძო ცხოვრება.

**– შემდეგ როგორ გაგრძელდა მისი ცხოვრება?**

– ის ბავშვობიდან კარგად ერკვეოდა მათემატიკაში და ყაზახეთის სოფლებში ბავშვებს მათემატიკას ასწავლიდა. 1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, ბაბუას მიეცა უფლება, წასულიყო ტაშკენტში და როგორც სოფლის მასწავლებელს კვალიფიკაცია აემაღლებინა მათემატიკაში. ტაშკენტისკენ მიმავალ გზაზე მუსიკის ხმა მოესმა რომელიღაც შენობიდან. გაჰყვა ამ ხმას და აღმოჩნდა ოთახში, სადაც უზბეკი პიანისტი როიალზე უკრავდა. გაეცნო მას და სთხოვა, ცოტა ხნით ინსტრუმენტი დაეთმო. მან მართლაც დაუთმო და ბაბუამ, თურმე შოპენის „რევოლუციური ეტიუდი" შეასრულა. ამ დღიდან ბაბუას ცხოვრება ისევ მუსიკას უკავშირდება.

**– რამდენი წლის იყო ამ პერიოდისთვის ბატონი რუდოლფი?**

– ამ დროს რუდოლფ კერერი 31 წლის იყო. 36 წლის ასაკში კი საკავშირო კონკურსზე მან მთელი რუსეთის ელიტა გააოცა არაჩვეულებრივი შესრულებით და პირველი წარმატებაც მაშინ ეწვია.

1961 წელს რუდოლფ კერერი ოჯახთან ერთად მოსკოვში გადაიყვანეს საცხოვრებლად და მას მერე, მან არაერთი ცნობილი პიანისტი აღზარდა მოსკოვის კონსერვატორიაში.

**– როდის დატოვა რუდოლფ კერერმა საბჭოთა კავშირი?**

– შეიძლება ითქვას, საბჭოთა კავშირი არ დაუტოვებია. რუსეთიდან ის 1990 წელს, მიწვევით წავიდა ავსტრიაში, ვენის კონსერვატორიაში, სადაც 1998 წლამდე ასწავლიდა. ჩვენც მალევე, 4 წლის შემდეგ გადავედით მოსკოვიდან ბერლინში. ბაბუა 1998 წლიდან 2010 წლამდე ციურიხში ცხოვრობდა და მუშაობდა. შემდეგ კი ჩვენთან გადმოვიდა. უკანასკნელი წლები ჩვენთან ერთად, ბერლინში გაატარა. გარდაიცვალა 2013 წლის ოქტომბერში.

**– თქვენ და მისი ოჯახის კიდევ რამდენიმე წევრი ჩამოხვედით თბილისში, მოინახულოეთ ის ადგილები, სადაც ცხოვრობდნენ თქვენი წინაპრები. გაგვიზიარეთ ემოციები.**

– საქართველოში ახლა პირველად ვართ, მე, მამაჩემი – ჰერმან კერერი და დეიდა – გაზელა რასპერი. შევხვდით ჩვენს შორეულ ნათესავებს, რომლებმაც არაჩვეულებრივად გვიმასპინძლეს. მათი ბებია, რუდოლფ კერერის დეიდაშვილი – მელიტა მაკერი გადასახლებას მეუღლის ქართული წარმომავლობის გამო გადაურჩა. ის სიცოცხლის ბოლომდე თბილისში ცხოვრობდა. მათი ბაბუა კი, ემილ მაკერი მშენებელი იყო და მისი აშენებულია დღევანდელი აღმაშენებლის გამზირის დიდი ნაწილი. ვნახეთ აღმაშენებლის 108 ნომერში ერთ-ერთი სადარბაზო, სადაც წერია, რომ ეს სახლი ააშენა ემილ მაკერმა. ეს ოჯახიც ჩვენსავით, 1814 წელს ჩამოვიდა თბილისში საცხოვრებლად. ვიყავით თბილისის კონსერვატორიაში, შევხვდით საქართველოში გერმანული საზოგადოების წევრებს. მამამ და გაზელამ ეროვნულ არქივში მოიძიეს საარქივო მასალები. ბედნიერი ვარ, რომ ისეთი თბილი და მოსიყვარულე ქალაქი აღმოვაჩინე, როგორიც თბილისია და თან, ამ ქალაქთან ჩემი წინაპრების წარსული მაკავშირებს. მართლა თბილები არიან. ალბათ ამიტომ, ბოლო წუთამდე ბაბუა დიდი სიყვარულითა და ნოსტალგიით იხსენიებდა ამ ქალაქსა და ხალხს.

**– ჩემთვის ცნობილია, რომ ქართველი რეჟისორი დოკუმენტურ ფილმს იღებდა რუდოლფ კერერის შესახებ.**

– დიახ, ქართველი რეჟისორი ნონა გიუნაშვილი. მე ახლა გავიცანი ის თბილისში. როგორც ბაბუასგან ვიცი, ნონას სურდა ბაბუაზე დოკუმენტური ფილმის გადაღება 2010 წელს. მაშინ ბაბუა ციურიხიდან ბერლინში აპირებდა გადასვლას და სწორედ ამ საბოლოო გადასვლის აღწერა სურდა ნონას ფილმში – როგორც სიმბოლო მისი მუდმივი მოგზაურობისა და გადასახლებისა. ვიცი, რომ მაშინ ამ პროექტით დაინტერესებულები იყვნენ გერმენელი პროდიუსერები, ასევე Arte-ს და Cannel 5-ის წარმომადგენლები. ნონა გერმანიაშიც იყო ამის გამო ჩამოსული. სამწუხაროდ, დაფინანსება ვერ მოესწრო. რადგან სცენარი სწორედ ამ გადასვლაზე იყო, ძალიან მოსწონდა ბაბუას ამ არშემდგარი ფილმის კონცეპტუალური იდეა და სათაური. ნონამ მიაგნო, – „პაუზის ხელოვნება" – ასე ერქვა ფილმს. ალბათ იმიტომ, რომ ბაბუას ცხოვრებაშიც იყო ძალიან დიდი, 13-წლიანი პაუზა.

„არ ასებობს ჰარმონია პაუზის გარეშე. პაუზა უნდა შეასრულო. პაუზა არის ყველაზე საჭირო ნოტი მუსიკაში", – ეს სიტყვები ბაბუამ ბავშვობაში, მისი მასწავლებლისგან მოისმინა და იქცა კიდეც შემდგომში მისი ცხოვრების ფილოსოფიად. ეს ფილმიც იქნებოდა რწმენასა და ჭეშმარიტებაზე – არა ღმერთის, არამედ ხელოვნების რწმენაზე და ჭეშმარიტებაზე, რომელსაც შესწევს უნარი ადამიანის გაძლიერებისა და მისი გადარჩენისა. ამის ნათელი მაგალითი იყო სწორედ რუდოლფ კერერი.

**ეკა სალაღაია**

**დღეს საქართველოში ძალიან ბევრს სჭირდება როგორც სახელმწიფოსგან, ასევე ჩვენგან, ადამიანებისგან დახმარება. შეიძლება, ამის სურვილი ბევრმა გამოთქვას, მაგრამ, სინამდვილეში, არავინ არაფერს ვაკეთებთ, თუნდაც, ჩვენ გვერდით მცხოვრები სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი, უნარშეზღუდული, უკიდურესად გაჭირვებული ადამიანების დასახმარებლად. ხშირ შემთხვევაში, სიტყვა მხოლოდ სიტყვად რჩება, სურვილი კი – სურვილად... თუმცა, საბედნიეროდ, არსებობენ ადამიანები, მაგალითად, 21 წლის ლილე სახელაშვილის სახით, რომლებიც ძალიან ბევრს უწვდიან დახმარების ხელს. ლილეს შესახებ უკვე არაერთი მადლიერი ადამიანისგან შევიტყვე. 21 წლის გოგონამ მოკლე პერიოდში საოცრებები ჩაიდინა. ის არაერთ გაჭირვებულ ოჯახს, მზრუნველობამოკლებულ და ავადმყოფ ბავშვს დაეხმარა და გაჩერებას არ აპირებს. მან იცის, რომ უდიდესი პასუხისმგებლობა იკისრა და ძალიან ბევრ ადამიანს სწორედ ამ მშვენიერი გოგონას იმედი აქვს. ხომ ამბობენ, „სიკეთე გადამდებიაო“ და იქნებ ლილეს გაკეთებული უამრავი სიკეთე ჩვენთვისაც გადამდები და მაგალითის მომცემი გახდეს.**

# როგორ ეხმარება 21 წლის ლილე სახელაშვილი მრავალშვილიან ოჯახებს, უნარშეზღუდულ ბავშვებს და რატომ ყვებიან თბილისში მის შესახებ „საოცრებებს“

**ლილე სახელაშვილი:** მოდელი ვარ და ვსწავლობ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. მიყვარს ადამიანები და მათთან ურთიერთობა. კომუნიკაბელური ვარ და ადამიანებთან ურთიერთობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ასევე, ძალიან მიყვარს მოგზაურობა და ჩემი პროფესია ამ ყველაფრის განხორციელებაში დამეხმარება. 2 წელია, „იმიჯ-ცენტრის“ მოდელი ვარ. მინდა, უცხოეთში გავაგრძელო ჩემი სამოდელო კარიერა და პარალელურად, ჟურნალისტიკაზეც ვისწავლო. რაც მთავარია, მინდა, ეს ორივე საქმე ქველმოქმედებაში ჩავრთო, ამ საქმეს მოვახმარო მომავალი წარმატებები, გამოცდილება. ერთხელ ქუჩაში მივდიოდი, ერთმა დიზაინერმა დამინახა და მის ჩვენებაზე გამოსვლა შემომთავაზა. მომწონს, საინტერესო, მრავალფეროვანი ცხოვრება, ექსპერიმენტები... ამიტომ დავთანხმდი. ყოველგვარი გამოცდილების გარეშე გამოვედი პოდიუმზე, მაგრამ არ დავბნეულვარ, რადგან შემიძლია სხვადასხვა სიტუაციასთან ადაპტირება. 2012 წელს „მის საქართველოზეც“ გამოვედი და „მის მომხიბვლელობა“ გავხდი.

**– ახლა მინდა, შენი საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ მიამბო. უკვე არაერთი ადამიანისგან შევიტყვე, როგორი დახმარება აღმოუჩინე და ძალიან ბევრს აქვს შენი იმედი.**

– ბავშვობიდან მინდოდა, ადამიანებს დავხმარებოდი. როგორც კი 21 წლის გავხდი, გადავწყვიტე, საქმისთვის სერიოზულად მიმეხედა. ერთ თვეში შევძელი, 2 ბავშვთა სახლს და 4 მრავალშვილიან ოჯახს დავდგომოდი გვერდით. მახსოვს, ერთ ოჯახს სახლში არაფერი არ ჰქონდა – არც საწოლები, არც მაცივარი. ყველაფერი რომ ვუყიდეთ და ავუტანეთ, ისე გაუხარდათ, ვამბობდი: ასე მაცივრის ყიდვა, არასდროს გამხარებია-მეთქი. როცა ასეთ ოჯახთან მიდიხარ, ეხმარები და მერე მათ ბედნიერ სახეებს ხედავ, ეს უფრო მეტ სტიმულს გაძლევს, კიდევ მეტის გაკეთება გინდება და ველარ ისვენებ. თავიდან საინიციატივო ჯგუფი ვიყავით, მერე უკვე, როგორც ორგანიზაცია ისე დავრეგისტრირდით. ჩემს ორგანიზაციას „ლილეო“ ჰქვია – ძველი ხალხური სახელია, ამომავალ მზეს ნიშნავს და ჩემში დადებით ემოციებს იწვევს. თან, ჩემს სახელთანაც ასოცირდება. თავიდან ჩემი საქმიანობის შესახებ რომ იგებდნენ, ყველას უკვირდა: მოდელი და ქველმოქმედება?! მგონი, შენ ხარ ამ კუთხით პირველიო. თან, 21 წლის რომ ვარ, ესეც უკვირდათ. მაგრამ, ასაკს რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, საქმეს პასუხისმგებლობის გრძნობით მიუდგე, მკაცრი და მომთხოვნი იყო საკუთარი თავის მიმართ. ყველაფერი სწორად დაგეგმო და გააკეთო ისე, როგორც საჭიროა. ამ საქმეს რომ იწყებ, მერე აღარ უნდა გაჩერდე, რადგან ძალიან ბევრი ადამიანის წინაშე გაქვს პასუხისმგებლობა აღებული. ეს საკმაოდ რთულია, – სტრესიც არის, დაძაბულობაც. მაგრამ, მე ერთი კარგი თვისება მაქვს: ოპტიმისტურად ვუყურებ ყველაფერს. როდესაც მივდივარ ბავშვთა სახლში, ან ოჯახში, ვიგებ მათ ამბავს, ეს იმხელა სტიმულია, რომ მაშინვე ძალას მმატებს და არაფერს ვუშინდები. მერე მიდიხარ რომელიმე კომპანიაში, სთხოვ დაგასპონსოროს, მაგრამ ზოგჯერ ცხვირწინ გიხურავენ კარს. ზოგან, პირიქით, გულისყურით გისმენენ და გეხმარებიან. მორიდებული არ უნდა იყო, ამას ხომ ჩემთვის არ ვაკეთებ, იმ ბავშვისა და ოჯახისთვის ვაკეთებ, ვისაც ვეხმარები და ეს უდიდეს ძალას მმატებს.



**2012 წელს „მის საქართველოზეც“ გამოვედი და „მის მომხიბვლელობა“ გავხდი. მას შემდეგ სხვადასხვა ჩვენებაში, ფოტოსესიებში ვმონაწილეობ**

ზრდილობის ფარგლებში ყველაფერს ვაკეთებ, უკან არ ვიხევ. ზოგი უარს გეტყვის, ზოგი დაგეთანხმება, უბრალოდ, არ უნდა გერიდებოდეს და მზად უნდა იყო იმისთვის, რომ ვიღაც კარს მოგიხურავს, ვიღაც კი გაგიღებს. რაც დრო გადის, უფრო მეტი შემოთავაზება მოდის.

**– ასეთი კარგი გოგონა რომ მიდის კომპანიაში დახმარებისა და გვერდში დგომის სათხოვნელად, მაინც გულგრილები რჩებიან?**

– ზოგჯერ ჭრის. ისედაც ყველგან მოწესრიგებული დავდივარ და შესაბამისად, ასეთ შეხვედრებზეც მოწესრიგებული მივდივარ. ვცდილობ, დადებითი ვიყო, თან იმავდროულად, ოფიციალურიც, რადგან ასე სჭირდება საქმეს. ხანდახან კომპანიების სიმპათიურ ხელმძღვანელებზე მოქმედებს ჩემი გარეგნობა. თავიდან დედა მეუბნებოდა: ლილე, კარგად დაფიქრდი, შეგიძლია, ამხელა პასუხისმგებლობა აიღო საკუთარ თავზეო. მაგრამ, ვიცოდი: აუცილებლად გამომივიდოდა. უნივერსიტეტიდან ან გადაღებიდან რომ მოვდივარ, გზაში უკვე ამ საქმეზე ვფიქრობ, ვსახავ გეგმებს, გზებს. ჩემი ორგანიზაციის მიზანია, გარდა იმისა, რომ გვერდში დავუდგეთ იმ ადამიანებს, ვისაც ჩვენი დახმარება სჭირდებათ, სხვებსაც აღვუძრათ მათი დახმარების სურვილი. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ მართლაც გაუჩნდათ სხვებს ამის სურვილი – მირეკავდნენ, მიდიოდნენ მათთან, ვისაც დახმარება სჭირდებოდა. მინდა, სიკეთე ყველამ ვაკეთოთ. ერთხელ, მახსოვს, ქუჩაში მოვდიოდი, ვიღაც ქალი მომიახლოვდა, ჩამეხუტა და მითხრა: ჩემი ახლობლის ოჯახში იყავით, დაეხმარეთო, ისე გამიხარდა. მერე „მის საქართველო“ ანი ზუბაშვილი მიყვებოდა, თბილისის მოდის კვირეულზე ერთ ადამიანს უკითხავს: ლილე სახელაშვილს თუ იცნობ, ჩვენთან იყო მოსული, დაგვეხმარაო. ასეთ რაღაცეებს რომ ვიგებ, სტიმული და ძალა მემატება. პირველად, მახსოვს, გლდანის მე-200 საჯარო სკოლის ბენეფიციალებთან ვიყავით, უნარშეზღუდული ბავშვები არიან. მივუტანეთ ბავშვებს ის, რაც სჭირდებოდათ და რაც მთავარია, ეს არასდროს არ არის ერთჯერადი. მეორედ უკვე კულტურის ცენტრში წავიყვანე, თოჯინების სპექტაკლს უყურეს, ახლა მინდა, ქალაქგარეთ დასასვენებლად გავიყვანო. მათთვის ის, რომ სხვები მათ მიმართ სიყვარულს, სითბოს გამოხატავენ, უდიდესი სტიმულია, ძალიან უხარიათ.

**– როგორ არჩევ მათ, ვისაც ეხმარები?**

– ვეხმარები ბავშვთა სახლებს, უნარშეზღუდულ ბავშვებს, მრავალშვილიან ოჯახებს. ზოგს ოპერაციისთვის სჭირდება თანხა, ზოგს – მედიკამენტებისთვის, ზოგს არანაირი საარსებო საშუალება არ აქვს. ასევე, არ აქვთ სახლში არანაირი ინვენტარი. ანუ, ვისაც შეგვიძლია, ყველას ვეხმარებით. მინდა, მოხუცებულთა თავშესაფარშიც მივიდეთ და ყველაზე საყვარელ ადამიანებს გვერდში დავუდგეთ. ლამაზი საღამო მოვუწყოთ და დავეხმაროთ. ერთ-ერთ კლინიკაში მყავს ექთანი, რომელიც მაწვდის ინფორმაციას მათ შესახებ, ვისაც შეგვიძლია, დავეხმაროთ. ახლა 1 ივნისს, ვეხმარებით აუტიზმით დაავადებულ 12 წლის ანას, რომელსაც სპეციალური აპარატი და წამლები სჭირდება. ძალიან კარგი ოჯახია, ტრაგიკული ისტორიით. ანას დედა პანსიონატში გაიზარდა, მერე ქმარი დაეღუპა. ჰყავს 12 წლის ანა და 87 წლის გამზრდელი დედა. ნათესავებიც არ ჰყავთ. უკიდურესად გაჭირვებულები არიან, სახელმწიფო მხოლოდ თვეში 100 ლარით ეხმარება. არაფერი არ ჰქონდათ სახლში. ჩვენ მივიტანეთ საჭირო ნივთები. საოცარი ხალხია, დადებითი. ახლა მინდა, ამ ივენთით, რომელიც 1 ივნისს 8 საათზე „სენატში“ გაიმართება ***(ინტერვიუ ჩაწერილია 27 მაისს – ავტორი),*** დავეხმაროთ ანას, რომ შეუმსუბუქდეს ტკივილები, უკეთ იგრძნოს თავი. გაყიდული ბილეთებიდან შემოსული და GE93TB7965536080100003 ანგარიშის ნომერზე ჩარიცხული თანხით დავეხმარებით ანას. მადლობა მინდა გადავუხადო იმ ადამიანებს, კომპანიებს, მომღერლებს ვინც გვერდში დაგვიდგა. ანას დედამ თავად შემოგვთავაზა, რომ, თუ შემოვა საკმარისზე მეტი თანხა, იმით სხვას დავეხმაროთო. უკვე ვიცით, ასეთ შემთხვევაში, ვის დავეხმარებით. მომავალში ვეცდები, ორ თვეში ერთხელ გავაკეთო ასეთი საღამოები და შემოსული თანხით დავეხმარო ორ ოჯახს. ამ ყველაფერმა მეც ძალიან გამაძლიერა. ეკლესიური ვარ და ღმერთის ძალა, სიყვარული, რწმენა ამ ყველაფრის საკეთებლად ძალას მაძლევს. ჩემი ოცნებაა, მომავალში ბავშვთა სახლი მქონდეს და ბავშვებს ძალიან კარგი პირობები შევუქმნა.

**– არ გეხმარებიან შენი თაყვანისმცემლები?**

– ბევრი ცდილობს დამიდგეს გვერდში, ქველმოქმედებაში ჩაერთონ. მათ დადებითად ვუყურებ, თუმცა სერიოზული ურთიერთობა არავისთან მაქვს. მომავალში გააჩნია, ვინ როგორ მოიქცევა, როგორ გამოხატავს თავის გრძნობებს. მე აქტიური, ყურადღებიანი ბიჭები მომწონს – სერიოზული, მამაკაცური. უნდა მაფასებდეს, ჩვენ შორის ურთიერთგაგება და პატივისცემა იყოს, კეთილი უნდა იყოს. გვერდში დამიდგეს და ერთად ვაკეთოთ სიკეთე.

**ნათია უტიაშვილი**

# კონსერვატორიაში პროფესორ მანანა ანდრიაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა

*12 მაისს კონსერვატორიაში პროფესორ მანანა ანდრიაძის ხსოვნის საღამო გაიმართა. მანანა ანდრიაძე იყო პირველი ქართველი მუსიკათმცოდნე ქალი, რომელმაც დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. მან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში დააარსა საეკლესიო მუსიკის კათედრა და შექმნა ქართული საგალობლების კვლევის სკოლა.*

**მანანა დოიჯაშვილი** *(კონსერვატორიის რექტორის მოადგილე)*: მანანა ანდრიაძე იყო ადამიანი, რომლის მსგავსი ამ ქვეყანას იშვიათად ევლინება. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ თბილისის კონსერვატორიის ისტორიაში ასეთი პიროვნებები თითზე ჩამოსათვლელები არიან...

**ანზორ ერქომაიშვილი**: მახსოვს, მაალალი, მომხიბვლელი გარეგნობის, ღიმილიანი, ყველანაირად მოწესრიგებული, ზრდილობითა და სათნოებით გამორჩეული გოგონა, ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებული და გასაოცარი ადამიანური თვისებებით შემკული...

„მანანა ანდრიაძის სახელს უკავშირდება ქართული გალობის პოპულარიზაციისთვის გაწეული მრავალმხრივი საქმიანობა. ქალბატონ მანანას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, კონსერვატორიაში შეიქმნა ქართული გალობის მიმართულება და თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა ჩვენი საეკლესიო მუსიკის სამეცნიერო კვლევა. ის ჩვენი საყვარელი სულიერი შვილი იყო, დახვეწილი, სულიერი არისტოკრატობითა და ამავე დროს, ქართული სისადავით გამორჩეული ადამიანი"...



*(სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე).*

2013 წლის 19 თებერვალს გარდაცვლილი მანანა ანდრიაძის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდები თავად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გადაიხადა. 18 მარტს კი კონსერვატორიაში მანანა ანდრიაძის „მწუხრის საღამო" ჩატარდა. როგორც მაშინ, 12 მაისსაც, სცენაზე გამომსვლელებმა პატივი მიაგეს არაჩვეულებრივ ქალბატონს. გარდა ამისა, 12 მაისის ხსოვნის საღამოზე კონსერვატორიის საბაკალავრო პროგრამის „მუსიკის თეორიის" მეოთხე კურსის სტუდენტს, შორენა მეტრეველს პროფესორ მანანა ანდრიაძის სახელობის პრემია გადაეცა. ქალბატონი მანანას მეუღლემ კი, ტიციან ტაბიძის შვილიშვილმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, გივი ანდრიაძემ მას ფულადი ჯილდო გადასცა.

ასე რომ, თბილისში კიდევ ერთი ლამაზი საღამო ჩატარდა, არაჩვეულებრივი ქალბატონის, მანანა ანდრიაძისადმი მიძღვნილი. მისი სახელობის პრემია კი ყოველ წელს დიდი სტიმული იქნება კონსერვატორიის სტუდენტებისთვის.



# შუა ასაკში შექმნილი „შუადღის მზის ფერები" – ქეთევან შარაბიძის ერთი წარმატებული გამოფენა

22-25 მაისს მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში" ხელოვან ქეთევან შარაბიძის ნამუშევრების (პოპ-არტი, თექა, მინის მხატვრული დამუშავება – „დეკუპაჟი") გამოფენა-გაყიდვა გაიმართა, სახელწოდებით – „შუადღის მზის ფერები". მნახველის წინაშე 50-მდე ნამუშევარი იყო გამოფენილი. მათ შორის – პეიზაჟები, აბსტრაქცია, ნატურმორტები. ხელოვანმა პირველი გამოფენა დაახლოებით ერთი წლის წინ მოაწყო, როცა პოპ-არტზე მუშაობდა, რამაც წარმატებულად ჩაიარა და დიდი მოწონება დაიმსახურა, ისევე, როგორც ახლანდელმა გამოფენამ. ქალბატონი ქეთევანი, პოპ-არტის გარდა, მუშაობს თექაზე, სხვადასხვა ქსოვილზე და, ასევე, აკვარელით. ცოტა ხნის წინ მოწყობილ პერსონალურ გამოფენაზე მისი ბოლო ერთი წლის ნამუშევრები იყო გამოტანილი. როგორც თავად ხელოვანი ამბობს, ის არ არის პროფესიით მხატვარი, ამ საქმეს მან ხელი „შუა ასაკში" მოჰკიდა, ახლა მის ცხოვრებაში მზის ფერებით განათებული შუადღეა და ამიტომაც უწოდა გამოფენას: „შუადღის მზის ფერები".



**ქეთევან შარაბიძე**: რადგან ჩემი ცხოვრების შუა ასაკში ვარ, აქედან გამომდინარე, ჩემი ნახატები შუა ასაკის ნამუშევრებია და შუადღე შუა ასაკს დავუკავშირე – მათ შორის აშკარად იგრძნობა საერთო. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ გამოფენას გავაკეთებდი ამ ასაკში, მაგრამ, ცხოვრება ხომ მოულოდნელობით არის სავსე... ამ კუთხით ბევრი იდეა მაქვს და ახლო მომავალში აუცილებლად განვახორციელებ; გამორიცხული არ არის, ზეთის საღებავებზე გადავიდე.

# რადიო „არ დაიდარდო" 10 წლის გახდა

საქართველოში ყველაზე რეიტინგული რადიო იუბილარია, რომელიც დაარსების დღიდან არის რეიტინგის ლიდერი და პოზიცია არც ერთხელ არ დაუთმია. რადიო „არ დაიდარდო" 10 წლის იუბილე უამრავ სტუმართან ერთად აღნიშნა. რადიოს წამყვანები ეროვნულ სამოსში გამოწყობილები ეგებებოდნენ სტუმრებს. გრანდიოზული იუბილე კრწანისის რეზიდენციის კომპლექსში გაიმართა და გვიან ღამემდე გაგრძელდა. იუბილე გამოფენა-გაყიდვით გაიხსნა; მეორე ეტაპს რაც შეეხება, სტუმრებს ქართული კუთხის მონახულებისა და ქართული ტრადიციული კერძების დაგემოვნების საშუალება მიეცათ. ამის მერე გაიმართა კონცერტი, რომელშიც უამრავმა ქართველმა მომღერალმა მიიღო მონაწილეობა. კონცერტის დასასრულს კახაბერმა და ხანუმებმა გაალამაზეს საიუბილეო საღამო ღია ცის ქვეშ, კულმინაცია კი იყო ტორტის საზეიმო გაჭრა და გრანდიოზული ფოიერვერკი.






**მოამზადა სალომე გველესიანმა**

# ვისმა გარდაცვალებამ გამოიწვია საკუთარი და ქრისტიანული სახელი კახის (კახას) დამკვიდრება საქართველოში

მეცხრე საუკუნის შუა წლებში არაბთა იმპერია – სახალიფო, ისეთი ძლიერი აღარ იყო, როგორც ადრე, როცა შიშის ზარს სცემდა მსოფლიოს. შინაომებითა და ხელისუფლებისთვის ბრძოლით იყო დასუსტებული, თუმცა, საომარი რესურსი ისევ დიდი ჰქონდა და იმ დროისათვის უზარმაზარი არმიის გამოყვანაც შეეძლო.

იმ დროს ქართლში მეფობა გაუქმებული იყო – ქართლი საერისთავოდ ითვლებოდა. აფხაზეთი, ტაო-კლარჯეთი და კახეთი მზარდი სიძლიერის ქართულ სახელმწიფოებად მოიაზრებოდა. ტფილისი არაბი ამირას ხელში იყო. ამირა საჰაკი ცდილობდა, საამირო დამოუკიდებლად ემართა და არ დამორჩილებოდა არაბთა თეოკრატიული სახელმწიფოს მეთაურს – ხალიფას.

ასეთივე მდგომარეობა იყო მეზობელ რეგიონებში. გარდა ამისა, ამ დროს დიდი დაპირისპირება არსებობდა ხაზარებსა და არაბებს შორის, ამ დაპირისპირების ფრონტი კი კავკასიაზე გადიოდა.



სახალიფოში წესრიგის დასამყარებლად და არაბული ინტერესების გასავრცელებლად ხალიფამ კავკასიაში გამოგზავნა დამსჯელი ექსპედიცია ბუღა თურქის (ბუღა ალ-ქაბირის) მეთაურობით, რომელიც 200 000 მეომარს შემოუძღვა საქართველოში. ამ დროს თურქები დიდ როლს თამაშობდნენ ხალიფატის ცხოვრებაში.

საჰაკს ეხმარებოდა, უფრო თუ დავაზუსტებთ, ბუღას ანუ ხალიფას ებრძოდა, ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი, ვინაიდან, ეს ვითარება ასუსტებდა ხალიფატს. მათ შორის იყო აფხაზთა მეფე დიმიტრი II და 85 წლის კოსტანტი კახი.

თუმცა, თავისი ინტერესების გასატარებლად ბუღას მხარეს გამოვიდა ტაო-კლარჯეთის ხელმწიფე, ბაგრატ I კურაპალატი, აშოტ I დიდის ძე.

როგორც ვთქვით, ამ დროს საქართველო ჯერ არ იყო გაერთიანებული და ყოველი სამთავრო სხვადასხვა რესურსით ცდილობდა თავისი ტერიტორიების გაზრდას, საქართველოს გაერთიანებას და, ასევე, გარკვეულწილად, თავის დაცვასაც.

ბაგრატ კურაპალატი ადრეც გამოსულა ხალიფატის მხარეზე, თუმცა, შემდეგ საჰაკს ემხრობოდა. მას უნდოდა, ქართლს დაჰპატრონებოდა, რაც ასევე სურდა აფხაზთა მეფეს.

ამ შემთხვევაში ქართველი პოლიტიკოსების ნაწილის გამოსვლა ბუღას წინააღმდეგ საკუთარი თავისა და მოსახლეობის გადარჩენის სურვილიცაა. აფხაზთა მეფეს ჰქონდა ბრძოლები ბიზანტიასთანაც. ტაო-კლარჯეთის ხელმწიფეები იძულებულები იყვნენ, ბიზანტიის სუზერენიტეტი სიტყვით მაინც ელიარებინათ და ბიზანტიური ტიტულები ეტარებინათ.

ბუღამ მოახერხა და ცალკე დაამარცხა საჰაკ ამირა და, 853 წლის 5 აგვისტოს, შაბათ დღეს, აიღო ტფილისი. ამირას თავი მოჰკვეთა, ქალაქი გადაწვა და 50 000 ტფილისელი ამოხოცა. მათ შორის, გარდა არაბებისა, ალბათ, უამრავი ქართველიც იქნებოდა – ტფილისის მოქალაქენი და სხვები.

ამის შემდეგ, მრავალრიცხოვანი არაბული არმია დაიძრა აფხაზეთისკენ და, 11 აგვისტოს დაამარცხეს აფხაზთა მეფე. შემდეგ ბუღა თურქმა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დამორჩილება სცადა, რაც არ გამოუვიდა.

11 აგვისტოს ბუღას სარდალმა ზირაქმა, რომლის მეთაურობითაც აიღეს ტფილისი, დაატყვევა ქართველი დიდებული კოსტანტი კახი და მისი ძე – თარხუჯი.

„კოსტანტი კახის მარტვილობა" დაწერა ჩვენთვის უცნობმა პირმა. ავტორის შესახებ არაფერია ცნობილი. ის, შესაძლოა, ყოფილიყო აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ცენტრებიდან მოშორებით, სადმე მონასტერში მოღვაწე ბერი.

ნაწარმოები უნდა დაწერილიყო 853-856 წლებში, ბიზანტიაში დედოფალ თეოდორას მმართველობის ხანაში, კოსტანტი კახის წამებიდან თეოდორა დედოფლის გარდაცვალებამდე შუალედში, რადგან, ნაწარმოებში ნახსენებია დედოფალი თეოდორა, რომელიც თავს ქართველების სუზერენად მიიჩნევდა. თეოდორა გარდაიცვალა 856 წელს.

დედოფალი თეოდორა, ხატმბრძოლი იმპერატორის – თეოფილეს ქვრივი იყო. იგი, ქმრის გარდაცვალების შემდეგ, 842 წლიდან, შვილის, მიხეილ III-ის მცირეწლოვნობის გამო, ბიზანტიის ფაქტობრივი მმართველი გახლდათ. მან მოიწვია საეკლესიო კრება და აღადგენინა ხატთა თაყვანისცემა, რისთვისაც ის წმიდანადაა შერაცხილი მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ.

კოსტანტი კახი გახლდათ ერთ-ერთი გავლენიანი ქართველი დიდებული, წარმოშობით, ალბათ, კახეთიდან, რადგან „კახაის" უწოდებდნენ „სახელად მამულისა მის ქვეყნისა".

ამიერკავკასიაში ბუღა თურქის შემოსევის დროს კოსტანტი კახი უკვე 85 წლისა ყოფილა. კეთილშობილ ქართველს დიდი რწმენა ჰქონდა ქრისტესი. ყოფილა ძალიან სტუმართმოყვარე და გლახაკთმოწყალე. მის სამფლობელოში მისვლა უხაროდათ გლახაკებს, რადგან დაუპურებლად, დაუსაჩუქრებლად და შეუმოსავად არავის გაუშვებდა.

დიდი მოწიწება ჰქონია სასულიერო პირებისა – თუ რომელიმე მღვდელმთავარი ან ბერი ეწვეოდა მას, მიწამდე თაყვანს სცემდა მორჩილად და დიდ პატივს მიაგებდა ხოლმე.

მოლოცვილი ჰქონია, თურმე, იერუსალიმი და წმინდა მიწაზე არსებული სხვა სიწმინდეები, სადაც დიდი საფასე შეწირა ეკლესიებს.

დატყვევებული კოსტანტი კახი ტფილისში მიჰგვარეს ბუღა თურქს. არაბთა სარდალი დიდხანს არწმუნებდა ქართველ დიდებულს, მიეღო მაჰმადიანობა, გამოეცხადებინა მორჩილება და სანაცვლოდ თავისუფლებას ჰპირდებოდა.

როცა ვერას გახდა, ტყვე გაგზავნა თავის სუზერენთან, არაბთა იმდროინდელ საერო და სასულიერო უზენაეს ხელისუფალთან – ხალიფა ჯაფარ ალ-მუთავაქილთან, რომელიც იმჟამად ქალაქ სამარაში იჯდა. ის ტახტზე ავიდა ძმის გარდაცვალების შემდეგ და სახალიფოს განაგებდა 847-861 წლებში.

ეს ქალაქი სამარა სახალიფოს ძველი ცენტრიდან, ბაღდადიდან, ჩრდილოეთით, დაახლოებით 125 კილომეტრშია. აქ უძველესი ქალაქის ნანგრევებზე აბასიდების ხალიფებმა 833 წელს წამოიწყეს ახალი ქალაქის მშენებლობა. იმ დროს ისინი ბაღდადს ვერ აკონტროლებდნენ.

ხალიფა ჯაფარი ძალიან დაუნდობელი ადამიანი იყო. მან კვლავ გააძლიერა სუნიზმი სახალიფოში, თუმცა თვითონ ძალიან ჰყვარებია მაჰმადიანთათვის აკრძალული ღვინო და, ასევე, ქალები – ჰარამხანაში 4 000 ხარჭა ჰყოლია. ჯაფარმა ქრისტიანები და იუდეველები ძალიან შეზღუდა, აიძულა, ტანსაცმელზე განმასხვავებელი ნიშნები გამოესახათ, ქონების მეათედი ჩამოართვა და მაჰმადიან მასწავლებლებს მათი შვილების განსწავლა აუკრძალა.

ამ ხალიფას, ასევე, უნდოდა, სახალიფოს ძველი დიდება აღედგინა, დაემარცხებინა ხაზარები და, ამიტომ, ძველი ვასალების დამორჩილებას ცდილობდა. სწორედ ამ მიზნით ილაშქრა მისმა სარდალმა ბუღა თურქმა ამიერკავკასიაშიც.

კოსტანტი კახი სამარაში მიჰგვარეს ხალიფას. ჯაფარმა იცოდა, რომ ამ დიდებულ კაცს ძალიან დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მთელ ქრისტიანულ სამყაროში და მის გადაბირებას ცდილობდა. ის დიდხანს არწმუნებდა ქართველ დიდებულს, მაგრამ, ვერას გახდა. ამის შემდეგ, სომხეთში ტყვედ აყვანილი, უკვე გამაჰმადიანებული და ამის გამო მის მიერვე განდიდებული ორი დიდებული მიუგზავნა კოსტანტი კახს, რათა მათ გადაებირებინათ ქრისტეს ერთგული მოხუცი. ხალიფა ფიქრობდა, რომ რჯულშეცვლილი სომეხი დიდებულების მაგალითი დაარწმუნებდა მათი მეზობელი ხალხის გმირს. მაგრამ, ეს მცდელობაც უშედეგოდ დამთავრდა.

კოსტანტი კახმა ხმამაღლა დაიწყო გალობა: „გიგალობ შენ, უფალო, ღმერთო ძალთაო, ღმერთო საუკუნეთაო"... – და თან ცრემლის ნაკადული სდიოდა.

იქ მყოფები დიდხანს სცემდნენ, მაგრამ, ვერ გააჩუმეს მოხუცი ქართველი ქრისტიანი.

სომეხმა დიდებულებმა მოახსენეს ჯაფარ ხალიფას ყველაფერი. ჯაფარი მათ ბოლომდე არ ენდობოდა და, ამიტომ, დაავალა, თავად სომხებს მოეკვეთათ ქართველი დიდებულისთვის თავი.

რა უნდა ექნათ გამაჰმადიანებულ სომხებს, სხვა რა გზა ჰქონდათ სიცოცხლის გადასარჩენად... ურტყეს ერისა და სარწმუნოების ერთგულ მოხუცს მახვილი, მაგრამ, ვერ მოჰკვეთეს...

შემდეგ ხალიფამ „უცხოთესლი", ალბათ, დახელოვნებული ჯალათი და, თან, ისეთი, რომელიც არ დაინდობდა, წარავლინა და მან მოჰკვეთა თავი წმიდა კოსტანტი კახს და მიართვა თავის ხალიფას, როგორც „იოანე ნათლისმცემლისა – ჰეროდეს".

ეს მოხდა 10 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, პარასკევ დღეს.

ქართველი გმირის მოკვეთილი თავი ქალაქ სამარის ყველაზე მაღალ ბოძზე წამოაცვეს, რათა ყველას დაენახა.

როცა დედოფალმა თეოდორამ შეიტყო წმიდა კოსტანტი კახის წამების ამბავი, თანაგრძნობისა და გამამხნევებელი წერილი გამოუგზავნა მის შვილებს.

რამდენიმე წლის მერე, ბუღა ალ ქაბირს მონათესავე ხაზარებთან კავშირის ეჭვით დაატოვებინეს ყველა თანამდებობა სახალიფოში. ის ცოტა ხნით ისევ აღზევდა 862 წელს, მაგრამ, მალე გარდაიცვალა კიდეც – ამ დროს 90 წლისა ყოფილა.

მანამდე კი, 861 წელს, ხალიფა ჯაფარი მოკლეს მისივე დაცვის რაზმის მეომრებმა.

კოსტანტი კახის წმიდანად შერაცხვის შემდეგ, წარმოშობის აღმნიშვნელი – კახი (კახა) მამაკაცის საკუთარ და ქრისტიანულ სახელად იქცა.

**გიორგი მახოზეშვილი**

# რა ყალიბდება ბავშვში მშობლის რეაქციის მიხედვით და რატომ უნდა ისწავლოთ შვილის სწორი დასჯა და წახალისება

რასაკვირველია, ყველა მშობელს სურს, მისი შვილი იყოს დამჯერი, ზრდილი, ერთი თქმით ასრულებდეს ყველა მითითებას, არც მაღაზიაში შესული იწყებდეს – მიყიდე, მიყიდეს და არ ქმნიდეს ზედმეტ პრობლემას თავისი ბავშვური ჭირვეულობით. თუმცა, ცხადია, ასე არ ხდება. ჩვენ, ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ და დღეს ღიმილით გვახსენდება ჩვენივე ბავშვური ჭირვეულობები, რასაც დღეს შვილებს მკაცრად ვუკრძალავთ. თუ დაფიქრდებით, თავად მიხვდებით, რომ შვილის „გაწვრთნა" და „მორჯულება", ისე როგორც თქვენ გსურთ, უბრალოდ, სისულელეა და ეს წყლის ნაყვას უფრო ჰგავს. ბავშვი ყოველთვის უნდა იყოს ლაღი, მოუსვენარი, მიზანდასახული, მოაზროვნე და საკუთარი იდეების მქონე.

შესაძლოა, ზოგ მშობელს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ, ბავშვთან პრობლემებს ის ურთიერთობები და თვისებები ქმნის, რაც მისი სწორი განვითარებისა და ადამიანად ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია. კერძოდ, ესენია: მიზანდასახულობა, საკუთარი იდეების განხორციელება, მიზანსწრაფვა, აზრების ხმამაღლა წარმოთქმა, დამოუკიდებლობა და, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ჯიბრში ჩადგომაც კი. ზოგი მშობელი ამის წაკითხვის შემდეგ დაიბნევა და იკითხავს: კი მაგრამ, თუ ბავშვის ყველა საქციელი მოვიწონე, შევაქე და მივეცი სრული დამოუკიდებლობა, ასე როგორ შეიძლებაო. გიპასუხებთ, რომ აუცილებელია, გამოინახოს ოქროს შუალედი მშობლის აკრძალვებსა და ბავშვის თავისუფალ ქმედებებს შორის. ასეთი გონივრული ბალანსის მეშვეობით, მყარსება ის ჰარმონია ურთიერთობებში, რაც მშობელსა და ბავშვს შორის აუცილებელია.

ბავშვი, მოევლინება თუ არა ქვეყანას, მაშინვე იწყებს თვითდამკვიდრებისთვის ზრუნვას. აქედან გამომდინარე, ბავშვებს არც ისეთი უზრუნველი და უშფოთველი ცხოვრება აქვთ, როგორც ეს, ერთი შეხედვით ჩანს. ასე რომ, მათი გარშემო მყოფებთან საკუთარი თავის იდენტიფიკაცია, არც ისე იოლია. ტირილი, ყვირილი, წუწუნი, გაბუტვა – ბავშვისთვის საკუთარი უფლებების დემონსტრირებაა. ასეთ დროს კი მშობლის რეაქცია – სწორი ჩარევა, რჩევის მიცემა თუ აკრძალვები, მისთვის ხასიათის ჩამომყალიბებელი ფაქტორია. სწორედ მშობლის რეაქციის მიხედვით ყალიბდება ბავშვში მიზანდასახულობა, პრობლემებისადმი სწორი მიდგომა, წინაღობების გადალახვის გზების ადვილად მოძიება და სხვისი აზრის პატივისცემის უნარი. რასაკვირველია, განსაზღვრული ტიპის აკრძალვები აუცილებელია. თუმცა, ეს არ უნდა ეხებოდეს ბავშვის ყველა საქციელს და ის მინიმუმამდე უნდა დაიყვანოთ. მაგალითად, თუ თქვენი შვილი თავისივე თანატოლს სცემს, ხელს ურტყამს, კბენს ან თმას წიწკნის, ამ დროს კი არ უნდა უყვიროთ და ცემით, ან კუთხეში დგომით დასაჯოთ, არამედ, გაიყვანეთ ცალკე და წყნარად აუხსენით, რომ მსგავი რამ მასაც რომ გაუკეთონ, როგორ ეტკინება, ეწყინება, იტირებს და უბრალოდ, არასასიმოვნოა. შემდეგ, მისი აზრი მოისმინეთ და თუ ხვდებით, რომ ნანობს, მიიყვანეთ „დაზარალებულთან" და ბოდიში



მოახდევინეთ, ათქმევინეთ, რომ ამას არასდროს აღარ ჩაიდენს, და, რომ ეს ცუდი საქციელია. ასე რომ, ეცადეთ, პატარას სწორი შენიშვნები მისცეთ, ხშირად იზრუნოთ მის წახალისებაზე და დასჯის მეთოდებიც შესაბამისად, შედარებით დიპლომატიური შეარჩიოთ.

მშობლის მოთხოვნა, აუცილებლად უნდა შესაბამებოდეს ბავშვის ასაკს და ფიზიკურ მონაცემებს. როცა ის სათამაშოებს მიმოფანტავს და შემდეგ არ ალაგებს, აქაც მშობელმა უნდა გამოიჩინოს მის მიმართ მოთმინება. ასე კი არ უნდა უთხრას: ნახე, რას ჰგავს სახლი, ყველაფერი მიმოფანტულია და ახლავე დაალაგე თავის ადგილასო, არამედ უნდა მოეფეროს და მშვიდად უთხრას: მოდი, საყვარელო, დავალაგოთ სახლი, სათამაშოებს თავისი ადგილი მივუჩინოთ და ხვალ ისევ ვითამაშოთ დალაგებულ ოთახშიო. აკრძალვა და აღზრდა სხვადასხვა ფენომენია და ის ერთმანეთში არ უნდა აგერიოთ. თუ ეს დიქტატსა და მშობლის მკაცრ ტონში გადაიზარდა, ბავშვი ხდება გულჩათხრობილი, ჭირვეული, ჩაკეტილი. მაგრამ, თუ ბავშვი, მიუხედავად ყველაფრისა, არ ითვალისწინებს თქვენს რჩევა-დარიგებას და მაინც თავის ჭკუაზე დადის, მაშინ მისი დასჯა აუცილებელი ხდება. თუ როგორ დავსაჯოთ ბავშვი სწორად, ამასაც მშობლის მხრიდან სწორი მიდგომა უნდა. აუცილებელია, აუხსნათ მის კონკრეტულ ცუდ ქცევას რა მოჰყვება, როგორ აწყენინა მშობლებს, ბებია-ბაბუას, და-ძმას, და, არამც და არამც არ შეაშინოთ, რომ ბუა მოვა და წაიყვანს, ან პოლიციას გამოიძახებთ და დააჭერინებთ მის თავს, ან ბავშვთა სახლში ჩააბარებთ. უბრალოთ, შეაშინეთ იმით, რომ არ წაიყვანთ სასეირნოთ, არ უყიდით ნაყინს, სათამაშოს, არ წაუკითხავთ ზღაპარს, და ასე შემდეგ. მაგრამ, არ დაგავიწყდეთ, აგრძნობინოთ შვილს, რომ მისი დანაშაულიც და სასჯელიც გაწუხებთ და გულს გტკენთ, რადგან მისთვის თქვენი ემოცია და განწყობა ძალიან შესამჩნევი და გასათვალისწინებელია. არავითარ შემთხვევაში, არ შეიძლება ბავშვის დასჯა ოთახში მარტოდ ჩაკეტვით. ამ დროს შესაძლოა, ბავშვმა დანაშაულზე არ იფიქროს და მომავალში, უბრალოდ, მარტო დარჩენის შიშები დასჩემდეს.

**ხშირი და საფუძველს მოკლებული ქება ბავშვს ზედმეტ წარმოდგენას ჩამოუყალიბებს საკუთარ თავზე**

ბავშვის ხასიათის ჩამოყალიბება ხდება მისი წახალისებით და ქებითაც. ეს საკმაოდ კარგი ეფექტის მომტანია. თუმცა უსაფუძვლო ქებამ და წახალისებამ, არ არის გამორიცხული, პირიქით, პატარაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს. მაგალითად, გაათამამოს და გაუჩინოს გრძნობა, რომ ის თავის თანატოლებზე კარგია, ჭკვიანი და უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებს მათგან. თუ ბავშვი საკუთარი ინიციატივით დაალაგებს თავის ოთახს, გარეცხავს ჭურჭელს ან წიგნებს თაროზე ლამაზად დააწყობს, წაახალისეთ, წაიყვანეთ მაღაზიაში და უყიდეთ შოკოლადი, ნაყინი ან სახატავი ფანქრები. აუცილებლად გაუსვით ხაზი, რომ ეს მისი ქცევის გამო დაიმსახურა. ან, უბრალოდ, მადლობა გადაუხადეთ, ან გამოთქვით სურვილი, მისი საყვარელი თამაში ეთამაშოთ, მასთან ერთად ხატოთ ან წაუკითხოთ საყვარელი წიგნი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხშირი და საფუძველს მოკლებული ქება კი, მას ზედმეტ წარმოდგენას ჩამოუყალიბებს საკუთარ თავზე. ნუ ეტყვით ხშირად, რომ ის ყველაზე კარგი ბავშვია, ყველაზე ლამაზი და ჭკვიანია. ესეც ცუდ გავლენას მოახდენს მასზე და მომავალში გაუჭირდება სხვისი აზრის გათვალისწინება, რჩევების მიღება და რეალობასთან შეგუება.

**მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

(მე-16 გვერდიდან)

„დილას" რედაქტორი იყო, 120 მანეთი ჰქონდა ხელფასი. ეს არ იყო იმ დროს ისეთი ფული, 4-კაციან ოჯახს ფუფუნებით რომ ეცხოვრა. თეთრი პურის აკრძალვაც მახსოვს, შავი პური რომ უნდა გვეჭამა, თურმე ხრუშჩოვის „ბრძანებით". გაჭირვებაც მახსოვს და კარგი ცხოვრებაც, მერე უკვე, როცა მამას წიგნები იბეჭდებოდა. კომუნისტები კარგად იხდიდნენ ჰონორარებს. დღეს მე თუ ორი სიმღერა არ ვიმღერე, ფულს არავინ მომცემს. ახლახან მძიმე ოპერაცია გავიკეთე და ორ კვირაში სცენაზე ვიდექი. აბა, რა ვქნა? არავისგან ხელფასი არ მაქვს დანიშნული. მეგობრები მიდგანან გვერდით და ისევ მამა მეხმარება. ჩემ გვერდით ყოველთვის იყვნენ მაგარი მეგობრები – ზურა ყიფშიძე, ერთი წლით უფროსია ჩემზე. ზურა, ერეკლე ბადურაშვილი და ჩემი საძმო ერთი დღე არ მომცილებიან, როცა მიჭირდა თავზე მედგნენ. ჩვენ დაკარგული თაობა გვიწოდეს, ვინაა დაკარგული? ერეკლე, ზურა, გია მირზაშვილი, გიგი სულაკაური თუ მე? ჩვენ არ ვართ დაკარგულები. ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც არ იცის „ნოტები", მაგრამ იცის, როგორ აკეთოს კარგად თავისი საქმე.

# რატომ არის მამუკა ჩარკვიანი მძიმე კაცი და რისგან არ იხსნა ის მამამ

**– მამა ერთ ინტერვიუში ამბობს, მამუკა არ დამემსგავსა ქალების მიმართ დამოკიდებულებაშიო.**

– ქალები ორივეს გვიყვარდა, მაგრამ მას ერთი ცოლი ჰყავდა, მე – ორი. ასე მოხდა ჩემთან, ასე აეწყო ჩემი ცხოვრება. ახლა პირველი ოჯახიდან ერთი შვილი და სამი შვილიშვილი მყავს. 37 წლის ვიყავი, როცა ირმას შევხვდი. მერე გაჩნდა ჯაკო. ჩემი ოჯახის წევრებისთვის არ იყო იოლი ჩემი ატანა. ცოტა მძიმე კაცი ვარ – ყველაფერი მიყვარს იმწუთას. რამე თუ ავიჩემე, ის უნდა გაკეთდეს. ეს „სტრანნი" რამეა. ერთი პერიოდი, ძალიან ვსვამდი. გამომიყვანდნენ სიტუაციიდან, დავწერდი სიმღერას, შევიდოდი ისევ. რვა წელია, აღარ დამილევია. ჩვენს თაობაში ალკოჰოლი, ნარკოტიკი ჩვეულებრივი ამბავი იყო. მე ნარკოტიკზე ნაკლებად ვიყავი დამოკიდებული. იმით გადავრჩი, რომ ღვინო, გიტარა, ქალები მერჩივნა. მარტოხელა კაცი ვიყავი და ასეთი ცხოვრების წესი მქონდა. ჩვენებმა მიშველეს, თორემ ცუდად დავამთავრებდი ცხოვრებას. ძალიან დამეხმარა მუსიკაც, რომელიც ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ახლა კორსეტით მივედი კონცერტზე, ორი დრენაჟი მეკეთა. კონცერტზე ჩემი გიტარა წავიღე, რად გინდა გიტარაო? – მკითხეს. აწყობილი პროგრამა შევცვალე, ჩემი გიტარით მივედი იქ. 10-12 სიმღერა ვიმღერე ცოცხლად. კონცერტზე ისე გამოვედი, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ათი დღის გაკეთებული მქონდა ოპერაცია. სცენაზე ისე შემიყვანეს, სიბნელე იყო და ვერ დაინახეს, რა დამიჯდა იქ შესვლა. ვარსკვლავის გახსნაზე კი „კატალკით" ჩამიყვანეს. ყველა მიხვდა, რომ ჩერეზ „ნე მაგუ" ვიმღერე. გაგიჟდა ხალხი, როცა გაიგეს, რაც მჭირდა. აი, ამას აქვს ფასი, რომ ამოიღებ შენს გულს, ჯიგარს და დადებ. ამას, იცით, როგორ გრძნობს ხალხი? ისე, როგორც მე ვგრძნობ, რომ მუსიკის გარეშე არ შემიძლია, რომ სიმღერა სიცოცხლისთვის მჭირდება.

**თამუნა სამადაშვილი**

„ცხოვრებამ იმდენი რამ მანახა, ამას ვერასდროს ვინატრებდი... საქართველოში ყველაფერი მქონდა, რაც შეიძლება, ადამიანმა ინატროს და ამერიკაში მინუსიდან დავიწყე ყველაფერი. პირველივე დღიდან ვიბრძოდი იმისთვის, რომ სიტუაციიდან გამოვსულიყავი. 6 თვის განმავლობაში სულ ვტიროდი, ჩემი ტვინი ვერ აზროვნებდა, ვერ ხვდებოდა: რა უნდა მეკეთებინა. 6 თვის შემდეგ, სარკეში საკუთარი თავი რომ დავინახე, მივხვდი, ასე არ შეიძლებოდა ცხოვრების გაგრძელება. მე საქართველოში წლინახევრის შვილი დავტოვე, ეს ყველაზე დიდი საშინელებაა – მარიამის სუნს ამდენი წლის შემდეგ დღესაც ვგრძნობ. მივხვდი: არ მქონდა იმის უფლება, საკუთარი თავი დამეკნინებინა, ხელი ჩამექნია. ამიტომ, დავიწყე არსებობისთვის ბრძოლა. ჩემი შვილი ისევ საქართველოშია, მას ჩემი ძმა და რძალი ზრდიან. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი კარგი ადამიანები მყავს ოჯახში. ისინი მას იმას აძლევენ, რასაც მე ვერ მივცემ, რადგან მე რესტორანში ვცხოვრობ, სხვანაირად არაფერი გამოვა...“ – ეს სიტყვები თბილისში ერთ დროს ძალიან წარმატებულ პლასტიკურ ქირურგს, მაია დვალაძეს ეკუთვნის. რომელმაც გარკვეული პრობლემების გამო, წარმატებული კარიერა მიატოვა, წლინახევრის შვილი საქართველოში დატოვა და ამერიკაში წავიდა ცხოვრების მინუსიდან დასაწყებად. დღეს მაია პლასტიკურ ქირურგად აღარ მუშაობს, მაგრამ მანჰეტენზე აქვს საკუთარი, ქართული რესტორანი „ოდა ჰაუსი“, რომელიც ძალიან მცირე დროში საკმაოდ პოპულარული და წარმატებული გახდა.

# რაში აიღო პირველი „ოსკარი“ საქართველოში წლების წინ წარმატებულმა პლასტიკურმა ქირურგმა მაია დვალაძემ და როგორ გახსნა მან მანჰეტენზე ქართული რესტორანი, რომელსაც 8 თვეში ვარსკვლავი მიანიჭეს

**მაია დვალაძე:** თბილისში დავიბადე, გავიზარდე, დავამთავრე სამედიცინო უნივერსიტეტი. შემდეგ ვსწავლობდი და ვმუშაობდი ჯერ ბულგარეთში, შემდეგ საფრანგეთში, ლიონში... ბულგარეთში მუშაობისას გავიცანი ჩემი პროფესორი, ალან ტენემბაუმი, რომელიც მთელი მსოფლიოს პლასტიკური ქირურგების ათეულშია შესული. ლიონში პლასტიკური ქირურგიის სკოლა საკმაოდ ძლიერია. მისვლისთანავე ორ ოპერაციაზე დამაყენა, აინტერესებდა, რას ვიზამდი და შემდეგ ამიყვანა თავის ჯგუფში. სწორედ საფრანგეთში ავირჩიე პლასტიკური ქირურგია. შემდეგ ისევ ბულგარეთში დავბრუნდი, იქიდან კი 1997 წლის ბოლოს საქართველოში ჩამოვედი. ჯერ ვმუშაობდი ქირურგიის ინსტიტუტში, შემდეგ ერთ-ერთ კლინიკაში. მერე კი საკუთარი კლინიკაც გავხსენი, რომელიც მხოლოდ ერთი წელი ფუნქციონირებდა... 1997 წლიდან 2007 წლამდე, ფაქტობრივად, 10 წელი პლასტიკურ ქირურგად ვიმუშავე. ერთ დღესაც ამერიკაში მიმიწვიეს კონფერენციაზე, ჩამოვედი და საბოლოოდ, აქ დავრჩი.

**– როგორც ვიცი, საქართველოში საკმაოდ წარმატებული კარიერა გქონდათ. იმ დროს ერთ-ერთი ცნობილი პლასტიკური ქირურგი იყავით, ვისთანაც მაშინდელი ბომონდი და არა მხოლოდ ისინი, იკეთებდნენ პლასტიკურ ოპერაციებს.**

– კი, რადგან პირველი ვიყავი წოპეს შემდეგ. ვერ ვიტყვი მათ სახელებს, ძალიან ბევრნი იყვნენ. თან, იმ დროს უმეტესობა ამას მალავდა. ძირითადად, ვმუშაობდი ლიპოსაქციებზე, აბდომინო-პლასტიკებზე, რინო-პლასტიკებზე, ნეფარო-პლასტიკებზე, მკერდის პლასტიკაზე. მაშინ ყველაზე მოთხოვნადი მაინც ლიპოსაქცია იყო. ლიპოსაქციის გაკეთება ალან ტენემბაუმმა მასწავლა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ლიპოსაქციის „მამაა“. მას მეუღლემ შვიდი შვილი გაუჩინა და იმის გამო, რომ ცოლი ფორმაში ჰყოლოდა, გამოიგონა ლიპოსაქციის ის მეთოდი, რასაც მე ვაკეთებდი. საკმაოდ კარგი შედეგი მქონდა, დღეს ჩემი საქმე ძალიან მენატრება. როდესაც ამერიკაში ჩამოვედი, დაახლოებით 2 წლის შემდეგ, გავაგზავნე ჩემი საბუთები სპეციალურ დეპარტამენტში, სადაც მას განიხილავენ და ისევ პროცესშია. ხალხი ერთ დიპლომს აგზავნის და მე კი სამი გავაგზავნე... ანუ, ამ განხილვის შემდეგ გარკვეულ წოდებას განიჭებენ, თუმცა მაინც უნდა ისწავლო. მაგრამ, ეს რომ არ გამეკეთებინა, მაშინ თავიდან უნდა დამეწყო ყველაფერი. როცა 17 წელია, ექიმი ხარ, ძალიან რთულია თავიდან დაიწყო ყველაფერი. აქ შემომთავაზეს ექიმის ასისტენტი ვყოფილიყავი. მაგრამ, როცა მთელი ცხოვრება ხელში ლანცეტი გიჭირავს, ძალიან ძნელია, ვიღაცას ასისტენტობა გაუწიო...

**– რა მოხდა კონფერენციის შემდეგ?**

– კონფერენცია ლას-ვეგაში იყო. იქიდან დავბრუნდი ნიუ-იორკში, სადაც ძალიან ბევრი მეგობარი მყავს და დავრჩი, რადგან ასე იყო საჭირო.... ხალხი მალავს ასეთ რაღაცეებს, მაგრამ მე დასამალი არაფერი მაქვს. 25 სექტემბერს ოპერაცია გავაკეთე და 30 სექტემბერს ბებიასთან დავიწყე მუშაობა. თან, ისეთი ხასიათი ჰქონდა, ვერ გეტყვით... დიდი წითელი ფლომასტერი ვიყიდე და იმით ვშლიდი კალენდარში ყოველ დღეს, რომელიც ჩაივლიდა. ეს ბებია ღმერთმა გამომიგზავნა, საკმაოდ დიდ ფულს მიხდიდნენ და მალე გავისტუმრე ვალი, რის გამოც დავრჩი ამერიკაში. შემდეგ ბებიაც ჩააბარეს მოხუცებულთა თავშესაფარში. უკვე მიწევდა სხვადასხვა სამსახურში მუშაობა. ერთ დღესაც ჩემს ახლობელს დაბადების დღეზე ტორტი გამოვუცხვე. დაახლოებით 40 კაცი იყო რესტორანში და შემდეგ ყველა სათითაოდ მირეკავდა: თუ შეიძლება, რომ ტორტი შეგიკვეთოთო. ასე რომ, დაახლოებით 3 წელი ვიცხოვრე ჩემი ტორტებით, თან ერთი-ორი საფირმო ტორტი მაქვს.



„ნიუ-იორკ თაიმსში“ ჩემ შესახებ ასეთი რამ დაწერეს: „ის პლასტიკური ქირურგი იყო ნიუ-იორკში ჩამოსვლამდე, აქ მან თავის დანას მისამართი შეუცვალა“

ვიქირავე სახლი და იქ ვაკეთებდი ყველაფერს. მარტო ვაცხობდი, არავინ მყოლია დამხმარე. რესტორნები, ოჯახები მიკვეთავდნენ ტორტებს და თავად მიმქონდა ავტომობილით. ისეთი გადარბენები მქონდა, არ მკითხოთ. ეს იყო თავის რჩენის კარგი საშუალება. თან ბავშვობიდან მიყვარდა კულინარობა. 7 წლის ვიყავი, პირველი ტორტი რომ გამოვაცხვე. დედა და მამა ფილმს უყურებდნენ, მე კი ჩემი ცხელ-ცხელი ნამცხვრით შევედი. დღემდე მახსოვს მამაჩემის გაოცებული სახე. სულ ვამბობ: ღმერთმა ორი რამის ნიჭი მომცა-მეთქი: ადამიანების სიყვარულის და საჭმელების კეთების. სამსახურს რომ ვეძებდი და მეკითხებოდნენ: ვინ ვიყავი, ვპასუხობდი, პლასტიკური ქირურგი-მეთქი. მაშინვე უკან იხევდნენ – როგორ შეიძლება, პლასტიკურმა ქირურგმა კერძების კარგად მომზადება იცოდესო. მაშინ ვთქვი: კარგი-მეთქი და ჩავაბარე მანჰეტენზე საკმაოდ პრესტიჟულ კულინარიულ სკოლაში. ძალიან კარგი მასწავლებლები მყავდა. მასწავლეს იმ ყველაფრის მართვა, რასაც ახლა მე ვაკეთებ. იტალიელი შეფი მყავდა, სულ მეუბნებოდა: შენ მე ვერაფრით გამაკვირვებო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვაკვირვებდი. სკოლაში ორჯერ გავიმარჯვე კონკურსში. ნიუ-იორკში ყოველწლიურად ტარდება კულინარიული კონკურსი, რომელშიც ძალიან ბევრჯერ მივიღე მონაწილეობა და იქაც გავიმარჯვე – შეფის ოქროსფერი სტატუეტი მაქვს. სულ ვამბობ, ეს ჩემი „ოსკარია-მეთქი“. ახლა პროფესიონალი შეფი ვარ, ჩემი ჰობი უკვე ჩემი პროფესიაა. რომ დამირეკონ და მითხრან: მობრძანდით, ქალბატონო მაია და როგორც ექიმმა, ისე იმუშავეთო, უარს ვეტყვი. ღმერთი ერთ კარს რომ გიკეტავს, მეორეს გიხსნის. ის კარი 17 წელი იყო ღია, ახლა კი ეს კარია ღია.

**– რა არის ამ სფეროში თქვენი ყველაზე დიდი პლუსი?**

– ძალიან სწრაფი ვარ. ეს პლუსიც არის და მინუსიც. ასევე, შემიძლია, ნებისმიერი ინგრედიენტით მოგიმზადოთ კერძი. ინგრედიენტს რომ ვუყურებ, უკვე ვიცი, მისგან რა გამოვა. რაც შეეხება ჩემს საქმიანობას, მიმიწვიეს „მარი ვანნაში“ „ეგზეკუტივ შეფად“. ეს არის რუსული რესტორანი მანჰეტენზე. „მარი ვანნას“ მეპატროენეებს უნდოდათ ქართული რესტორნის გახსნა და რომ მნახეს, ჩამავლეს ხელი და აღარსად გამიშვეს. რამდენიმე თვის შემდეგ წამოვედი იქიდან. ჩემს ახლობელს ბრუკლინში უნდოდა საცხობის გახსნა და მას მივეხმარე – ბრუკლინში წავედი. შემდეგ მანჰეტენზე ვიპოვე ადგილი, სადაც გავხსენი „ოდა ჰაუსი“. მანამდე იქ იყო იტალიური რესტორანი. პატრონი ბიზნესს ჰყიდდა და პირველად რომ შევედი, მივხვდი: ეს იყო ჩემი რესტორანი. საკ-

(გაგრძელება 78-ე გვერდზე)

**მომღერალი აჩიკო მეფარიძე მსმენელმა 15 წლის წინ გაიცნო და მას შემდეგ არაერთი საინტერესო სიმღერა შესთავაზა მსმენელს. ბოლო დროს იშვიათად ჩანდა საქართველოში, მაგრამ როგორც თავად გვითხრა, ამჯერად შემოდგომისთვის გრანდიოზულ პროექტს ჰპირდება მსმენელს. როგორ გახდა ექიმი, წლების შემდეგ ცნობილი მომღერალი, ამას და სხვა საინტერესო ამბავსაც, მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რა ხდებოდა აჩიკო მეფარიძის ცხოვრებაში სიმღერამდე „მითხარი“

**– მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს იშვიათად ჩანხართ, გამოჩენისთანავე ყურადღების ცენტრში ექცევით. ყოველთვის ფორმაში ხართ და აკმაყოფილებთ ყველა სტანდარტს, რაც მომღერალს მოეთხოვება. როგორ ახერხებთ წლების განმავლობაში მუდმივად ფორმაში ყოფნას?**

– დიდი მადლობა ასეთი სიტყვებისთვის. ალბათ, ასე ვცხოვრობ და თავისთავად ხდება მერე უკვე ყველაფერი. ეს არის ცხოვრების წესი, რომელსაც თავად ირჩევ და მიჰყვები. მომღერლობა მარტო ის არ არის, რომ სიმღერა შეგეძლოს, ეს სტატუსიც უნდა ატარო. არსებობს მოვალეობების გარკვეული ნუსხა, რაშიც ასევე, შედის, რომ ყოველთვის იყო ფორმაში, მზად და მობილიზებული. საერთოდ, რა იმიჯსაც შეიქმნი, ის უნდა ატარო ძალიან ამაყად, თავდაჭერილად და თამამად. რა თქმა უნდა, გათავისებული უნდა გქონდეს, რომ ეს შენია. ეს ყველაფერი კი მერწმუნეთ, თავისთავად ხდება.

**– მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ გვიან გამოჩნდით, ეს ტყვიის გასროლასავით მოხდა. მაშინვე ყურადღების ცენტრში აღმოჩნდით. სიმღერით „მითხარი,“ რომელიც რუსა მორჩილაძემ სპეციალურად თქვენთვის დაწერა, ალბათ, ყველაფერი ნათქვანმი იყო თქვენი მხრიდან საწყისი ეტაპისთვის.**

– ნამდვილად ასე იყო. მიმაჩნია, რომ ყველას თავის ვარსკვლავი და ადგილი აქვს სამყაროში. ზოგთან მის შემოქმედებაში შემოვარდნის, აფეთქვებისა და წარმატების პერიოდი მოდის გამოჩენისთანავე, ზოგთან – არა. იღბალიც სწორედ ეს არის. რუსა მორჩილაძის „მითხარი,“ მართალია, ჩემთვის ეს პირველი ნამღერი არ იყო, თუმცა ფართო მასისთვის სწორედ ამ სიმღერით გავხდი პოპულარული. მანამდეც საკმაოდ კარგად მიცნობდა მუსიკალური საზოგადოება, მაგრამ მსმენელთა უმეტესობამ მოგვიანებით გამიცნო. ჩემი შემოქმედება მათთვის ცნობილი გახდა სწორედ სიმღერით „მითხარი.“ მე და რუსა მორჩილაძემ ერთმანეთი გავხადეთ პოპულარული. რუსამ მართლა ძალიან ბევრი კარგი სიმღერა დაწერა და მეც ბევრი მაქვს მისი შემოქმედებიდან შესრულებული.

**– ბოლო დროს იშვიათად ჩანხართ საქართველოში. ამჟამად თბილისში იმყოფებით და საინტერესოა, რაიმე კონკრეტული გეგმა თუ გაქვთ მუსიკალურ კარიერასთან დაკავშირებით?**

– ბოლო წლებია, მოსკოვში ვცხოვრობ და იქ ვმოღვაწეობ. ამჯერად კი, ოჯახური პირობების გამო, გადავწყვიტე, ამ ეტაპზე აქ ვყოფილიყავი. რა თქმა უნდა, გეგმებიც მაქვს ძალიან კარგი, რომელსაც ჯერ ვერ გავახმაუროებ. როგორც იტყვიან, თვალი არ ეცეს. შემიძლია, გითხრათ ერთი, რომ მაყურებელს და მსმენელს კარგ რაღაცეებს ვპირდებით, რასაც აუცილებლად გავაკეთებთ.

**– კარგი პროექტები ნამდვილად გვჭირდება. წლების წინ იყო ჯანსაღი კონკურენცია, არსებობდა მუსიკალური არხები და მომღერლებსაც უფრო დიდი სტიმული გქონდათ კლიპების გადაღებისა და რომელიმე არხზე მისი გამოჩენის.**

– ჩემი პირველი ჰიტი „მითხარი“ 1999 წელს შეიქმნა, რომლის შემდეგაც 15 წელი გავიდა. სამწუხაროდ, ბოლო 10 წელი იმას დაეთმო, რომ მთელი შოუ-ბიზნესი, ტელესივრციდან გამქრალიყო და პოლიტიკოსების დუეტებით ჩანაცვლებულიყო და ასე შემდეგ. ეს სწორი არ იყო, რადგან შოუ-ბიზნესს თავისი ადგილი აქვს, პოლიტიკას კი – თავისი. ამიტომ, ერთი მეორეს ხელს არ უნდა უშლიდეს. რაც უფრო პოლიტიზებულია მოსახლეობა, მისი ცხოვრება მით უფრო დაძაბული და ნერვულია. ძალიან ბევრია ისეთი ქვეყანა, სადაც საერთოდ არც კი იციან მთავრობის სათავეში ვინ არის. ხალხიც მშვენივრად ცხოვრობს, მშვიდად არიან და კარგად გრძნობენ თავს. მაშინაც ვამბობდი და ახლაც ვიტყვი, ტელესივრციდან არ შეიძლება შოუ-ბიზნესის აორთქლება.



**მედიცინით დღესაც ვარ დაკავებული. დღე არ გავა, ვინმემ არ დამირეკოს და რჩევა არ მკითხოს. ეს ძალიან კარგია და მახარებს. მოსკოვში ერთ-ერთი სტომატოლოგიური კლინიკის დამფუძნებელი ვარ**

**– ალბათ, თქვენი ძირითადი პროფესია მაინც ექიმობაა.**

– რთულია ამის თქმა, რომელია ჩემთვის ძირითადი პროფესია. იმ პერიოდში, როცა მედიცინით ვიყავი დაკავებული, მაშინ ჩემი ძირითადი პროფესია ის იყო, შემდეგ კი, პროფესია შევიცვალე. ექიმი ბუნებით უნდა იყო, უნდა გიყვარდეს პაციენტი და ცდილობდე, მის განკურნებას ნებისმიერი გზით – იქნება ეს სიტყვით, მედიკამენტით თუ პროცედურით, არ აქვს ამას მნიშვნელობა. მე ძალიან მიყვარს პაციენტები, ამიტომ, რა თქმა უნდა, მედიცინით დღესაც ვარ დაკავებული. დღე არ გავა, ვინმემ არ დამირეკოს და რჩევა არ მკითხოს. ეს ძალიან კარგია და მახარებს. მოსკოვში ერთ-ერთი სტომატოლოგიური კლინიკის დამფუძნებელი ვარ. მართალია სტომატოლოგია ცალკე განხრაა, მაგრამ ძალიან საინტერესოა. აქ მოღვაწეობას რაც შეეხება, არ ვიცი. შეიძლება, ისე მოხდეს, რომ მედიცინას ისევ დავუბრუნდე და ისევ შევეხო ამ პროფესიას.

**– მოწოდებით ექიმმა ერთ დღესაც გაიღვიძეთ და მიხვდით, რომ მომღერლის პროფესიაც უნდა შეგეთავსებინათ, თუ როგორ მოხდა ეს ყველაფერი?**

– როგორც გითხარით, ადრეც ვმღეროდი და სიმღერა 15 წლის წინ არ დამიწყია. მინდა, ისიც გითხრათ, რომ სანამ „მითხარის“ ვიმღერებდი, მანამდე ქართული სიმღერა არც მიმღერია. ადრე უნივერსიტეტის ორკესტრი არსებობდა, სადაც ვმღეროდი. მას ძალიან კარგი ჯაზმენი და ამჟამად კომპოზიტორი, ენრი ლოლაშვილი ხელმძღვანელობდა. ძალიან საინტერესო პროგრამა გვქონდა, ეს იყო სოული და ჯაზი, რასაც მე ვმღეროდი იქ. ასევე, ვმღეროდი ხალხურ ანსამბლშიც. რამდენიმე საგალობელიც კი ვისწავლე, რაც ჩემთვის საინტერესო იყო. არაჩვეულებრივი პედაგოგი, კოტე მშვიდობაძე ხელმძღვანელობდა ამ ანსამბლს. რუსეთში ვსწავლობდი და სტუდენტობის დროს მქონდა მცდელობა, ქართული სიმღერები მემღერა და მისგან ახალი, უფრო თანამედროვე ვერსიები გამეკეთებინა. მაგრამ, არც ერთი ისეთი ღირებული არ გამოვიდა, მაგალითად, როგორც იყო „მითხარი.“

**– ალბათ, იმიტომ რომ, „მითხარი“ სპეციალურად თქვენთვის დაიწერა და მანამდე არავის ჰქონდა ნამღერი.**

– თან, სრულიად ახალი სტილის სიმღერა იყო. ამიტომაც გახდა პოპულარული გაჟღერებისთანავე და პოპ-მუსიკის განვითარებაში ახალი ეტაპი შემოიტანა. როცა დავრწმუნდი, რომ კარგი გამოვიდა, ამიტომაც გავაჟღერეთ ის რადიოებსა და ტელევიზიებში. შემდეგ კი მასზე კლიპიც გადავიღეთ. ალბათ, ყველაფერს თავისი დრო აქვს.

**– რუსეთში გამგზავრებას როდის გეგმავთ?**

– ჯერჯერობით აქეთ ვიქნები, რადგან შემოდგომისთვის დიდ პროექტს ვამზადებთ. ბევრ საინტერესო სიმღერას და კლიპს იხილავთ ახლო მომავალში. ეს იქნება შემოდგომის დასაწყისისთვის. იქნება უფრო გრანდიოზული, ვიდრე აქამდე შეგვითავაზებია მაყურებლისთვის.

**მარიკა ხიდურელი**

## გია და დეა თოდუების გახსენება



„ძნელია, როცა ტირილი გინდა, ძნელია, როცა ტირილს ვერ ბედავ. ძნელია, როცა სიცილი გინდა და ამ სიცილის მიზეზს ვერ ხედავ. ძნელია, როცა შენ გული გტკივა, რომ ველარა გრძნობ ვერავის სითბოს. ძნელია, როცა ხელებზე გცივა და ლამაზ ხელებს არავინ გითბობს. ძნელია, როცა თვალები სველი ვერ იძინებენ, არ წყდება თოვა. ძნელია, როცა ვიღაცას ელი და თან იცი, რომ ის აღარ მოვა“... ეს კახა ყურაშვილის გულიდან ამოხეთქილი სიტყვებია... ასე უყვართ და ასე სტკივათ გია თოდუა მეგობრებს დღემდე.... დღეს, უკვე მერამდენედ ავღნიშნავთ 4 ივნისს გიოსა და დეას გარეშე, ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული! ძალიან გვაკლიხართ, გვენატრებით და გვიყვარხართ! რაც დრო გადის მით უფრო ძლიერდება მონატრება, ერთად გავლილი საუკეთესო წლები, სამწუხაროდ, მხოლოდ მოგონებებში დარჩა ახლობლებისა და მეგობრების მეხსიერებაში, სადაც დატოვე წარუშლელი კვალი, დიდი ადამიანობისა, სიყვარულისა, ერთგულებისა და ვაჟკაცობისა, ტკივილი და დიდი მონატრება, რაც თქვენს ახლობლებს დაუტოვეთ, არავინ იცის... შენ რომ ჩვენს გვერდით ყოფილიყავი იქნებ ყველას ცხოვრება შეგეცვალა, რადგან შენ იყავი საუკეთესო ჩვენთაგანი, გვტკივა, გვტკივა და კიდევ ბევრჯერ გვტკივა, ვერაფერს ვამბობთ სანუგეშოს, გარდა იმისა, რომ ვიამაყოთ შენი ლამაზი და სწორად ნაცხოვრები ცხოვრების მოგონებებით! ნათელში ამყოფოს თქვენი სული უფალმა!

**ოჯახი**

# ბრძნული აზრები

**ჯეფერსონი**: იმედი მაქვს, ჩვენი სიბრძნე ჩვენს ძალაუფლებასთან ერთად გაიზრდება და გვასწავლის იმას, რომ, რაც უფრო ნაკლებად გამოვიყენებთ ძალას, მით უფრო გავძლიერდებით.
**ბეკონი**: ვინც იარალი აილო ხელში, არა აქვს უფლება, უიარაღო ხალხის ფეხებთან დაცემულმა ეძებოს შველა.
**ვოლტერი**: შეიცოდე, თუ ცუდთან ერთად კარგიც უნდა დაიღუპოს.
**პუბლიციუსი**: გამეორებული შეცდომა დანაშაულად ითვლება.
**სენეკა**: განრისხებულს ყოველთვის ჰგონია, რომ იმაზე მეტი შეუძლია, ვიდრე სინამდვილეში შეუძლია.
**კონფუცი**: შურის დაძლევა შეუძლია ძლიერს ან ბედნიერს.
**ბაირონი**: უსამართლობას ყურები უფრო ეგუებიან, ვიდრე თვალები.
**დემოკრიტე**: ერთი ადამიანისთვის ძნელია ისეთი რამის დაცვა, რაც ბევრს მოსწონს.
**რენარი**: ბოროტ ადამიანს ცუდი კარგად ახსოვს, ხოლო კარგი – ცუდად.
**შექსპირი**: სიყვარული სიკვდილის შიშზე ძლიერია.
**მენანდრე**: ერთი მხარის უსამართლობა ომში იწვევს მეორე მხრიდან სამართლიან ომს.
**პლატონი**: ვინც უსამართლობას არ სჩადის – პატივსაცემია, მაგრამ, ორჯერ უფრო დასაფასებელია ის ადამიანი, ვინც სხვებსაც არ აძლევს უსამართლობის ჩადენის საშუალებას.
**ტოლსტოი**: თუ სიმართლე არ მიგვანიშნებს იმას, რაც უნდა ვაკეთოთ, მაშინ, ის იმას გვიჩვენებს, რაც არ უნდა ვაკეთოთ, ან დავანებოთ თავი ამის კეთებას.
**ტვენი**: თქვი სიმართლე და არაფრის დამახსოვრება არ დაგჭირდება.
**კანტი**: ბევრი უფრო დიდხანს იცოცხლებდა, ნაკლები ქონება რომ ჰქონოდა.
**დანი**: თუ ადამიანი ჭკვიანია, ის, ადრე თუ გვიან, გამდიდრდება, მის გამდიდრებასთან ერთად კი მისი ცოლი თანდათან გაბრიყვდება.
**გოგოლი**: გონება უდავოდ უმაღლესი ნიჭია, მაგრამ, ვნებაზე გამარჯვების შედეგად მოპოვებული.
**ცვაიგი**: ვინც ერთხელ იპოვა საკუთარი თავი, ის აღარაფერს აღარ დაკარგავს და, ვინც ერთხელ გაუგო თავის თავში ადამიანს, მას ყველასი ესმის.
**ფულერი**: გამოცდილება სასარგებლოა, თუ მასში ძალიან ძვირი არის გადახდილი.
**შპენგლერი**: ადამიანური აზროვნება – ეს თვალის აზროვნებაა.
**ლაროშფუკო**: გული ყოველთვის ამასხარავებს გონებას.
**რუსო**: გონების ენას მაშინ გავიგებთ, როცა გულზე გაივლის.
**იბსენი**: ერთადერთი, რასაც მე თავისუფლებაში ვაფასებ, ეს არის ბრძოლა მის მოსაპოვებლად – თვითონ თავისუფლების ფლობა მე არ მაინტერესებს.
**ამიელი**: მხოლოდ მასების ზნეობა არის ცივილიზაციის მტკიცე საძირკველი.
**მოემი**: სიყვარული სისუსტეა, ქალებს სიყვარულის გარდა არაფერი შეუძლიათ. სიყვარულის ღმერთმა უწყის, რამხელა მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი; სურთ, დაგვარწმუნონ, რომ ეს გრძნობა მთავარია ცხოვრებაში, მაგრამ, სიყვარული მეტად მცირეა. მე ვაღიარებ ბუნებრივ და ჯანსაღ ლტოლვას, სიყვარული კი ავადმყოფობაა.

# თუ გაიგეთ

1. 1945 წელს მედიკოსებმა დააფიქსირეს ახალი ფსიქიკური დაავადება – იზერლის კომპლექსი. ეს არის დანაშაულის განცდა ტექნიკის უახლესი მიღწევით ადამიანთა მასობრივ განადგურებაში. **რატომ დაარქვეს მას „იზერლის კომპლექსი"?**

2. თითქმის მთელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ იცის ბუშმენური ლეგენდა, თუმცა, მის ავტორად ყველა ერთ კონკრეტულ ადამიანს მიიჩნევს. სწორედ ეს ლეგენდა გახდა მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ძალზე გახმაურებული სასამართლოს საფუძველი. **რომელი ლეგენდა?**

3. ძველ რომში გავრცელებული იყო საქველმოქმედო შეწირულობები: ბავშვთა დახმარებისთვის, ბიბლიოთეკებისთვის და ასე შემდეგ. **დაასახელეთ ღონისძიება,** სადაც შეტანილი შეწირულობებით მდიდრები არა მარტო განსაკუთრებით სწრაფად იმსახურებდნენ მოქალაქეების მადლიერებას, არამედ, უცბადვე ხდებოდნენ წარჩინებულები.

4. გასული საუკუნის ოციან წლებში, „მშრალი კანონის" დროს, ნიუ-ჯერსის დამკრძალავი კანტორები მაფიის შეკვეთით განსხვავებულ კუბოებს ამზადებდნენ. **როგორს?**

5. ამ ცნობილი პროდუქციის გამომგონებელი და ცნობილი კომპანიის ჩამომყალიბებელი თავის გამოგონებაზე მუშაობის დროს კაბინეტიდან თითქმის არ გამოდიოდა. როდესაც მისი მცდელობა წარმატებით დასრულდა, კაბინეტიდან გამოსულ გამომგონებელს მეგობრები სიცილით შეხვდნენ და ურჩიეს, სარკეში ჩაეხედა. **დაასახელეთ გამომგონებელი.**

6. ტაჯიკეთის პრეზიდენტის, ემომალი რახმონის შემდეგ უცხო ხალხისგან შემოსული ქვეყნის გენერალურმა პროკურორმა, შერხონ სალიმზოდმაც მოიშორა და თანამემამულეებს მიმართა, რომ მათ პატრიოტიზმში დაეჭვდებოდა, თუ მისი და რახმონის მაგალითს არ მიბაძავდნენ. **რა მოიშორეს ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირებმა?**

7. მხარდაჭერის ეს სახე პირველად მექსიკაში გაჩნდა 1986 წელს. ამ სანახაობის დადგმის შესასწავლად კი იმ მათემატიკური მეთოდით ისარგებლეს, რომლის დახმარებითაც ტყის ხანძრების გავრცელების ანალიზს აკეთებენ. **რა გააკეთეს მექსიკაში?**

8. ენრიკო ფერმის ხელმძღვანელობით მსოფლიოში პირველი ბირთვული რეაქტორი 1942 წელს გაუშვეს. თარიღის გამო, ამ მოვლენას ცნობილი დიდი მოვლენა დაუკავშირეს, რომლის მთავარი მოქმედი პირიც იტალიელი იყო და დიდ ფიზიკოსს მისი სახელი უწოდეს. **რა?**

9. ლალის ხუთქიმიანი ვარსკვლავი მოსკოვის კრემლის სპასკის კოშკზე 1935 წელს დაიდგა. შემთხვევითი არ იყო, რომ ზუსტად იმავე წელს მოხდა ადრე აკრძალულის რეაბილიტაცია. **რისი?**

10. როგორც ცნობილია, რუზველტის ფიზიკურ მდგომარეობაზე ძალიან ცუდად იმოქმედა გადატანილმა პოლიომიელიტმა. თბილი წყაროებით მკურნალობის შედეგად, 1924 წელს, მან შეძლო პარალიზებული თითების ამოძრავება, მაგრამ, მხოლოდ 9 წლის შემდეგ, 1933 წელს აღნიშნა მისთვის ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა. **რატომ?**

***პასუხები იხილეთ 58-ე გვერდზე***

### მონარქისტული ქვეყნები

მსოფლიოს 200-ზე მეტი სახელმწიფოდან რესპუბლიკური წყობა არ არის 46 ქვეყანაში. ამ ქვეყნებს განაგებენ: 1 იმპერატორი, 13 მეფე, 3 დედოფალი, 2 სულთანი, 1 დიდი ჰერცოგი, 2 მთავარი, 3 ემირი, 1 არჩეული მონარქი (პაპი), 1 პრეზიდენტი (არჩეული 7 მემკვიდრე შეიხიდან), 1 სახელმწიფოს მეთაური კონსტიტუციური მონარქის უფლებებში და 2 ნომინალური, არამემკვიდრე პრინცი. გარდა ამისა, ბრიტანული თანამეგობრობის 16 ქვეყნის მმართველად ელიზაბეთ მეორე ითვლება.

### ერთდროულად მცხოვრები ყველაზე მეტი მონარქი

1683 წლის 30 ოქტომბერს (ჯორჯ მეორის დაბადება) და 1685 წლის 6 თებერვალს (ჩარლზ მეორის გარდაცვალება) შორის პერიოდში ერთდროულად ცხოვრობდა სახელმწიფოს 8 მეთაური: ჩარლზ მეორე, ჯეიმზ მეორე, უილიამ მესამე და მერი, ანა დედოფალი, ჯორჯ პირველი და ჯორჯ მეორე, აგრეთვე, რიჩარდ კრომველი, რომელიც იყო ლორდ-პროტექტორი და სახელმწიფოს მმართველი 1658-1659 წლებში.

### მონარქთა უცნაურობანი

როდესაც ნორვეგიის მეფე ულაფ მეექვსე ჯერ კიდევ მემკვიდრე პრინცი იყო, ლონდონში ყოფნის დროს რესტორანში შევიდა ადიუტანტთან ერთად. დიდგვაროვანმა სტუმრებმა არ იცოდნენ, რომ ამ რესტორნის ყველა მუშაკი ტიტულიანი იყო: რესტორნის მფლობელი – პრინცი, ბარმენი – ბარონი, მეგარდეროზე – პრინცესა და ასე შემდეგ.

რამდენადაც რესტორანში ყველა მაგიდა დაკავებული იყო, ადიუტანტმა მეპატრონეს მიმართა: ნუთუ თქვენთან არ მოინახება ადგილი ნორვეგიის ტახტის მემკვიდრე პრინცისთვის?

– ძალიან ვწუხვართ, – უპასუხა მეპატრონემ, – მაგრამ, ამჟამად ჩვენი შტატი მთლიანადაა დაკომპლექტებული.

### შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლh2-e5!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




ქმარი სამსახურიდან დაბრუნდა.

– აბა, როგორაა საქმე, ჩემო ტკბილო?

– ნორმალურად... ბორში გავაკეთე, კატლეტები შევწვი, ფანჯრები დავწმინდე, ბავშვების ტანსაცმელი გავრეცხე, სახლიც დავალაგე და ახლა ვქსოვ... მაგრამ, ინტერნეტს თუ არ აღადგენ... არ ვიცი, რას გიზამ!




***

როგორ სვამს ქართველი: ჯერ იმას, რაც სიამოვნებს, მერე – რამდენიც შეუძლია და ბოლოს – რამდენიც დარჩა.

***

ქორწილამდე ტიპს ძმაკაცებმა გართობის დღე მოუწყვეს. გავიდნენ ქალაქგარეთ, დალიეს, ფეხბურთი ითამაშეს და სასიძოს ბურთი პირდაპირ ერთ ადგილას მოარტყეს.

პირველი ღამე. პატარძალი აბაზანიდან გამოდის:

– იცი, საყვარელო, იმას, რასაც შენ მიიღებ, ჯერ არავინ მიკარებია.

– ჩემი კი, საერთოდ, ჯერ ისევ შეფუთულია, – უპასუხა მოწყენილმა სიძემ.

***

გამოცდაზე სტუდენტი იღებს ბილეთს, თუმცა საკითხები არ იცის. პროფესორს არ უნდა ცუდი ნიშანი დაუწეროს და ეკითხება.

– რა გიყო ახლა შენ?

– მოდი, რამდენიმე შეკითხვას დაგისვამ, თუ ვერ მიპასუხებ, დამიწერე ნიშანი...

მოილაპარაკეს და სტუდენტი ეკითხება:

– რა არის კანონიერი და არალოგიკური, ლოგიკური და არაკანონიერი და არალოგიკურიც და უკანონოც?

პროფესორი ჩაფიქრდა, გამოართვა ჩათვლის წიგნაკი და უთხრა, ნიშანს დაგიწერ ოღონდ შენ თვითონ ამიხსენიო.

– ბატონო პროფესორო, თქვენ გყავთ ძალიან ახალგაზრდა ცოლი – ეს კანონიერია, მაგრამ არალოგიკური; გყავთ ახალგაზრდა საყვარელი – ეს ლოგიკურია, მაგრამ უკანონო და ბოლოს, თქვენ დამიწერეთ ნიშანი – ეს უკანონოცაა და არალოგიკურიც.

***

ღმერთი შეჰპირდა კაცს, რომ კარგი ქალის ნახვას დედამიწის ნებისმიერ კუთხეში შეძლებდა... დედამიწა კი უკვე მრგვალი იყო...

***

– იქ სიცივე იქნება, თბილი რამე წამოიღე?

– კი, მომაქვს ხუთი ბოთლი...

***

კაცი დგას მეცხრე სართულის ფანჯრის რაფაზე და ყვირის!

– ახლა გადავხტები!

– რას სულელობ, მე შენ რქები დაგადგი, ფრთები კი არა...




***

– ექიმო, ჩემს ქმარს ჰონორეა აქვს, რა ვქნა, რა მეშველება?

– თვითონ რატომ არ მოვიდა?

– ჯერ არ იცის...

***

ქალი სამსახურში ჩალურჯებული თვალით მივიდა.

– რა გჭირს? – ეკითხება თანამშრომელი.

– ქმარმა...

– მე მეგონა, მივლინებაში იყო...

– ჰა, შენ გეგონა, მე კი დარწმუნებული ვიყავი...

***

თურქები ზამთარში საქართველოში ჩამოვიდნენ იმისთვის, რომ გაეგოთ, ამდენად როგორ იღლებიან ქართველები, აქ ასე რომ ისვენებენო...

***

აღშფოთებული ცოლი სახლში შემოსულ ქმარს ყვირილით ხვდება:

– მე ყველაფერი ვიცი!

– აბა, დუნაის რამდენი შენაკადი აქვს?

***

– რით განსხვავდება გამოცდილი სპეციალისტი გამოუცდელისგან?

– გამოუცდელმა სპეციალისტმა არ იცის, როგორ იმუშაოს, გამოცდილმა სპეციალისტმა იცის, როგორ არ იმუშაოს.

***

– მიჩჩიეთ, როგორ ვუთხრა შვილს, კარგად ისწავლეო, როცა სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე, უნივერსიტეტი – წითელ დიპლომზე, მაგისტრატურა უმაღლესი ნიშნებით... და ხელფასი 400 ლარი მაქვს.

## ცნობილი ადამიანების იუმორისტული გამონათქვამები

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ჰკითხეს: ჩიბუხს რატომ არ სწევო? „გოგჩის ტბის“ დამწერმა უპასუხა:

„მე ჩიბუხისა წევითა
ვერ გადავივლი მთასაო;
ასე რომ ბოლი მიყვარდეს,
ბუხარში შევყოფ თავსაო“.




***

რა არისო, რომ სამსჯავროში საქმის გარჩევის დროს მსაჯულებს მუნდირები აცვიათ, ადვოკატებს – ფრაკი და დამნაშავეები კი უფრო ხშირად შიშვლებიც არიანო? – ჰკითხეს აკაკის.

– ეს იმას ნიშნავს, – მიუგო პოეტმა, – რომ საქმის გარჩევა მსაჯულებისთვის სამსახურია, ადვოკატებისთვის – ბალი და დამნაშავეთათვის კი – აბანოო.

***

არჩევნების დროს ზოგიერთი აბეზარი კენჭოსნები ჰყვიროდნენ: „კენჭი მოგვეცით, კენჭი!.. კენჭმა უნდა გაგვასწოროსო“.

– ნეტავი თქვენ გასწორდებოდეთ და ვინ ოხერი ან ლოდს დაიშურებს თქვენთვისო, – მიაძახა აკაკიმ.

***

დილის 6 სრულდება. ნიაზი მაგარ „პახმელიაზეა“ და ლერმონტოვის ქუჩაზე მდებარე სახაშისკენ მიემართება. გზად ერთ ხელჯოხიან, ბებერ ინტრიგან მეზობელს გადაეყარა, რომელიც რძის ბიდონით დადიანის ქუჩაზე, სახაშიდან რამდენიმე მეტრში, ჩამოსასხმელი რძის საყიდლად მიდიოდა.

– საით მიიჩქარით, ყმაწვილო, ამ დილაადრიან? – ჰკითხა ინტრიგანმა, რომელსაც მშვენივრად მოეხსენებოდა, სად შეიძლებოდა წასულიყო სისხამ დილით ნიაზი.

– რადიო გამიფუჭდა და მეგობართან მივდივარ – ჰიმნის მოსასმენად (იმ დროს რადიოგადაცემები დილის 6 საათზე საბჭოთა კავშირის ჰიმნით იწყებოდა), – უპასუხა ნიაზმა, საათს დახედა, – უკაცრავად, მაგვიანდებაო, – და ნაბიჯს აუჩქარა.

# „პირადი ანგარიში“ ლევ იაშინთან და დახრჩობას გადარჩენილი ფეხბურთელი

## „ასტაროჟნა, დეპუტატ!“

დღეს დიდი დღეა! დიდი დღე!..

ხუმრობა ხომ არაა, თბილისში სათამაშოდ მოსკოვის „დინამო“ ჩამოვიდა. შეხვედრა მაშინდელ „ქარიშხალას“ სტადიონზეა. მართალია, მატჩი ამხანაგურია, მაგრამ რუს თანაკლუბელებთან შეხვედრა ყოველთვის უდიდეს ინტერესს იწვევდა საქართველოში. სტადიონზე ტევა არაა.

ჩემი ახლო მეგობარი გახლდათ მათი გოლკიპერი, მსოფლიოს მეკარეთა ეტალონი, დიდი ლევ იაშინი.

სხვა რომ არ ყოფილიყო და მარტო თვითონ ჩამოსულიყო სათამაშოდ, სტადიონი მაინც გადაიჭედებოდა... ცოცხალი იაშინის ხილვა ყველა ქართველის ოცნება იყო.

მატჩის დაწყებამდე ბევრი ვიჭუკჭუკეთ მე და იაშინმა და აი, დროც მოვიდა.

– მოგიგებთ! – „მივეცი დუხი“.

– „ნე დუმაიუ”! – არ დამეთანხმა. ყოველ შემთხვევაში, შენ ჩემთან ვერაფერს გახდები და წინასწარ ნუ ტრაბახობო, – „დამიბარა“.

დაიწყო მატჩი და დაუზვერავად ვეკვეთეთ ერთმანეთს ქართველები და რუსები. მართალია, ძალიან ძნელი იყო, მაგრამ შეგნება იმისა, რომ სახლში უნდა მოგვეგო, ნორმალურზე ბევრი გახლდათ. გარდა ამისა, მე იაშინთან „პირადი ანგარიში“ მქონდა გასასწორებელი. თუმცა, არადა არ მომეცა სულ მცირე შანსიც კი, რომ მოსკოველთა დაცვას გავქცეოდი. იმედი რომ გადამეწურა და სულ არ ველოდი, სწორედ მაშინ გავარდა გივი ჩოხელი შესანიშნავ პოზიციაზე. ელვისებურად „შევყევი“. გივიმ ორი დამცველი ჩამოიტოვა და ტყვიასავით გამჭოლი პასი გამომიგზავნა. ჩემი ფეხიდან გასხლეტილი ბურთი სოლივით გაერჭო იაშინის კარის ბადეში.




სანამ მაყურებელი დაიჯერებდა, რაც მოხდა, წამიერი სიჩუმით ვისარგებლე და იაშინს გავძახე:

– „ვინიმაი, დეპუტატ!” (გამოიღე, დეპუტატო!)

ჩვენი გადარეული მაყურებლის ბღავილში მაინც მომწვდა იაშინის გაწბილებული ხმა:

– „ვოვა, ტი პაბედილ, ნო პოლიტიჩესკი ტი პლოხო პადგატოვლენი სუბიექტ!!!” მეტი რაღა ეთქმოდა, მაშინ ის მართლაც იყო საბჭოთა კავშირის დეპუტატი...

## მიშველეეეთ!!!

გივი ჩოხელი იყო ჩემი გატანილი გოლის თანაავტორი და ხშირად მიმეორებდა – ნუ მოგაქვს თავი, ის გოლი ჩემი იყოო.

გავიხსენებ და გეტყვით, რომ გივიმ ცურვა არ იცოდა.

რადგან „ჩავუშვი“, ბარემ ბოლომდე გაგეხსნებით.

დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მაშინ ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო. არ ვარგოდა მოედანი, არ იყო ცხელი წყალი, ცივიც არ იყო ხშირად და ასე შემდეგ. ამიტომ, ნავარჯიშევი ფეხბურთელები მშობლიურ მტკვარში „განვიბანებოდით“ ხოლმე.

ერთი ასეთი „განბანვაა“ და მესმის სასოწარკვეთილი ხმა.

– მიშველეთ!!

გავიხედე და... გივი მიაქვს მტკვარს. მარტო თავი უჩანს და ეს თავი ყვირის. გამიკვირდა და როგორ! კაცო, შუა ივლისია, მტკვარი ამ დროს ძლივს მოდის, არადა, ეს მაინც ყვირის: მიშველეთ!

ცურვა ფეხბურთზე კარგად ვიცოდი, მაგრამ არ მივეშველე.

– ფეხზე ადექი, ფეხზე!

დამიჯერა, წამოდგა და „გადარჩა“. მუხლამდე წვდება წყალი. არადა, იხრჩობოდა. „ხელი მოუსვი და გეშველებაო“, რომაა ნათქვამი, მე შევცვალე ახალი მოწოდებით: „ფეხზე ადექი, გივი!“.

**თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელის ვლადიმერ ბარქაიას ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

(74-ე გვერდიდან)

მაოდ დიდი თანხა ღირდა, რომელიც არ მქონდა. მეპატრონეს დაველაპარაკე და უცებ მკითხა: საიდან ხარო. ვუთხარი: ქართველი ვარ-მეთქი. მეცო. არადა, ქართველის არაფერი ჰქონდა. ქართულად ვკითხე: როგორ თუ ქართველი ხართ, საიდან-მეთქი? მან კი მიპასუხა: არ მახსოვს ქართული სიტყვები, ერთი ვიციო – „დედა“. როგორც თავად მითხრა, მისი წინაპრები საქართველოდან საუკუნეების წინ შაჰ-აბასს გადაუსახლებია. თვითონ ირანში დაიბადა, დედა იტალიელი ჰყავს. მოკლედ, ქართული წარმოშობის იტალიელ-ირანელის მიქსია.

– **საოცარი ამბავია, დაუჯერებელი.**

– მე სულ ასეთ ისტორიებში ვეხვევი მთელი ჩემი ცხოვრება. მისი გვარია – ხორხიანა, აშკარად კავშირშია საქართველოსთან. მოკლედ, ჩვენი მაშინდელი საუბარი ასე დამთავრდა, მითხრა: გადავიფიქრე გაყიდვა, მოდი, პარტნიორები ვიყოთო. ამის შეთავაზება მეც მინდოდა, მაგრამ მერიდებოდა და თავად შემომთავაზა. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა, ამას ვერც წარმოვიდგენდი. ასე რომ, ერთ თვეში გავხსენით რესტორანი – „ოდა ჰაუსი“. წარმოშობით რაჭიდან ვარ. ჩვენთანაც ეძახიან ხის პატარა სახლს „ოდას“. თავიდან მხოლოდ „ოდას“ დარქმევა მინდოდა, მერე გადავწყვიტეთ, „ჰაუსი“ დაგვემატებინა. კარგი გამოვიდა საბოლოოდ. ყველანაირად შევეცადე, ქართული გარემო შემექმნა. აქ არის აგურის კედელი, პატარა მაგიდები, თიხა. ბევრი ვიშრომე იმაზე, ადამიანებისთვის კერძები როგორ მიმეწოდებინა პორციულად. გახსნამ ძალიან კარგად ჩაიარა, ბევრი ხალხი მოვიდა. სამაგიეროდ, მეორე დღეს 26 დოლარი ვივაჭრეთ. ეს იყო კატასტროფა. ყველამ ყურები ჩამოყარა. ვეუბნებოდი: ნუ გეშინიათ, მე გპირდებით, აქ რიგს დავაყენებ-მეთქი. და მართლაც დავაყენე რიგი და საერთოდ, წინასწარ თუ არ ჩაეწერებიან, განსაკუთრებით ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათ-კვირას, ვერ დასვამ. ასე რომ, რესტორანი პირველი დღეებიდანვე ინახავს საკუთარ თავს და რაც მთავარია, სახელი გავითქვით. ჩვენ შესახებ წერენ ცნობილი ადგილობრივი ჟურნალები, გაზეთები. „ვოლ სტრიტ ჟურნალში“ დაიბეჭდა ჩვენ შესახებ, სამ სატელევიზო არხზეც ვიყავით. ბოლოს კი „ნიუ-იორკ თაიმსიდან“ დამირეკეს და ასეთი რამ დაწერეს: ის პლასტიკური ქირურგი იყო ნიუ-იორკში ჩამოსვლამდე, აქ კი თავის დანას მიმართულება შეუცვალაო...

– **რა მოსწონთ „ოდა ჰაუსში“ ყველაზე მეტად?**

– ხალხს ყელში ამოუვიდა იტალიური, ჩინური საჭმელები, ერთი და იგივე. მე მათ რაღაც ახალი მივეცი. მენიუც სუფთა ქართულია. ჩურჩხელებსაც ვაკეთებთ, ლობიოს ქოთანში. ახლახან ისეთი ლორი შევბოლე, რაჭულად... თან, მამასთან გავიარე კონსულტაციები, რომელიც რძის ქარხნის დირექტორი იყო და ეს ტექნოლოგიები კარგად იცის. ისეთი ყველი გავაკეთე, გასაგიჟებელი. ჩემი აჭარული ხაჭაპური მანჰეტენის მასშტაბით 100 საუკეთესო კერძში შევიდა. გახსნიდან 8 თვე არ იყო გასული, შესაბამისმა ორგანიზაციამ რომ შეგვაფასა და ვარსკვლავი მოგვანიჭა. სულ სამი ვარსკვლავია. ჯერ ერთი გვაქვს და ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. თან, მხოლოდ ერთი წლის გახსნილები ვართ. სტუმრებს ასევე, ძალიან მოსწონთ ჩაქაფული, ხინკალი. ზოგიერთები დამცინოდნენ: შენი ჩაქაფულის საჭმელად ხალხი მანჰეტენზე მოვაო და მოდიან. აბსოლუტურად ქართულია ჩვენი რესტორანი, კვირაში ერთ დღეს ქართული მუსიკაც უკრავს, მღერიან.

– **როგორც ვიცი, თქვენს რესტორანში ბევრი ცნობილი ადამიანი დადის, მსახიობები...**

– კი, ძალიან ბევრი. ქართველებიც დადიან და უცხოელებიც. მეუღლესთან ერთად მოსული იყო ჰელენ მირენი, რომელმაც ცოტა ხნის წინ ფილმ „ქვინში“ ითამაშა – „ოსკარიც“ აქვს აღებული. ასევე დადიან დიზაინერები, მხატვრები. მათ ძალიან მოსწონთ ჩანახი, ჩაქაფული, ხაჭაპურზე ჩაციკლულები არიან. არ იცით, რა ხდება. თან, გაზეთებმა რომ დაწერეს, ფოტოებიც დაურთეს და იქიდან ამოხეული ფოტოებით მოდიან: ეს გვინდაო... ყველგან ძალიან კარგი შეფასებები გვაქვს. ძალიან კარგად წერენ ჩვენზე, რაც რესტორნის პოპულარობას კიდევ უფრო ზრდის.

**ნათია უტიაშვილი**

# რაში აიღო პირველი „ოსკარი“ საქართველოში წლების წინ წარმატებულმა პლასტიკურმა ქირურგმა მაია დვალაძემ და როგორ გახსნა მან მანჰეტენზე ქართული რესტორანი, რომელსაც 8 თვეში ვარსკვლავი მიანიჭეს

**არ მეგულება ადამიანი, ვისაც მოგზაურობა, სხვა ქვეყნების კულტურის ნახვა, მისი შეგრძნება და გაზიარება არ ხიბლავდეს. თუმცა, ამის შესაძლებლობა, სამწუხაროდ, ცოტას ეძლევა. მოინახულო პარიზი, ლონდონი, რომი, იერუსალიმი... ეს ის ბედნიერი წამებია, რომელსაც გონებიდან და ცნობიერებიდან ვერასდროს ამოშლი. მსახიობ ეკა ჩხეიძეს ასეთი მოსაგონარი ბევრი აქვს, რადგან ბევრ ქვეყანაშია ნამყოფი და მისთვის ყველაზე დიდი განტვირთვა, დასვენება და სასიამოვნო შეგრძნება, სწორედ სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობაა. ის ახლახან დაბრუნდა რომიდან და ჯერ კიდევ შთაბეჭდილებების ქვეშაა. სად გრძნობს თავს სხვა განზომილებაში, ვისთან ჩავიდა რომში და რომელ ქვეყანაში იცხოვრებდა სიამოვნებით, ამაზე თავად გვესაუბრება.**

# რატომ აშიშვლებს უცხოეთში ჩასული ეკა ჩხეიძე მანეკენებს და რატომ ვერ დადიოდა ის ამერიკაში მამასთან, თემურ ჩხეიძესთან ერთად ხელიხელჩაკიდებული

**ეკა ჩხეიძე:** არ მეგულება დედამიწის ზურგზე ადამიანი, ვისაც მოგზაურობა არ უყვარს. პირადად ჩემთვის, მოგზაურობა და უცხო ქვეყნის მიწაზე ფეხის დადგმა ისეთ შეგრძნებებთან ასოცირდება, რომლის სიტყვებით გადმოცემა მიჭირს. ზოგი ფულს აგროვებს საგნების შესაძენად, ბინის გასარემონტებლად, მანქანის შესაძენად, მე კი, ამ ყველაფერს მირჩევნია ფული დავაგროვო და ვიმოგზაურო. სიტუაციას რომ ვიცვლი, შინაგანად ვმდიდრდები. თუ ქვეყანაში მეორედ ან მესამედ ვხვდები, უფრო სხვა თვალით ვაფასებ იქაურ ქუჩებს, შენობებს, ხალხს.

**– ახლახან დაბრუნდი რომიდან და როგორც ვხვდები, ჯერ კიდევ შთაბეჭდილებების ქვეშ ხარ. ვისთან ერთად იყავი იქ?**

– ჩემი გოგონა სწავლობს რომში და მე და ჩემი ვაჟი ჩავედით მასთან სტუმრად. ასე მეგონა, სამოთხეში ვიყავი. არა, კი არ მეგონა, ზუსტად ვიცი, სამოთხეში მოვხვდი! ადვილად ვეჩვევი იმ სიტუაციას, სადაც ვხვდები. ის მხარე და ხალხი მიყვარდება, სადაც ფეხს ვდგამ და არც ადაპტაცია მიჭირს უცხო ადგილას. სიახლეები მიყვარს და ადვილად ვერგები გარემოებებს, სადაც ვხვდები. ზაფხულში თუ ვერ წავედი სადმე, ჩათვალეთ, ვერ ვისვენებ, რაც არ უნდა დრო მქონდეს და არც სამსახურში მივდიოდე. მირჩევნია, სადმე წავიდე და შევიცვალო გარემო. როცა უცხოეთში მივდივარ, ჩემი გადახალისება ხდება და ამ გადახალისების გარეშე, ძალიან მიჭირს.

**– წელიწადში რამდენჯერ ხდება შენთვის მსგავსი გადახალისება?**

– ზოგჯერ ვერ ვახერხებ გადახალისებას უცხო ქვეყანაში წასვლით. მადლობა ღმერთს, გასტროლებზეც მიწევს უცხოეთში წასვლა და ოჯახის წევრებთან ერთადაც. ზუსტად ვერ გეტყვით, წელიწადში ეს რამდენჯერ ხდება, მაგრამ ბევრ ქვეყანაში რომ ვარ ნამყოფი, ეს ფაქტია. ერთხელ მამასთან ერთად ვიყავი „პაეზდკაში" ისრაელში და ამერიკაში – გასტროლზე. ქმართან და შვილთანაც მიწევს ხშირად წასვლა, მეგობართანაც გახლდით სტუმრად ლონდონში. მიზეზი და საშუალება თუ მაქვს, მოგზაურობაზე უარს ვერ ვიტყვი.

**– მამა, ბატონი თემურ ჩხეიძე როგორია „პაეზდკაში"?**

– თქვენ წარმოიდგინეთ, ერთად ვიყავით მე, მამა და ჩემი და ისრაელსა და ამერიკაში და გარდა იმისა, რომ ერთად ვსაუზმობდით, მეტად ვერ ვნახულობდით მამას. ცალ-ცალკე ნომრებში ვიყავით. მამას რეპეტიციები ჰქონდა თეატრებში და სად ეცალა ჩვენთან ერთად ხელჩაკიდებულს ევლო ნიუ-იორკის ქუჩებში? ***(იცინის).***

**– რომელ ქვეყანაში გინდა ძალიან მოხვედრა და ამას ჯერჯერობით ვერ ახერხებ?**

– ძალიან მინდა ბრაზილიაში წასვლა. ვხუმრობ ხოლმე, ამდენი ხანია, ბრაზილიურ სერიალებს ვახმოვანებ და ასე მგონია, ამ ქვეყნის თითოეული ქუჩა, კეფე და სახლი ზეპირად ვიცი-მეთქი. დარწმუნებული ვარ, წინა ცხოვრებაში ბრაზილიელი ვიყავი და კარნავალის აქტიური მონაწილე ***(იცინის).*** აზიაშიც არ ვარ ნამყოფი – ჩინეთი, იაპონია, ირანი და ამ ქვეყნების მონახულებაც ძალიან მინდა. იმედია, მოვახერხებ. წინ მაქვს ყველაფერი.

**– ყველაზე მეტად, შენზე რომელმა ქვეყანამ მოახდინა შთაბეჭდილება?**

– პარიზში ბევრჯერ ვარ ნამყოფი და ასე მგონია, ეს ქვეყანა ჩემია. გაღიმებული დავდივარ, სულ სხვა განზომილებაში ვარ და შემიძლია, საათობით, მარტო ვიარო ქუჩებში. პარიზის ყველაფერი მომწონს. არ დამავიწყდება, როცა ფლორენცია ვნახე პირველად, ასე მეგონა, სხვა საუკუნეში გადავვარდი. აი, რომში, ვატიკანის მუზეუმში რომ შევედი, ტირილი ამივარდა. წმინდა პეტრეს ტაძარში კი სრული უსუსურობის შეგრძნება დამეუფლა, მივხვდი, რომ ყველაფერი გენიალური უკვე შექმნილია და ჩვენ რისთვის ვარსებობთ, ვერ ჩავწვდი. თუმცა, ეს პირველად რომ ვნახე მაშინ დამემართა, ახლა მეორედ ვიყავი რომში და ასე მეგონა, პირველი ტალღის დარტყმა გადავიტანე და სულ სხვა, მეორე ტალღის დარტყმის ემოცია ვიგრძენი ამჯერად. ევროპაში, სხვანაირად, უფრო ღრმად სუნთქავ, თითქოს იხსნება მესამე ფილტვი. ევროპაში – ცივა მომწონს, წვიმს მომწონს, ცხელა მომწონს, ყველაფერი მომწონს და რა ვქნა?

**ნატო მურვანიძეს დაუნახავს შიშველი მანეკენი მაღაზიის ვიტრინაში და უყვირია: აი, აქ გაიარა ახლა ეკამ, მივაგენითო**



**– ვინც კი პარიზში მოხვდა, ამბობს, იქ სიყვარულის ყველა განზომილება გამეხსნაო. იტალიიდან ჩამოსულები ამბობენ, ეს არის ადგილი, სადაც ბედნიერებას შეიგრძნობო და ასე შემდეგ.**

– გეთანხმებით, მაგრამ ლონდონზეც ხომ გიჟდებიან? მაგრამ, მესამე ფილტვი იქ არ მეხსნება, რაც იტალიაში და პარიზში მჭირს. ლონდონი მომწონს, სამჯერ ვარ ნამყოფი, მაგრამ რომ მკითხო, ახლა ლონდონში გინდა თუ პარიზშიო, პარიზს ავირჩევ. ვერ გეტყვით, სიყვარულის ხაზები მეხსნება პარიზში-მეთქი, მაგრამ გულში რომ რაღაც თბება, ამას ნამდვილად ვგრძნობ. სხვათა შორის, პარიზში რომ ვარ, ყველას ლათინოამერიკელი ვგონივარ და მეც ვიფერებ ***(იცინის).*** რომ მკითხოთ, სად იცხოვრებდი დიდი სიამოვნებითო, გეტყვით, რომ მინდა, ბინა პარიზში და რომში. თუმცა, სასტუმროშიც კარგად გავჩერდები, თქვენ ფული მომეცით ***(იცინის).***

**– შენი აზრით, ქართველები რომელი ქვეყნის ხალხს ვგავართ ყველაზე მეტად?**

– ხომ ამბობენ, ქართველები იტალიელებს ვგავართო? მე გეტყვით, რომ იტალიელები არიან ძალიან ზარმაცები, დღემდე არსებობენ იმ მუზეუმებით, ნანგრევებითა და სიძველეებით, რაც აქამდე შემორჩათ და ძველი დიდებით ცხოვრობენ. განსაკუთრებით ეს რომში დავინახე. მხოლოდ ტურიზმით არსებობენ. მილანი სხვა ტემპორიტმული ქალაქია, უფრო „დაქოქილი". აი, მილანში მე „ვიქოქები", დანარჩენ იტალიაში კი დრო თითქოს მიზოზინობს. ჰოდა, თუ ამ საზომით ვიმსჯელებთ, სიზარმაცით იტალიელებს ნამდვილად ვგავართ ქართველები ***(იცინის).***

**– ეკა, მგზავრობას როგორ იტან და თუ მოხვედრილხარ თვითმფრინავით ფრენისას ტურბულენტურ ზონაში?**

– ფრენაც გადასარევად ვიტან, არც სასმელის და არც დამამშვიდებლების „ჩარტყმა" არ მჭირდება ***(იცინის).*** ვჯდები თუ არა თვითმფრინავში, ეგრევე ვიძინებ. რაც შეეხება ტურბულენტურ ზონას, მონტელიეს ფესტივალიდან მოვფრინავდით და იუგოსლავიას რომ გადავუფრინეთ, გამოაცხადეს, ომია და მოგვიწევს ძალიან მაღალ სიმაღლეზე ასვლა და ისე ფრენაო. ატყდა ერთი ამბავი, პანიკა, თუმცა მე სულაც არ შემშინებია. არადა, იცით როგორ მიფრინავდა თვითმფრინავი? აყრილ-დაყრილ ასფალტზე რომ გადაივლი მანქანით და ჯაყჯაყებ, ზუსტად იგივე შეგრძნება იყო. არც კადრებივით ჩაუვლია ჩემს ცხოვრებას და არც პანიკაში ჩავვარდნილვარ. ვიჯექი და გემრიელად ვჭამდი ***(იცინის).*** ისეთი გემრიელი საჭმელები მოგვიტანეს ბორტგამცილებლებმა, იმაზე უარს როგორ ვიტყოდი? ჰოდა, ვინც პანიკობდა და საჭმელს პირი არ დააკარა, იმათიც მე გეახელით გემრიელად ***(იცინის).*** რა ვქნა, არც ერთ მომენტში არ მაქვს ფრენის შიში. აი, ახლაც რომ მითხრათ, მივფრინავთ და ჩაბარგდიო, ზუსტად თხუთმეტ წუთში, მექნება ბარგი ჩალაგებული. მარტო სადმე დამიძახეთ და მზად ვარ.

**– შოპინგი თუ გიყვარს უცხოეთში?**

– ძალიან მიყვარს შოპინგი უცხო ქვეყანაში და ვერავინ დამაჯერებს, თუ მეტყვის, მე ეს არ მიყვარსო. თან, სიარული და მაღაზიებში ძებნა არ მიყვარს, ძირითადად, მანეკენებს ვხდი. დავინახავ მანეკენზე კაბას, მომეწონება, დავუძახებ გამყიდველს და ვაშიშვლებინებ ***(იცინის).*** არ დამავიწყდება, ერთხელ, მონტელიეში ჩვენებს ჩამოვრჩი და დავიკარგეთ. ნატო მურვანიძეს დაუნახავს შიშველი მანეკენი მაღაზიის ვიტრინაში და უყვირია: აი, აქ გაიარა ახლა ეკამ, მივაგენითო ***(იცინის).*** მართალაც, ასე იყო.

**ნონა დათეშიძე**



გვ. 16

რატომ არის მამუკა ჩარკვიანი მძიმე კაცი და რისგან არ იხსნა ის მამამ



გვ. 11

რა საერთო აქვთ გიორგი მუსხელიშვილსა და მის მეუღლეს მისტერ და მისის სმიტებთან და რით ინახავს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ცოლი წყნეთში



გვ. 74

რაში აიღო პირველი „ოსკარი“ საქართველოში წლების წინ წარმატებულმა პლასტიკურმა ქირურგმა მაია დვალაძემ და როგორ გახსნა მან მანჰეტენზე ქართული რესტორანი



როგორ ეხმარება 21 წლის ლილე სახელაშვილი მრავალშვილიან ოჯახებსა და უნარშეზღუდულ ბავშვებს და რატომ ყვებიან თბილისში მის შესახებ საოცრებებს

გვ. 70


ISSN 1987-569X

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო დ ... ისი – შიგ ჩასმ ... ხში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №22 (701) 2 – 8 ივნისი * ფასი 1,50 ლარი